



ჩვენნი მხურომბა



გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

26 ივნისი 2015

№ 13 (247)

ინტერვიუ ლადო კახაძესთან
 ამირან არაბულის ჩანაწერები
 გურამ პეტრიაშვილის ლექსები
 ნანა გუცია უილიამ ფოლკნერზე
 ელგუჯა თავბერიძის დეტექტიური ცდა
 გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული რომანი
 მიხეილ ქოპილაშვილის დებიუტი კრიტიკაში
 შონდო არველაძე თბილისის ეკლესიებზე
 ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანი
 რას ეუბნება კრიტიკოსი მკითხველს
 დიადლოგი გიორგი ხაინდრაჯასთან
 ახალქალაქის ძველი სიმღერა
 იბრაჰიმ ალ-ქუნის ნოველები
 თამარ ლომიძის ლირიკა



შინაარსი

ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი	2	ბონდო არველაძე თბილისის წმ. ორმომც სებასტიანე მონაგებთან ეკლესია
კულტურის სიღვაძე	5	ნანა კუცია „ცოტა სხვა ფოლკლორი“
შპრინსავი აორბრავინსათვის	10	ლევან ქურციკაშვილი დღე, რომელიც ნახევარსაუკუნოვან მემოზგროვად იძცვ (მერაბ ლაღანიძე)
მსპრან-ინგბრკო	12	ლადო კახაძე „სხვისი თვალით დინანსე შენი თავი“ (მომამზადა მაკა ჯიბლაძემ)
აროზა	13	ნინო ბაქანიძე ახალქალაქის ქველი სიმღერა
უსსოვლის თვალთ	17	ქართული ლიტერატურული ზღაპარი იტალიურად
აოუზინა	17	გურამ პეტრიაშვილი მთავარი სიტყვა და სხვა ლექსები
	19	თამარ ლომიძე მემოზგრავს და სხვა ლექსები
ღებამქინის მავიერ	20	ელგუჯა თავბერიძე ბაცოცხლავული მკვდარი (ნაკატორღალი ავღლიანის თავგადასავალი)
აოუზინა	23	თამაზ ბარჯაძე მუხას ქარიშხალი ახვევია და სხვა ლექსები
	26	მურად მორჩიაშვილი *** სასტუმრო „ოაზინი“ და სხვა ლექსები
მომონავათა სკივრი	27	რუსუდან ბოლქვაძე ჩემი „მეზაღე“ (ლილი იოსელიანი)
ღაუვიწყარი სახელები	28	ვასილ კიკნაძე დავაშურულ ნისლში გამონათება (გიორგი შატბერაშვილი)
დღიურის ფარცლავიდან	30	გიორგი ხახიაური რომორ ბაპარანს ხევისურებამ ალექსანდრე ბატონიშვილი
	30	„მე აიეიტის ეპოქაც მახსოვს“ (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება გიორგი ხაინდრავა)
ღილოვბი	30	ეკა ბუჯიაშვილი რას ეუზნება პრიტიკოსი მკითხველს (პაატა ჩხეიძის ესეების კრებულის განხილვა)
რავორბავი	34	მიხეილ ქოპილაშვილი მიღიოღენ (ოთარ ჩხეიძის, ნუგზარ შატაიძისა და ვანო ჩხიკვაძის ნოველები)
კრიპინა	38	როსტომ ჩხეიძე ფარფლის მისტერია... სიცილის ტრავიზმი... (ლაშა თავუკაშვილის ნაგვიანევი დებიუტი რომანისტიკაში)
ახალი რომანი	40	მერაბ კალანდაძე დიმიტრი უზნაქე ბერმანის და იტალიის ბაერტინანებაზე
ნარსული მომავლისათვის	42	თეიმურაზ დოიაშვილი „ნიგნი-მთლიანოვა“ (გალაკტიონ ტაბიძის პირველი პოეტური კრებული)
წიგნის იუვილა	46	ივანე ამირხანაშვილი შეხვედრა (ანზორ და მამუკა სალუქვაძეების 100 ლექსი)
წუთები და წლები	52	მიხეილ ანთაძე სიტყვის არქეოლოგია
ენის წიაღში	54	მაია ცერცვაძე „მსოლოდ ტფილისის მშვენიერი მთვარინი საღამოები გამომაცოცხლავს სოლომე“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი მიხეილ თუმანიშვილს)
ქივა	56	შან სა *** პირველი სხივი ღამეს ბაპარანს და სხვა ლექსები
აოუზინის მერიღიანები	60	ამირან არაბული სულუქცევრად საკითხავნი
ფიქრი და განსჯა	62	იბრაჰიმ ალ-ქუნი ორი ნოველა
ახალი თარგმანები	66	ნინო დეკანოიძე „პავინი ქართულად“ (წარმატებული პროექტი)
ღინბარბურული სსოვრება	70	ქართველი მისიონერი ინდოეთში
ამ მთისა და იმ ბარისა	71	



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

ახალი ნომერი გამოვა ახალი წლიდან ახალი ღიზინით და ახალი ფორმატით

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ჯემალ ლაღანიძე, გიორგი ჩხეიძის ფოტოგრაფიული
ტბა სიერა-ნევადაში, კალიფორნია

ბონდო არველაძე

თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესია

სომხებმა ბევრი მართლმადიდებელი ეკლესია გადააქციეს სომხურ-გრიგორიანულად. მათზე არსებული ძველი ქართული წარწერები გადაფხიკეს და სომხური ამოკვეთეს. მდიდარი სომხები ყიდულობენ ქართულ მინებს და იქ სომეხ ემიგრანტებს ასახელებენ, რათა საქართველო გაასომხონ.

ი. კანდევანი. ისტორიკოსი

ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო ფონდის მიერ დაარსებული სერიალის „თბილისის ეკლესიების ბედის“ ეგიდით გამოვიდა მონოგრაფია „თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესია“ (2014). ავტორები არიან: მერაბ ძნელაძე, მაია იზორია, ვერა ჩიხლაძე, ანდრო გოგოლაძე. რედაქტორი: ვაჟა სადრაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სერიის რედაქტორი — თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი. რეცენზენტები: დიმიტრი ახვლედიანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლერი ჯიბლაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კონსულტანტები: აკად. ნანა ხაზარაძე, ირინა ელიზბარაშვილი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, არქიმანდრიტი — ათანასე (კირთაძე).

ბარემ ვიტყვი — ავტორთა კოლექტივს წლების განმავლობაში კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შეუსრულებია თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიის საკმაოდ ბუნდოვანი ისტორიის შესწავლის საქმეში. მათ სრულყოფილად მოუყრიათ და მეცნიერულად გაუანალიზებიათ ამ ეკლესიის შესახებ არსებული წერილობითი და ზეპირი ცნობები. სკრუპულოზურად შეუსწავლიათ აგრეთვე არქეოლოგიური და არქიტექტურული თვალსაზრისით, რაც დღემდე არ იყო გაკეთებული.

თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიის შესახებ არსებული ცნობები კი ასე გამოიყურება. ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიის შესახებ პირველად გვხვდება ცნობა იოანე საბანის ძის თხზულებაში „აბო ტფილელის მარტვილობა“. ქრისტიანობისათვის წამებული არაბი აბო 786 წლის 8 იანვარს, პარასკევ დღეს გამოიყვანეს ციხე-სიმაგრიდან (ნარიყალა) და არაბმა ჯალათმა „კართა ზედა წმინდა ორმოცთა მარტვირთა ეკლესიათა, მოჰკვეთეს თავი“, — წერს იოანე საბანისძე.

შემდეგი ცნობა ეკუთვნის პლ. იოსელიანს, რომლის მიხედვით — ამ ეკლესიაზე ბერძნები და სომხები დავობდნენ და პრეტენზიას აცხადებდნენ.²

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა კი სირიელი მწერლის ბარ-ჰებრაის (აბულ-ფარაჯი) თხზულებაში მიაკვლია შემდეგ ცნობას — ქართველებსა და სომხებს შორის 1197 წლის შეტაკება მომხდარა აღდგომის დღესასწაულს ამის თაობაზე. სომხები არ დათანხმებულან ქართველებზე ერთი კვირით გვიან აღენიშნათ ეს ქრისტიანული რელიგიური დღესასწაული. ეს დაპირისპირება იმდენად გამწვავებულა, რომ ქართველებს გადაუნვათ სომხური ეკლესია. კონფლიქტი 40 ათასი სომეხი ჩაბმულა. მოკლული ყოფილა 4 თუ 40 სომეხი. საქმე დამთავ-

რებული იმით, რომ ქართველებს თითქოს გადაუხდიათ 100 ათასი დინარი ეკლესიის აღსადგენად. ათასი დინარი კი ყოველ მოკლულ სომეხზე.

ავტორებს არასარწმუნოდ მიაჩნიათ მომხდარი შეტაკების თბილისში გადმოტანა და ფიქრობენ თამარ მეფის დროს ამას ვერაფერს გაბედავდა. ეს — „ზოგიერთი არაკეთილმოსურნი ისტორიკოსის მიზანია აღნიშნოს 1127 წელს ქართული ეკლესიის სომხური წარმომავლობა, ხოლო მომდევნონი ამ მოსაზრებას უკვე უტყუარ წყაროდ და ფაქტად წარმოსახავენ“.³

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გვსურს გავაკეთო შემდეგი კომენტარი: ჯერ ერთი შეტაკება მომხდარა 1197 წელს და არა 1127 წელს. მეორეც ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოთქვა ვარაუდი, ეს კონფლიქტი შეიძლება მომხდარიყო თბილისში, წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიაში.⁴ ეს ვარაუდი არავის, უტყუარ წყაროდ არ მიუღია, გარდა პ. მურადიანისა, ს. კარაპეტიალის და სხვა სომეხი მეცნიერებისა. რაც შეეხება განცხადებას, თითქოს თამარ მეფის დროს ვერაფერს გაბედავდა ამგვარ ქმედებას, აქ დაუფერველი არაფერია. საესებო შესაძლებელია რელიგიურ ნიადაგზე მომხდარიყო აღნიშნული მწვავე კონფლიქტი. ასეთი შეტაკებები უფრო ფართო მასშტაბით ხდებოდა შუა საუკუნეებში ევროპასა და აზიაში. მეფეს ანგარიშს არავინ უწევდა.

ჩვენი აზრით, ქართველი ხალხის ტოლერანტობიდან გამომდინარე ნაკლებად საფიქრებელია აღდგომის აღნიშვნის გამო მომხდარიყო ეს შეტაკება. ქართველი ყველა სარწმუნოებას პატივს სცემდა. ამის საუკეთესო მაგალითია თბილისში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, კათოლიკური ეკლესიის, მუსლიმანური მეჩეთის, ებრაული სინაგოგის და სომხური საკულტო ძეგლის არსებობა ერთ უბანში. ბარ-ჰებრაის აღწერილი შეტაკება თუ მართლა მოხდა, ამის მიზეზი იქნებოდა არა აღდგომის რელიგიური დღესასწაულის ჩატარების პირველობა, არამედ უფრო სერიოზული ფაქტორი.

სომეხი სასულიერო პირების ავადმყოფური ისტორიზმის და სხვათა ეკლესია-მონასტრების მისაკუთრების სენის გათვალისწინებით ალბათ მათი მხრიდან იყო მცდელობა თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ქართული ეკლესიის მითვისების, რამაც ქართული მოსახლეობის გალიზიანება გამოიწვია და მოხდა შეტაკება.

რადგან ეს ცნობა არ ეყრდნობა წერილობით წყაროს, ლ. მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობს, რომ სირიელმა მწერალმა ზეპირი გზით მოისმინა მისი კავკასიელი თანამორწმუნეებისგან. მას მოკლულ სომეხთა რიცხვიც საეჭვოდ მიაჩნია.⁵

მიუხედავად აღნიშნულისა, ლ. მელიქსეთ-ბეგი მაინც შეეცადა ქართველთა და სომეხთა ეს კონფლიქტი გადმოეტანა თბილისში და წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიასთან დაეკავშირებინა. ამისთვის მოიშველია XIII საუკუნის სომეხი სწავლულების ვანაკან ვარდაპეტის (იგივე იოანე ტაუშეცი) ცნობა. ამ ცნობის მიხედვით მას თბილისში წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიაში 1126 წელს სომხური ხელნაწერი სახარება გაუყიდა.⁶

ლ. მელიქსეთ-ბეგმა ეს თარიღი (1126) უკომენტაროდ გაიზიარა: პ. მურადიანმა კი 1236 წლით გადაათარილა.⁷ შემდეგ კიდევ შეასწორა და 1238-ით დაათარილა.⁸

პ. მურადიანს თარიღების წინ გადაწევა დაჭირდა იმიტომ, რომ იცოდა 1226 წელს ჯალალედინმა თბილისი და მისი ეკლესიები დააქცია-გაანადგურა, რაც ლ. მელიქსეთ-ბეგს გამორჩა მხედველობიდან. ჯალალედინის ურდოებს ვერც წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესია გადაურჩებოდა ამდენად, ვანაკან ვარდაპეტი გავერანებულ ეკლესიაში ხსენებულ სახარებაზე მინაწერს ვერ გააკეთებდა. მურადიანმა გაითვალისწინა რა ეს ფაქტორი, თარიღი მთელი 12 წლით გადმოწინა იმ მიზნით, რომ თორმეტი წლის განმავლობაში წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა ეკლესიას აღადგენდნენ და მინაწერიც სომხურ სახარებაზე საეჭვო აღარ იქნებოდა.

აი, ამისთვის დაჭირდა ამ თარიღებით მანიპულაცია.

ამ მინანქრთან დაკავშირებით ავტორები მართებულად წერენ — „დედაციხის ტერიტორიაზე მდებარე წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია ცერ ასცდებოდა დანგრევას (1226 წ.) ცოტა არასერიოზულად გვეჩვენება გაუკაცრიელებულ ქალაქში ვინმეს ახლად გადაწერილი (ალბათ ძვირიც) სომხური სახარებები ვაჭრობა.“⁹

ფვიქრობ, „ცოტა არასერიოზული“ კი არ არის, ნამდვილად საფუძველს მოკლებული აზრია და ვანაკან ვარდაპეტის მინანქრის სიყალბეს ადასტურებს. ცნობილია, სომეხი სასულიერო პირები ამგვარი საქმის ოსტატები იყვნენ.

მივუბრუნდეთ იოანე საბანის-ძის ცნობას, რომლის მიხედვით 786 წელს წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია იყო. ისმის კითხვა, ეს ეკლესია ქართული მართლმადიდებელი იყო თუ სომხური მონოფიზიტური?

გიუტ ალაიანცის ცნობით წმ. ორმოც მონამეთა ეკლესია იყო ყველაზე ძველი სომხური ეკლესია თბილისში, რომელიც 754 წელს აუგია საფრაზ ჯულაეცს (ჟურ. „ტარაზ“ (მოდა), 1919, №6 (1-2), გვ. 45 (სომხურ ენაზე). მაგრამ იგი წყაროს არ უთითებს, ამიტომ მისი მეცნიერულ საბუთად მიღება გამორიცხვლია.


ლ. მელიქსეთ-ბეგი აღნიშნულ თარიღს (754) არ იზიარებს, მაგრამ სიმართლის მარცვალს მაინც ხედავს ამ ცნობაში და ძალიან ფრთხილად ეს ეკლესია სომხურად მიაჩნია. თუმცა მის თავიდან ქალკედონურობას არ გამორიცხავს.

პ. მურადიანს მოაქვს რამდენიმე სომხური ცნობა და ცდილობს ისე წარმოაჩინოს, თითქოს წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია თავიდან ბოლომდე იყო სომხური.¹⁰

ფვიქრობ, პ. მურადიანის მოხმობილი საბუთები წმ. ორმოც მონამეთა ეკლესიის თავიდან სომხურობას კი არ მოწმობენ, არამედ ამტკიცებენ იმას, რომ გარკვეულ წლებში, დროებით მისაკუთრებული ჰქონიათ სომეხებს. ეს ხდებოდა მაშინ, როცა თბილისს უცხო დამპყრობლები შემოესოდნენ და დააქცევდნენ. ამ ძნელბედობით სარგებლობდნენ და უცერემონიოდ ეუფლებოდნენ ქართველთა ეკლესიებს. ამგვარად, აღმოჩნდებოდა ხოლმე ხანგამოშვებით წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია სომეხთა ხელში. ასე მოხდა ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს (1795) სომეხებმა ჩაიგდეს ხელში თელეთის წმ. გიორგის, ნავისის, შავნაბადის ქართული ეკლესიები.¹¹

პ. მურადიანი, ს. კარაპეტიანი ცნობილი ტენდენციური მკვლევარები არიან, მათგან გასაკვირი არ არის წმ. ორმოც მონამეთა ეკლესიას და არა მარტო მის სომხურად წარმოჩენას რომ ცდილობენ, მაგრამ მათ ამის საფუძველი არ აქვთ.

როგორც ჩანს წმ. ორმოც მონამეთა ეკლესია არაბების შემოსევამდე (642-643) და კიდევ უფრო ადრეა აშენებული. იგი იყო მკვიდრი ქართველი მართლმადიდებლების ეკლესია და არა მოსული სომეხების საყდარი, როგორც სურს ზოგიერთმა სომეხმა მეცნიერმა წარმოაჩინოს. ისე კაცმა რომ თქვას, არაბი ჯალათი არ დაგიდევდა ქართულ ეკლესიის წინ ნააჭრიდა თავს აბოს თუ სომხური მონოფიზიტური საკულტო ნაგებობის წინ. მაგრამ ქართველი მართლმადიდებელი მწერლის იოანე საბანის-ძისთვის კი არ იყო სულერთი, რადგან ეს მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი რელიგიური ფაქტორი გახლდა. აბო ენამა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის და არა სომხურ მონოფიზიტურ (მკრეხელურ) აღმსარებლობისთვის. ასე რომ მომხდარიყო, იოანე საბანის-ძე აუცილებლად აღნიშნავდა — აბოს თავი სომხურ ორმოც მო-



ნამეთა ეკლესიაში მოკვეთესო. რადგან არ აღნიშნა, თავისთავად იგულისხმა, ეს ეკლესია იყო ქართული. სხვათა შორის ბერძნული რომ ყოფილიყო, ამასაც იტყვოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია იოანე საბანის-ძე. ფაქტებს რეალურად და ზუსტად ასახავს.¹²

მაგრამ, სჯობია მივუბრუნდეთ საკითხის ისტორიას. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია აშენდა ვახტანგ გორგასლის დროს V საუკუნეში. ამ დროს ქართლი ბიზანტიაზე იღებს ორიენტაციას. მხედველობაშია მისაღები ისიც, ვახტანგ მეფის მეორე ცოლი ბერძენი ეროვნების იყო და დედოფალს მრავალრიცხოვანი ამაღა და მოსამსახურეები ჩამოყვებოდა, რაც ბერძნული ეკლესიის აშენების საჭიროებას წარმოქმნიდა.

პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია VI-VII საუკუნეებში ვერ აშენდებოდა, რადგან ამის პირობები ამ საუკუნეებში ქართლში, კერძოდ თბილისში არ იყო.¹³

ამდენად, ქართველი მეცნიერის მისაღები აზრით თბილისის წმ. ორმოც მონამეთა ეკლესია აგებულია V საუკუნეში.

წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესიის შესახებ განხილული წერილობითი ცნობები თანხვედრაში მოდის ამ ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებთან. პროფ. მ. ძნელაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფართო და შრომატევადი სამუშაო ჩატარებდა. გათხრების დაწყების პირველსავე ეტაპზე დედაციხის გალავანსა და ეკლესიის ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის ეპოქის (V-VII) და სხვადასხვა პერიოდის ნაგებობების ნაშთები იქნა ნანახი. ეს კი ფაქტური დასტურია, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია აღნიშნულ საუკუნეებში რომ არსებობდა.

მონასტრის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქის ექვსი სამარხი და ერთი სამარხის ქვა იქნა გამოვლენილი. ეკლესიის ინტერიერში ზედა-ნაყარი ფენების ალების შემდეგ აღმოჩნდა XVIII-XIX საუკუნეების მხედრულ ნარჩენიანი საფლავის ქვა, რაც ამ ეკლესიის ქართულობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. „№1-4 სამარხი, XIII საუკუნეში მოქმედ ეკლესიას განეკუთვნება; №5 სამარხი XII საუკუნეში აღდგენილი ეკლესიის ფუნქციონირების დროისაა. №6 სამარხი კი III-IV სს. თარიღდება.“¹⁴

არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ თავდაპირველ ეკლესიას არაბების დამკვიდრების დასაწყისში მცირე საყდრის ფუნქცია ჰქონია, მაგრამ 853 წელს ბულა თურქმა თბილისი გაანადგურა და ფაქტია მათ შორის მოყოლია ეს მცირე საყდარიც. თბილისს მომდევნო პერიოდში მძიმე დრო დაუდგა. XI საუკუნის 60-70-იან წლებში ქრისტიანული ერთი მოქმედი ეკლესია ყოფილა (ალ. ჰუსეინის ცნობით). პროფ. მ. ძნელაძის აზრით, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების დროს (1122 წ.) წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია დანგრეული ყოფილა და არ ფუნქციონირებდა. მისი ვარაუდით, ეს ეკლესია მეორედ აშენდა დავითის ან მისი ძის დემეტრეს დროს.

ნაეკლესიარზე XII-XIII საუკუნეების დროინდელი კედლის მოხატულობის ფრანგმენტები აღმოჩნდა. ერთ მათგანზე გამოსახულია ძველი ქართული ანბანის (ასომთავრული) ასო, „დ“ (დონი). პროფ. ვ. სილოგავას აზრით, იგი თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. ეკლესიის კედლებზე მოხატვა და მასზე ქართული დამწერლობის ნიმუშის აღმოჩენა კიდევ ერთი დასტურია ამ ეკლესიის ქალკედონური კუთვნილების. მონოფიზიტურ-სომხური ეკლესიისათვის მოხატვა დოგმატური თვალსაზრისით ყოველად მიუღებელია. „სომეხების ეკლესიის უმრავლესობა ამას მოკლებულია“.¹⁵

აგრეთვე დაუშვებელია, სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიაში სამარხების გამართვა.¹⁶

თემურ-ლენგი XIV საუკუნეში მ-ჯერ შემოიჭრა საქართველოში და ბარბაროსულად „შემუსრნა ყოველი ციხეები და საყდარნი“. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესიასაც დაქვევა არ ასცდებოდა.

წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია მეოთხედ აშენებულა მეფე ალექსანდრე I-ის (1425-1440) დროს.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა, რომლის მიხედვით მეფე გიორგი VIII-ს ვილაც უცნობი პირისთვის დაუმტკიცებია ამ პიროვნების მიერ ქალაქში აშენებული საყდარი, სასაფლაო, კათოლიკური ეკლესია ხუცებით, სასახლით და ორმეოცეთა ეკლესიით, ნასყიდი სახლ-კარი.¹⁷

ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ აქ ლაპარაკია ორმოც ნამებულთა ქართულ ეკლესიაზე და არა სომხურზე.

პროფ. მ. ძნელაძეს მოაქვს კიდევ ეპისკოპოს კირიონის (საძაგლოშვილი) ცნობა. ამ ცნობაში ნათქვამია, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია შაჰ-აბაზ I-ს (1618-1625) დაუწყოვია.

პროფ. მ. ძნელაძე აღნიშნავს ვახუშტის რუკაზე (1735) წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია დატანილი არ არის. ამ დროს ეტყობა ეს ეკლესია დანგრეული იყო.

ფიქრობთ, ეს არგუმენტი სუსტია, უფრო სავარაუდოა, ვახუშტის გამორჩა. ეს უფრო საფიქრებელია, რადგან XVIII საუკუნის თბილისის დოკუმენტების მიხედვით მამისა ბერძენიშვილი თბილისის უბნების აღწერისას აღნიშნავს, რომ „ციხის პატარა საყდარი“ — „მთავარანგელოზის“ სახელობის — შედგოდა ციხის უბნის ტერიტორიაში.¹⁸

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1801) შემდეგ წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია ალა-მაჰმად-ხანის მიერ (1795) ყოფილა დანგრეული.

XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლების წყალობით მომხდებოდა მითვისება, „განახლებს და აღაშენებს ტფილისელთა სომეხთა“.¹⁹

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესიის მახლობლად პროფ. მ. ძნელაძის მიერ ნაპოვნი იქნა ქვაჯვარი წარწერით. წარწერა წაიკითხა პროფ. თ. ჯოჯუამ — „ესე [ჯუარი] [ს]ალ[ო]ც[ავ]ი...“ წარწერა დათარგმნულია VII-VIII საუკუნეებით.

ამ ქვაჯვარის და მასზე არსებული წარწერის მნიშვნელობა მეტად დიდია. ამით მტკიცდება, ამ საუკუნეებში წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია იდგა ქართულ გარემოში, რაც აბათილებს ზოგიერთი სომეხი მეცნიერის საპირისპირო მოსაზრებას.

ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა იმით იზრდება, რომ მასში პირველად არის პროფ. მ. იზორიას მიერ წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია განხილული ტიპოლოგიური თვალსაზრისით. მას არქიტექტურული კუთხით შეუდარებია ეს ეკლესია საქართველოსა და მის გარეთ არსებულ ტაძრებისთვის და გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას:

„ქართულ გარემოში აგებული მონოფიზიტური სომხური ტაძრები არაერთი მეცნიერის ანალიზისა და მტკიცების საფუძველზე უფრო მეტად ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს ასახავენ“.²⁰

ამ მოსაზრების დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მოაქვს სურბ გევორქის ეკლესიის გეგმარება, რომელიც სომხურზე მეტად XVI საუკუნის თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ნაეკლესიარის XV საუკუნის ფენის ახლო მდგომ ძეგლად უნდა მივიჩნიოთ.“²¹ — მართებულად წერს პროფ. მ. იზორია.

პროფ. მ. იზორიას ეს მოსაზრება საფუძვლიანი და მისაღება ოღონდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სურბ გევორქის ეკლესია თავიდან იყო ქართული, შემდეგ გადააკეთეს და მისაკუთრეს (XIII ს.) სომხებმა. ამიტომ მის არქიტექტურ-

რაში არცთუ მცირეა დარჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების კვალი.

თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია XIX საუკუნეში ახლებურად იქნა აშენებული. 1925 წელს კი ბოლშევიკმა ათეისტებმა ააფეთქეს და გაანადგურეს.

ამ ეკლესიის ოდიტგანვე ქართულობა საეჭვო არ იყო, მაგრამ ს. კარაპეტიანმა მის რუკა-ცნობარში „სომხური ეკლესიები საქართველოში“ (1995) (სომხურ ენაზე), თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია სომხურ ეკლესიათა სიაში შეიტანა. ამ ე.წ. რუკა-ცნობარში ოთხმოცი პროცენტი ქართული ეკლესიებია შეტანილი სომხურად (იხ. ჩვენი „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!. 1996, (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე).

ს. კარაპეტიანის პიროვნული და მეცნიერული ეთიკის გადაცილებული საქციელი არ გაიკვირდება თუ გავისხენებთ სომეხი სასულიერო პირების მიერ ჩადენილ გაუგონარ მკრეხელობას. მათ იერუსალიმში გადაწვეს ქრისტეს საფლავის ტაძარი, იმ მიზნით, რომ აღადგენდნენ და მისაკუთრებდნენ.²²

დღეს, სამართალმა იზეიმა და თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია ახლად აშენდა და იქ მიდის ქართული წირვა-ლოცვა და გალობა.

იმედია, აღნიშნული ფონდის ხელშეწყობით გაგრძელდება სამეცნიერო-კვლევითი, არქეოლოგიური და არქიტექტურული შესწავლა და ნათელი მოეფინება თბილისის დანარჩენ ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 113.
2. П. Иоселиани - Описание древнейшей города Тифлиса, 1866, е. 85.
3. მ. ძნელაძე, მაია იზორია, ვერა ჩიხლაძე, ანდრო გოგოლაძე, თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია, 2014, თბილისი, გვ. 77.
4. О междусобице в Тифлиси в 1197 году - по поводу ривой пашхи, "Известия Кавказского историко-археологического института", т. III, 1925, ст. 51, 55.
5. ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 55.
6. იქვე, გვ. 55.
7. П. Мурадян, Армянская эпитафия в Грузии (Тбилиси), 1988, გვ. 13.
8. მ. მურადიანი, ძველი თბილისის სომხური ეკლესიები, ეჯი-მიანი, 2009, გვ. 30 (სომხურ ენაზე).
9. მ. ძნელაძე... გვ. 77-78.
10. მ. მურადიანი, ძველი თბილისის სომხური ეკლესიები, ეჯიმიანი, 2009, გვ. 31-33 (სომხურ ენაზე).
11. ბ. არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!, 1996 (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენაზე).
12. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბილისი, 1951, გვ. 113-116.
13. ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბილისი, 1954, გვ. 229
14. მ. ძნელაძე... თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია, თბილისი, 2014, გვ. 25-64.
15. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1964, გვ. 33.
16. მ. ძნელაძე... გვ. 77-78.
17. ბ. კუპრეიშვილი, ნალკის რაიონის სოფ. ბაშქაროს (ბარეთი) წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა სამნავიანი ბაზილიკა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პასპორტი №21, თბილისი, 2006, №25 ბ;
18. მამისა ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965, გვ. 36.
19. ი. გორგოშელი, წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესია თბილისში, მასალები, ხელნაწერები, 2001.
20. მ. ძნელაძე... გვ. 145.
21. მ. ძნელაძე... გვ. 141.
22. კ. ა. პანაჩენკო, ახლო აღმოსავლური მართლმადიდებლობა ოსმალების ბატონობის ხანაში, პირველი სამი საუკუნე 1516-1831, მოსკოვი, 2012, გვ. 335-336 (რუსულ ენაზე).

ნანა კუციანი

„ცოტა სხვა ფოლკნერიც“

ჯირკვლებზე დანერს, გულზე კი არა...

უილიამ ფოლკნერის „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ (თბილისი, 1999. რედაქტორი — ოთარ ჩხეიძე) პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ 1984 წელს თარგმნილი „ესეების“ განვრცობილი და შევსებული გამოცემაა. სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის მიღებისას წარმოქმნილ სიტყვას, ჯინ სტაინთან დიალოგს, საუბრებს უესტ-პოინტსა და ვირჯინიის უნივერსიტეტში, ჟან-პოლ სარტრის ესეის „დრო ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება“ დამატებულ-დართულია მწერლის იაპონური შთაბეჭდილებანი, სიტყვა იაპონელ ახალგაზრდობას, გამოსათხოვარი ესეი „ალბერ კამიუ“. კრებულს ახლავს როსტომ ჩხეიძის ესეი „ფოლკნერის ჩიბუხი“, სანტერესო და მოულოდნელი რაკურსით წარმომჩენი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნისა, ფოლკნერის სტაინბეკისეული აბრისით შთაგონებული (თვით ფოლკნერი „საუბრეში“ მკაცრია კოლეგასადმი, „სტაინბეკი მხოლოდ რუმორტიორია, გაზეთის კორესპონდენტი, და არა მართლა მწერალი“).

როსტომ ჩხეიძისეული ესეის კითხვისას გული გწყდება, რომ სტაინბეკის სტუმრობისას „სანყალი ბილი ფოლკნერი“ (სტაინბეკისეული კონსტრუქცია) მხოლოდ ენის მცოდნე თითო-ორი-ლა განდობილს აქვს ნაკითხული და მერამდენედ იაზრებ, მართლა რა „სანყალი“, საცოდავი იყო მსოფლიოს მეექვსედეზე გადაჭიმული იმპერია, ფოლკნერის შემოქმედებისთვისაც რომ „რკინის ფარდა“ ჩამოეფარებინა, ვიდრე შექმლო.

აკა მორჩილაძე ესეისტურ კრებულში „მწერლებსა და ნიგნებზე“ (2014) ესეიში „სოფელი“ რომ ნავიკითხე და ცოტა სხვა ფოლკნერიც წერს: „ფოლკნერის პუბლიცისტიკა ერთ მოზრდილ რუსულ ტომში ნავიკითხე, რომელშიც ფოლკნერის ინტერვიუებიც იყო და სტატიასეებიც. ქართულად ამ ინტერვიუების მხოლოდ ორი გამოცემა არსებობდა: პირველი — თხელი, რომელსაც ნობელის პრემიის ასალეზად მისული ფოლკნერის ფოტო ამშვენებდა და მეორე — უფრო სქელი, 90-იან წლებში გამოსული. ორივე პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმნილ-მომზადებული იყო. განსაკუთრებით ის პირველი დამამახსოვრდა — დედაჩემმა მომიტანა და იმდენჯერ ნავიკითხე, სულ ზეპირად ვიცოდი. დავამთავრებდი, დავიწყებდი და ასე კარგახანს. ფრაზები ვიცოდი მისი საუბრებიდან სტუდენტებთან და ჟურნალისტებთან: ტოკიო, ვირჯინია, პარიზი... რა ვიცი, ბევრი რამე იყო იმ პატარა ნიგნში. კაცი ამბობდა, წერისთვის მოსახერხებელი პროფესია ბორდელის დირექტორობაა, დღისით შენს სამყოფელში სრული სინყარა და საღამოს კი მთელი ქალაქის კაი ხალხი იქ იკრიბებოდა, თეატრში სამჯერ თუ ვარ ნამყოფი, ერთხელ აქლემი შემოიყვანეს და ასეთები, მგონი, კინოზეც რაღაც მსგავსებს ამბობდა, თუმცა პოლიეულში იყო ნამუშევარი. მოკლედ, მოულოდნელი ამბავი იყო ეს საუბრები და, მგონი, პოლიტეკონომიის გამოცდაზე რომ მივედი, მაშინაც კი ჯიბეში მედო და იმას ვკითხულობდი, მერხში შემალული ყვითელი სახელმძღვანელოს ნაცვლად [70-71] (საგულსხმობა, რომ აკა მორჩილაძის ნიგნის ყდაზეც ჩიბუხი ხატია, თანაც სწორედ უილიამ ფოლკნერის „The Mansion“-ის გვერდით).

საბჭოეთის დაისშიც კი „მოულოდნელი ამბავი“ იყო ესეებში გამოვლენილი პორტრეტი ამერიკის (ზოგადად, მსოფლიოს) ერთი უპირველესი გონთამაყრობლისა.

„გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ აკა მორჩილაძის მიერ მოხსენიებული „მეორე, უფრო სქელი, ოთხმოცდაათიან წლებში გამოცემული“ კრებულია (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით).

„მოულოდნელ ამბავში“ მოულოდნელი ფოლკნერი ირეკლება. დიდ მწერალთა ესეისტიკა და დიალოგები ნანარმოებებზე არანაკლებ საინტერესოა. ნონფიქშენი ავტორის სულიერ პორტრეტს, გულისგულს უზუსტესად ირეკლავს. ამ ერთგვარ აპოკრიფში ხელოვანი არ ცდილობს მხატვრული ტექსტის

პრინციპთა აბსოლუტურ დაცვას, თითქოს კომპოზიციის კანონთაგანაც თავისუფალია, ფიქრის მდინარებას ბუნებრივად, ლალად მიჰყვება და მკითხველსაც ნებისად მიიდევენებს.

„ხმაურისა და მძვინვარების“, „ოდეს ვკვდებოდი“, „აბესალომი, აბესალომის“, „სავანის“, „ქალაქის“, „სოფლის“, „ავვისტოს ნათელის“, „დათვის“, „მონაზვნის რეკვიემის“, „ვარდი ემილისათვის“, „დროები მტვერში“-ს და სხვა დაუვიწყარ რომანთა თუ ნოველათა ავტორის საუბრები თუ შთაბეჭდილებანიც თითქოს უფრო გიახლოვებს, გიშინაურებს შემოქმედს. მერამდენედ რწმუნდები, რომ ეს მიახლოება-გაშინაურება ილუზიაა და „არსებობენ ადამიანები, ჭუჭყიან ხელს წარღვნის დროსაც რომ ვერ გაუწვდი“ (ნიკო ლორთქიფანიძე).

ფოლკნერი სწორედ ასეთია — ახლობელი შორეული, შენინი და პარნასელი, მოკვდავი და ოლიმპოს მკვიდრი.

გამოცემა იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში მწერლის ნახატებიცაა წარმოდგენილი, დახვეწილი ესკიზები, და ამ მოხატებშიც ისევე სჭვივის პერსონაჟის (და თავად ავტორისაც) ბუნება, როგორც ფოლკნერის სტრიქონებში — დეტალში მთელი (ვახტანგ ჯავახაძისეული „უცნობის“ ნახატებიც მოგვაგონდა, გალაკტიონის სულიერი დრამის გრაფიკული ანარეკლი, სტრიქონიც: „სიტყვა ნაწყვეტი გამოგვიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა“ („დღიურ პროზიდან“).

ჯიბის ნიგნაკთა სერიით გამოცემული ესეი-საუბრები დაგემოვნებით, სიამოვნებით, ნებისად საკითხავია (ამირან არაბულს თუ დავესესხებით, „სულუქცევრად საკითხავი“), ვერ მოსწყდება, ვერ გადაიბალახებ. დაძაბული კი არ კითხულობ, საყვარელი მწერლის გამუდმებული სიახლოვე გაიძულებს, მიჰყვება „გულისყურგანმარტებული“ და „მასპინძელქმენე სიტყვათა მისთა.“

საბანისძის ქრესტომათიული ციტატის პერიფრაზი, ალბათ, შემთხვევითი როდია — მერვე ასწლეულის ქართველ ჰაგიოგრაფთანაც გულის პრიმატი კონსტატირდება („ყურნი გულისანი განმარტენით სმენად“) და XX საუკუნის გამორჩეულ ამერიკელ რომანისტიანაც — ესეიდან ესეიში, საუბრიდან საუბარში გადადის ფრაზა-კონსტრუქცია „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ — ბუნებრივია, არა როგორც ტავტოლოგია, არამედ — მწერლის, მწერლობის „ასარეკლი მასალის“ არსი.

დიდი მწერლის ესეისტიკაც დიდი მწერლობაა.

უესტ-პოინტში საუბრებისას სტუდენტი შენიშნავს, „ინგლისური ლიტერატურის სწავლისას გვავალდებულებენ, რაც შეიძლება, მოკლედ და ნათლად ვწეროთ“, თვით ფოლკნერის ფრაზითვე შეგულიანებული: „ვფიქრობ, ესეი საჩემო საქმე არ არის, რადგან ფართო განათლება არ მიმიღია. იდეებზე წარმოდგენაც არა მაქვს, ესეი როგორ დავწერო. მე მხოლოდ ადამიანებს ვიცნობ ადამიანური ყოფის ლეღვასა და მძვინვარებაში, იდეებებში. როგორც ყველა ნაკლებგანათლებული კაცი, იდეებს მეც უნდობლად ვეკიდები. ვფიქრობ, იმას უნდა დავეყრდნო, რასაც გული მიკრწინავს და არა გონებას, რადგან, რა ვქნა, გონებას ვერ ვენდობი.“

დამონმებულ დეტალშიც ირეკლება მთელი ფოლკნერი — ლალი, გროტესკული, ტრაგიკული, სევდიანად ირონიული, დიადი, თანალმობელი, თანაგანმცდელი — ყველასი და ყველაფრისა. რა იოლად, ლალად კონსტატირებენ გენიოსები საკუთარ „გაუნათლებლობას“... ჩნდება განცდა, რომ ესეის გონიერ ნერს, ფიქშენს — გულით („დაე, დააკლდეს სახელსა, მე გირჩევინავარ მრჩევლად“ — ფოლკნერამდე ვაჟას პერსონაჟს უკარნახებდა მრჩეველთაგან უპირველესი, სოლომონის მიერ უფლისაგან კრძალვით ჩამონათხოვი — ბრძენი გული).

ფოლკნერის ესე-საუბრების კრებულის მთავარი პერსონაჟიც, პროტოტიპიც და პროტაგონისტიც გულია, „რომელსაც ერთმება „სიყვარული“, „სიხარული“ და სხვა მრავალი მშვენიერი სიტყვა [და რომელიც] ხვერდის ბუდეში უნდა ესვენოს“ (ლია სტურუა).

გულის გარშემო იკვრის ფოლკნერის ყველა საუბარი, ამერიკაშიც და იაპონიაშიც, ვირჯინიაშიც და ნაგანოშიც, უნივერსიტეტის ყოველ ნერტილში (ბორხესის „ნანგრევთა წრებიც“ ნანატრი

მონაფის „თხზვას“ გულით (გულიდან) იწყებს ბებერი ბრძენი — გულს შემოაქსოვს, გულის გარშემო შემოქსოვს სხეულს).

გულის ჭიდილს საკუთარ თავთან სამყაროს ერთადერთ მარადიულ დილემად მიიჩნევს ფოლკნერი (და არა „კრიზისისა და სეგრეგაციის“, წარმავალ პრობლემად რომ აღუქვამს).

ფიქრობთ, გულის რუსთველისეული, დაწერილი და ამომწურავი, დეფინიცია „ადამიანური ყოფის ლეღვისა და მძვინვარების“ ძირისძირამდე მცოდნე ფოლკნერისთვისაც აბსოლუტურად გასაგები და მისაღები იქნებოდა („გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი, ვერა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი...“).

უნივერსუმის ფოლკნერისეული მოდელი ტრადიციულიც არის და უაღრესად ინდივიდუალურიც.

იაპონიაში სტუმრობისას უთქვამს, „ადამიანის უკვდავება ისაა, რომ შეჰყურებს ტრაგედიას, რასაც ვერ დათრგუნავს, მაგრამ ცდილობს, რაღაც მოუხერხოსო.“

იაპონიაშივე უკითხავს, „პიროვნებანი ქრებიან. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ გადარჩება, თუ რომელიმე ჯგუფს მიეკუთვნებაო.“

მწერალს სჯეროდა, რომ „ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მის გარშემო ხდება“ (საუბარი ჟურნალ „ბანის“ რედაქტორთან). ნაგანოს სემინარზევე დაუზუსტებია, რომ „მესამე უკვე ბრბოს ჩანასახია“ (მდრ. „ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენ შორის“).

პოზიცია მაქსიმალთა კატეგორიულობითაა დატვიფრული: „ხელოვანის პრობლემა, იხსნას კაცობრიობა, რათა ისევე არ დაკარგოს სული, როგორც ტახტებს, ულაყებს და ბულებს კოდავენ. გადავარჩინოთ პიროვნება არარაობად ქცევისაგან“ [სიტყვა ახალგაზრდა მწერლებს, ვირჯინიის უნივერსიტეტი, 24.04, 1958].

საგულისხმოა მრავალგზის ფიქსირებული მოსაზრება, რომ „პიროვნება დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან, მას სახელმწიფოს მონყალეზა არ სჭირდება, მან არ უნდა მისცეს საშუალება სახელმწიფოს, იყიდოს პენსიით, დახმარებით ან რაიმე წყალობით“ (საუბარი ჯეფერსონის საზოგადოებაში). სხვა საუბარშიც დაზუსტებულია: „ცხადია, გადასახადი უნდა გადაიხადო, მაგრამ სოციალური დახმარება არ უნდა მიიღო.“

მწერლის მრწამსით, „ინდივიდუალისტები თვით რუსეთის ტოტალიტარულ პირობებშიც კი არსებობენ.“

ადამიანისადმი საოცარი პატივისცემა და სიყვარული სჭევვის პოზიციაში, რომ „ადამიანმა დინოზავრი მოინელა და ატომურ ბომბსაც მოინელეს, მჯერა, რომ ერთი ადამიანი მეორეს ბოლომდე გაუგებს და ამისთვის ხანდახან სიტყვები არც არის საჭირო. (უესტ პოინტი)“.

ფოლკნერი მაქსიმალისტია, იურიდიულ კანონებზე მაღლა ზნეობრივ პრინციპებს, გონისმიერ იმპერატივებს აყენებს: „გონებას თუ კანონი სჭირდება, მას გონება არცა ყოფილა“ (გალაკტიონთანაც ვკითხულობთ, „ყველა რომ ჩემნაირი იყოს, მილიციელი საჭირო არც იქნებოდაო“).

ქვეყანა, ფოლკნერის აზრითაც, „გვაქვს უთვალავი ფერთა.“

საინტერესოა კულტურათა დერიტის მწერლისეული დეფინიციები: „იაპონური კულტურა ინტელექტუალური კულტურაა, ფრანგული — რაციონალური, ინგლისური კულტურის ნიშანი განკერძოებულობაა, იტალიურისა კი — მშვენიერების შეგრძნება“, იქვე — სინანულნარევი რემარკა: „იმდენ ხანსაც კი ვერ ვიცოცხლებ, რომ ჩემს ქვეყანაზე შევძლო წერა.“

იაპონიაში მოიხიბლა „დახვეწილი თავზიანობით, ინტელექტით, განათლებით, საგანთა განსაკუთრებული აღქმით... დასავლელი ძალზე ტლანქი და ბრიყვი ჩანს იაპონელთათვისო“, ესეც აღუნიშნავს და გულისტკივილით დაუმატებია, „შტატებში ხალხი არ კითხულობს... დრო არ ჰყოფნით. ჩვენი კულტურა წარმოება და მოგებაა, წარმოებამ უნდა აგინაზღაუროს დაბანდებული ფული... ჩვენში მხოლოდ ქალები კითხულობენო.“

მწერლის მახვილ თვალს არ გამოორჩება უარსებითესი ნიუანსიც, რომ „წლები, რამაც განსაზღვრა თანამედროვე

იაპონია, იყო ის ძალა, რამაც დახვეწა იდეა და დაამსგავსა კლდეზე გადმოკიდებული ტოტის მკრთალ ჩრდილს, მაშინ, როდესაც ჩემი ქვეყანა ჯერ ახალგაზრდაა, დულს და გადმოდულს, არც კი იცის, საით მიდის რასობრივად თუ ეთნიკურად. იაპონელებმა იმდენი ხვეწეს და ხვეწეს თავიანთი თხზულებანი, სანამ მხოლოდ არსებითი არ დატოვეს.“

უცხო ტრადიციისადმი ღირსეული კაცის დამოკიდებულების ტიპური ნიმუშია ციტატა.

საკუთარ სივრცეს ნებისად მოხაზავს: „სარტორისს“ რომ ვწერდი, მივხვდი, რომ ჩემს მხარეზე ღირდა წერა და, რამდენიც უნდა მწერა, ვერ ამოვწურავდი... უნდა ამერჩია ერთი ქვეყანა და იქ იმდენი ხალხი დამესახლებინა, სანერო არ შემომღეოდა... და ამით თავიდან ამეცილებინა დროის პრობლემაც.“

ფრანაში ქრონოტოპოსისადმი მწერლის დამოკიდებულება ცსჭვივის.

ერთგვარი გულისწყვეტის სურნელს დაიკრავს საყვარელი სამხრეთის ფოლკნერისეული აზრისი: „გავრცელებული სურათი სამხრეთისა გახლავთ მაგნოლიები, კრინოლინი, ბერძნული პორტალები და სხვა ამგვარი რამ, რაც მართლაც იყო, ოღონდ — სამხრეთის გარშემო (ხაზი ჩვენია — ნ. კ.) და არა შიგნით, დაბურულ ტყეში.“ საკუთარი ქვეყნის, მისი სრული ლანდშაფტის თუ ცალკეული პროვინციის „შიგნით“, „შიგნიდან“ დანახვას ფოლკნერის გული და გონი სჭირდება.

„იოკნაპატოფას ოლქი არც ისეთი რთულია, როგორც ემფაია სთვით ბილდინგიო“, ესეც სინანულით აღუნიშნავს, როცა სტილის სირთულე შესწუნუნეს და... ჯეფერსონში უგზოობას დაუკავშირეს (!).

ქრონოტოპოსის ფოლკნერისეული გაგების გასაცნობიერებლად საინტერესოა ჯინ სტაინისათვის თქმული: „დრო მედინია, არ გააჩნია სხვა არსებობა, თუ არა პიროვნებათა უეცარი გარდასახვისა. არ არსებობს „იყო“, არსებობს მხოლოდ „არის.“ „იყო“ რომ არსებულებო, წუხილი და დარდი არ იქნებოდა.“

იმავე ქრონოტოპოსის პირობითობაც ხაზგასმულია: „რაც მეტს წერ, მით მეტ კომპრომისს აწყდები დროსა და ადგილთან.“ სევდიან ტონს კვლავ ირონია გაანელებს: „თავზე საყრელი დრო გვაქვს საწერად.“

ფოლკნერის საუბრებისათვის დართულ ესეიში ჟან-პოლ სარტრისა („დრო ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება“) ვკითხულობთ, რომანის ესთეტიკა მუდამ კავშირშია მის მეტაფიზიკასთან, მომავალი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ უძირო მესხიერებითო. უძირო მესხიერების ველია მთელი ფოლკნერი.

მინიერ ხელისუფალთა მიმართ ირონიული და მკაცრია მწერალი, რადიკალურად ლაკონიური: „ჩვენ, ალბათ, თავზეხელალებულ მოწინავეთა რაზმი გვჭირდება, მოწამეთა რაზმი, რომელნიც, წარმატებასა და მორჩილებას შორის მდგანნი, მორჩილებას ამჯობინებენ“ (სიტყვა ლიტერატურის დარგში ეროვნულ პრემიის მიღებისას). ციტატა მწარად დაგაფიქრებს, რა ერთნაირად ერთფეროვანია „უთვალავ ფერად“ ჩაფიქრებული მშვენიერი სამყარო — სწორედ „თავზეხელალებულ მოწინავე მოწამეთა“ მარადიული დეფიციტის გამო — ყველგან, ყოველთვის... კითხვაზე — „ფანატოკოსებს ტანი ეჭიჭტებათ იდეოლოგიურ-პოლიტიკური იდეებით, ამაზე რა აზრისა ხართო“, — „ნაძირალებიც საჭირონი არიანო“, კვლავ ზუსტი, მკაცრი, ლაკონიურია მწერლის პასუხი.

განსაკუთრებულ ყურადღებას საუბრებში ხელოვანისადმი მწერლის დამოკიდებულების პრობლემა იპყრობს.

„მწერალი არ განსჯის, ის თანაუგრძნობს“ — გასაღები კვლავ მაქსიმია.

„ხელოვანად მიმჩნია ყველა, ვინც შეეცადა, შეექმნა ის, რაც მანამდე არ არსებობდა მხოლოდ იმ იარაღითა და მასალებით, რაც ადამიანის სულის მოუსყიდველი თვისებებია; ვინც შეეცადა, საბოლოო დაწინაურების კედელზე, რასაც უნდა ჩაუაროს, თუნდაც დაუხვეწავად ამოეტიფრა ადამიანური სულის ენაზე, აქ კილორი იყო“ (ნიუ-იორკი, 25 იანვარი, 1955) (ამგვარ წარწერებს

ტოვებდნენ გერმანიის ქალაქებში ამერიკელი ჯარისკაცები პირველი მსოფლიო ომის დროს, განმარტებულია სქოლიოში).

ფოლკენერისათვის „მარცხი რამედ ღირს და მშვენიერია, თუ ბრწყინვალე მარცხია.“

იაპონიაში უთქვამს: „მარცხი ყველაფერს მირჩევნია. ხელი მოჰკიდო იმას, რასაც ვერა სძლევ, ვერც კი იოცნებებ, მაგრამ მაინც სცადო და დამარცხდე, მერე კვლავ სცადო — ამას ვეძახი წარმატებას“... თითქოს პირდაპირი ციტაციაა ბარათაშვილისეული, ქრესტომათიული ფრაზისა, ფოლკენერსაც სწამს, რომ „ცუდათ ... არ ჩაივლის ეს განწირულის სულის-კვეთება.“

ყველაზე ბრწყინვალე მარცხი ვულფისაა, მერე — ჩემი, მერე — დოს პასოსის, მერე ჰემინგუეისაო, ამერიკული ლიტერატურის მაგალითზეა კონსტატირებული, შემდეგ დაკონკრეტებულია, ჩემი საუკეთესო მარცხი „ხმაური და მძვინვარება“, ჰემინგუეისა — „მოხუცი და ზღვაო.“

ვაჟასავით, ტოლსტოივით, ფროსტივით ტკებება უნივერსუმით, „ისეთ ასაკს მივალწი, როდესაც მხოლოდ მაშინ მუშაობ, თუ ავდარია. თუ დარია, გარეთ მირჩევნია. მიყვარს ცხენები, ნავეები, ასეთი რამეები.“ გულით მოაზროვნისათვის მთელი სამყარო „ასეთი რამეებია.“ ცხენებს მრავალგზის ახსენებს, მათგან ვისნავლე სუსტის სიბრალეული, ესეც აღუნიშნავს.


უნაპირო ჰუმანიზმი, სიყვარული ყველასა და ყველაფრისადმი უპირველესი ნიშანია ფოლკენერის მსოფლალქმისა. მწერლის მზირალ გულს არაფერი ეწვრილმანება, ყველაფერი უყვარს, ყველაფრის უნივერსალურ ღირებულებას, განუმეორებლობას აცნობიერებს. სჯერა: „მწერალი, პოეტი თუ რომანისტი, მხოლოდ აღმწერი არ უნდა იყოს ადამიანისა, როგორმე უნდა ჩააგონოს, შეგიძლია გახდე უკეთესი, ვიდრე ხარო. თუკი მწერალმა რაიმე უნდა შექმნას, ის, რომ ქვეყანა ცოტა უკეთესი გახადოს, იღონოს ყველაფერი, რათა აიცილოს ბოროტებანი — ომი, უსამართლობა — ეს არის მისი ვალი. ამას უნდა ესწრაფოდეს და არა და არა — სასიამოვნო ამბავთა აღწერას. უნდა აღწეროს სიმდაბლე, ბოროტება, რასაც ადამიანი სჩადის და სძულს თავისი თავი ამის ჩადენისათვის... ადამიანი სხვაგვარად ვერ მიაღწევს ჰარმონიას, თუ არა შემოქმედებით. ხელოვანი მარადიულად ვერ იცოცხლებს, მაგრამ, როცა ნავა, ვიღაცას ეცოდინება, რომ იგი ერთხანს აქ იყო.“

ამერიკული ლიტერატურის მესაძირკველეთა შესახებ ფოლკენერი საინტერესო აზრს გამოთქვამს — ეს „შიგრიდან“ (და არა „გარშემო“) დანახული ლიტერატურაა: „პო, პოთორნი, ლონგფელო სულით ისევე ევროპაში, ატლანტიკის მიღმა იყვნენ... მარკ ტვენი იყო პირველი ჭეშმარიტად ამერიკელი მწერალი, ამერიკული ლიტერატურის მამა.“

ჯინ სტაინთან ინტერვიუში უთქვამს, „ხელოვანი ის ქმნილებაა, დემონები რომ წარმართავენო“, სხვაგან დაუზუსტებია, რომ ხელოვნება აბსოლუტურად თვითმკმარი სივრცეა და „არც პირობებთან ესაქმება რამე.“

ესეების კითხვისას გამუდმებით შეიგრძნობ მაქსიმათა დაწერილ სტილს. განსაკუთრებით უშეღავათო პირველხარისხოვან მწერალთა დახასიათებისასაა ფოლკენერი: „მხოლოდ ინდივიდუალისტია პირველხარისხოვანი ხელოვანი, პირველხარისხოვანი მწერალი ვერ შეუერთდება ვერავითარ სკოლას თუ დაჯგუფებას. იუმორსა და ტრაგედიას შორის დიდი განსხვავება არ არის. მეორეხარისხოვანი შეიძლება პროპაგანდისტად გადააქციოს, პირველხარისხოვანი — ვერასოდეს.“

მსოფლიოს შემოვლა როდი წარმოუდგენია შედევრთა შესაქმნელად აუცილებელ პირობად. „კალამი უფრო იაფია, ვიდრე რკინიგზის ბილეთი“, დამახასიათებელი ირონიითა და ლაკონი-



ურობით იტყვის. „ყველგან შემიძლია ვწერო და ვწერო ყველაფრით, გარდა საბეჭდი მანქანისა. ბეჭდვა არ მეხერხებაო“ — ფოლკენერი „ნა რხეულის“ კაცია, სულისა და არა „ტექნიკის“ (სხვაგან ჰყვება, „ავიაცია ისეთი მექანიკური გახდა, სიამოვნებას აღარ მანიჭებსო.“ სამყაროში სულის მანქანით ჩანაცვლების საფრთხის წინათგრძნობაა ციტატებში).

მაქსიმალიზმი, პერფექციონიზმი აჯერებს ასე გასაგებ, ასე მშვენიერ ნატვრას: „ერთი წიგნია საჭირო, ერთი სრულყოფილი წიგნი...“

ირონიულია კინოსა და თეატრის დახასიათებისასაც, მირჩევნია, შექსპირი წავიკითხო, ვიდრე დადგმული ვნახო, „ბენ ჰური“ მახსოვს, რადგან სცენაზე აქლემი შემოიყვანეს, მე კი აქლემი მანამდე არასოდეს მენახაო.

ზემოთქმული, ალბათ, მასკულტურის, ერზაც-კულტურის მიუღებლობით, პოლიეუდისათვის ტრადიციული დაშაქრული „ჰეფი ენდით“ გალიზიანებისა უნდა იყოს, სხვაგან ხომ წერს, „მწერლობა სიზმარით ბოლოკეთილი არ არისო.“

მწერალი ბევრს ფიქრობს ხელოვანისათვის ისეთ არსებით პრობლემაზე, როგორცაა ფორმის საკითხი — „სახე ყოველისა ტანისა.“

განასხვავებს პოეტისა და პროზაიკოსის „ხელობას“: „პოეტს საქმე აქვს ისეთ წმინდა და ეზოთერულ რაღაცასთან, ვერც კი იტყვიო, ინგლისელია თუ იაპონელი — პოეტი უნივერსალურს ერწყმის, მაშინ, როცა რომანისტი საკუთარ ტრადიციებთან რჩება“, ეტრფის, ეთაყვანება პოეტის ხელოვნებას, ერთგვარი დანანებითაც წერს: „ლექსი რაღაცნაირად უფრო დიდხანს ძლებს, ძალზე დიდხანს, ყველაზე დიდხანს.“

გალაკტიონივით, ფოლკენერიც დარწმუნებულია, რომ „პოეზია ცეცხლის შერწყმაა დემონთან.“

უანრთა ერთგვარ დეფინიციად აღიქმება მაქსიმა: „ყოველ მწერალს სურს, ღვთაებრივი სუნთქვა ერთ სიტყვაში ჩასტიოს. სონეტში — თუ შეძლებს, ნოველაში — თუ შეძლებს და რომანში — თუკი იძულებულია.“

ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებში ფიქსირებულ განმარტებებს მოჰგავს და ათასგზისაც აღემატება მწერლისეული განსაზღვრებანი პეიზაჟისა თუ პერსონაჟისა: „პეიზაჟები მშვენიერია, მაგრამ, მე მგონი, სახეები უკეთესია. არასოდეს ვყოფილვარ არც დამთვალეირებელი, არც მოგზაური. არასოდეს მიტარებია ფოტოაპარატი და სურათების გადაღებაც არასოდეს მყვარებია. უფრო სახეებს ვუყურებ და ვფიქრობ, რა იმალება ამ ნაოჭებს მიღმა, რა ცხოვრებას გვიჩვენებს სახე. სახეში ცხოვრება მოჩანს.“

მწერლის მრწამსით, „გმირული წამი იპოვის თავის გმირს.“

მწერლობის სივრცული ველის ანალიზისას იტყვის, ათასგზის კონსტატირებულს გაიმეორებს: „პრობლემები იყოფა ფულის, სქესის და სიკვდილის კატეგორიებად, მაგრამ ძირითადი პრობლემა მაინც ადამიანთა თავისი ჭიდილით საკუთარ გულთან, გარემოსთან, ახლობლებთან.“

„იაპონურ მთაბეჭდილებებში“ ჩნდება პერსონაჟის სახეც, გულიც, მესხიერებაც და ესეისტური მონასმიც დიდი ლიტერატურის ნიშნით აღიბეჭდება: „მინის თხილის გამყიდველ ქალს სახე დაჰქანცვია ცხოვრებითა და მესხიერებით.“

„სიკვდილის შემდეგ თუ სხვა სახით დავბრუნდებოდი, ნეტა კაკაჩა ვყოფილიყავი — არც არავის სძულს, არც შურთ მისი, არც დასაჭერად დასდევს ვინმეო“, ალაღად დასცდება. გრძნობ, „უასაკონიცა და უსულონიც“ პერსონაჟებად აღუქვამს, ეს „პერსონაჟი“ „ოდეს ვკვდებოდი“-ს მზრინავი სივრციდანაც მოგვაგონდება.

სიყვარულის ნიჭი ფოლკენერისათვის ადამიანურ უნართაგან უპირატესია.

პერსონაჟთა ხატვისას არსებით დეტალზე ყურადღების გამახვილებაზე წერს: „ყოველ მამაკაცს თავისი იდეალური ქალი წარმოუდგენია და ახსენდება ერთი სიტყვით ან ფრაზით, მაჯის ან ხელის მოყვანილობით... ტოლსტოი ანა კარენინაზე მხოლოდ იმას ამბობს, ლამაზი იყო და სიბნელეში კატასავით ხედავდაო... სჯობს, აღინეროს მოძრაობა ან ტოტის ჩრდილი — დაე ხე ამის მიხედვით წარმოიდგინო“ (ესმა ონიანთანაც ვკითხულობთ, უნივერსიტეტის აღწერას „ეზოს კვიპაროსის“ რეფლექსია სჯობსო).

მინა ფოლკნერისათვის საკრალურია. „დასავლელის ტრადიცია პაპამისზე შორს არ მიდის, აღმოცენდა — ასეულ პაპებს იქით აღწევს. ჩემები შოტლანდიელები გახლდნენ. დამარცხებულის მხარეს იბრძოდნენ და ამერიკაში გადმოსახლდნენ, კაროლინას შტატში. პაპაჩემიც დამარცხებულის მხარეს იბრძოდა 1861 წელსო“, ავტობიოგრაფიულს ჰყვება, მაგრამ განზოგადების უმძაფრეს მუხტს სძენს ზემოთქმულს. დაუვიწყარია სამოქალაქო ომის მთელი სამინელების ფოლკნერისეული აღქმის ლაკონიური სამინელება და სიზუსტე: „ჩვენი მინა დაპყრობილი იყო იმ ხალხისაგან, ვინც ჩვენს ენაზე ლაპარაკობდა და ეს ყველაზე სასტიკი ომია.“

პატრონის, მფლობელის პასუხისმგებლობა აჯერებს თვალსაზრისს: „სამხრეთი კიდეც მიყვარს და კიდეც მძულს. ზოგიერთი რამ სრულებით არ მომწონს, მაგრამ აქ დავიბადე, ჩემი სახლი ეს არის და მაინც დავიცავ, თუნდაც მძულდეს.“ ილიასეული ორლესური ფრაზაა თითქოს.

თემა სამყაროში მანქანური სულის პრევალირებისა მრავალგზის ამოჩნდება ესეებში, განსაკუთრებით, საკუთარ ნაწარმოებთა ანალიზისადმი მიძღვნილ პასაჟებში. მაგალითად, ფოლკნერისათვის „დათვი ბუნების სიმბოლოა, მაგრამ იმ ეპოქაში, როცა ბუნება ინგრევა, ტყე უკან იხევს და მანქანას უთმობს ადგილს.“

მწერლისათვის არც სენტიმენტებია უცხო: „ხანდახან მომენტურად წვიმის წვეთების ხმა ჩემი სახლის უკანა შემოსასვლელის სახურავზე.“ იაპონურ ტანკასავით ლაკონიური და მშვენიერია პასაჟი.

ფოლკნერს ლირიზმიც ახასიათებს და ბიბლიური წინასწარმეტყველის მხსნელი სიხისტეც: „არავისა აქვს იმდენი გაბედულება, ბოლომდის ნაძირალად დარჩეს. მოგებას რომ ნახავენ, ძალიან უნდათ, რესპექტაბელურებად დარჩენილი და ეს უღებთ ბოლოს. ადამიანში ყოველთვის არსებობს რაღაც, რასაც არ მოსწონს სწოუპსები (საუბრები ინგლისურ კლუბში)“ — რეზიუმე, როგორც ყოველთვის ფოლკნერთან, მოკვეთილია და ლაპიდარული.

ღმერთი ცენტრალური პერსონაა ფოლკნერის კოსმოგონიისა. უფალი და ადამიანი განუყრელ ერთობაში აღიქმება ესეისტიკაშიც და მხატვრულ ტექსტებშიც. მწერლის მრწამსით, „ადამიანი ძალზე ძვირფასია ღმერთისთვის და დასალუპავად ვერ გაიმეტებს.“

აღვლევებს თანამედროვე სამყაროში ცოცხალი რწმენის რიტუალური ნივთიერების, ლოცვის მედიტაციად ტრანსფორმირების აშკარა ნიშნები, ამაღაც აღნიშნავს: „ქრისტიანობაში რაღაც ძალიან გაუფასურდა... დიახაც მწამს ღმერთი, მწამს, რომ ადამიანს აქვს სული, რაც მიისწრაფის იქით, რასაც ღმერთს ვუნოდებთ, რასაც ღმერთში ვგულისხმობთ.“

კანტისეულის რეცეფციად და განვრცობად აღიქმება აზრი: „ჩემთვის ღვთის დასტური ცის თაღია, ვარსკვლავები, ხოლო დასტური ადამიანის უკვდავებისა, დასტური, რომ არსებობს ღმერთი, ის არის, რომ ადამიანი წერს წიგნებს, თხზავს მუსიკას, ხატავს სურათებს. ეს არის მისი ცის თაღი“ (ნაგანო).

სერიოზულ, მღელვარე ტონს კვლავ გამჭვირვალე ირონიით თქმული ჩაენაცვლება, „მჯერა უკვდავებისა და ამასვე ვინამებდი, თუნდ განათლებული კაცი ვიყო და ფილოსოფიისაც რაღაც გამეგებოდესო.“

ირონიული მერე კვლავ სერიოზულით ჩანაცვლდება, უაღრესად საგულისხმოთი: „როგორც არ უნდა იყოს სიმბოლო, ჯვარი იქნება თუ ნახევარმთვარე, ის აგონებს კაცს თავის ვალდებულებას კაცობრიობის წინაშე.“

ფოლკნერისათვის გველიც პერსონაჟია — შემზარავი სიზუსტით დახასიათებული — „უაღრესად უკვდავი.“

ინგლისურ კლუბში უთქვამს, „სატანის მთელი შემზარაობა ისაა, რომ მას შეუძლია, ღვთის სახელიც კი მიითვისოსო.“

უაღრესად საგულისხმოა ერთდროულად კვლავ სრული სერიოზულობითა და მწარე ირონიით თქმული, „თუ ყველა ფეხზე იდგება ეკლესიაში, იქნებ ზანგმაც შეძლოს იქ შესვლაო.“

ღრმა საფიქრალს აღძრავს ესეებში „ალბერ კამიუ“ დაქარაგმებულნი: „პასუხის გაცემა მხოლოდ ღვთის ნებაა.“

ესეი-საუბრებში ცალკე თემად იკვეთება მწერლის პირადი ბიბლიოთეკის საკითხი.

ჯინ სტიანისათვის უთქვამს, „მირჩევნია ვიკითხო, ვიდრე ვისმინო, ხმაურს სიჩუმეს ვამჯობინებ, სიტყვისმიერი ხატი სიჩუმეს უკავშირდება, პროზის გრგვინვა და მუსიკა სიჩუმეში სრულდებაო.“

ვისაც „სამი წაკითხვითაც ვერაფერი გაეგოთ“ მისი ტექსტებისათვის, გულითადად (თან, ისევ და ისევ, რბილი ირონიითაც) ურჩევდა, „მეოთხედაც წაეკითხათ.“

„ნიგნს ისე ვიღებ, თითქოს მეგობართან უნდა გავატარო რამდენიმე საათი, ნიგნს კი არ ვკითხულობ, ხალხში ვტრიალებო“, აღნიშნავდა ყველაფრის პერსონიფიცირებისაკენ ბუნებით მიდრეკილი.

ბორხესული თემა ფოლკნერთანაც მრავალწახნაგოვანია და ელვარე: „ყოველ წელს ვკითხულობ „დონ კიხოტს“, ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ — „მოზი დიკს“, „მადამ ბოვარის“ („ფლობერი იმედს არასოდეს გაიცრუებთ და ბოლომდის მათემატიკოსივით ზუსტი იქნება“ — დასძენს სხვა საუბარში) და „ძმებ კარა-მაზოველს“, ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ — ძველ ალექსანდრეს. მაქვს შექსპირის თხზულებათა სრული კრებული ერთ ტომად, სულ თან დამაქვს და ცოტ-ცოტას ყოველთვის ვკითხულობ. ასევე, დიკენსის და კონრადის რომელიმე ნიგნსაც.“

დიდებულ ნიგნთა ერთგვარი რეზიუმეები თუ სინოზისები მარგალიტებივითაა ჩაბნეული ესეებში. მაგალითი: „სამი კაცი „მოზი დიკსი“ გამოხატავს სინდისის სამებას: ერთმა არაფერი იცის, მეორემ იცის და არ ზრუნავს, მესამემ იცის და ზრუნავს.“

„მოზი დიკი“, „ჰეკლბერი ფინთან“ ერთად, ამერიკული ლიტერატურის უდიდეს ნიგნად მოიხსენია ვირჯინიელ სტუდენტებთან საუბრისას.

საგულისხმო და დასამახსოვრებელია ფოლკნერის დამოკიდებულება თავის გამორჩეულ თანამედროვეებთანაც: „პრუსტი წამიკითხავს. ჯოისის ღვთაებრივი შთაგონების ბეჭდით იყო დატვიფრული, ღვთაებრივმა ცეცხლმა დაჰპუგაო (დაამატებს ინგლისურ კლუბში), მას ჰქონდა უფრო დიდ ნიჭიერება, ვიდრე ძალა ამ ნიჭის მოვლისა (კიდევ ერთხელ დასძენს ვირჯინიის კოლეჯში 1958 წლის მასში).

ჩემი დროის ორი დიდი ადამიანი გახლდათ თომას მანი და ჯოისი. „ულისე“ ისევე უნდა ვიკითხოთ, როგორც უნივერსიტეტისტი მქადაგებელი კითხულობს ძველ ალექსანდრეს — რწმენით.“

პოეტთაგან უყვარდა ელიზაბეტელთა უმრავლესობა, მილტონი, კიტსი, შექსპირი, ფლეტჩერი, ბომონტი, მარლო... („მარლო, ალბათ, შექსპირსაც მირჩევნიაო“, აზუსტებს), „ბალახის ფოთლები“, ფროსტი.

ფრანგული პოეზიის კითხვამ ფრანგული ენა მასწავლა, როცა ფლობერს, ბალზაკს, ლაფორგსა და ვერლენს ვკითხულობდით, ჰყვება, თუმცა იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჭეშმარიტება ორიგინალში იქნება.“

შეუვალი იყო მოდურ „იზმთა“ მიმართ, ირონიით ამბობდა, „ფროიდი არ წამიკითხავს. არც შექსპირს წაუკითხავს. ვეჭვობ, მელვილს წაეკითხოს და დარწმუნებული ვარ, მოზი დიკს წამდვილად არ ექნებოდა წაკითხული“ (საუბარი ჯინ სტიანთან).

ჩემთვის ნაწარმოებია მნიშვნელოვანი და არა ავტორიო, საუბრიდან საუბარში იმეორებს..

წმინდა წერილისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს ესეებში: „ძველი ალექსანდრის ყველაზე მშვენიერი,

ყველაზე მიმზიდველი ფოლკლორია იმით შორის, რაც წამი-
კითხავს... ეს განსაკვირვებელი ხალხი ზუსტად XIX საუკუ-
ნის მცხოვრებლები იქცეოდა. ახალ აღთქმას ისე ვკითხუ-
ლობ, როგორც მუსიკას უსმენენ ხოლმე, ან უკან დაინევენ და
შორიდან უმზერენ ქანდაკებას ან ხუროთმოძღვრულ ძეგლს.
ძველი აღთქმა ხალხზეა, ახალი — ადამიანზე.“

ბიბლიის მუხლთა დაზეპირებას „კეთილმა შოტლანდიელმა
ჯენტლმენმა პეპერა მარომ“ მიაჩვია — საუზმემდის აუცილებ-
ლად უნდა ჩაერაკრაკებინათ ბიბლიის „ლექსი.“ ყოველი სამხ-
რეთული ოჯახი, „ნიგნს რომ ყიდულობდა, სკოტს ყიდულობ-
დაო“, ჰყვება, „დაპრობილნი და გაძარცულნი იმ ხალხის მიერ,
მათ ენაზე რომ ლაპარაკობდა. ყველა სამხრეთელმა იცის, რომ
შინაურებს მაინცდამაინც არ ეპიტანავებთ მისი ნაწერი, კარგი
ხალხია, მაგრამ ნიგნს გაურბიანო“ (ამადაც ათქმევინებს ბო-
ლოსიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე, „კაციშვილის ხელში ნიგნი
არ დამინახავს (აქ არ იგულისხმება ბიბლიური ნიგნების კითხ-
ვა) და ნეტავი მე რამ ამალეხინა, ან მწერლობა რალამ მომანდო-
მეხინა, დღემდე ვერ გამიგიაო“ („ფოლკნერის ჩიბუხი“, 355), და
განმარტავს: ლიტერატურულმა ინტერესმა დააბრუნა ბიბლი-
ასთან და ბავშვობისას შეუცნობელი მისი გამორჩეული სიდი-
დეც ლიტერატურის სიყვარულმა შეაგრძნობინაო“).

მრწამსისა და ყოფის, საკრალურისა და სეკულარულის
ერთიანობის ხაზგასმად აღიქმება ფრაზა, „პროვინციულ
ქრისტიანულ გარემოში აღვიზარდე, რაც თავისთავად გახვე-
ვია გარს და ბევრი ფიქრი არ გჭირდებაო.“

თანამედროვე ტექსტთაგან საუკეთესოდ მიაჩნია „თამაში
ჭვავის ყანაში“, რადგან გამოხატავს იმას, რის თქმასაც ყოველ-
თვის ცვდილობდი. ახალგაზრდა კაცი ცდილობს ადამიანებთან
მისვლას, ადამიანურ სამყაროს კი ვერსად პოულობსო.“

სიამოვნებით საუბრობს ჰემინგუეის მთავარ ტექსტზეც:
„მოხუცსა და ზღვაში“ ჰემინგუემ ღმერთი აღმოაჩინა. აქ აღწე-
რილია დიდი თევზი. ღმერთმა შექმნა დიდი თევზი, რათა ის და-
ეჭირათ, ღმერთმა შექმნა მოხუცი, ვისაც უნდა დაეჭირა ეს თევ-
ზი, ღმერთმა შექმნა ზვიგენი, რომელსაც ეს თევზი უნდა შეეჭა-
მა და ღმერთს ყველა უყვარდა...“ [რევაზ ინანიშვილი ზემოაღ-
ნიშნულ ამონარიდს დაიდასტურებს და სინანულით იკითხავს:
„გინახავთ ჩვენს მწერლობაში სხვის მიერ შექმნილით ასეთი გა-
ხარება და სიამაყე?!“ („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1988)].

„ქენსერის ტროპიკი“ და „ლოლიტა“ არ წამიკითხავს,
ჯობდა, ჯერ წამეკითხა და აზრი მერე გამომეთქვაო, მშრალ-
ლად იტყვის მილერისა და ნაბოკოვის ტექსტებზე.

...ისე მოხდა, ფოლკნერის ესეების გადაკითხვისა და მარ-
კესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე“-ს ლანა კალანდიასეული ჩი-
ნებული თარგმანის პირველად კითხვის ბედნიერება ერთმა-
ნეთს დაემთხვა. ვგრძნობდი, რატომაცაა ეს ჟანრი ასე სასიამო-
მონო, ასეთი ცოცხალი, ასეთი აუცილებელი, ვფიქრობ, ყო-
ველი სპეციალისტის სტუდენტთათვის სავალდებულო სა-
კითხავად გასათვალისწინებელი უმაღლეს სასწავლებლებში.
„ერთადერთი სკოლა, რომელსაც ვეკუთვნი, რომელსაც მინ-
და ვეკუთვნოდე, ჰუმანისტური სკოლააო“, თითქოს მარკესის
სათქმელსაც ამბობდა ფოლკნერი, ყველა დიდი მწერლის მა-
რადიულ სათქმელს — ადამიანისადმი თანაგრძნობის უნაპი-
რო სურვილით, თანაგრძნობისა, ასე რომ დაძვირებულა ომე-
ბით, მამონას მსახურებით, „წარმატებაზე“ (და არა სიბრძნე-
ზე) მუდმივად ორიენტირებით ნახვდაკარგულ ადამიანეთში.

„იმდენად ილბიანი ვარ, ძალზე მიზიდავდა ცხოვრება,
ხილვა, მოსმენა, განცდა, წარმოსახვა, ცხოვრება არასოდეს
მომწყენიაო“, უთქვამს ფოლკნერს იაპონიაში, ჯინ სტაინთან კი
დაუზუსტებია, „ახალი სათქმელი არაფერია — შექსპირი, ბალ-
ზაკი, ჰომეროსი — ყველა ერთისა და იმავეს შესახებ წერსო.“

„ვარდი ემილისათვის“, „ავგისტოს ნათელის“, „ხმაურისა
და მძვინვარების“, „აბესალომ, აბესალომ“-ის, „სული რომ
ამომდიოდა“-ს, „დათვის“ ისტორიები და მწერლისეული, და-
წერული ანალიზი განსაკუთრებულ სიბლეს სძენს საუბრებს

და ძვირფასი გზამკვლევ-კომენტარია ტექსტის მკითხველთა
თუ მკვლევართათვის.

სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ უნაპირო მასალის წერილში
კონსტატირება, რამდენიმე ციტატით შემოვიფარგლებით: „იმ
კომპოზიციური ვიქციოდი, წონასწორობისთვის კონტრა-
პუნქტს რომ იყენებს. ყველაზე ძალიან ის [ტექსტი] მიყვარს, რო-
მელმაც ყველაზე მეტი ტკივილი მომაყენა ისე, როგორც დედას
უყვარს შვილი, რომელმაც ყველაზე მეტი ტანჯვა განაცდევინა.
ჩემთვის ის საუკეთესო მარცხი გახლდათ „ხმაური და მძვინვარე-
ბა“ — ეს ის ნიგნია, რომელიც ყველაზე ნაზად მიყვარს. თავი-
დან ნოველას ვწერდი. ეს გახლდათ უსიუფეტო მოთხრობა ბავშ-
ვებზე, შინიდან რომ გარეთ გაუშვებს დიდედას დაკრძალვის
დღეს, ისინი ძალიან პატარები იყვნენ საიმისოდ, რომ ვინმეს
აეხსნა, რა ხდებოდა და, მხოლოდ შემთხვევით, თამაშისას, დაი-
ნახავენ სევდიან სურათს, როგორ გამოაქვთ კუბო სახლიდან...
ვცდილობდი, მომეთხრო ამბავი ლამაზი და ტრაგიკული გაგო-
ნასი, მსხლის ხეზე რომ მიძვრება პანაშვიდის სანახავად.“

კედის ვერაფერი ვუშველეო, გამოუტყდება ვირჯინიის
უნივერსიტეტის სტუდენტებს, „კაცების ღრიალა ბრბოში გა-
მომწყვდეულ დას...“

ტექსტის სიღრმეებისკენ მიგვიხილება მინიშნებები: „სად-
ღაც რაღაც მოხდა პირველ კომპოსონსა და ქვენტინს შორის.
პირველმა კომპოსონმა დააფუძნა თავადური საგვარეულო და
მისი თავადური საგვარეულო გადაგვარდა...“

ბენჯის არ სჭირდება გრამატიკა. ის მხოლოდ იმას ამბობს,
რასაც განიცდის. ქვენტინიც განათლებული ნახევრადგეიფია
და მისი ნახევრადშემილი გონებისათვის ისედაც ყველაფერ-
ი ნათელი იყო...“

ქვენტინი იცავს იმას, რასაც დაცვა სულაც არ სჭირდება,
მაგრამ ეს მშვენიერი თვისება ადამიანის ბუნებისა... ვიძე-
დოვებ, ეს ყოველთვის ასე იქნება...“

დიღზი ჩემი უსაყვარლესი გმირია, ჩემზე მამაცია, გამბე-
დავი, ძლიერი და პატიოსანი...“

„ვარდი ემილისათვის“ — „ეს იყო მოთხრობა აჩრდილებ-
ზე, ამბავი მიტოვებულ სახლში ბალიშზე დაგდებული თმის
კულულისა“...“

„აბესალომ, აბესალომ“ — „პოლკოვნიკი სატკენი ბერძნე-
ლი ტრაგედიის იდეამ დაღუპა — ვაჟიშვილი სურდა. ერთა-
დერთი ვაჟი, რომელიც შერჩა, ზანგი იყო...“

„აბესალომის“ პერსონაჟებისათვის არ იყო ადგილი ამ
კულტურაში...“

„ავგისტოს ნათელში“ ჰაითაუერი თავის ქრისტიანულ
მრწამსსაც ლალატობს, გარბის წარსულში, სადაც მის ერთ-
ერთ წინაპარს იმხელა გამბედაობა აღმოაჩნდა, ბედისწერას
დაუპირისპირდა...“

და ასე — ყველა ტექსტზე. ასეთი სიღრმითა და ლაკონიუ-
რობით.

„ქალაქულა უსულგულო სიტყვებით გადატანისას რაღაც
გაურბის ავტორსო“, ნუხდა მწერალი.

იაპონიაში უთქვამს, „მომივლია ევროპა, ინგლისი, სკან-
დინავია, ოლონდ საბერძნეთის აღმოსავლეთით არასოდეს
წავსულვარო.“ საბერძნეთის შთაბეჭდილებებზე კითხვას სა-
ინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებთან საუბრისას უპასუ-
ხებს — „აქ იგრძნობოდა ელიზური ნათელი (შდრ. „აქ სული
ატარებს თვის მსუბუქ სამოსელს, ასეთი სინათლით შუბლი
უელავდა ვენერა მილოსელს“), აქ არ მოელოდნენ ბერძნების
აჩრდილთა ხილვას, მაგრამ გრძნობ, რომ ახლოს არიან,
კვლავ ძლივამოსილნი. ორი კვირით მოგზაურობა საბერძ-
ნეთში შეურაცხყოფის მიყენებაა ამ ქვეყნისთვის. აგამემნონი
აქ იქნებოდა, რადგან აქ უნდა ყოფილიყო.“

„ჩემი უკანასკნელი ნიგნი განკითხვის ნიგნი იქნება, ოქ-
როს ნიგნი იოკნაპატოფას ოლქისა. მერე გადავტყავ კალამს
და ვაგწერდები“, — აღსარებასავით ეტყვის ჯინ სტაინს.

...რა დასანანია, რომ ფოლკნერი „საბერძნეთის აღმოსავ-
ლეთით“ არასოდეს წამოსულა...“

პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა საუბრებისა და ესეების ბრწყინვალე თარგმანებით (ისევე, როგორც „იოკნაპატოფას ოლქის ოქროს წიგნების“ შესანიშნავმა მთარგმნელებმა: მედეა ზაალიშვილმა, ზაზა ჭილაძემ, ანა რატიანმა...) ფოლკლორი „საბერძნეთის აღმოსავლეთით“ არა მხოლოდ ამოგზავნეს, სამუდამოდაც დაამკვიდრეს.

ფოლკლორის საუბრებისა და ესეების პაატა და როსტომ ჩხეიძისეულ თარგმანზე საუბარს აკა მორჩილაძის დახვეწილი ესეიდან ვრცელი ამონარიდით დავასრულებთ: „არასოდეს დაგვიწყნებდა, რომ დრამაში ვართ, რომ სამხრეთიც, იოკნაპატოფაც, ეს ქალაქი ჯეფერსონიც ერთი გადასატანი დრამაა და, თუ ახლა ვლალბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ ანტრაქტია და მეორე მოქმედება ჯერ არ დანწყებულა, ხოლო მეორე მოქმედება ასევე დრამა იქნება, ოღონდ — იმგვარად მოთხრობილი, რომ პირველს არაფრით ჰგავდეს, თუმცა წამდაუნუნებდა, რომ ეს ყველაფერი ერთი მთლიანი ამბავია, რომ ჩვენი პატარა ქალაქი იმხელაა, შესაძლოა, დედამიწაზე დიდძალი იყო, არა მაინცდამაინც მოცულობით, არამედ სიღრმით. აი, ეს არის ფოლკლორი. მგონი, ეს არის. არ ვიცი.“

ჩვეულებრივი ადამიანი არ არსებობს, არ არსებობს მდუმარე ადამიანი. თვით ყველაზე უტყვი და არამიმზიდველი ადამიანიც კი ყველაზე მეტყველი და მიმზიდველია, თუ შენ უილიამ ფოლკნერი ხარ...

...დიდი ხანია, ფოლკლორის არცერთი წიგნი არ წამიკითხავს. სახლში მაქვს მის საუკეთესო გამოცემად მიჩნეული მალკოლმ კოულის მიერ შედგენილი პორტიბალი ფოლკნერი, რომელიც სულ სუპერფოლკნერს წარმოგიდგენს, კოულისავე წინასიტყვაობით... მოვკიდებ ხოლმე ხელს, გადავფურცლავ, და არ ვკითხულობ. რატომ, არ ვიცი. სამხრეთი არ გამქრალა ჩემში. მისისიპი ახლა უფრო დიდი და საოცარია, ვიდრე ოდესმე, ზედ მდორედ მცურავი ბორბალა გემიც, ჩატენილი შლაპებიც, ტილოს კომბინეზონებიც და კანჭებდაბანდული ცხენებიც. მაგრამ აღარ ვკითხულობ. ვნუხვარ ამის გამო იმიტომ, რომ მაკლავ ეს ცეცხლნაკიდებელი სამყარო, ამ სამყაროს სიცოცხლე. ნამდვილად არ მყოფნის მისი ნაშთები და კარგად ჩაცმული ლუკას ბიჩემი.

მაგრამ არ მეშინია, რადგან ვიცი, რომ მოვა ერთი ზაფხული, ტომარაში ჩავყრი ოციოდე წიგნს, ქალაქიდან გავქუსლავ იქ, სადაც ტომარას იოლად მოვაპირქვავებ აივანზე ნაზამთრალ ტახტზე, სადაც დავეგდები და სულ თავიდან დავიწყებ, ყველაზე პირველი წიგნებიდან. სულ ჩემით დავხაზავ სარტორისების, კომპსონების და, ჯანდაბას, სნოუპსების საგვარეულო ხეებს, პირდაპირ სახლის კედელზე მივახაზავ და მივანერ: ეს ასანთის კოლოფი, შესაძლოა, დედამიწაზე დიდძალი იყო, გაანჩნია, რა დევე შიგ და ვის ჯიბეში დევს ეს ასანთის კოლოფი...

მანამდე კიდევ, აჯერ, ჯადოსნური წიგნი: „უილიამ ფოლკნერი, ინტერვიუები, ესეები, სიტყვები.“ ამას რატომღაც ყოველთვის ვკითხულობ. ძალიან კარგ გუნებაზე მაყენებს ხოლმე“ [აკა მორჩილაძე, მწერლებსა და წიგნებზე, 2014, 77] (კვლავ ინანიშვილისეული გახშიანდება გონებაში: „ვინახავთ ჩვენი მწერლობაში სხვის მიერ შექმნილით ასეთი გახარება და სიამაყე?!“).

იშვიათად წამიკითხავს უკეთესი წიგნიც და უკეთესი რეცენზიაც წიგნზე. შესანიშნავი, „ხელისხელსაგომანებელ“ წიგნზე, ყოველ ათწლეულში რომ ხელახლა უნდა გამოიცეს, იქნებ უფრო ხშირადაც — ყოველმა თაობამ რომ თავისთვის, თავიდან აღმოაჩინოს თავისი ფოლკნერი, თავისი იოკნაპატოფა — „ველი, სადაც მდორედ მიედინება მდინარე...“

ესე-საუბრების კითხვისას ნათლად გრძნობ, რომ „ყველაფერი არ მდინარეებს“ და არსებობს „რალაც, უსაზომოდ დამაფიქრებელი“ — ნარუფალი, მარადიული, ამ მარად ატორტმანებულ სამყაროში მანუგეშებლად მკვიდრი და ღვთაებრივად საიმედო — ნანვიმარი ხეების გულისმომწყველი, მხოლოდ ხსოვნაში მიუღწევადი სურნელი...

ლევან ქურციკაშვილი

დღე, რომელიც ნახევარსაუკუნოვან მემკვიდრეობად იქცა

ჩემს ძვირფას ჯემალ ლალანიძეს 50-იან წლებში თელავში გავეცანი, სადაც თბილისელ მეზობელს კახეთის სანახავად და საპურმარილოდ წამოეყვანა. მე ძირძველი თელაველი ვარ, მონაფეოზა — ახალგაზრდობის მშვენიერი წლები იქ გავატარე, რჩეული მეგობრებიც გარს მეხვია, მეფე ერეკლეს საყვარელ ქალაქს კუთხე-კუნჭულიანად კარგად ვიცნობდი. იმხანად, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, თელავში გავდიოდი საექიმო პრაქტიკას. ჯემალის თბილისელი მეზობელიც ჩემი კოლეგა — ექიმი აღმოჩნდა, დიდებული ადამიანი რეჟებ ასიტაშვილი. ჰოდა, ჯემალთან სამეგობრო შეხვედრას მეტი რალა უნდოდა, ამიტომ პირველივე ხელის ჩამორთმევისთანავე ძმური თანალმობით გადავხვებით ერთმანეთს.

თვალწინ მიდგას მაშინდელი გამზდარი, შავთმიანი, მაღალი, კაფანდარა, ხალისიანად მოსაუბრე ჯემალ ლალანიძე. სიკეთით სავსე თვალებით რომ შემოგვეყურებდა ტკბილმოუბარი, ურთიერთობაში თავდაჭერილი და თავაზიანი. თელავის ცნობილ გორა-ნადიკვარზე ვსიერნობდით. უკვირდა, გარშემო გაუსაძლისი სიცხიანობისას ამ გამორჩეულად უცნაურ ადგილზე სიგრილმეურეული ნიავი რომ გველამუნებოდა. „მეცნიერული მენტალიტეტით“ ძალამოცემულმა განვუმარტე, რომ ნადიკვრის ეს იშვიათობა დღემდე ამოუცნობია და თავის გადანყვეტას ელოდება, „მააშ!“ ჯემალმაც მყისვე ეშმაკურად მოუქცია „ჰოოო?!“ სამაგიეროდ, თვალს ველარ ამორება კავკასიონის დიდებულ მდუმარებას, მოხიბლული შეჰყურებდა მის გულზვიად სიდიადეს, მერე კი ნიშნისმოგებით განაცხადა: „არა, ძმაო, კავკასიონის შემდეგ ციგომბორის მთისკენ მიხედება დაბალტანიანობით დაჩაგრული ბავშვის სამღურავს მაგონებსო“. ვარწმუნებდი, რომ მონაფეოზის წლებში ეს ციგომბორის მთა ზამთრობის უხვთოვლობისას ბაკურიანის მაგივრობას გვიწვედა თელაველებს. ჯემალის შემდეგი წლების ძვირფასი მეგობარი, ჩემი ახალგაზრდობის სიხარული, ზურაბ ცხაკაია ტოლს არავის უდებდა მთიდან სისწრაფით დაშვებაში, ჯილდოებიც გვექონდა მიღებული.

აქვე ითქვას, ზურაბ ცხაკაია არამარტო ჯემალ ლალანიძისა და გურამ სალარაძის, არამედ ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენი გამორჩეული საძმოს ყველა წევრისათვის უსაყვარლესი, უერთგულესი, თავდადებული, ჯილა-მეგობარი იყო, რომელიც გამოცდილი ქირურგის პროფესიული დიდოსტატობით არასოდეს თავს არ დაზოგვდა, ავადმყოფის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე არად ჩაეგდო. ზურაბსა და მე დავგრჩა მესამე უძვირფასესი, შეუდარებელი, ფრიად განსწავლული და უერთგულესი მეგობარი ვახტანგ დათიშვილი, რომელიც შემდგომ წლებში ზედმინეწილი ზუსტად ბაძავდა ჯემალ ლალანიძისეულ პროფესორს, რომელიც სკეტიჩიდან „თქვენ იცით, რომ მისმა ტოლმა სტიუდენტმა ქალი მოკლა“. მოკლედ, სამივესათვის უკვე ადრეული ჯემალ ლალანიძე სიხარული იყო.

ჯემალის თელავის მუზეუმი დავათვალიერებინეთ; ექსპონატებისა და სამხატვრო განყოფილების უმდიდრესი კოლექციის ხილვისას აღტაცებას ველარ მაღავდა, მეფის აბანოსაც გულგრილად ვერ ჩაუარა. მეფე ერეკლეს მიერ დაარსებული უძველესი სკოლის კედლის ნარჩენები მორიდებით უსვამდა ხელს. წინ კი ალაზნის ველზე დაფრენილი თეთრი მტრედი — ალავერდი (ვაშა ამ მოხდენილი შედარების პირველმოქმელს!) გველავებოდა. მისი ზეატყორცნილი სწორი თაღების შემყურეს შექსპირი წამომავგონდა. „მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთებაც“. ჯემალის ვარაუდი კი უფრო ეროვნული და დამტკვი აღმოჩნდა: „ალავერდი ჩვენზე შემოსეულ მტერთაგან

ნანამები მდუმარებაა, რომელიც უკვდავ „ჩაკრულოს“ მაგონებს, სადაც განმარტებული კაცისგან კახური გულმართლობით აღიარებულია: „მართალი მტერო დამჩაგრე, მაგრამ დიაცთა მსგავსად არა ვტირი, ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში და არ დამიკვნესიაო, ერთი სულის ამოთქმა მაცალე, რომ სულ ერთიანად მოგიმკო, რაც ჩემზედ დაგიტესიაო“. მართალი ხარ, ჩემო ჯემალო, მემბატინეც ხომ დანანებით ამბობს „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლისო“.


ალავერდის შემდეგ შუამთის მონასტერში ავედით, რომელიც ახლაც კი დაბურულ ხეთა რკალშია თავშეფარებული და ბაში-აჩუკის დროს რაღა იქნებოდა, უღარა ტყეში რომ მტერმა ძლივს მიაგნო და ცეცხლს მისცა. ამ ტაძარში ჭავჭავაძეთა საგვარეულო სასაფლაოა. კერძოდ, აქ არის დასაფლავებული პოეტი და გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის ლექსების სათაურების — „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“ — დასახელებით პატივს მივაგებდით მის ხსოვნას.

განა მართლაცდა ბედის ირონია არ იყო, რომ გენერალ-ლეიტენანტი, მრავალი ბრძოლის მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძე ტყვეების წვიმას გადაურჩა და თბილისში გაქანებული ეტლის ბორბალმა მისი ჩოხის კალთა ჩაიხვია და გადმოვარდნილს მინაზე გაასხმევინა ტვინი.

იმას ვამბობდი, როდესაც შუამთის მონასტერში მოვიხანაურეთ დიდებულ ქართველთა საფლავები, იქაური ცნობილი გრილი წყაროც გაგვახსენდა, და აქ ისევე ჯემალის ღიმილნარევმა ირონიამ დაკვესა: „წყალი კარგია, მარა ცნობილ რქანითელსა და საფერავს არ დაგვალევიანებენ?!“ თითქოს ჩვენი მასპინძლებიც ამას ელოდნენო, „კახური თავაზიანობით“ მოგვახალეს: წყალით გაჭყება თუ გინდოდათ, გომბორზე ვერ შაისვენეთ?! გაშლილი სუფრის ცოდვით ვინებთ, რაო არ გვაკადრულობენო? მაგოდენა ქაქანი არ დაილაღეთ, ეხლავე მაგიდას შამაუსხედითო...

და დანიყო ხვადრიელი საქმელ-სასმელის მოუწყინარი შემოდინება. მფრინავ ხალიჩასავით მიმოდინდა ნაირნაირი კერძი, თევზების ჩასადგმელი აფგილიც აღარსად იყო. 12-კაციანი სუფრა ქეიფის დაწვებისას რომ საქმლის მიღებით გასუსულიყო, თანდათან აცქვიტდა, ხალისიანი და ხმაურიანი გახდა. გამოცდილი თამადა მენახეთა გასაჩუმებლად ბოთლზე ჩანგლის მინკარუნებასაც აღარ ერიდებოდა. გამეგონა, რომ მშვენიერი რქანითელი სასმისთა ერთსახეობას ვერ ეგუება. ქეიფის დამწყებ წვრილწელიან ღვინის ჭიქებს თასები ეშველებათ, თასებს — ჯამები, ჯამებს — აზარფეშა, აზარფეშას — სუფრის დამავგირგვინებელი ყანნი და ამასობაში „მრავალუმიერთა“ და „ჩაკრულოთი“ ხმაგაჭყელი ქეიფი ალაზანივით ზანტად მიედინება, რომელსაც ხამუშ-ხამუშ დასავლეთ საქართველოს ტკბილი და ალერსიანი სიმღერების შემოშველება ლალად მიარონინებს. არ მიჭირდა კახური ტრადიციული კერძების დასახელება, მაგრამ სუფრაზე იმდენი და ისეთნაირად მომზადებული გასტრონომიული მასკარადი დაგვხვდა, რომ სადავო არ იყო, ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოდან კახეთში გახშირებულმა ლამაზი ქალბატონების დაოჯახებამ თავის კვალი დააჩნია მეგრულ-გურულ-იმერული კერძებით სუფრის გამდიდრება-გალამაზებას. ჩვენ ზღაპრულ მაგიდაზე ლხინმა და ჯემალთან მეგობრობის შემდგომმა წლებმაც დამიდარსტურა, რომ იგი ღვინის სმამი უღალატოა და მისანდობელი, ერიდება ბილნსიტყვაობას, მომბებურებელ გამოთქმებსა და სადღეგრძელებს. თავაზიანია, ანგარიშს უწევს სუფრასთან მსხდომ ქალბატონთა კაპრიზებს და მსუბუქი იუმორის ხალისიანობით ავირგვინებს. ბუნებას იმიტაც დაუჯილდოებია, რომ შესანიშნავი მოსიმღერეა როგორც კახური, ისე ტკბილხმოვანი იმერული სიმღერებისა. გამოირჩევა საკუთარი და კოლეგა-მსახიობთა ცხოვრებისეული კურიოზების ხალისიანი მოყოლა-ინტერპრეტაციით. რაც მთავარია, თავმდაბალია, უბოროტო, მიმტევებელი, მეგობრების სიყვარულს ღირსებით ატარებს. ბატონი ჯემალის ხანგრძლივი და მდიდარი თეატრალური, კინო-სამსახიობო, სატელევიზიო, საკონცერტო მოღვაწეობის განხილვა თეატრმცოდნე სპეციალისტებისთვის მიგვიჩვენია. მე მხოლოდ იმას დავჯერდები, რომ ჯემალი 1951-52 წლებში ავიდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე და მოაქჟამამდე არასოდეს მიუტოვებია.

მრავალი სახასიათო როლი ითამაშა, მათ შორის უბერებელი ფირუზა („მეტეხის ჩრდილში“). განსაკუთრებით მიყვარს ჯემალის მიერ განსახიერებული ჩირიკი (გიორგი ლეონიძის „ჩირიკი და ჩიკოტელა“). ეს როლი ჯემალის ხასიათში მთლიანად განთავსდა. ამ მომცრო ფილმის მნახველს ის აკვირებელი მოსაზრება არა მტოვებდა, რომ ქართული სიტყვაკიზმული მწერლობის უბადლო მშვენიერებას, ბატონ გიორგი ლეონიძეს, მისი ჩირიკი რომ ჯემალ ლალანიძის შესრულებით კინოეკრანზე ეხილა, კმაყოფილი ჩაიბუხუნებდა „არ მეგონა თუ ჩემს ლიტერატურულ ჩირიკს, ჯემალ ლალანიძისეული დიდებული ჩირიკი გამოუჩნდებოდაო“.



ჯემალ ლალანიძე

ბატონ ჯემალს ჩირიკის შემდეგ თეატრში შექსპირის „ჰამლეტი“ პოლონიუსის როლი აქვს ნათამაშები (ამაზე იტყვიან, მსახიობს ამპლუა არა აქვს, იგი მუშა-მსახიობია და ყველანაირი როლის შესრულებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებო). მასხოვს, ქობულეთში დასასვენებლად ყოფნისას ჯემალს ხშირად ნამოვუნყებდი ხოლმე პოლონიუსის დარიგებას შვილისადმი მონოლოგს „ფულს ნურც ისესხებ და ნურც ასესხებ, რადგან სესხებით ფულსაც ჰკარგავ და მეგობარსაც“, რასაც ჯემალი მყისვე შემომაგებებდა: „ჩხუბსა და შფოთს ერდე და თუ შეგემთხვეს, ისე მოიქეც, რომ შენ სხვები გერიდებოდნენ“. ცნობილია, რომ შვილების ხშირი, მოსაბებრებელი დარიგებებით უფრო დედიკოები გამოირჩევიან, მაგრამ ლაერტისადმი პოლონიუსის მამაკაცური შეგონება ამ ცანცარა, სკლეროზმორეული პოლიტიკოსის განვლილ რისკიან ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

და ვიდრე ჯემალის შესახებ ჩემულ დაკვირვებათა კრიალოსანს ვმარცვლავდი, შუამთაში ჩვენი ლხინისა და დროსტარების დიდებული დღე ბინდისკენ გადაინვერა. ღვინისა და თრობის ღმერთის — ბახუსის — სიძლიერემ მოქეიფენი დაჯახნა და დაქანცა, სიმღერებიც კლავიშჩავარდნილი პიანინოს ცოდვილობას დაემსგავსა, ხალისიანობაც განელდა. საქმლისათვის მოსახმარი დანა-ჩანგალი, ქეიფის დასანყისში რომ გაუჩერებლად ხმაურობდა, ახლა ნადირობით დაღლილი მეძებრებივით თვემდა. მრგვლად სახვდაჭრილი მწვადიც შამფურებს შეაცივდა. სუფრაზე უშველებელი გულშაქრიანი საზამთროს და ჩაყვითლებული უტკბილესი ნესვის სურნელებით გაჯერებული ხილეულობის დახვავებამ დაგვიდასტურა, რომ შინ მშვიდობით მისვლის დრო დამდგარიყო.

მას შემდეგ თელაველი დიდებული მხატვრის ელენე ახვლედიანის შესანიშნავი სურათივით („ზამთარი თელავში“) ბევრმა ზამთარმა გაიმიანსა და არც საშემოდგომო ფოთოლცვენას დამავიანია, მაგრამ დაუენწყარია ჯემალ ლალანიძესთან თელავსა და შუამთაში გატარებული გაცნობის დღე, რომელიც ნახევარსაუკუნოვან მეგობრობად იქცა.

ლადო კახაძე

„სხვისი თვალით დაინახე შენი თავი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— წარმოშობილ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხების არარსებობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ....

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა შენი უთქმელად ესმით.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჩემი ლიტერატურული პერსონაჟები ერთმანეთს ავსებენ და თითოეული თავის წილ მშველის.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, ფარნავაზი, გიორგი ბრწყინვალე — დიპლომატიის მაგალითი, ვაზი გააშენა და ეკლესია ააშენა, ერეკლეს კითხვებს დავუსვამდი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიკო ფიროსმანაშვილი, ნიკალას რაც ტკივა პირდაპირ მოაქვს, სხვა ბევრნი არიან, ლეონარდო, შაგალი, რეპინი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ცალსახად რევაზ ლალიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— მიტევება.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მიტევება.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— უტყვი თანაღმობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— სიცოცხლე.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— განწყობას გააჩნია, მაკიაველობაც მინატრია, ვინც ჩამოვთვალე ყველა სამიზნეა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მორიელი ვარ, ოლონდ რუხი, შავი სხვას კბენს, რუხი თავის თავს იგესლავს, ძვირის თქმა არ მიყვარს, პირში თქმა მირჩევნია.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მე ვარ ნაკლის ფორმულა, რა ფორმითაც გინდათ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერი თავად უნდა იყო, შეიძლება მთელი ქვეყანა გაჩუქონ და ბედნიერი არ იყო.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მე ეს უბედურება გავიარე ახლობლების დაკარგვა, უძლურება, ვერაფერს ცვლი (ჩემი დისშვილი მერიკო).

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?



— შევცვლი სამ რამეს: არასოდეს გადავდებ ადამიანის მონახულება.2 ჩემზე ნაკლებ პოტენციალის ადამიანს არ გავუწყნებოდი.3რასაც ვფიქრობ ადამიანზე იმას პირდაპირ ვეტყვოდი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი ფერი არ მიყვარს, დიდი ტვირთია მოვლა სჭირდება, ეკრანზე რუხ ფერებში ვმუშაობ, თეთრიდან შავში გარდამავალი რუხი ფერი, ბრწყინვალე სადიაგნოსტიკო საშუალება.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, ფერადი სურნელით თავმომონება, მონყვეტილი ყვავილი არ მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— გედი, მშვენიერია, მიმინო.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ყველა ჩემი ისტორიის მატარებელი არიან, ქართველი მწერლები ყველა კლასიკოსი ერთად, დიუმას გარეშე ბავშვობა არ არსებობს, ჯეკ ლონდონის გარეშე ცხოვრება, დრაიზერი და ძალიან ბევრი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— მუხრან მაჭავარიანი, განწყობის შესაბამისად გალაკტიონი, ესენინი, ომარ ხაიამი, რუსთაველზე ვერაფერს ვიტყვი, სულ სიურპრიზებს გიმზადებს.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ცალკე ვერ გამოვყოფ ბებია და დედა და მიჩრდილა გადასახედი, ცხოვრებაში ჩემი მეუღლე რუსუდანი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა ადამიანი პოტენციურად გმირია.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევანი (დაუმარცხებელი).

— საყვარელი სახელები?

— ნიკოლოზი, ანდრია, რუსუდანი, თინათინი, ეთერი, მანანა...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ტყუილს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ყველა ადამიანში მიზეზს ვეძებ რატომ ჩაიდინა ცული?

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველაზე დიდი რეფორმატორი უფალია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ზამთარში არა, ლოგინად ჩავარდნა არ მინდა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მუდმივად ოპტიმისტი ვარ, ზოგჯერ პროტესტანტი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ბოდიში, მაღლობა.

— თქვენი დევიზი?

— სხვისი თვალით დაინახე შენი თავი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მიპატიებია.

ნინო ბაქანიძე

ახალქალაქის ქველი სიგლერა

თათრი გაღი თაქაფაზა

„იგი, რაიც ლამაზია, საკუთარ წიაღში ანათებს ნეტარად“, უთქვამს პოეტს და ეს გამონათქვამი მართლაც რომ ასურათბატებს ქართლის ერთი შეხედვით პირქუშ, თვითმარ ბუნებას. ენით უთქმელი შინაგანი თრთოლვა და იმავდროულად საოცარი სიმშვიდე გამოსჭვივის თემისხევის გარინდული სანახებიდან. მიდუღუნებს ბებერი თეძამი, მის ტალღებზე კი უმშვენიერესი თეთრი გედი ირწყვია. ეს შინაგანი ზღაპარია, რომელსაც მდინარე გვიამბობს — ზღაპარი თეთრი გედისა, უმშვენიერეს ქალწულად რომ გადაიქცა და მთელი დუნია გააოცა. თემის ნაპირს თუ ჩაუყვები, მყისიერად შეიგრძნობ თეთრი გედის სახებას, მუდამუშამ მშვენიერების სიმბოლოდ რომ ისარკება მღვრიე ტალღებში. ალბათ სწორედ ეს განცდა უხმობს გამუდმებით ქართლის ამ პანია კუთხეში მარადიული სილამაზის მეხობებებსა თუ მეკალმეებს. ისეც ხდება, რომ საკუთარ წიაღში დაგანებული სილამაზე ზედაპირზე ამობრწყინდება და ირგვლივ მიმოიქცევა. ამგვარ ჟამს შინაგანი ზღაპრის პერსონაჟები სასწაულებრივი ძალით ხორცს ისხამენ და რეალურ ადამიანებად გადაიქცევიან. ერთი ასეთი სასწაული დიდი ხნის წინ სოფელ ახალქალაქშიც მოხდა და თემის ტალღებზე მონანავე თეთრი გედი ტურფა ქალწულად გადაიქცა. ეს სასწაული კი ასე დაიწყო:

1889 წელს, სოფელ ახალქალაქში, საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკ გრიგოლ თარხნიშვილისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იაკობ მანსვეტაშვილის დის, ეფემიას ოჯახში დაიბადა ასული, რომელმაც თავისი სილამაზით არა თუ საკუთარი მხარე, არამედ ევროპის გული — პარიზი გააოცა. ერთი წლის მანძილზე ეკატერინე თარხნიშვილმა სილამაზის კონკურსში ორჯერ მოიპოვა პირველი პრიზი. რას აღარ წერდნენ მის შესახებ პარიზის გაზეთები, რა ეპითეტებით აღარ ამკობდნენ უცნობ ქართველ ასულს: „სილამაზის დედოფალი“, „ჰამლეტის ოფელია“, „ფაუსტის მარგარიტა“, „ტბის გედი“...

მეტსახელი „თეთრი გედი“ ეკატერინესთვის უფრო ადრე შეურქმევიათ ფრანგ მეგობრებს, რადგან გოგონას ძალზედ ჰყვარებია ცურვა. მანამდე კი უფროსი ასული ცხენით ჯირითში დაუხელოვნებია მამას. გრიგოლ თარხნიშვილს ჯაჟი არ ჰყავდა და მოცალოების ჟამს ეკატერინეს საცხენოსნო ხელოვნებას ასწავლიდა. ახალქალაქის მიდამოებში ხშირად ხედავდნენ ცხენებით მოსეირნე მამა-შვილს. გოგონას საოცრად ლამაზი, გრძელი, ოქროსფერი თმა ჰქონია და ჯირითის დროს ჰაერში მოფრიალე ოქროს თმით მითიურ ამორძალს მოგაგონებდათ. გრიგოლ თარხნიშვილი ახალქალაქში დიდძალი მამულითა და რამდენიმე სახლის მფლობელი ყოფილა. ეკატერინეს შვილიშვილი, ქალბატონი ელერ თარხნიშვილი მიაბამობს, რომ წინაპართა გადმოცემით, ერთ-ერთ მათგანს კავკასიაში მოგზაურობის დროს ალექსანდრე დიუმას სტუმრობდა.*

* აქვე აღვნიშნავთ, რომ დიუმას „კავკასიაში“ საერთოდ არ არის მოხსენიებული მისი ახალქალაქში სტუმრობის ფაქტი. თუმცა ნიგნში ოთხი თავი ეძღვნება თავად თარხნიშვილთან სტუმრობას დაბა ნუჰში (დღევანდელი შექი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). დიუმას განსაკუთრებით აღფრთოვანებულია თავადის 12 წლის ვაჟით, რომელსაც ბრწყინვალედ სცოდნია ფრანგული ენა, მაგრამ ეს სრულიად სხვა თემაა, გრიგოლ თარხნიშვილის ოჯახთან კავშირი არ გააჩნია.

1903 წელს დედას ეკატერინე და მისი უმცროსი და ნინო პარიზში წაუყვანია საცხოვრებლად და განათლების მისაღებად. სამწუხაროდ, სამ წელიწადში ნინო ქლექით დაავადდა და ეფემია იძულებული გახდა, გოგონასთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, 1907 წელს, ეფემია პარიზში დაბრუნდა და ეკატერინეც წამოიყვანა. მიუხედავად ამისა, ოთხ წელიწადში გოგონამ მოასწრო პარიზის დაპყრობა. მას ეტრფოდნენ მდიდარი და გავლენიანი ოჯახისშვილები. როგორც ეკატერინეს ვაჟის ჩანაწერებიდან ვიგებთ, მათ შორის იყო რუსი გრაფი ერემეტიევიც. მაგრამ მამა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქალიშვილის უცხოელზე გათხოვებას. ბედის ირონიით, ეკატერინე მომავალში ორჯერ იქორწინებს და ორჯერვე უცხოელზე.

პირველი ქმარი, მიხეილ (მიშელ) სეგალი, ეკატერინემ სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ოპერაში გაიცნო. ეკატერინეს ვაჟის ცნობით, ეს წარმოსადეგი, თბილისში დაბადებული წარმშობით ფრანგი სტუდენტი სილამაზის დედოფალს ლოჟაში წარუდგინა საერთო მეგობარმა მარგარიტა ციციშვილმა. მამის წინააღმდეგობის გამო, ახალგაზრდებმა 1908 წელს ჩუმად დაინერეს ჯვარი. თუმცა გრიგოლ თარხნიშვილი ვერა და ვერ შეეგუა ამ ქორწინებას და ოთხ წელიწადში დააშორა ცოლ-ქმარი, მათ ერთადერთ ვაჟს ნიკოლოზს კი საკუთარი გვარი მისცა. განაწყენებული და შეურაცხყოფილი სეგალი მალევე გადაახლდა რუსეთში და ყოველგვარი კონტაქტი განწყობა ოჯახთან. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც წარმატებული იურისტი და მწერალი ნიკოლოზ თარხნიშვილი (ფსევდონიმი — თემისპირელი) მოსკოვში ერთ-ერთი მივლინების დროს მამის ნახვასა და გაცნობას მოინდინებს, მისგან ცივ უარს მიიღებს... ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ნიკოლოზ თემისპირელი თავის დროზე ცნობილი იყო როგორც მხატვრული და იურიდიული ტექსტების მთარგმნელი. ხოლო მისმა პიესამ „მეჯლისი“ ლიტერატურულ კონკურსში 1935 წელს მეორე პრემია დაიმსახურა (აღსანიშნავია, რომ კომპეტენტური ჟიურის ერთ-ერთი წევრი სანდრო ახმეტელი გახლდათ).

შემორჩენილია ცხრა წლის ნიკოლოზის ჩანაწერები დედის პარიზული ცხოვრების შესახებ, რომელსაც ყმანვილი „რომანს“ უწოდებს და ასათაურებს კიდევ: „ოჯახი და საზოგადოება. რომანი 4 ნაწილად“ გულითაც მადლოდას ვუხედი ქალბატონ ელერ თარხნიშვილს ოჯახის ამ რელიკვიის მონოდებისათვის (შემორჩენილია მხოლოდ I ნაწილი). ეს გაცრეცილი, დაფურცლული რვეული სწორედ ეკატერინეს პარიზულ ტრიუმფზე მოგვითხრობს. ვნახოთ, თუნდაც როგორ ახასიათებს პატარა ნიკოლოზი დედის გარეგნობას:

„მისი სილამაზის ქალი იშვიათად მოიძებნებოდა. მისი სითეთრე, სახის მოყვანილობა, კრავსავით წმინდა და უბინო, თქვენ ანგელოზს მოგაგონებდათ. ხოლო ოქროსფერი თმა, რომელიც კოჭებამდის დასთრედა, ბევრ ქალს შურს გაუღვიძებდა გულში. თუ თმას გაიშლიდა, მაშინ ვერ გაარჩევდით, სირინოზი იყო ის თუ ქალი“.

ნიკოლოზ თარხნიშვილის ცნობით, იმ დროს, ყოველი წლის 1 მაისს, პარიზში, სენ-ჟერმენის ბულვარში იმართებოდა ყვავილების გრანდიოზული დღესასწაული და სილამაზის კონკურსი. 1906 წელს ამ ტრადიციულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 17 წლის ქართველმა ასულმა ეკატერინე თარხნიშვილმა. ფერადფერადი ყვავილებით მორთულ ქალაქის ქუჩებში ჩაირეს ეტლებმა, რომელთაც თავად ქალიშვილები მართავდნენ. თითოეული ეტლი იმ ფერის ყვავილებით ყოფილა მორთული, რა ფერი კაბაც ეცვა კონკურსანტს. ეკატერინეს სიფრიფანა, ცისფერი კაბა სცმია, ხოლო მისი ეტლი დაუფინყარას ყვავილებით ყოფილა შემკული. გოგონას ოქროსფერი დალალები მხრებზე ჩამოშლიდა და მზესავით ანათებდა. ხალხი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ამ ულამაზეს პროცესიას და რჩეული ასულის ეტლზე ორივე მხარეს მიმავრებულ ჩანთებში ჰყრიდა ბარათებს, რომლებზეც მათი შეფასებები იყო დაფიქსირებული: „უმშვენიერესი ქალწული“, „დღესასწაულის დედოფალი“, „ულამაზესი ასული“ და ა.შ. ჟიურის



ეკატერინე თარხნიშვილი (პარიზი, 1904)

წევრებმა დათვალეს ბარათები და ყველაზე მეტი ხმა ქართველ ასულს ერგო. II პრიზი მიენიჭა იტალიელი მეთევზის ქალიშვილს, ხოლო III ადგილი ავსტრიის პრინცესამ დაიკავა. ნიკოლოზ თარხნიშვილის ცნობით, ეკატერინეს მართლაც მენამული ფერის დროშა, რომელზეც ოქროცურვილი ასოებით ამოქარგული იყო „1 მისი“. ასევე, მსხვილ, ოქროს ჯაჭვზე ჩამოხმული, ფირუზისა და იაგუნდის თვლებით შემკული ოქროს გულსაკიდი, რომელიც ერთმანეთში გადახლართული ოქროს რგოლებისგან შედგებოდა. პარიზის გაზეთები უმალ აღაპარაკდნენ უცნობი ქართველი გოგონას სილამაზეზე. დაიბეჭდა აგრეთვე ღია ბარათები ეკატერინეს გამოსახულებით, რომელთა გამოქვეყნების საშუალებაც ქალბატონმა ელერ თარხნიშვილმა მოგვცა.

მაღევე, ეფემრა ქალიშვილებთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრა საფრანგეთის ჩრდილოეთით კურორტ ბერკში. აქაც გაიმართა გრანდიოზული კარნავალი და სილამაზის კონკურსი. ეს უმშვენიერესი ღონისძიება ჩატარდა ადგილობრივი თეატრის დარბაზში. საგანგებოდ მორთული ქალიშვილები „კავალრების“ თანხლებით შემოდიოდნენ დარბაზში და სამხედრო ორკესტრის მხიარული ჰანგების ფონზე მიემართებოდნენ დარბაზის მეორე ბოლოსაკენ, ჟიურის მაგიდასთან. თანხლები ვაჟები გზადაგზა აგროვებდნენ მაყურებელთა ბარათებს და ჟიურის წევრებს გადასცემდნენ. ამჯერადაც ყველაზე მეტი ბარათი ეკატერინეს ერგო. მას მართლაც ბრილიანტებით მოჭვლილი ოქროს გული და საპრიზო ლენტი ნარჩენით: „დღესასწაულისა და სილამაზის დედოფალი“. დასასრულ გაიმართა დიდი მეჯლისი. ეკატერინემ თურმე კვლავ გააოცა საზოგადოება მოხდენილი ცეკვითა და დახვეწილი მანერებით. პატარა ნიკოლოზის თქმით: „ჩვენ რომ ეკატერინეს პარიზში ცხოვრება დანვრილებით აღვწეროთ, ამაზე ცალკე ტო-

მები დანიერება... აღებული გვაქვს მხოლოდ უმთავრესი ეპიზოდები, რასაც თავად მკითხველი შეამჩნევდა“.

სამწუხაროდ, რეალურადაც აქ მთავრდება „თეთრი გედის“ ზღაპარი, ვინაიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეკატერინე თარხნიშვილის ცხოვრება უღიმღამოდ და სევდიანად წარიმართა. თითქოს სიმბოლურია, რომ თბილისის სადგურზე ჩამოსვლისთანავე მას მოპარეს ჩემოდნები და საფრანგეთიდან ნამოღებული ძვირფასი პრიზები. მიშელ სეგალზე უიღბლო ქორწინებამ ეკატერინეს გული გაუტეხა ოჯახურ ცხოვრებაზე. გასაბჭოების პერიოდში თარხნიშვილების ოჯახს მთელი ქონება ჩამოერთვა. ეკატერინემ დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი და მოწყალეების დად მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალში. დაპატიმრების შიშით მან ერთბაშად შეწყვიტა მიმონერა უცხოელ მეგობრებთან, ასევე იტალიაში იმ დროს სახელგანთქმულ ქართველ მომღერალთან ელენე თარხნიშვილთან.

სწორედ იმ პერიოდში, ეკატერინეს ნოე ჟორდანიასთან ახლო კავშირში დასდეს ბრალი. იგი ვითომდა ჟორდანიას მთავრობას ბათუმამდე გაჰყვოლია, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, უკან დაბრუნებულა. როგორც ქალბატონი ელერი აღნიშნავს, ბებიამ ამ ფაქტს ბოლომდე უარყოფდა.

1921 წლის 20 ოქტომბერს ეკატერინე ცოლად გაჰყვა ასაკით ბევრად უმცროს თბილისელ ინჟინერს, სიმონ მოროზოვს და მასთან ერთად გაატარა მთელი ცხოვრება. ეკატერინემ ღრმა სიბერემდე იცოცხლა. იგი გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. მოესწრო თავისი ერთადერთი ვაჟის, ნიკოლოზის აღსასრულსაც.

ულამაზესი ასულის ტრიუმფით დაწყებული ცხოვრება ერთფეროვნებასა და ხელმოკლეობაში გაილია. უღიმღამო დრომ თან წარიტანა მისი სახელიცა და ფუფუნებაში გატარებული წლებიც.

მას შემდეგ დროება ბევრჯერ შეიცვალა. 2006 წელს, თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში მიიღეს ვინმე ჟორჟ სეგალის წერილი თბილისთან დამბობილებულ ქალაქ ნანტიდან. იგი სთხოვდა მერიას, დახმარებოდნენ ნათესავების მოძებნაში.

განყოფილების თანამშრომლების ლალი უნაფხოშვილისა და ნინო ბეგლარიშვილის ძალისხმევით (და ბედნიერი დამთხვევის წყალობითაც, რადგან ნინო ბეგლარიშვილი ქალბატონ ელერის ნათესავია!) მოხერხდა ქალბატონ ელერისა და ჟორჟ სეგალის დაკავშირება. გაირკვა, რომ ეს პიროვნება გახლდათ ქალბატონ ელერის მამა, ნიკოლოზ თარხნიშვილის ბიძაშვილი. მომდევნო წლებში ჟორჟ სეგალი ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში და ნათესავებიც გაიცნო. ბედის ირონიით, როგორც ვიცით, თავის დროზე ნიკოლოზმაც სცადა მამასთან დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ.

ასეთია ეკატერინე თარხნიშვილისა და მისი ოჯახის სევდიანი ისტორია, რომელსაც ხშირად იხსენებენ სოფელ ახალქალაქში. თუმცა მარადიული სილამაზის სიმბოლო — თეთრი გედი დღესაც წარწარად დასრიალებს თემის ტალღებზე და კვლავაც გვახსენებს პოეტის გამონათქვამს: „იგი, რაიც ლამაზია, საკუთარ ნიაღში ანათებს ნეტარად“.

ჩაპლინი ქივი თქმის პირას

ყოველ ზაფხულს, როცა ახალქალაქში ვისვენებ, ოჯახთან ერთად ჩვეულებისამებრ ახლომახლო ისტორიულ ადგილებს მოვინახულებ ხოლმე. ამჯერად გიორგი სააკაძის „მარშრუტი“ ავირჩიეთ, რადგან ნოსტე და ერთანმინდა ჩემი სოფლიდან სულ რაღაც 15-20 წუთის სავალზეა. არადა, ბოლო წლებში რატომღაც იქით გული აღარ მიმინებდა... მოკლედ, გავყევით გიორგი სააკაძის ნაკვალევს და ბოლოს ქვათახევშიც ამოვყავით თავი, სადაც ისტორიული წყაროების მიხედვით მეფე ლუარსაბს სააკაძის დაზე ჯვარი დაუწერია.

გვიან საღამოს, ჩვეულებისამებრ მივსერიწობ თემის ნაპირზე და ახლა პირდაპირ გავყურებ მთას, საიდანაც გაყინული კინო-კადრით მოსჩანს ერთანმინდის ეკლესია. ხან ნაპირზე ჩამოვჯდები და ჩემს ჩანანერებს ვუკირკიტებ. ამასობაში გიორგი სააკაძის შესახებ საკმაო მასალა დამგროვებია. მერე ისევ გზას ვაგრძელებ. ვცდილობ, დეტალურად გავიხსენო დღევანდელი მგზავრობის მთაბეჭდილებები.

ერთანმინდის ეკლესია უკვე დაკეტილი დაგვხვდა. იხტი-
ბარი არ გავიტყეხ და გალაგნის წინ, ხის მერხზე ჩამომსხდარ
ადგილობრივ მანდილოსნებს გავესაუბრე.

— უკაცრავად, შეგეკითხებით, სააკაძეს ერთანმინდაში
სახლი ან მამული ხომ არ ჰქონია? — ქალები რატომღაც შეც-
ბნენ. ერთ-ერთმა კი ისე გაასავსავა ხელები, თითქოს კერძო
საკუთრების ჩამორთმევას ვუპირებდა.

— არა, არა, სააკაძეს აქ არაფერი ჰქონია... სახლი ნამდვი-
ლად არა...

— ეკლესიაში პაატას თავი როა დამარხული, გეცოდინებათ,
— მითხრა მეორე ქალმა, თან იჭვინულად მათვლიერებდა, —
მერე, ვგონებ, ტანიც გადმოუსვენებიათ, ზუსტად არ ვიცი...

— ეკლესია რატომღაც დაკეტილი?

— დაკეტილია? რავი, მღვდელი ერთანმინდის ბოლო „მარ-
შრუტკას“ მისდევს ხოლმე კასპში და ნეტა დღეს რა მოხდა?

— დასანანია, — ჩავილაპარაკე და ის იყო, მორიგი შე-
კითხვის დასმას ვაპირებდი, რომ ქალები მოულოდნელად წა-
მოიშალნენ. აშკარად არ სურდათ ჩემთან საუბარი, მით უფ-
რო, სააკაძის თემაზე.

— ერთი ვნახავ, შეიძლება „მარშრუტკა“ ჯერ არ გასულა. —
თქვა „დამფრთხალმა“ ქალმა და თავქვე დაეშვა. დანარჩენებიც
მას მიჰყვნენ. სხვა რაღა დაგვრჩენოდა?! ცოტა არ იყოს, შეცბუნე-
ბულები ჩავსხედით მანქანაში და ახლა ნოსტესაკენ ავიღეთ გეზი.

საკაძის ციხე-კოშკი სოფლიდან ოდნავ მოშორებით, პა-
ტარა გორაკზე აღმართული. აქედან დიდებული ხედი იშლე-
ბა. გავცქერი არე-მარეს და ერთგვარი მისტიკური განცდა
მიპყრობს. თითქოს უფალს ხელის გულზე ამოეტვიფროს
ქართლის ულამაზესი ბუნება და კოპნია სოფლები...

— აუ, რა მაგარია! ასიანი, სააკაძე აქედან აკონტროლებ-
და ქართლის სოფლებს! — ჩამესმა ვიღაცის დამცინავი, როხ-
როხა ხმა.

— ნავედით, ნავედით. სანახავიც ბევრი არაფერი ყოფი-
ლა! — ახლა ქალის ხმა გაისმა. ვტრიალდები. კიდევ ერთი მან-
ქანა ამოსულა, მაგრამ ესენიც ჩვენნაირი „ტურისტები“ არი-
ან. ვის რა უნდა ვკითხო? ადგილობრივების ჭაჭანებაც არ
არის. შევცქერი ზვიადად და მდუმარედ ნამომართულ ციხე-
კოშკს. აქაურობა აშკარად მიტოვებული და მოუვლელია. ახ-
ლო-მახლო კიდევ ბევრი საინტერესო ისტორიულ ნაშთს ნა-
ანყდები, მაგრამ ნანგრევები ისეა ეკალ-ბარდით დაფარული,
რომ მიახლოების სურვილი გეკარგება. კი მაგრამ, ამ მიდამოს
მოვლა-პატრონობა ადგილობრივი ძალებითაც ხომ შეიძლე-
ბა? — ვფიქრობ ჩემთვის, — ნუთუ ნოსტელებს სულ არ ადარ-
დებთ მათთვის საამაყო ძეგლის სავალალო მდგომარეობა?!
აკი, ქართლში სააკაძის კულტიაო?!

— ეს ციხე-კოშკი სააკაძის ძალაუფლების სიმბოლოცაა
და იმავდროულად მისი სამარის ლოდიც. — ყრუდ ჩამესმის
ვიღაცის ხმა. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ისევ იმ „ტურის-
ტის“ ხმა იყო, თუ ჩემი მისტიკური განცდის გამოძახილი.

ამ ფიქრებით მიფუყვები თემის ნაპირს და ხან ერთანმინდის
ეკლესიას გავხედავ, ხანაც ფეხქვეშ მოჩხრიალე ქვებსა და კენ-
ჭებს ვაკვირდები. თითქოს მათ ნაშრევებსა და ლაქებში ჩაკირულ
კრიპტოგრამებს ვეძებდე... ფანტაზიას შორეულ წარსულში გა-
დავყავარ. ვინ იცის, იქნებ საუკუნეების წინ სწორედ აქ, ამ ად-
გილზე, სააკაძეს დაუდგამს ფეხი? იქნებ სწორედ ჩემი სახლის
მიდამოებში დათარეშობდნენ ოსმალთა ურდოები?! აკი, თევდო-
რე მღვდელმა თემისხევეზე გაატარა ურჯულოთა ლაშქარი?!..

ახლა კი ნამდვილად გავიგონე ხმამალალი ლაპარაკი.
აგერ, მოშორებით რამდენიმე მამაკაცს აბიბინებულ მდელი-
ზე სუფრა გაუშლია და მასლაათობენ, უფრო სწორად, ყაყანე-
ბენ, რაღაცაზე გაცხარებით კამათობენ. ჯერ ვიფიქრე, უკან
გავბრუნდები, ემანდ შარში არ გავეხვე-მეთქი, მაგრამ რაღაც
ძალამ ისევ წინ მიბიძგა და მეც ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით
განვაგრძე გზა. აჰა, დაბარებულივით კი მოვსულვარ. რო-
გორც ყურმოკრული ფრაზებიდან დავასკვნენი, სუფრის წევ-

რებს საქართველოს გმირების სადღეგრძელო შეუსვამთ და
ეს კამათიც ამ სადღეგრძელოს მოჰყოლია.

— მაშ, გიორგი სააკაძე მოლაღატე იყო, არა? გინდა თქვა,
რომ სამშობლო არ უყვარდა?!

— ჰოოდე, სწორედ ეგრეა, ჩემო ზურა! — მხარზე ხელი
დაჰკრა მეორემ.

— იქით გამეცა! — აღშფოთებისაგან ფეხზე წამოხტა ზურა.

— კარგი, რა ნახეთ, შემარგეთ ეს პური-მარილი. — მოპაექ-
რების დამშვიდებას შეეცადა თაზო, — ზურა, დაჯე კაცო,
შეხე, რა თევზია, პირში დნება. შენ კიდევ, თენგო, ხმა გაკმინ-
დე, თორევე...

— არა, აქეთ გამახედეთ! — არ ცხრებოდა ზურა და ერ-
თანმინდის მიმართულებით იშვერდა ხელს, — ეს ეკლესია მა-
ინც არ გადმოგვცქეროდეს ზემოდან. კაცმა სამშობლოსთვის
შვილი გაიმეტა, შვილი... მეტი რაღა გინდათ?!

— მართალი ხარ, ზურა, მართალი! — კვერი დაუკრა ირაკ-
ლიმ. იქვე ხაჭაპურს გადასწვდა და ლეჭვა-ლეჭვით განაგრძო,
— ვისაც სააკაძე არ მოსწონს, ნება მისია. რაღა დაგიმალთ
და მაგის ადგილზე მეც ეგრე მოვიქცეოდი...

— საკუთარ ქვეყანაზე გაილაშქრებდი? — ხმადაბლა შეა-
გება თაზომ.

— სწორედაც რომ გავილაშქრებდი! — ახლა კი მართლა
გაცხარდა ირაკლი, — თვითონ რა, კარგი დღე დააყენეს მო-
ლაღატე თავადებმა? სახლ-კარი ვინ გადაუწვა? მოსაკლავად
ვინ გაიმეტა?

— ჰოოდე, მეც მანდა ვარ. — გული მოეცა ზურას.

— აბა, თენგო, ხელა რალას იტყვი? — ღვარძლიანად გადა-
იხარხარა ირაკლიმ, — ნოსტელი მაინც არ იყო, კაცო... ენდე!

თენგომ გულისწყევით გახედა ჩაყურებულ თაზოს და ხე-
ლი ჩაიქნია.

— მოდი, ბიჭებო, ერთიც დავასხათ. ჩვენი კუთხე-კუნჭუ-
ლების სადღეგრძელო ვთქვათ! — საბოლოოდ მოგუნებდა
ირაკლი და დოქი მოიმარჯვა, — ჩვენი სალოცავებისა, სადაც
ჩვენ მამა-პაპას ულოცნია, სადაც სანთელი დაუნთია...

— შენ კიდევ დაჯე კაცო, რა ნახე. — ხელზე მოქაჩა თაზომ
ზურას.

— იქით გასწი ეგ შენი გასიპული ხელები, — შეულრინა
ზურამ, მაგრამ მერე მაინც დაჯდა, — დამისხით ერთი, დავ-
ლიო მაინცა...

— მაიცათ კაცო, უცხო ადამიანია, სირცხვილია... აქეთ
მობრძანდით. — ფეხზე წამომიდგა თაზო. დანარჩენებიც და-
დუმდნენ და გაცივებით შემომაცქერდნენ.

— არა, გამადლობთ. მე... შემთხვევით...

— დაბრძანდი, დაბრძანდი, აქაური არ უნდა იყო, — დაფა-
ცურდა თაზო.

— თბილისელი ვარ. ისე ზაფხულობით მოვდივარ ხოლმე.
სოფლის შესახებ საინტერესო ცნობებს ვაგროვებ და თქვენი
საუბარი რომ შემომესმა...

— ჯერ რამე მიირთვი, — გამანყვევინა თენგომ, — თაზო,
კაცო, ნელანაც გითხარი, პური დასჭერი, ვინმე რომ შემოგ-
ვესწროს, რას იტყვის, პური არა აქეთ სუფრაზეო, აჰანდე! —
ნიშნისმოგებით ჩემზე ანიშნა თაზოს.

— გაკმინდე ხმაი, პური რამდენიც გინდა, იმდენია! — გუ-
ლისწყრომით დაუტია თაზომ და პურის ნაჭრები ქვებრთვით
დაყარა მაგიდაზე. არ შევიმჩნეო და თენგოს მივუბრუნდი.

— თქვენ ნოსტელი ბრძანდებით, არა? ნელან მომესმა...

— კი ბატონო, მერე რა? — გაკვირვებით შემომხედა თენგომ.

— ეგ ერთი გვყავ შემოპარული, დანარჩენები სუ ახალქა-
ლაქელები ვართ. — ახითხითდა ზურა და თენგოს მეგობრუ-
ლად მოხვია ხელი.

— კაცო, ამ სიცხეში რა ძეძვივით მომედე ტანზე, — დაუტია
თენგომ და ვიდრე ზურა რამეს უპასუხებდა, ახლა მას მივმართე:

— სააკაძეზე ლაპარაკობდით და ხომ არ გსმენიათ, ახალ-
ქალაქთან რამე აკავშირებდა თუ არა?

— არა, ნამდვილად არა, — მის ნაცვლად დაბეჯითებით მიპასუხა ირაკლიმ, — სააკაძის დროს სოფელი ახალქალაქი არც არსებობდა. ამ ადგილებში მარტო საძოვრები იყო, იალალები...

— შენც იტყვი, რალა! — ჩაერთო თენგო, — ყოფილა, აბა არ ყოფილა?! წელანდელის არ იყოს, ნოსტელიაო. ნოსტე, ერთანმინდა და ახალქალაქი რამ გაყო? ყველა ერთი არ არის? თუ არადა, წინაპრებმა შუა სოფელში რად წამოგვიტყვეს თვედორე მღვდლის ეკლესია? რატო სხვაგან არ ააშენეს?

— შენ სუ ჩემი საწინააღმდეგო უნდა თქვა! — კვლავ გაცხარდა ირაკლი, — გეუბნები, აქ იმ დროს მარტო მინდორ-ველები იყო-მეთქი ვააა...

— მეორე მხრივ, — სიტუაციის განმუხტვას შეეცადა და ჩემი დავთარი დავაძვრე, — ანტონ ფურცელაძე თუ გაგიგონიათ... მოკლედ, წიგნი რომ დაწერა „გიორგი სააკაძე და მისი დრო“. ჰოდა, ეს ფურცელაძე რამდენჯერმე ახსენებს ახალქალაქს. ამიტომაც გამიჩნდა შეკითხვა. აი, შესაბამისი ადგილები ამოვწერე კიდევ. თუ გნებავთ, ნახეთ, — ზურას მივმართე, მაგრამ მან ხელები გაასავსავა: — იყვეს, იყვეს, ეხლა მაგისი ადგილი არ არის.

— რატომ, საინტერესოა, თქვენვე წავიკითხეთ. — შემომთავაზა ირაკლიმ. მეც თავვატიყო არ დამიღვია და კითხვას შევუდექი: „20 წლის ყმანვილი მეფე ლუარსაბ იდგა იმ დროს ცხირეთს, მშვენიერს საზაფხულო სადგომს, რომელიც ჰდევს ქართლში ახალქალაქის თავს, მთის ძირას“. აი, კიდევ: „მეორე დილას, მოყვებულნი თემის ხევიდამ მტკვრამდის და გარშემო თითქმის ოცი ვერსის მანძილზედ, დღეინდელს ახალქალაქს ქვემოდად მთელს ვაკეს მოედო ჯარი ოსმალთა...“

— აგე, დღევანდელი ახალქალაქის ქვემოდად. ესე იგი, მაშინ სოფელი არ ყოფილა. — თავმომწონედ გამაწყვეტინა ირაკლიმ.

— წელან რომ იყო? — გულუბრყვილოდ იკითხა თაზომ.

— მაგიტომაც ვიკითხე, — მიუგე მე, — ხან ასე წერს, ხან ისე. აი, კიდევ, ნახეთ: „მეფე, სააკაძე და ამათი ამაღლა გამოცვინდნენ... იმათ დაინახეს მართლაცა და შესაზარი სანახავი ახალ-ქალაქს ქვემოდად, მთელი ვაკე მოდებული იყო ოსმალთა ჯარებით“.

— ეეჰ, ეგ უკვე ისტორიკოსების დაუდევრობის ამბავია. — აგდებულად აიქინა ხელი ირაკლიმ. — მართლა ხან ესე ამბობს, ხან ისე. გეუბნებით ხალხო, ახალქალაქი 1634 წელს გაშენდა როგორც მეფეების საზაფხულო რეზიდენცია. ჰოდა, მაშინ სააკაძე ხუთი წლის მკვდარი იყო.

— ცხირეთი თუ იყო უკვე იმ გადასაკარგავში მეფეების დაჩა, ქვემოთ ახალქალაქი აღარ იქნებოდა? — მაინც არ დაუთმო თენგომ, — ისედაც, ჩვენი ძველი ნოსტელებისგან გამიგონია, მტრის შემოსევისას სააკაძე ნოსტედან რო დაიძახებდა, მისი ხმა ახალქალაქში ესმოდათო. ესე იგი, სოფელი იყო უკვე.

— ჰოდა, დავლით ჩვენი კუთხის სადღეგრძელო რალა, გაშრა ყელი! — შესძახა ზურამ და ჭიქა ასწია, — აბა, ხალხო, კიდევ ერთხელ, ჩვენ კუთხე-კუნჭულებს გაუმარჯოს, ჩვენ სალოცავებს. ჩვენ კიდევ დიდხან გვეცოცხლოს, რომ ეს სადღეგრძელო ბევრჯელ გვეთქვას.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — ერთხმად აიტაცეს სუფრის წვერებმა.

— მიირთვი რამე, — ხაჭაპურით სავსე თეფში მომანოდა ირაკლიმ, — იფ, რა კარგად აგრილდა...

— გმადლობთ, — ერთი ნაჭერი ავიღე და საუბრის გაგრძელებას შევეცადა, — როგორც ვხედავ, სააკაძეზე თქვენცენაც განსხვავებული შეხედულებები არსებობს. მე კი აქამდე მეგონა, ქართლში სააკაძის კულტი იყო.

— აბა, რა გითხრათ, გენაცვა, — ხელები გაშალა თენგომ, — ისეთი წინააღმდეგობრივი ბუნების კაცი, როგორც სააკაძე იყო...

— და ისეთი სუსტი მეფეები, როგორებიც ლუარსაბი და თეიმურაზი იყვნენ, — ნიშნისმოგებით გააგრძელა ზურამ, —

თუ ეგეც სააკაძის ბრალია? აბა, მაგრები ყოფილიყვნენ! სააკაძის ბედიც სხვაგვარად დატრიალდებოდა. აღარც სპარსეთში მოუწევდა გაქცევა და აღარც ოსმალეთში.

— სუსტიო? — ჩაიციხა თაზომ, — ხომ არ დაგავეინყდა, ლუარსაბი წმინდანად რომ შერაცხა ეკლესიამ? თუ მანამდე რამე შეეშალა, საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა.

— თეკლაზე რალას იტყვი? — არ შეეპუა თენგო, — განა მეფის საკადრისად მოექცა მეუღლესა და მათ მთელ ოჯახს?

— სააკაძის დაზე თუ ამბობ, — დამცინავად მიმართა ირაკლიმ, — კაცმა არ იცის, თეკლა ერქვა თუ სხვა რამე. ეგ კინოშია თეკლა, თორე ისტორიულ წყაროებში მისი სახელი არ ჩანს.

თენგომ დარცხვენით ჩაკიდა თავი. გაცოცხლებით გაგხედე ირაკლის, — სააკაძეზე მეც ბევრი წამიკითხავს. — ჩემი მზერა დაიჭრა ირაკლიმ, — ერთი, მაგ ჩანანერებს ხომ არ მაჩვენებდით?

— ინებეთ, — ფურცლები გადავანოდე. მან კი პერანგის ჯიბიდან სათვალე ამოიღო და გულსისყურით შეუდგა კითხვას, — რალა ეხლა ბნელდება, ეს ოხერი...

— რაც გინდათ თქვით და სააკაძის დროს სუსტი მეფეები გვეყვანდა, — ახლა თაზო შეეცადა თავისი განსწავლულობის გამომჟღავნებას, — თეიმურაზი ავიღოთ. აბა, აკაკის სიტყვები გაიხსენეთ „ბაში-აჩუკიდან“: „მეფე რომ „პიიპუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის იმღერებს“-ო...

— ვაი, ეს რა მაგარი რამე წავიკითხე! — აღფრთოვანებით შესძახა ამ დროს ირაკლიმ, — წერეთელიო და აბა ახლა ნიკოლოზ ბარათაშვილიც ნახეთ, რას წერს! — ირაკლიმ პროფესორივით მოირგო სათვალე და რიხით შეუდგა კითხვას: „თქვენ ის აზრი განუხებთ, როდეს გადაწყვიტა გიორგი სააკაძემ აჯანყება. მანამდე, სანამ ხელთ იგდებდა შაჰის მსტოვარს ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება. მარტყოფი — ეს ის არის, რის გულისთვისაც მოეწვინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი“.“

მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ჭრილობაა, რომლისგანაც ველარ განიკურნა შაჰ-აბასი, მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედისწერაა და სხვა დანარჩენი წვრილმანი, პატარა კაცუნების მონაჭორია“. აბა, ეხლა რალას იტყვი?

— რალას ვიტყვი და სუფრა ჩაგვეშალა, — ხელი ჩაიქინა ზურამ, — ყველას ეხლა მოგინდათ რა გაპარაფესორება. აგე, ჩამოლამდა კიდევ. რა გაეწყობა, ერთიც ვთქვათ და დავიშალოთ. ხვალ დილაზე ვენახი მაქ შესანამლი.

— არა უშავ-რა, ზურიკო, — ანუგემა თენგომ, — ხვალ გიგუასთან მოგვინვეს კაი პურის ჭამა, ხომ იცი.

— ბოდის ვინდი, ჩემი ბრალია. — უხერხულობისაგან აღარ ვიცოდო, რა მექნა. ირაკლის ფურცლები გამოვართვი და წამოდგომი და დავაპირე.

— ბრძანდებოდ, ბრძანდებოდ! — შემაჩერა ზურამ, — გზას დაგილოცავთ. წამსვლელ-დამრჩომისა იყვეს... ესეც ესეც... — ისე, თუ სააკაძე ეგრე გაინტერესებთ, გირჩევთ, ნოსტეში და ერთანმინდაში ახვიდეთ, იქაურებს დაელაპარაკოთ.

— მარტო თენგოს ამარა ნუ დარჩებით. — ჩაიხიბითთა ირაკლიმ.

— აჰა, მე კი ვიცი და მე შენაა! — დაუტია თენგომ.

— სწორედ დღეს ვიყავი ორივეგან, ხალხსაც დაველაპარაკე, მაგრამ რატომღაც მომიჩვენა, რომ საუბარი არ სურდათ.

— ნამდვილად მოგჩვენებოდათ, — დაბეჯითებით მითხრა თენგომ.

— აბა, — დასჭექა ზურამ, — გაგვიმარჯოს, კარგად ვიყვეთ, მაგრად ვიყვეთ...

— გაგვიმარჯოს, ბიჭებო! — აიტაცა ირაკლიმ... მე კი უცებ ისევ ჩემმა ფიქრებმა გამიტაცა და როცა გამოვერკვიე, ველარც გავიხსენე, ან იმ ხალხს როდის დავმორდი, ან ამ კუნაპეტ ლამეში როგორ გავჩნდი ჩემი სახლის ჭიმკართან...

ქართული ლიტერატურული ზღაპარი იტალიურად

შარშან, წლის მინურულს სამხრეთ იტალიის ქალაქ ბარის ერთ-ერთ პოპულარულ თეატრში — „მარგარიტა“ — რეგიონული ლიტერატურული ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება, რომელიც ტრადიციად დამკვიდრებულა, ითვალისწინებს სკოლამდელი და 18 წლამდე ასაკის ყმაწვილთათვის სასურველი და საყვარელი წიგნებისა თუ ნაწარმოებების გამოვლენას. თანაც არაა აუცილებელი ავტორი მაინცდამაინც იტალიელი იყოს. მთელი წლის განმავლობაში ამიტომაც კრებენ და არჩევენ საფესტივალო მასალებს, დანერგის მსოფლიოს ხალხთა ენებზე. უფრო ზუსტად, ქალაქ ბარის სკოლებში რომ სწავლობენ, იმ უცხოელი ყმაწვილების მშობლიური ლიტერატურიდან ირჩევენ საუკეთესოებს, თანაც ფესტივალის მესვეურნი ახორციელებენ სახელმწიფოს ნებას: ძალისხმევა არ დაიშურონ, რათა ურთიერთპატივისცემა გააღვივონ სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა შორის, რაც სანდარი იქნება მერმის ერთმანეთის გვერდით მყოფთა ჰარმონიული ცხოვრებისათვის.

ცხადია, კულტურის სხვადასხვა დარგთა შორის, ამ მიზნით, უპირველესი როლი ლიტერატურას ენიჭება. და აგრეთვე, საამისოდ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სასკოლო ბიბლიოთეკათა დარბაზები ხშირად ეთმობა უცხოელ მოსწავლეებს, რათა მათ ისაუბრონ თავიანთი ქვეყნების კულტურულ მიღწევებზე, ისტორიულ წარსულსა თუ ეროვნულ ტრადიციებზე.

ამდგავარი სახელმწიფოებრივი ზრუნვა, რასაკვირველია, სასიამოვნოა და ესეც არანაკლები, რომ შარშანდელ ლიტერატურულ ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა გურამ პეტრიაშვილის ზღაპარმა — „ამბავი მევიოლინისა და პატარა ჩიტისა“ — რომელიც თარგმნა ნუნუ გელაქემ, იტალიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, შესანიშნავმა პოეტმა და ქართული მწერლობის თავდაუზოგავმა პოპულარიზატორმა ევროპაში და კერძოდ იტალიაში.

ჩვენი ჩინებული მწერლის გურამ პეტრიაშვილის მართლაც უჩვეულოდ გულთბილი, შთაბეჭქდავი ზღაპარი კი ქართულ და იტალიურ ენაზე დაბეჭდილი, დაბინავდა იისფერ ულამაზეს კრებულში, რომელიც ყმაწვილების გულისკარნახით შეიკაზა.



გურამ პეტრიაშვილი

* * *

მეც სიყვარული დამატყდა თავზე
მოურჩენელი, ვერაგი სენი,
როგორც ბინდბუნდში ხე მოყვავილე
ჩემს სულში მოჩანს სახება შენი.

მთავარი სიტყვა

მთხვევლთაგან გამორჩეული
სიტყვა მომადგა კარზედა,
ეს სიტყვა ყველას მტრედვიით
თქვენც დაგვდომიათ მხარზედა.

მითხრა, მაცდური მომდეგდა,
სურდა ჩავესვი ლექსშიო,
მე კი იქ ყოფნა არ მინდა,
როგორც ნიახურს კექსშიო.

სურდა გართიმვა ფულებთან,
გვერდით დაესვა გროშიო,
მე კი მაგათზე ძალიან
არვინ მძულს სამყაროშიო.

მოვეფერე და ვუთხარი
დანყნარდი, იყავ მშვიდადა,
არა ღირს, ეგეთ ტუტუცზე
შენ რომ იდარდო დიდადა.

დავჯექი ლექსი დავნერე,
საქმე არ იყო რთულია,
ჩავსვი შიგ სიტყვა ძვირფასი
და გავერითმე „გულია“.

მან შემომცინა ლექსიდან
და დიდი მითხრა მადლობა,
იმასთან ფულის გართიმვა
მართლაც რომ არის აბდლობა.

იგია ღვთისგან ნაბოძი,
ნიჭი კაცთა თუ ცხოველთა,
სიცოცხლის ძალაც იგია,
იგია ნატვრა ყოველთა.

არ შევანუხებ ზედმეტად,
არ ვიტყვი სახელს მისასა,
ცის მადლით მისი სახელი
სახელს ედრება ღვთისასა.

ტურფები აფრიან ნავში (ხუმრობა)

ნავში ჩამსხდარან ტურფები
და ტურფა ლოყებს ბერავენ,
აფრიანია ის ნავი
და აფრას სულს უბერავენ.

ზღვა სარკესავით მშვიდია,
ნავი მიცურავს მძიმედო,
ნიავეს ნატრობენ ტურფები
ვაგლახ, ტყუილო იმედო.

უბერეს აფრას, უბერეს
სულ წყნარ ამინდში იარეს
და ასე ბერვა-ბერვაში
მთელი ზღვა გადაიარეს.

ქალაქს მივიდნენ ტურფანი
სად მოუთმენლად ელოდნენ,
მაგრამ დამხვდურებს ხელთ შერჩათ
რასაცა არ მოელოდნენ.

ტურფებს შორიდან ჩამოსულთ
მუხთალი ბედი რგებოდათ,
ვით მეზურნეებს, ვეებად
ლოყები გასიებოდათ.

ვილამ თქვა მათი სიტურფე...
დამხვდურთ აუტყდათ ხარხარი.
ერთურთს უცქერდნენ ტურფანი
და დასცემოდათ თავზარი.

თითქოს სუყველას ლოყებში
ედო ათ-ათი ქლიავი...
აი, რას ნიშნავს თუ დროზე
არ დაუბერავს ნიავი.

როგორ მივსალმავი საზოგადოებას, რომაელსაც ჯერ არ ვუნახივარ

ვიცი, რომ ლამაზქოჩორას
და თმახუჭუჭას მელოდით
ბოდიში, გული დაგწყვიტეთ
ამ ჩემი თავით, მელოტით.

სანდროს ლექსი

სანდრო ვარ, ერთი წლისა ვარ,
ხახიაური გვარადა.
რომ გავიზრდები, სამშობლოს
უნდა დავედგე ფარადა.
არ გამაბრაზოთ ქაჯებო,
ემანდ ისხედით წყნარადა...

* * *

გინდა გადაირჩინო,
ძმაო, შენი თავია?
მაშინ უნდა იყიდო
ეს პატარა ნავია.

უნდა ჩაჯდე სასწრაფოდ
მოიმარჯვო ნიჩბები,
დაივინყო ყოყმანი
შიშები და იჭვები.

და მოუსვა ძალუმად
აღმა აპყვე მდინარეს,
დიდ ქვებზე და ლოდებზე
ზათქით გადმომდინარეს.

ზვირთებს ავებს შეებში
და ზედ შეეხუთქები,
გულში იხმინებენ
მოგუგუნე ლექსები.

თუ აჯობე მდინარეს
და დიდ ტყემდე ახვედი,
დაგხვდებიან კეთილი
შენი ამხანაგები.

გაჩუქებენ ყვავილებს
და ჩიტების გალობას,
გაიხარებ და გამჩენს
გულით ეტყვი მადლობას.

ხოლო მაგ შენი გულის
ეგ ძალუმი ფეთქება
და ამ ავი ზვირთების
ღრიალი და ხეთქება...

თუკი ცუდად დამთავრდა
და დაგემსხვრა ნავია...
და ატირდა შენს ბედზე
ყველა ნათესავია...

მაინც უნდა იფიქრო,
გადაგირჩა თავია,
რადგან აღარ წუნუნებ
და აღარა ღნავია...

და კაცურად შეაკალ
ამ ცხოვრებას თავია.

**პარდისგყრელის
მონოლოგი**

მე ბავშვობაში
ლამაზი და
ხუჭუჭა ვიყავ
და ამიტომაც
პანანინა
ანგელოზს ვგავდი,
ჩემს დანახვაზე
უცილობლად
ამბობდა ყველა,
რომ ბედნიერი
იყო დედა
ვისაც მე ვყავდი.

და ისე მოხდა:
საპატიო
მომანდეს საქმე

და სამუდამოდ
დავუძვერი
ცხოვრების დარდებს:

ეკლესიაში
ნინ ვუძლოდი
საქორწინო წყვილთ
გზაზე ვუყრიდი
სურნელოვან
იებს და ვარდებს.

ასე ვცხოვრობდი
არხეინი
და უღარდელი

და ჩემი ბედის
კმაყოფილი
ბიჭი ვიყავი.

და სამუდამოდ
რომ ასევე
მეცხოვრა მუდამ
მე ჩავიფიქრე
აღარასდროს
გავზრდილიყავი.

და ეს კიდევაც
მოვახერხე
ძალთა დაძაბვით,
ნებისყოფითა
და ალბათ თან
ემმას შეწევნით

და ავარიდე
ამით თავი
წყეულ ცხოვრებას
სავსე რომაა
ხიფათით და
მირაჟთა დევნით.

და ახლა უკვე
ველარავინ
მე ველარ მამჩნევს,
ოთხმოცი წლის ვარ
ვარდებს ვუფენ
ბედნიერ წყვილებს,
მხოლოდ ხანდახან
დავლონდები
როდესაც ვხედავ,
ჩემს ახლოს როგორ
ეფერება
მშობელი შვილებს.

ვის დავაბრალო?
ავირჩიე
ეს ბედი თვითონ.

და დავრჩი ასე
სამუდამოდ
ვარდების მყრელი,
ყალბია სულმთლად
ჩემი მანჭვაც
ჩემი ღიმილიც
და ნამდვილია
მხოლოდ ერთი
ეს ცრემლი ცხელი.

**პერლოკ ჰოლმისი.
ფინალი.**

„ჯანდაბას ჩემი
ყველა ხერხი
ბოროტთა დევნის,
ჯანდაბას ჩემი
მეთოდები
დედუქციისა,
არა ღირს ყველა
ეს მეთოდი
სიოს ერთ სუნთქვად
და არცა კიდევ
შეთრთოლებად
ერთი იისა...“

ასე მოსთქვამდა
შერლოკ ჰოლმისი
დალონებული,
თავის ცხოვრებას
და საქმეებს
რომ აჯამებდა
და აქ გამოჩნდა
თუ ნამდვილად
რა ანუხებდა,
გრძელ ღამეებში
უძილობით
რა ანამებდა...

„მოდის სიბერე...“
კვლავ მოსთქვამდა
„...ჟამი სასტიკი...“
რადიკულიტმა
უკვე ძლიერ
დამრია ხელი,
რალაც ჩხუბებში
დამეფანტა
ნინა კბილები
და, ვაგლახ, აღარ
გადამირჩა
ნეკნებიც მთელი...

როგორ ვუყვარდი,
ეჰ, იმ ლედის
მისის გოლსუორთს,
გოლსუორთის ქვრივს
ულამაზესს
სათუთ არსებას
გამიღიმებდა,
ისე ნაზად
განითლდებოდა...
და ჰგავდა მისი
ჩემკენ ლტოლვა
მთვარის ავსებას.

მე კი რა ვქენი?
გავუფინე
ფეხქვეშ გრძნობები?
ან ვარსკვლავეთის
სანახავად
გავიყოლიე?
გავიჭერ რაშით
სივრცეების
დასალაშქრავად?
ვიშევარდენე?
ვიბზუბულე?
და ვითოლიე?

ვაგლახ რომ არა!
მე ჩავკალი
ჩემს თავში ტრფობა!
ბევრი ვეცადე
და ვაი, რომ
ქეც გავხდი ცივი
და დამრჩა ახლა
იმ ტრფობისგან
ბარათი სამი
და ნაზს მისისს, რომ
არ ვაჩუქე,
ის მარჯნის მძივი...



თამარ ლომიძის ლექსებში გარეგნულად ყველაფერი თავის ადგილზეა, შინაარსი ავსებს ფორმას, ფორმა იტევს შინაარსს; ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა მოტივი და ასპექტი. მკითხველის თვალწინ მარაოსავით იშლება ეგზისტენციური თემატიკა: სიცოცხლის წყურვილი, არსებობის სისავსის განცდა, წარსულის ნოსტალგია, სინანული და ტკივილი; აგრეთვე სწრაფვა სინათლისაკენ, ფანტაზიის თავისუფლება, უსასრულობის შეგრძნება, მზაობა თავგანწირვისათვის და სასოება, იმედი, რომ სიცოცხლე არ დამარცხდება. ტროპული მეტყველება დახვეწილია, სწორი, ლოგიკური, მიზანმიმართული. ყველაფერი მეტაფორის ყოვლისშემძლეობის გათვალისწინებით არის დალაგებული, ისე, როგორც საზოგადო არის ხოლმე და უნდა იყოს კიდევ საერთო სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებში, რომლებიც მთლიანობის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ. ის მთლიანობაც არ არის, თუ არა მეტაფორა, ტროპის გიგანტური ფორმა: სიცოცხლის სახეობრივი გამოხატულება. პოეტი ბოლომდე ერთგული რჩება მთავარი პოეტური კატეგორიის, სახეებით აზროვნების წესის მიმართ. პოეტურ აზრს ხატებისა და საგნების მეშვეობით გადმოსცემს. ლირიკული გმირი თავისი მრწამსისა და საზრისის შესაბამისად გამოხატავს ესთეტიკურ იდეალს. მთავარი სათქმელიც აქედან გამოდის — ნარეობს, აქვე შეინიშნება, აქვე გამჟღავნდება — მშვენიერება არსებობს იქ, სადაც არის სიცოცხლე, სიყვარული და თავისუფლება... მთლიანობის განცდა ამის შემდეგ მოდის. ერთი მხრივ, ლექსების სტილი, გამომსახველობა, ლაკონიზმი, ზომიერების გრძობა, ესთეტიკურად მშვენიერი, ეთიკურად განონასწორებული, კულტურულად დახვეწილი, სულიერი ინტელექტუალურთან მიახლოებული მეტყველება, მეორე მხრივ, ადამიანური სულის დიალექტიკა, შინაგანი ცხოვრების დინამიკა. უწყვეტი დიალოგი საკუთარ თავთან, მეორე პოეტურ „მე“-სთან, სატრფოსთან, დროსთან, სივრცესთან.

დრო-სივრცის შეგრძნება ლექსებში, ზოგადად ხატვრული თვალსაზრისით, სათანადო დონეზეა, მაგრამ რეალურის, ცხოვრებისეულის მიმართულებით არ მიდის, არ ვითარდება. ამიტომ სასურველია, დრო და სივრცე დაკონკრეტდეს, გაიშალოს და თანამედროვეობის ასპექტებიც შეიძინოს. პოეტმა სივრცე უნდა დაგვანახოს, ხელშეახლება წარმოადგინოს, დრო კი გააცოცხლოს, სქემატურობიდან გამოიყვანოს. ამისათვის საკმარისია გააფართოვოს იმ ტკივილების არეალი, რომლებსაც თანამედროვე ადამიანი განიცდის; იყოს უფრო დამკვირვებელი, ვიდრე დაკვირვებელი, მარტო თავის საზღვრებში ნუ იმეტყველებს, გადალახოს პირადულის ზღუდეები, ისე, როგორც ამას ბოლო სამსტრუქტურულ ახერხებს: „აფხაზეთში დრო გაჩერდა... მძინარე მზეთუნახავივით ელოდება უფლისწულს.“ პოეზია ხომ ყოფიერების შვილია. რეალობა ლექსის მშობელიც.

თამარ ლომიძე

* * *
 ნუ დამიძახებ,
 მე ისედაც მტკივა ეგ ქუჩა...
 ახლაც
 უშენო გაზაფხულებს ვეპირფერები,
 გამომაცილა ბავშვობიდან
 ცრემლმა ალაღმა,
 ამ ცრემლით
 დღემდე მოვიტანე სწეული ფრთები.
 შემომრჩი

ძველი ფოტოების მწველი სურნელით
 (ჩვენ ერთმანეთის ერთგულება
 დაგვყვება ვალად)...
 შენ ისევ ისე
 იმ ქუჩაზე დგახარ ბავშვივით
 წლებს რომ მოპარე,
 იმ თაიგულს
 ზურგსუკან მალავ.

* * *
 სანამდე თოვლის
 მებარა სული
 დუმდნენ და
 ბოლოს გაფრინდნენ მთებიც...
 მე შენს სიმორეს
 ვურჩევდი სათქმელს,
 — სათქმელით მუდამ
 შორიდან ვთბები...
 ვთბები და ვფიქრობ,
 ვოცნებობ,
 ვინვი

ისე რთულად და
 ისე ადვილად,
 რომ
 ვიბადები ლანდიდან ქალად
 და ნისლის ქალი —
 მარტის ყვავილად...
 საესე ვარ ახლა
 ატმის კვირტივით
 ვფეთქავ და
 სულის ამოსვლას ველი...
 შენა ხარ
 ჩემი არდაბრუნება
 და
 შესავალი სასუფეველის...

მემოზრებს

თქვენ არ დამინდოთ...
 გზა უამინდო
 თუ გაგიშალეთ მარტივ მარტებად,
 თუ ცრემლებიდან შემოვიპარე,
 თუ დუმილის დღე შემემატება...
 მე
 ჩემი წილი სიჩუმით მოვალ
 და გადავარჩენ
 სიცოცხლის სურვილს,
 მომწყდება გულზე სათქვენო მთვარე,
 მზეს,

დედამინას
 გარს შემოუვლის...
 და რაც არ უნდა
 მოქველდეს სივრცე,
 მაინც
 აპრილით საესევა სული...
 კვლავ ერთმანეთით
 ვაფორმებთ ზეცას —
 თქვენ — დასაწყისით,
 თქვენ — დასასრულით.

* * *
 ჩვენ ერთმანეთის სათაურები ვართ,
 შეულამაზებელი,
 ერთსიტყვიანი...

ქეზარითა!

მე აქ დავრჩები,
 ერთხელ მაინც ავანთებ ღამეს
 და ჩემს თვალებში
 მომაკვდავი ორი მზით ჩახვალ...
 შენს მენამულს ხომ
 ამღვრეული ექნება სივრცე,
 მზერამი სევდით
 დაითხოვ ყველას.
 მე აქ დავრჩები,
 რადგან ყველა
 მშვიდი,
 გრძელი დღით
 გავძარცვავ ავადარს,
 საკუთარ თავს დავემალები...
 — სიყვარულისთვის
 მაინც ცა და დრო მეცილება,
 მხოლოდ მიწით და
 ისე ადვილად,
 ცრემლისხელა იმედით სადღაც
 ყვავიან თურმე
 სიტყვებზე კოპებშეკრული,
 გამგზავრებული სახელები
 მევანთა მკერდზე...
 ყვავიან სადღაც
 უღიმღამო სურვილებივით
 მიტოვებული საფლავეები —
 სახლები სოფლის...
 თითქოს სათქმელი
 ნაბიჯებად არის ნათქვამი,
 თითქოს სხვის ძვლებად
 დამარხულან ჩემი ხელები...
 და ასე ცივი,
 ტკივილივით დღემოჭიმული
 ყველას,
 ყველაფერს ვმალავ დუმილში,
 სამყაროს კი
 ისევ და ისევ
 თვალებიდან ვეჩურჩულები,
 რომ აკრძალული ნაყოფივით
 ხარ გემრიელი...
 მე უნდა დავრჩე,
 უნდა დავრჩე,
 რადგან შენ ჩახვალ,
 როცა ამოხვალ,
 მუხის ჩრდილით შეიმოსები...

სიცოცხლითა და
 განწირული ჩუმი ლოდინით -
 წარღვნიდან წარღვნით
 ხსნას რომ ეძებს,
 სულს სულში ალბობს,
 სულს სულში ალბობს,
 დედამინა გულივით უძგერს...
 და გენვის მხრებზე
 საკუთარი ჯვარი და მრწამსი,
 ბაგეზე ლოცვად -
 სიკვდილში რომ სიკვდილი მოკლა...
 შენ არ გენყინოს
 მე თუ ვიტყვი,
 როცა დავრჩები:
 შენ აღდგა მკვდრეთით!
 შენ აღდგა მკვდრეთით!
 შენ აღდგა მკვდრეთით!

* * *

რა ადვილი და
 მსუბუქია სხვა ქვეყნის აპრილი,
 დღეში კაბასავით რამდენჯერმე
 გამოიცვლი...

* * *

შენ
 თოვლთან ერთად მოგიყოლა
 დეკემბრის ქარმა,
 მეც ვსუნთქავ ქარებს,
 ჩურჩულსასმულ ბაგეს გახვედრებ...
 ჩემიდან შენში
 იშლებიან თვალები გზებად,
 შენიდან ჩემში
 ნიაღვარი ასკვებთ ხელებს.
 სხეული გმინავს
 ნოემბრისგან კანგაცლილ ვნებას,
 უსინათლოთა მზეებიდან
 ამოსულ ნათელს
 ფიქრებად გფურცლავ,
 ოცნებებად გატკობ,
 არ ვითვლი
 დაზამთრებამდე
 სულში რამდენ
 ზეცას დავანთებ ...
 შენ
 სიცოცხლემდე შემალენე
 ვარდების თრთოლვა,
 წარსულს
 ვით ეკლებს, -
 სიყვარულით გულზე მაკლავდი...
 მომინადირე...
 შერჩენია განძად თუ მსხვერპლად
 ჩვენს ქავისკარზე
 მთვარე...
 როგორც შემტყნარი მკლავი.

* * *

აფხაზეთში დრო გაჩერდა...
 მძინარე მზეთუნახავივით
 ელოდება უფლისწულს.

ელგუჯა თავბერიძე

გაცოცხლებული მკვდარი

1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში ჩაუნერია:
 „ტემა. ქალაქის მოთამაშე ნაკატორღალი ავალიანი. ციმბირში მდიდარ მრეწველს ცოლი მოუკვდა. დიდძალი სამკაული ჩააყოლა საფლავში. ავალიანი მივიდა ღამით. გათხარა, სამკაული აართვა. ერთი ბეჭედი ვერ ნააძრო. დანა გადაუსვა თითზე. ცხედარი შეინძრა. არ დაიბნა, ამოიღო. ნაბადში გაახვია, პირი აუკრა, რომ უცებ არ მოსულიყო გონს (უნდა ვკითხო ექიმს). წაიღო, შეინახა, მერე მივიდა მრეწველთან. დიდი ჩხუბის შემდეგ გაალვიძებინა. შევიდა, მოამზადა, უთხრა, ქვრივი კინალამ გაგიჟა, ცოლი დაუბრუნდა, განუზომელი ჯილდო მიიღო. შეიძლება სხვანაირად დატრიალდეს: მიუყვანა მეორეს, რომელსაც ქალი უყვარდა, მერე ქმარი დაინახავს, იცნობს, თითქმის გიჟდება. საფლავს გათხრის. — ეს მოთხრობა ჩაერთოს „მაღაზია ყველაფერში“ (მოპასანს აქვს)“.

იმის წარმოდგენაც ჟრუნტელისმომგვრელია, რაოდენ ფსიქოლოგიური ნიაღვრელებით გაამდიდრებდა ამ ამბავს მიხეილ ჯავახიშვილი. როგორ ჩაუღრმავებოდა, ღდინამდე ჩაყვებოდა ნაკატორღალისა და ქალაქის მოთამაშის ხასიათს, მის გონებაში გაჭიატებული საფლავში ჩატანებული სამკაულის ართმევის ნადილს, მოულოდნელზე მოულოდნელ შედეგს — მკვდრის გაცოცხლებას. მრეწველისა და მისი ცოლის გარდარეულ სიყვარულზეც ბევრს დანერდა, იმიერში სამკაულების გატანებასაც დიდოსტატურად დახატავდა.

ღამით საფლავი გათხარა, ერთ თითზე ბეჭედი ვერ ნააძრო, დანა გადაუსვა... მიხეილ ჯავახიშვილისნაირი ფსიქოლოგი ჭირდება ამ წამის აღწერას.

ქმარსაც შემზადება უნდოდა, ვინმეს რომ ეთქვა, შენი ცოლი გაცოცხლდაო, მთქმელს სულელად ჩათვლიდა. ავალიანს ჯერ არ უშვებდნენ მდიდარ კაცთან — ძინავს, ვერ გავადვიძებთო. უჩხუბია, უძალია, ბატონი გაუღვიძებიათ. მდიდარი ქვრივი გადარეულა. საფლავის მძარცველისთვის უზომო ჯილდო მიუცია.

ამბის სხვანაირად დატრიალებაც შეიძლებაო, — გვეუბნება მიხეილ ჯავახიშვილი. ქალი იმას მიუყვანოს, ვისაც უყვარდა. ქმარი იცნობს, გიჟდება, საფლავს თხრის, საფლავი ცარიელია.

წარმოიდგინეთ, როგორი სულიერი შეხლა-შემოხლა აირეკლებოდა კაცის გულში, როგორ წვასა და დავას გადაიტანდა — დაეჭვებოდა, ბოლომდე ვერ ირწმუნებდა, მისი ცოლი იყო თუ არა, არადა, ჰგავდა, ჰგავდა კი არა, ალიკვალი იყო, მაგრამ იგი ხომ მოკვდა და რამდენიმე კვირის წინათ დამარხა. ყველა ქალს მას ვამგვანებო — გაიფიქრებდა. დაინახავდა, ჰგავდა, ზუსტი ასლი იყო გარდაცვლილისა. რაღაც მემართებო — ეს აზრიც გაუელვებდა, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ამ ქალს ვამსგავსებო?! ფიქრები გადარევედა. საფლავს გათხრიდა, გათხრიდა და...

მგონი, ეს უფრო ჯავახიშვილური გაგრძელება იქნებოდა.

ნაკატორღალი ავალიანიო, კატორღის წლები მოიხადა ალბათ და საქურდლად და სათაღლითოდ ციმბირშივე დარჩა. ქალაქის მოთამაშეო, ამნაირს ზნეობრივ საქციელს ვერ მოსთხოვ, მით უფრო თავისით არ ჩაიდენს, პირიქით, სათამაშოდ და ნაგებულის ჩასაბარებლად საფლავსაც გაქურდავს და სხვა რამესაც მოიმოქმედებს.

ავალიანი მთლად წამხდარი კაცი არ ყოფილა.

არ დაიბნაო, — წერს მიხეილ ჯავახიშვილი, დაიბნა კი არა, შემთხვევის წყალობით ზნეობრივ ადამიანად იქცა. ისიც სიმართლეა, არ იყო კაცის მკვლეელი, რომ ყოფილიყო, გონს მოსულ მრეწველის ცოლს მიახრჩობდა და ახლა უკვე ნამდვილად გაისტუმრებდა საიქიოს, მაგრამ ასე არ ჰქნა, თანაც არანაირი გარანტია არ ჰქონდა, მრეწველი რომ დააჯილდოვებდა. გონებამ ავალიანს ზნეობრივი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდა.

გადადგა!

ორივე მხარე, მრეწველი და ავალიანი მოგებულნი დარჩნენ. პირველს ცოლი დაუბრუნდა, მეორემ დიდი ფული ჩაიჯიბა.

ერთმაც, მეორემაც გაიხარეს: საფლავის მძარცველმა სიცოცხლე აჩუქა ადამიანს.

* * *

პირის აკვრას, უცებ რომ არ მოსულიყო გონს — დაუეჭვებია მიხეილ ჯავახიშვილი და: ექიმს უნდა ვკითხოო, — ჩაუნიშნავს.

მართლაც საეჭვოა. წამის წინ გონს მოსულ ადამიანს რომ პირი აუკრა, შეიძლება ისევ დაკარგოს გონება, თანაც საბოლოოდ და სამიდღემჩიოდ.

ექიმს შეეკითხა თუ არა, ამაზე არაფერს წერს.

შარვაშიძის გვარის ჩემი მეგობარი ექიმი, ლექსს განდობილი დავით შარვაშიძე მეუბნება — კლინიკური სიკვდილი ხუთი წუთი გრძელდება, მას მერე ან სიცოცხლე იმარჯ-

ვებს, ან სიკვდილი, უნდა ვიფიქროთ (ვიფიქროთ კი არა, ასეა) მრენველის ცოლი ცოცხალი დამარხეს. სულ მცირე სამი რამაა სიცოცხლისთვის აუცილებელი — ჰაერი, „მიცვალებულის“ სუნთქვითი ცენტრი უნდა მუშაობდეს, ე.ი. სუნთქავდეს და გული უცემდეს. სამედიცინოდან ერთ-ერთის გამოორიციხვა ადრე თუ გვიან ბიოლოგიურ სიკვდილს იწვევს.

მრენველის ცოლის შემთხვევაში სამარეში ჰაერი ყოფილა და ამის გამოისობით სუნთქავდა და გულიც მუშაობდა.

და კიდევ — მიმეორებს ბატონი დავითი, — შეიძლება სუნთქავდეს, გულიც უცემდეს, მაგრამ თუ ჟანგბადი არ იქნა, სიკვდილი გარდაუვალია.

მრენველის ცოლს გული, სავარაუდოდ, დუნეზე დუნედ უცემდა, სუნთქვითაც შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც სუნთქავდა, ვერც ერთი შეამჩნიეს, ვერც მეორე და დამარხვამდე და დამარხული ისეთ პირობებში ჰყავდათ, რომ სადღაცადან ჰაერი მიეწოდებოდა.

— გული ჯერ რომ გაჩერდეს და მერე ამუშავდეს?!

— ხომ გითხარი, გულის გაჩერებიდან ხუთ წუთში ბიოლოგიური სიკვდილი დგება, ასევე ხდება სუნთქვის შეჩერებისას: შენი ამბავი რომ ვიცი, მრენველის ცოლისთვის სახელიც გექნება შერჩეული?!

— აქსანა დაფუძახოთ.

— აქსანა სუნთქავდა, მისი გული ფეთქავდა, მოკლედ, სუნთქვისა და გულის რეგულაცია დუნედ, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა.

— ტერმინებისა და უცხო სიტყვების გარეშე ჯობია, აქამდე ყველაფერი გავიგე.

— ძალიან კარგი, აქსანა კაი სახელია.

— რა ვიცი.

ტაშკენტის მახლობლად, საკურორტო დაბა ბრიჩმულასთან ახლო სოფელში მოხდა ეს ამბავი, — წერდა ლევან ამყოლაძე თავის მოგონებებში.

ერთ ოჯახში თექვსმეტი წლის გოგონა გარდაცვლილა და მუსლიმანთა წესისამებრ (მზის ჩასვლის მერე გარდაცვლილს მზის ამოსვლამდე და მზის ამოსვლის მერე მკვდარს მზის ჩასვლამდე რომ მარხავენ) დაუკრძალავთ. ისევ მათი წესისამებრ — ღრმა ორმო ამოუთხრიათ, მერე მასში იმხელა გვირაბი, დამჯდარი ადამიანი რომ დატეულიყო, გამოუჭრიათ და მიცვალებული ხელში ტირიფის ჯოხით, დამჯდარი ჩაუსვენებიათ. სამარისთვის წინიდან ტირიფის ტოტები მიუყუდებიათ და თავისუფალი ადგილები მინით ამოუვსიათ.

სასაფლაო სასოფლო საბჭოს ახლოს ყოფილა, რომლის დარაჯს შუალამისას ტირილი შემოესმა თურმე. მიაყურადა, მიყვა ტირილის ხმას და მიხვდა, ახალდამარხული გოგონას სამაროდან მოისმოდა კივილი.

დარაჯი დასახმარებლად მეზობლებთან გაქცეულა — უარი უთქვამთ — გოგონა ალაჰმა წაიყვანაო. მშობლებთან მივარდნილა, იმათაც უარით გამოუსტუმრებიათ — ჩვენი შვილი უკვე ალაჰს ეკუთვნისო.

რა უნდა ექნა დარაჯს, მარტოკას, ღამით? დალოდება გამთენიისხანს, გაუთხრია საფლავი და ამოუყვანია სალსალამათი გოგონა, საბჭოში შეუყვანია, წყალი დაუღვინებია, მოუსულიერებია. მერე თანამშრომლებიც მოსულან, რომელთაც ძლივს დაურწმუნებიათ მშობლები, რომ შვილი შინ წაეყვანათ.

გადარჩენილი ნაჯიბა უმშვენიერესი, კარგი მეოჯახე და იშვიათი მოსაუბრე ყოფილა, მაგრამ მშობლების გარდა, ხმას არავინ სცემდა თურმე — „თვლიდნენ, იმდენად ცუდი იყო, ღმერთმა დაიწუნა და უკან გამოაგზავნაო“. მასთან არავინ მეგობრობდა, გათხოვებდასა და ოჯახის შექმნაზე, როგორც ალაჰისგან დანუნებულზე, ლაპარაკიც ზედმეტია.

უმით რომანალაოლლუს მონათხრობით, გარდაცვლილ მენაღე შუქრის ოსმაფლავებდნენ, სუნთქვა დაუწყია და გონებაც დაბრუნებია. მესაფლავე არ დაბნეულა, დასამარხად გამზადებული კაცი მინიდან ამოუყვანია, ქარყინვისაგან აკანკალებულს ზენარი შემოხსნა და პალტო შემოაცვა თურმე.

კაცი მოკვდა, გაასვენეს. მისი სულის საცხონებლად გაკეთებული ჰაღვა ქუჩაში ხალხს დაურეგეს და ოჯახში ჭირისუფლებს ფლავის ჭამა დამთავრებულიც არ ჰქონდათ, მენაღე ცოცხალი რომ გამოეცხადათ.

მენაღე შუქრის თავისიანები, ნაჯიბასაგან განსხვავებით, ალაჰისგან დანუნებულად არ თვლიან. იგი იქით ამუნათებს შინაურებს:



მხატვარი თამარ მინაშვილი

ცოცხალს რად მმარხავდითო, — ეუბნება და მეორე დღესვე თავის საქმეს — მენაღეობას აგრძელებს.

მთხრობელი დაინახავს სახარაზო ჯიხურში დაბრუნებულ გარდაცვლილ მენაღეს, ბუნებრივია, შეეშინდება და „შუქრი გაცოცხლდა, შუქრი მობრუნდას“ ძახილით მოკურცხლავს შინისაკენ.

„იმერულ ესკიზებში“ მკვდრის ვითომ გაცოცხლების გათამაშებით იქმნება კომიკური ეფექტი. პოლიკარპე ბაბუას იმდენს იტირებს და ითავცემებს ერთი კაცი, რომ ცუდად გახდება, გვერდით ოთახში ტახტზე ნამოანწვენენ და, ბუზებმა არ შეანუხოსო, თეთრ ზენარს გადააფარებენ.

ერთ ჭირისუფალ ქალს ოთახი შეეშლება, იქ შევა, სადაც მომტირალია ნამონოლილი და თეთრზენარგადაფარებულის ნამოდგომისთანავე ატეხს ყვირილს: მიცვალებული ადგა, მიცვალებული ადგაო.

ჭირისუფლები მოკურცხლავენ. არავინ კითხულობს, მართლა ადგა თუ არა მიცვალებული პოლიკარპე, გარბიან, მარა, რას გარბიან. მომტირალსაც გაცოცხლებული მკვდრის შიში მიაბრუნინებს. იმათ ეს პოლიკარპე ჰგონიათ და: მოგვედევსო, — გაიძახიან.

დავით კლდიაშვილის მიქელა კალმახიძის მეხისგან ვითომ სიკვდილი და მერე წმინდანობა სხვაა, აქ სიკვდილი და მერე გაცოცხლება კი არა, სიკვდილის გათამაშება ხდება.

მიხეილ ჯავახიშვილის ჩანანერს მივუბრუნდეთ.

მრენველი და მისი ცოლი, სავარაუდოდ, მუსლიმანები უნდა ყოფილიყვნენ. მათი დამარხვის წესი, კერძოდ ის, რომ ადრე მარხავენ, მკვდრის გაცოცხლების მეტ საშუალებას იძლევა.

ეს მოთხრობა ჩაერთოს „მაღაზია ყველაფერში“ — წერდა. მოთხრობა რაში უნდა ჩართულიყო, ალბათ, უფრო დიდტანიან ნაწარმოებში, რომელსაც ეს სახელწოდება ექნებოდა, ან „მაღაზია ყველაფერში“ აგროვებდა თხზულებებს საინტერესო ტიპებზე.

„მაღაზია ყველაფერის“ დასახელებით იწყებს ამ ჩანანერსაც:

„მაღაზია ყველაფერი“ გრიბოდოვის მხლებელი ოთარ ქო-ბულაშვილი თავრიზს იყო. ქალი ჰყავდა ნინო. იქაურ მუშტიდს შეუყვარდა. ნინო ტფილისს ჩამოვიდა. მუშტიედი მოჰყვა. ნინოს მტკვრის ნაპირას უყვარდა სეირნობა. უცებ მოკვდა. მუშტიედიმ გარემო იყიდა და ბალი ქალაქს შესწირა. მუშტიედი დაარქვეს“.

მიხეილ ჯავახიშვილი, ეტყობა, ჩაფიქრებული თხზულები-სათვის გამორჩეული სიყვარულის ამბებითაც ინტერესდებო-და. ნინოსადმი მუშტიედის ტროფობა საარაკოა, ზღაპარს უფ-რო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. ნინოს უეცარმა გარდაცვა-ლებამ წერტილი დაუსვა ამ ზღაპარს და მუშტიედიმ მის სახ-სოვრად ბალი შეიძინა და ქალაქს აჩუქა.

უნდა ვიფიქროთ, მრენველისა და მისი ცოლის სიყვარუ-ლიც ზღვარს გადასულად წარმოედგინა. ან, როგორც წერდა, სხვანაირად დატრიალებაც შეიძლებაო, ქალი იმასთან მიყავ-და, ვისაც გიჟურად უყვარდა. ასეთი ჩანაწერიც გაუკეთებია:

„ყველაფერი“ (იხ. მოპასანი ტ. VI, გვ. 358,9) სურათი, მამა, მისი ქალი, ქმარი და მეორე ქმარი. ქალს თითი აქვს მოჭრილი, კუბო.“ ესეც მოპასანის თხზულებისა და მიხეილ ჯავახიშვი-ლის ფანტაზიის ნახავია, უფრო სწორად, მოპასანის ამბავთან ავალიანისგან თითის მოჭრის ეპიზოდია შერწყმული.

გი დე მოპასანის 1884 წელს დაწერილ ერთ ნოველას „საფ-ლავი“ ჰქვია და მასში ასეთი ამბავია მოთხრობილი: 1883 წლის 17 ივლისის ღამის სამის ნახევარზე (მოპასანური სიზუსტეა) ბე-ზერის სასაფლაოს ყარაული ვენსანი ძაღლის გადარეულმა ყე-ფამ გააღვიძა. მოკლედ მოეჭრათ, ერთ-ერთ საფლავთან მოჭია-ტე სინათლე შეამჩნია, იქ მისულს საოცარი სურათი დახვდა: ვი-ლაც ახალგაზრდა კაცს იმ დღეებში გარდაცვლილი ახალგაზრ-და ქალის საფლავი გაუთხრია და მიცვალებული ამოუსვენებია.

ვენსანმა დამნაშავე პოლიციას ჩააბარა. იგი საკმაოდ მდი-დარი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა ადვოკატი კურბატაილი აღმოჩნდა.

საფლავის მთხრელი გაასამართლეს. პროკურორის საბ-რალდებო სიტყვის გასრულებისთანავე დარბაზში ყვიროდნენ: დამნაშავე სიკვდილს, უცილობელ სიკვდილს იმსახურებსო.

ბრალდებული თვითონ იცავდა თავსო, — წერს მოპასანი, — საუბარი ხალხის ყვირილში ნელა, წყნარად დაიწყო, მაგრამ თანდათან მისმა ხმამ სიმტკიცე და სიმედგრე შეიძინაო.

ყვებოდა, როგორ უყვარდა ის, ვისი საფლავიც გათხარა, როგორ შეხვდნენ, როგორ იგრძნეს, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი. ერთ დღეს მდინარის ნაპირზე დიდხანს სე-ირნობდნენ. წვიმაში დასველდნენ, გოგონას ფილტვების ან-თება დაემართა და გარდაიცვალა.

კურბატაილისათვის ამის წარმოდგენა შეუძლებელი გახ-ლდათ. ვერაფრით შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ გოგონას ვე-ლარასდროს ნახავდა. ამიტომ გადაწყვიტა, გაეთხარა საფლავი, რათა ერთხელ კიდევ შეეხედა საყვარელი ადამიანისთვის. გათხარა და იქ გალურჯებული, გამხდარი, საშინლად დამა-ხინჯებული, ფერდაკარგული მისი სატრფო იხილა. მაინც გა-დანწყვიტა თმაზე შეხებოდა, მაგრამ ამ დროს სტაცეს ხელი.

სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო კურბატაილი.

სავარაუდოდ, ამ ნოველას გულისხმობდა მიხეილ ჯავა-ხიშვილი, უბის ნიგნაკის ჩანაწერს ფრაზით: მოპასანს აქვსო, — რომ აბოლოვებდა.

* * *

ავალიანს 1935 წლის ჩანაწერებშივე მეორედაც ახსენებს: „იმვე ავალიანმა ქუთაისში დაიჭირა ორი ნათესავი სტუ-დენტი რუსეთიდან სოფელში მიმავალი. ძალით წაიყვანა და ხუთი დღე აქეიფა. ფანტასტიური ტიპია“.

ფულიანი ავალიანისათვის შეიძლება ზრდილობის გამო შე-ეკადრებინათ რუსეთიდან მომავალ სტუდენტებს უარი, თორემ ძალიანაც ესაიამოვნებოდათ, ფანტასტიურ ტიპთან მოლხენა და დროსტარება. მე შენ გეტყვი, ფული შემოაკლდებოდა ნაკა-ტორღალსა და მოთამაშეს. ქუთაისში რომ დაიჭირა ორი ნათე-

სავი სტუდენტი და თვითონაც აქაური (ყოველ შემთხვევაში ამ ქალაქში დასახლებულ-დამკვიდრებული) უნდა ყოფილიყო.

ავალიანები ხელებს ასავსავებენ, ნაკატორღალი, მოთამა-შე, მითუმეტეს, საფლავის გამძარცველი არავინ ვიცით, მიხე-ილ ჯავახიშვილს გვარი ხომ არ ეწლებო.

ვითომ?!

ჩვენ რასაც ვფიქრობთ, საეგებოა, მაგრამ უფრო სარწ-მუნოს აღმოჩენამდე ეს ვინწმუნოთ.

1897 წელს თბილისის სასამართლოს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ჯვარისაში მცხოვრებ პორფირი ავალიანის, პოლიციე-ლის მოკვლის განზრახვა რომ ბრალდებოდა, საქმე განუხილავს.

პორფირს დის ქორნილის გამო სოფელში მიეჩქარებოდა თურმე, მაგრამ ნასვლამდე, ავჭალის ქუჩაზე, მადერის ლუდ-ხანაში გადაუწყვეტია დის გაბედნიერების აღნიშვნა.

ლუდხანაში ღამის სამ საათზე, როცა კანონით ქეიფი და ღრე-ობა იკრძალებოდა, პოლიციელები სალტიკოვი და დაროგოკუშე-ცი (ამ გვარის კაცს რა ეპოლიციელებოდა?!) შესულან. ჯერ ხალ-ხისათვის მოუწოდებიათ, შეწყვიტეთ ქეიფიო, რომ არ შეისმინეს, მეარღვე გამოუყვანიათ და პოლიციაში მიყავდათ. ყველანი ეხვე-ნებოდნენ, ნუ წაიყვანთ, მაგის რა ბრალია, ჩვენ ვაიძულებთ არ-ღანი აწყვიპინოსო. ვერაფერს გამხდარან. მაშინ ავალიანს სალტი-კოვისთვის ხანჯალი დაუკრავს მუცელში და დაუჭრია. დამნაშა-ვე ავალიანი ბრალს არ აღიარებდა, სალტიკოვი უცაბედად დაფ-ჭერი, ისიც მაშინ, როცა პოლიციელმა ხმალი დამკრა თავშიო. გა-მოძიებას გაურკვევია, ხმალი მას კი არა, დაროგოკუშეცს უთხ-ლებია ავალიანისათვის, ხანჯალი რომ გაეგდო ხელიდან.

ბრალმდებელ რიბინს განუცხადებია, კანონით ღამის სამ საათზე აკრძალულია ქეიფი. მოქეიფებმა ლუდხანაში ღრეო-ბა მაშინაც არ შეწყვიტეს, როცა პოლიციელებმა დაშლისა და დასრულებისაკენ მოუწოდეს, მეარღვეც არ გაატანეს. მონმე-ები ამბობენ, ავალიანი ძალიან მთვრალი არ იყო, ე.ი. კარგად გრძნობდა ხანჯლის მუცელში ტაკებას რაც მოყვებოდა.

ყველას ჩვენებით დასტურდება, რომ დამნაშავეა და 15-20 წლით გააციმბირეთო.

ავალიანის ადვოკატ დრაგენვიჩს უთქვამს — კაცი დის ქორნილში აპირებდა ნასვლას, პოლიციელის მოკვლის განზ-რახვა საიდან უნდა ჰქონოდაო. უფრო ისაა სარწმუნო, ჯერ სალტიკოვმა ხეთქა თავში ხმალი და გამწარებულმა ავალიან-მა ამიტომაც ატაკა მუცელში ხანჯალიო. და კიდევ, ხომ ხე-დავთ, ბრალდებული ნაკლებად განვითარებულიაო.

ამ ფანდს, ანუ ნაკლებად განვითარებულობას, იმ დროში დამნაშავენი ხშირად მიმართავდნენ, ხშირადაც უმართლებდათ.

ეტყობა, პორფირ ავალიანმაც ეს გზა აირჩია, დანაშაულის აულიარებლობა და ის, რაც სასამართლოზე თქვა, უფრო მის განვითარებულობაზე მეტყველებს. არაფერში სცდებოდა, უპატრონოც არ უნდა ყოფილიყო, ვეკილი დაიჭირავა, რო-მელმაც კარგად დაარია, დარიგებასაც მშვენივრად ასრუ-ლებდა. ამიტომაც იყო, 15-20 წელი ექვსამდე რომ შეუმცირეს.

გაციმბირებას ვერ ასცდა, მაგრამ სად ოცი და სად ექვსი?! მერე ამ პორფირ ავალიანის კვალი არსად ჩანს. დაპატიმრებისას ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, 25 წლისა, რომ ვივარაუდოთ, იმ დროს მიხეილ ჯავახიშვილს რომ შეხვდა, სამოციას იქნებოდა.

პორფირ ავალიანისა და იმ ავალიანის, ციმბირში მრენვე-ლის ცოლის საფლავი რომ გათხარა, იგივეობა საეგებოა-მეთქი, დავწერე ზემოთ.

არ მინდა, ეს კაცი ანუ ავალიანი დაიკარგოს, ჯერ მარტო ის რად ღირს, მიხეილ ჯავახიშვილს ფანტასტიურ ტიპად რომ ესახებოდა. მის ფანტასტიურობაში დასარწმუნებლად სხვა ამბების ცოდნაცაა საჭირო, მიხეილ ჯავახიშვილს რომ ეცო-დინებოდა და ჩვენ არ ვიცით, იქნებ ამ პუბლიკაციის მერე მა-ინც გამოგვეხმაუროს ვინმე ავალიანი ან არაავალიანი.

მკვდარიც რა ხშირად გაცოცხლებულა, სულაც არასდ-როს. ავალიანის შემთხვევით კი საიქიოსკენ პირშექცეული სააქაოს დაუბრუნდა.



თამაზ ბარჯაძე ქართველ პოეტთა საშუალო თაობის ერთი საინტერესო წარმომადგენელია, რომელსაც შეეძლოა ენდო, რადგან სიღინჯე, თავმდაბლობა, უპრეტენზიოობა, რითაც ის უთუოდ გამოირჩევა, მისი ბუნებითი თვისებებიც არის და პოეტური სიმნიფის ნიშანიც და სწორედ ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ჰკარნახობს, იყოს ისეთი, როგორც არის, როგორსაც ვიცნობთ, როგორსაც ვაფასებთ.

იგი ქართული ტრადიციული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და დამფასებელია. კარგად აქვს შესწავლილი წინამორბედი პოეტების გამოცდილება და თავს სტუმრად სულაც არ გრძნობს კონვენციური ლექსის ჭეშმარიტად საინტერესო და მრავალფეროვან სამყაროში.

პროფესიით მათემატიკოსია და ეს ფაქტორიც თავისებურად ვლინდება მის პოეტურ ხასიათში, გამოირჩევა აზროვნების სიზუსტით, სინათლითა და სიმწყობრით. ყურადღებას აქცევს შინაგანი ჰარმონიის პრინციპს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეთიკურ და ესთეტიკურ სანყისთა თანმიმდევრულ განაზრებებში იჩენს თავს.

მკაცრია თემების შერჩევაში. წერს მხოლოდ იმაზე, რაც იცის, რაც უნახავს, რაც განუცდია. გამოგონილი, ყალბი ფანტაზიით შექმნილი მასთან არაფერია, ყველაფერი ნამდვილია, ბუნებრივია, სიცოცხლით სუნთქავს.

თხემით ტერფამდე ლირიკოსია. მცირე სალექსო ფორმა ყველაზე კარგად გამოხატავს მის პოეტურ შესაძლებლობებს, ხასიათს, მრწამსს.

ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე, ამიტომ კარგად ხედავს ზეცას.

ცხოვრების მთავარ იდეოლოგიად სიკეთე მიაჩნია.

ტრადიცია მისთვის ყველაფერია. მემკვიდრეობითობის მინიერ ენერჯიას ისე შეიგრძნობს, როგორც ანტეოსი დედის ალერსს. მშობლიური იმერეთის ნოსტალგიური სურათ-ხატები არის თამაზ ბარჯაძის შემოქმედების მთავარი წყარო, თუმცა არც სხვა თემების მიმართ არის გულგრილი. ლექსის წერის ტექნიკას კარგად ფლობს და სათქმელს იოლად უძებნის შესაბამის ფორმას. ამ მხრივ ის ნამდვილი კონვენციონალისტია.

თამაზ ბარჯაძე

იბერეთი. შენი ეზო-კარი

ეზოში ჯირკი, სამფეხა სკამი,
ნაღდი, გამოთლილი ცულისტარი...
გაქვავებული დიდებული წამი
სალამოს ძლივს რომ მივუსწარი.

ორშიმო ჭურისთავთან ჰკიდია ლურსმანზე,
იქვე — სასმისები ორი — სამი
და რითმა, როგორც არაყი უზმოზე,
როგორც გამოცდილი მოისარი,

ერთი თვალის ჩაკვრით ფიქრს ურტყამს ათიანში,
ნაკადულმაც თითქოს ახლა წაიმღერა;
გაჩერდა წამი და გაჩერდა მატთან —
თავშლად მოგეხვია ცა იმხელა,

ო, მერე გენახათ ვარსკვლავთა რიალი,
ყველას რო თავშალზე უნდოდა თამაში
და მომდევს ფეხდაფეხ იმ წამის წკრიალი,
როგორც ჩაფრენილი მემკვიდრე ქამარში.

მივემგზავრები თანდათანობით...

მივემგზავრები თანდათანობით,
ყურში ჩამესმის ხმები ქარების...
თავის შექცევა მხიბლავს გალობით
და ჩუმად, სადღაც მივექანები...

ციხის ნაშალი მომდევნ ქვები
და სცვივით ხავსი, როგორც ვარდები,
ეს მერამდენე სიკვდილით ვკვდები,
ეს მერამდენედ მე ვიბადები...

და ვუჭვრეტ ჭადრის ფოთოლთა სიცილს,-
შეყვარებული გულების ფართხალს...
და შემოდგომის კოცონზე იწვის
ჩემი ლექსები სამოთხის ბალთან...

მიდის ზამთარი — სევდისთვალემა,
ცივი, უტყვი და სანდო ყველაზე,
მომიკაკუნეს კარზე ვალემა
და შემაცივდა სიტყვა ენაზე.

და ლექსი, როგორც წინილა კვერცხში
ბორგავს და ნისკარტს შეამსხვრევს სივრცეს...
წყვილი ხარი და მეურმე ხვნემით
მინასთან ჭიდილს სიმღერით იწყებს!..

და იბადება ხნულში მარცვალი,
სულში ლექსი და კვერცხში წინილა,
და გენიოსებს უხმობს ნაცარი,
ბუხრის კვამლში რომ გამოიძინა...

* * *

სულში ნიკოტინით ჩაეფინა დარდი,
შენ რომ არ გეგონა, მაშინაც ჩანდი...
რატომ იზრდება ლელისპირს ია? —
ერთად კეკლუცობენ, ერთად იცინიან...
იას შეცივდება, წყალი ათბობს,
ლეღე კეთილია, ყვავილი — სათნო!

მუხას ქარიშხალი ახვევია

მუხას ქარიშხალი ახვევია,
რალას დააკლებს მუმლი? —
კივის ბოლო ხმაზე, ღრიალებს,
წრიალებს,დავლურს უვლის.

ფესვმაგარია და ძვალუტეხი,
უნახავს ბევრი ჭილყვავი,
მიდი და ჯიბრში ჩაუდექი,
თუნდაც ქარიშხალი იყავი...

მუმლი გაქრება და მუხა გადარჩება —
კალთას დაიბერტყავს ნაომარი...
ურჩიეს სიჯიუტის გადაჩვევა —
ის კვლავ მშვიდია და საოცარი.

* * *

ეს გაზაფხული —
მოფრენა და უცებ გაფრენა,
მაინც:
ტკივილი,
სიყვარული,
ცრემლი — სამფერა...
მარტოობა და ყვავილობა —
ღრუბლით დაღობობა...
თხილის ბუჩქებში შემალული
ჩემი ბაღლობა...
მაინც მზისა და მთვარის გაყრა
დაის — სისხამით...
და ხნულში თესლის გაღივება
თბილი ისხარით...
ეს გაზაფხული —
მოფრენა და ისევ გაფრენა,
მაინც:
ტკივილი,
სიყვარული,
ცრემლი — სამფერა...

**ჩემი სუნთქვა —
ზურგის ქარად**

ჩემი სუნთქვა — ზურგის ქარად,
ჩემი ცრემლი — მინის სიღბოდ,
და მზე, როგორც დედო-ზარი
ანდა დედის კალთის სითბო...

სიყვარული — გულის წამლად,
ია-ია — თვალის ჩინად...
ღრუბელს ჰკითხეთ (მე რომ წავალ)
ქვეყნად რისთვის გამაჩინა?..

შენ რომ ტირი, ნეკნი მტკიცა
და შენს გამო უფალს ვმადლი,
მთვარის ტოტზე ჩუმად ვზივარ,
მეფერება მთვარე ბადრი.

მე გაფრენას ახლა ვსწავლობ
და ჩიტები იცინიან,
გაზაფხული ისე გალობს
თითქოს სულ არ მიძინია.

მკიბედ, მღუმარედ

დილა ჰგავს თვალებს, რომელსაც ახელ,
თენდება მშვიდად კოფოზე ურმის...
თვლების ქრიალი ჩემს დარდებს ამხელს
და მეუბნება: ენდობი ნურვის.

ჩამოდის ფიფქი და ღრუბლის ზღაპარს
მიყვება, მაგრამ ფანჯრის გარედან;
ჩვეულებრივად ციმციმებს ლამპა,
როგორც დუმილი ძველ სამარესთან...

ცას ვეხები და ვშორდები ღამეს
და შენი სუნთქვაც აქვია, ახლოს;

ცას ვეხები და ვშორდები ღამეს
და ღამეს ხელი არავინ ახლოს!..

მე კი, ღრუბელი ერთ გუნდად მყოფნის,
დედამინამდე შორია, ვიცი
და დარდი — გულის კრიალა ობი
შენამდე მოჰყავს ფიფქების სიცილს...

ლამპის სხივებით ვლამბავ სტრიქონებს,
ბუხარი ფერებს კედლებზე ფანტავს,
რავი, შენს გარდა ვინ მომიგონებს,
მძიმედ, მღუმარედ ეშვება ფარდა!!!

**ჩემს დისპვილიზმს,
პატარა თამო ცერცვაქს**

ვაზის ტოტით კიბეს დანნავ
ღრუბლებიდან მინამდე,
ანი, ალბათ, მთებსაც დასძრავ,
ომი უკვე ისწავლე;
ალგეთამდე ფეხით ახვალ,
ცვარს და მინდორს გასცურავ,
ვეფხის ტყავზე გაშლი სამხარს,
ტორით ყურძენს დანურავ.
დევის სადგისით შეაშინებ,
მტერს-ბილიკებს აურევ,
სახარებით გაზრდი შვილებს,
ზეცას აახმაურებ...
ვაზის ტოტით კიბეს დანნავ
ღრუბლებიდან მინამდე,
ანი, ალბათ, მთებსაც დასძრავ,
ომი უკვე ისწავლე.

გაითბეთ სისხლი

გულო, იგულე!
სულო, იშფოთე!..
ცრემლი შეაშრე მამულის კალთას...
მახვილო, რასაც უნდა იქმოდე
მიუნვდომელი ოცნების ბადალს..

აქ სხვანაირად
ვთბები და მცივა,
მზე თითქოს ქართლში ჩამოატარეს...
და როგორც ცრემლი,
მეპკურა წვიმა...
და როგორც წვიმა,
მეპკურა ცრემლი...
გაითბეთ გული, —
სამშობლოს სცივა!
გაითბეთ სისხლი, —
სამშობლოს სცივა!
მოვივლი ცხრა მთას,
მაინც აქ მოვალ,
სხვა სივრცე
მამულს ვერ შევადარე!!!
ისე ლამაზად
მოვიდა თოვა,
ვეხები ფიფქებს
პატარ-პატარებს...

ჩამოატარეს მზე თითქოს ქართლში,
ლაყვარდის ურმით და ჟრუანტელით...
და ცვარი, როგორც ცრემლები ბავშვის
და წმინდა, როგორც თოვლის ფანტელი,

ეპკურებოდა მამულის კალთას,
ვით დილის ღვითქი
და ცის კისკისი...
შორს საქართველოს
წარსული სჩანდა,
სხვა მთვარის ჩასვლა
და მზის გიზგიზი.

**ანგარიშსწორების ნიშნაკი 1943წ.
ჩანაწერი: თანამდებობა-მბურღავი**

მამას

ობოლი ბიჭი-მინის მბურღავი,
სტრიქონებით გაჰყავს გვირაბი...
ლექსი მარდი და ფიქრი უღრანი,
მთა-ანეული ზეცის პირამდი...

თანამდებობა მისი-მბურღავი,
ტორტმანებს მინის გული, მფეთქავი,
სტრიქონს ჩამოქნის, რითმა უყვავის-
მისი ფარი და მისი ბეგთარი...

ბურღავდა, მაგრამ გულს არ აცლიდა,
ითმენდა მინა და პატიობდა.
დარახტულ რითმებს ოფლით მარცვლიდა,
აქ იყო, ცაში არ ადიოდა...

ის დედამინის გულისთქმას ხმოზდა,
თანამდებობით- მინას ბურღავდა.
სიყვარულისთვის ბრძოლაში მოკვდა,
რადგან სიცოცხლე ასე უყვარდა.

* * *

როგორც ტომარა საძილე-
დაპატარავდა სივრცე...
ჩიტებიც ბევრი ვაციხე,
მთვარემ თვალელები ჭყიტა...
და ჩვენ ორს შორის მანძილი
იყო ბევრიც და ცოტაც,
ჩემი ტომარა საძილე
შენით სულ სავსე მქონდა...

იცხოვრა ისე

იცხოვრე ისე,
როგორც გსურს დაწერო ლექსი ;
ნუ გაექცევი,
თორემ ნილაბს დაგიმსხვრევს დილა.
ყვავილებს შენსას
დაუჭკნება ფაქიზი ფესვი
და გულის ცრემლებს
მოინატრებს თვალელები წყვილად.

იცხოვრე ისე,
სიყვარულმა სულში გათოვოს,
თორემ შურს ისეც
დიდებულად აგისხნის საბა.
მთვარის სითბომ და
მზის სიგრილემ არ მიგატოვოს,
მართალი გულით
უდარაჯე სიცოცხლის ლამპარს.

ეს სახლი ახლა მარტო შენია

ეს სახლი ახლა მარტო შენია,
სადაც ოდესღაც მეც ვეტიოდი,
მივდივარ. (ვხედავ, ჩემი ჯერია)
ძველი დარდით და ძველი ჩემოდნით.

შენ სხვა ბილიკით მიხვალ კარამდე,
ძველს-ბალახი და ხავსი მოედო.
მწამდა: ბოლომდე დაგიფარავდი,
მწამდა სიტყვების: „ჩემო პოეტო“ !

ცას ეტოლება ჩემი სანთელი;
ხედავ, ნიავმა ფრთა ვერ ასწია...
მსუბუქი, როგორც თოვლის ფანტელი
ღანვებს გიგრილებს ლექსი პანია.

ჩვენ შორის ჩადგა ღრუბელი ლურჯი,
სავსე წვიმების ნაზი ეკლებით;
ცარიელია აპრილის ქუჩა,
სადაც ვხვდებოდით დიდი ხნის წინათ.
ხედავ, ღრუბელი ლივლივებს ლურჯად
და ისევ ეკლებს ილესავს წვიმა...

ეს სახლი ახლა მარტო შენია,
და როცა ზღურბლთან ცრემლი იელვებს,
სუნთქვა, რომელიც გადაგრჩენია
შეაზანზარებს სიცარიელეს...

მოდის ჭოროხი

მოდის ჭოროხი სისხამ სიზმრებით
და ჯილეებში მალავს ბარათებს...
მთვარე კი-უხმოდ და დამიზნებით
მთის კენწეროდან ამოანათებს.

კეთილი მწყემსი მოიგდებს კომბალს,
ცვარს მიმოაბნევს სიზმრის კენჭებად,
მთვარისგულივით იელი ქორფა
ფიქრის სარკმელში შემოეჭრება...

და სანამ სიო არ არის ქარი,
სანამ ლილინი არ მოგანატრეს,
ილება კარი, შემოდის ქალი,
შემოდის, მაგრამ ველარ ანათებს...

შემოდის დილა, დამფრთხალი დილა,
ნისლი მანურა მზეს მოყოლილი
და ცაზე მშვიდად, და ცაზე თბილად
ინვა ღრუბელი დევის ცოლივით.



მოგესალმები, ძმად როსტომ!
როგორ ხარ? მართალია დიდი ხანია არ მინახიხარ, მაგრამ ხშირად გესაუბრები, როცა ტელევიზორში გხვდავ, ან შენ წიგნებს ვკითხულობ. რამდენი დრო გასულა მას შემდეგ, რაც ერთ მერხზე ვისხედით, მე და შენ. კარგი იყო ბავშვობა...

ახალგაზრდობაში, ჯარში სამსახურის დროს, დავინყე ლექსების წერა, შემდეგ ზოგიერთ ლექსზე სიმღერაც დავწერე. ჯერ მარტო ვმღეროდი, შემდეგ ჩემი ძმა და ბიძაშვილი შემომიერთდნენ, შემდეგ მეგობრები (ჩვენი კლასელები: ზურა, ზაზა, ბესო, მალხაზი...), ახლა უკვე ჩემი შვილები და დისშვილები მღერიან და ვართ ასე — ხან ვკითხულობთ, ხან ვმღერით, როცა თავისუფალი დრო გვაქვს. ბოლო წლებში ბიჭები სულ მეუბნებოდნენ, შენთვის მეწვევებიანა ჩემი ნაწერები, მე კი მერიდებოდა. ადვილი საქმე ნამდვილად არ არის, შენისთანა ავტორიტეტთან საკუთარი ლექსების მიტანა. მაგრამ ისე ძალიან მაინტერესებს შენი აზრი, გადავწყვიტე გამოგიგზავნო. დანარჩენი შენ იცი, თუ ჩათვლი, რომ არ ღირს სხვებმაც წაკითხონ, ადექი და ბუხარში შეუკეთე, ან კიდევ უკეთეს გეტყვი, შევიკრიბოთ კლასელები ჩემთან და ერთად შევუძახოთ ბუხარში (გავთბებით მაინც).

ბავშვობაში, გასხოვს, ხშირად მეუბნებოდი აკაკი წერეთლის სიტყვებს: „წერე, წერე, ჩემო კურჩო, მტერს ესროლე ისარიო...“ აჰა, ბატონო, დავწერე...

ბიოგრაფიაო, მეუბნები, და ესეც ჩემი მოკლე ბიოგრაფია.

დავიბადე 1959 წლის 5 დეკემბერს, თბილისში. 1966-76 წლებში ვსწავლობდი მე-14 საშუალო სკოლაში. წარჩინებული სწავლისთვის დამაჯილდოვეს ოქროს მედლით. 1976-81 წლებში ვსწავლობდი სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1981-83 წლებში ვმსახურობდი ე.წ. საბჭოთა არმიის რიგებში. 1983-89 წლებში ვმუშაობდი სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციაში. 1989 წლი-

დან დღემდე მაქვს საკუთარი ბიზნესი. ვარ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი სამედიცინო ფირმისა „მედიკა“ და შპს-ის „მ.გ. ჯგუფი“. მყავს მუღლვე (ნინო) და ორი შვილი (ხათუნა და ზურა), სიძე (გიორგი), რძალი (ნეკო) და სამი შვილიშვილი (ოთარი, დარი და მარია).

მურად მორჩიშვილი

* * *

ვზივარ...
ვერთობი ჩემთვის.
ხან ვწერ...
და ხანაც ვმღერი.
ალარავინ მყავს გვერდით,
არც მოძმე, ალარც მტერი.
წუთისოფელი ბრუნავს,
დღეს
ლამე მოსდევს ბნელი.
როდის შევხვდებით კიდევ?
ვწუხვარ...
ვფიქრობ...
და გელი...

* * *

სასტუმრო „ოაზისი“ ...
აივანი...
შავი ზღვა...
მზის სხივი...
დილა...
რა კარგი ყოფილა, საამური,
როცა სიყვარულით
გული გტკივა.

* * *

ნეტავ რას ფიქრობ? რას ელი?
რისთვის გამზადებს ბუნება,
ამ წუთისოფლის ანბანი
ნეტავი სად გეგულება?

* * *

მე მემამბოხე სული მაქვს,
ალბათ ამიტომ არი —
სადაც არ სურთ, რომ შემომვან,
მსურს შევამტვრიო კარი.

მე სიყვარულის სული მაქვს,
ალბათ ამიტომ არი —

სად სილამაზე შემხვდება,
იქით მიბერავს ქარი.

მე ხომ ამაყი სული მაქვს,
ალბათ ამიტომ არი —
სადაც კაცური სიტყვა ვთქვი,
წამს მომისიეს ჯარი.

მე ძაან თბილი გული მაქვს,
ალბათ ამიტომ არი —
რაც უნდა ძლიერ მატკინონ,
ვცდილობ არ დამრჩეს კვალი.

* * *

დაულალავად,
რამდენმა წელმა გაიარა
დაუნახავად.
და შემობრუნდა, დატრიალდა
წალმა ბორბალი,
გათენდა დილა, ამობრწყინდა
მზე საოცარი,
ვზივარ სარკესთან, გარეთ ისმის
ცისკრის ზარები,
ვფიქრობ აწმყოზე და მომავალს
არ ვემალეები.

* * *

ლამე მოდის და იღვიძებს
ქარიშხლების გენია,
ასეთი რამ არც მინახავს
და არც მომისმენია.
თუ რამ ნატვრა გქონდა გულში,
აგიხდება ამ ღამეს,
ცაში იფრენ არწივებთან,
ბარში ნახავ სავანეს.
გადასცურავ ოკეანეს,
გადაიფრენ მთა-ბარებს,
იგრძნობ სივრცეს უნაპიროს,
შენს გულს რომ გაახარებს.
შეერთდები სამყაროსთან

და მე მაინც მგონია,
მიხვდები, რომ
ყველაფერი
მე არ მომიგონია.

* * *

ერთი პატარა კაცი ვარ,
ჩემი პატარა ფიქრებით,
სენის ნაპირებს მივყვები
და დიდ სიყვარულს გპირდებით.

მიყვარს პატარა ქეიფი,
პატარა ჭიქით დავთვრები,
პატარა ლექსს წავიკითხავთ
და დიდი გულით გაგყვებით.

* * *

ჩემს ლექსებსაც გადაედოთ ჩემი დარდი,
გული კვნესის, სატკივარი არ რჩება,
ლექსი ტირის, არ თენდება
გრძელი ღამე,
ჭრაქი ბჟუტავს, სადაცაა ჩაქრება.

ნეტავ როდის დაბრუნდება გაზაფხული,
რომ ამქვეყნად დავიბადო თავიდან,
რომ ცხოვრება, უფერულად
წარმართული,
უხმაუროდ, სადღაც ურცხვად წავიდა.

რახანია ჩემი გული ველარ თბება
და იმედის ნაპერწკალიც გამიქრა,
დაიძინა ძველი ფარდა, ჩამოიხა,
სასწაული თურმე ქვეყნად არ ხდება.

* * *

ლექსი დავწერე, ვიფიქრე,
გულს მომეშვება დარდიო.
არადა ველარ გავიგე,
სიზმარია თუ ცხადიო.

რუსუდან ბოლქვაძე

ჩემი „მეზალე“

სტუდენტობის უმძიმეს (ამ სიტყვაზე მისი ყველა მოწაფე დამეთანხმება) წლებში, ქალბატონმა ლილიმ იცოდა ხოლმე — გაგილიმებდა, თვალებს მოჭუტავდა და ოდნავი ნიშნისმოგებით, კეთილგანწყობისა და შეუბრალებლობის ვირტუოზულად გაზავებული ინტონაციით იტყოდა: „არტიტობა არაა ადვილი!“

მთელი სიმძიმე და სიმწარე ამ ფრაზისა თვითონვე გვაგვამა ოთხი წლის განმავლობაში, მომთვინიერებლის სიმკაცრითა და ლმობიერებით...

პირველი ჯგუფური ეტიუდი გვექონდა — „ყვავილების ბაღი“... ანუ, ყვავილებს ვთამაშობდით, ყველა სხვადასხვა... ვიბადებდით, ვიფურჩქნებოდით, მზეს შევხაროდით, პეპლებსა და ფუტკრებს ვეთამაშებოდით... მერე ქარი დაუბერავდა. ზოგი გადარჩებოდა, ზოგი — ვერა. მოვიდოდა მეზალე, ისევე ფეხზე დადგომაში გვეხმარებოდა, გვრწყავდა, გვივლიდა... მუსიკა ჟღერდა ფონად — „პერ გიუნტი“...

ლამაზი იყო ეს ყველაფერი, სიყვარულით და სიკეთით სავსე... ოღონდაც, ამ სილამაზის მისაღწევად შრომით დაგვალა და ცოტათი გვანვალა კიდევ... ახლა მგონია, რომ ის ეტიუდი, თეატრში ჩვენი ცხოვრების მოდელი იყო, თითქოს ცხოვრების პირველი რეპეტიცია გაგვატარა და გზაც დაგვილოცა... „საგზაოდ“ კი პანანინა ბარათები გვერგო, თავისი ხელით გამოჭრილი, ზედ გრიმით დახატული ყვავილებითა და ფერადი მძივებით შემკული, სხავადასხვა ტექსტით, ვისთვისაც რას თვლიდა საჭიროდ... ჩემს ბარათზე ეწერა: „ჩვენი ბაღის გაზაფხულის ჯერ გაუშლელი კვირტო! ჯანსაღად იხარე, ლამაზად უჭკნობად იყვავილე, რომ დიდხანს ჰფენდე ირგვლივ სურნელსა და მშვენიერებას.“ იქვე იყო მიწანერი: „შენი მეზალე — ლილი იოსელიანი“.

პირველი სპექტაკლის წინ კი, დილიდან რომ „სისხლი გაგვიშრო“ და სულ რაღაც ოცნუთიანი შესვენების მერე პრემიერა გვათამაშა, საგრიმიორო მაგიდებზე კვლავ სამახსოვრო ბარათები დაგვახვდნენ. აი, ჩემი ბარათის ტექსტი: „გინდა ეს თუ არა, ეს დღე სამუდამოდ დარჩება შენს მესხიერებაში“

რალა თქმა უნდა, ასეც მოხდა.

და არა მარტო ის დღე! .. თავად ქალბატონი ლილი დარჩა სამუდამოდ ჩემს გონებაში, ცხოვრებაში, სულში.. მენანება ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება არ განუცდია, განსაკუთრებით ახალგაზრდები.. მათ ხომ ყველაზე მეტად სჭირდებათ დღეს ზნეობის, ღირსების, პროფესიონალიზმის, თავმდაბლობის, ადამიანის სიყვარულის მაგალითი! ოღონდაც ამ მაგალითს იგი საკუთარი ქცევით გვაძლევს, სიტყვებით — არასოდეს! მისი მკაცრი და გამჭოლი მზერა საოცარ სითბოს და სიყვარულს იტევს (როგორ ახერხებს!!)

სიტყვა კი... ოო, სიტყვის მიმართ მისი დამოკიდებულება სრულიად განსაკუთრებულია! ის სიტყვის ქალია, სიტყვის დამცველი, სიტყვის პატრონი, სიტყვის საქმედ გადამქცეველი.. მხოლოდ მას შეუძლია, მსახიობთან ერთად საათობით ეალერსოს (ბევრს ეს „ახირებულები კირკიტი“ ჰგონია) თითოეულ სიტყვას და იქიდან, როგორც ფუტკარმა ნექტარი, ამოიღოს მისი ნამდვილი არსი, დაფარული გრძნობები, ადამიანის მთელი ცხოვრება... თვითონაც საუბრისას დიდი სიფრთხილით არჩევს სიტყვებს, ეძებს, ამონებს, მერე სულს ჩაჰბერავს და, როგორც მუსიკოსი, ისე ამოთქვამს, ფაქიზად, პატივისცემით... სულ რამდენიმე „საქებარი“ სიტყვა მახსოვს მასთან ურთიერთობის ორმოცი წლის მანძილზე, „ძუნადა“ თქმული, მაგრამ ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ამ „ქებას“ შეესწრო, პრემიერის შემდგომ წვეულებაზე, არც აცია, არც აცხელა და შამპანური პირდაპირ თავზე გადაამასხა — „ეს ფრაზა უნდა აღინიშნოს“...

ფრაზად მოეჩვენა ერთადერთი სიტყვა!

გასაოცარია მისი მოსმენის უნარი. საუბრით არასოდეს დაგლღის, თვითონ კი არასოდეს დაიღლება შენი მოსმენით ... შეგიძლია ელაპარაკო, მოუყვე ყველაფერი.. ის თანაგიგრძნობს, გისმენს



ლილი იოსელიანი და რუსუდან ბოლქვაძე

მთელი არსებით, გულისყურით და „ყურის გულით“ (გულს თუ აქვს ყური, ყურსაც აქვს გულიო, — ამბობს ხოლმე ხუმრობით), რადგანაც ადამიანი მისთვის ყველაზე ძვირი ფასეულობაა და ადამიანის სამსახური მისი უპირველესი მოვალეობაა — ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც.

ერთხელ, ლენინგრადში საგასტროლო მოგზაურობისას, გიორგი ტოვსტონოგოვს შევხვდი — მის მასწავლებელს, რომელსაც უდიდეს პატივს სცემს და ეთაყვანება. მოკრძალებით შევხვდეთ, ლილი იოსელიანის მოწაფე ვარ-მეთქი... უცებ თვალები გაუნათდა, მომიბრუნდა, გამიღიმა და გულში ჩამიკრა.. მერე ასევე მიხუტებულს ზემოდან დამხედა და შეთქმულებს რომ აქვთ, ისეთი ტონით, ქართულად მკითხა: „როგორ არის ლილი, არ იცვლება? არ თმობს პრინციპებს?“

დიახ, არ თმობს! მისი პრინციპია — გაამართლოს ადამიანი, ეძებოს მის ნებისმიერ საქციელში სიკეთის თესლი, არასოდეს თქვას მასზე ძვირი, თუნდაც ეკუთვნოდეს... ასე ექცევა ადამიანებს, რეალურსაც და პერსონაჟებსაც, ამას ქადაგებს მოწაფეებთან.

ინსტიტუტს რომ ვამთავრებდით, ბოლო დღეს, დაგვსხა (ოთხნილა დავრჩით, ვინც „გავუძელით“) და გვითხრა: „როდესაც სუფთა, მთის მდინარე ზღვაში ჩაედინება, იმ ადგილას ფერს იცვლის ზღვა.. რაც უფრო სუფთა და ძლიერია მდინარის წყალი, მით დიდ კვალს ტოვებს, ვიდრე ბოლომდე შეერევა... თქვენ ახლა უნდა შესცუროთ საოცარ ზღვაში, რასაც თეატრში ცხოვრება ქვია. იქ ტალღებია, ქარიშხალიც, მზის ბევრი ჩასვლა და ამოსვლა.. მე ცურვა გასწავლეთ, დანარჩენი თქვენზეა... გისურვებთ, იმ სუფთა მდინარესავით, რაც შეიძლება დიდხანს აჩნდეს ზღვას თქვენი კვალი.“

თავიდან, თეატრში რომ მივედი, ჯერ კიდევ უცხო გარემოში თავს უხერხულად ვგრძნობდი. პირველ დღეს, რეპეტიციის შემდეგ, ქალბატონ ლილისთან მივირბინე — ძალიან მომინდა მენახა, თანაც ძალიან მერიდებოდა — ის ხომ ძალიან „მკაცრი“ იყო... იქ მისულს სრულიად სხვა ადამიანი შემრჩა ხელში, საოცრად თბილი, მოსიყვარულე და „მინაური“. ჩუმად მისმენდა და თვალები უცმინციმებდა...

ვიგრძენი რომ დაინყო რალაც ახალი ჩვენს ურთიერთობაში — ჩვენ დავმეგობრდით!

თურმე ტონინო გუერას უთქვამს ერთხელ ანტონიონიზე — უალრესად დახვენილი გემოვნების ადამიანმა ისეთი ჩაცმა იცოდა, ვერც შეამჩნევდი, და თუ შეამჩნევდი, თვალს ვერ მოსწყვეტდიო. ყველაფერი ნამდვილი და დახვენილი ხომ ასეა — მშვიდად არსებობს, თავის საქმეს ჩუმად აკეთებს და ყურადღებას არ იქცევს. თუ ღმერთმა მოგცა თვალი და ყური — დაინახავ და შენვე ივსები...

ასეთია ქალბატონი ლილი, ჩემი მასწავლებელი, მოძღვა-რი, განძი, ძლიერი და სიფრიფანა, თავგანირული და ბევრ-

ჯერ განირული, მიმტევებელი, „მოსამართლე და მოწყალე“, „სიყალბის მიწად დამაქცეველი“, და ჩემი „მებაღე“ — ლილი იოსელიანი!

P.S. ეს წერილი ქალბატონი ლილის საიუბილეოდ დავ-წერე... მაშინ 90 წელი უსრულდებოდა... არასოდეს მიფიქ-რია, რომ ოდესმე შეიძლებოდა მასზე წარსულ დროში წე-რა. მეგონა, სულ იქნებოდა. თუმცა ასეცაა: ის არის! ის ჩემს სინდისად იქცა, და მე ვზრუნავ მასზე. ვალდებული ვარ ვიზრუნო იმაზე, ვინც „მომათვინიერა“...

ვასილ კიკნაძე

დაბურულ ნისლში გამონათება

როსტომ ჩხეიძის ყოველი წერილი იმდენ ასოციაციას აღ-ძრავს, რომ გაოცებული ვარ, როდის დააგროვა ამდენი ცოდნა ამ ახალგაზრდა კაცმა (ჩემთან შედარებით). საიდან მიიღო ასე დი-დი ცხოვრებისეული გამოცდილება!..

ქართულ ოჯახებში ფართოდ არის გავრცელებული, — ჩემი შვილი ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციაო...

ტყუილი მითია. ნიჭი არ მოასვენებს ადამიანს და ათასგვარ ფორმაში გამოანათებს, მაგრამ მის მოვლასა და განვითარებას დი-დი ჭკუა უნდა. თუ ნიჭიერებასა და ჭკუას ნებისყოფა და თანმიმდევ-რული შრომის უნარი უდევს საფუძვლად, შედეგი მუდამ დიდია.

გენიალური რეჟისორი სანდრო ახმეტელი ქართული ხასია-თის თავისებურებას რომ იკვლევდა, წერდა: „ჩვენ ზარმაცები კი არა, არაორგანიზებული ხალხი ვართ. ჩვენი პიროვნება გაორებულია, ნებისყოფა პარალიზებული გვაქვს“. მხოლოდ ცალკეულ „ბედქუდიანებს“ შეუძლიათ მიაღწიონ ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის ჰარმონიზაციას. მისი აზრით, მთავა-რია „მტკიცე ხასიათი, შეურყეველი ძლიერი ნებისყოფა, აზრთა და ფიქრთა მოკრება, — გაერთიანების უნარი, ენერჯია“.

სწორედ ამ თვისებებით არის დაჯილდოებული როსტომ ჩხეიძე. ამიტომ დანერგა ამდენი ენციკლოპედიური მრავალმზ-რიობით გამორჩეული ტომეულები.

ეკა ბუჯიაშვილის მრავალმხრივ საინტერესო წერილის „ძალიან ქართული სევდა“ („ჩვენი მწერლობა“. 17. IV. 2015) ბოლო სტრიქონებმა ჩემში ათასგვარი ასოციაციები აღძრა. წელთა დაღმართზე დაშვებამ ასოციაციური აზროვნების მო-ძალეობაც იცის. ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება რას არ გამოანათებს მოგონებათა დაბურულ ნისლში.

ამ დღეში ვარ მეც...

ეკა ბუჯიაშვილის წერილიდან გავიგე, რომ როსტომ ჩხეი-ძეს ჩემთვის ერთობ საყურადღებო რამ უთქვამს: „სხვათა შო-რის, გიორგი შატბერაშვილიც მასხოვს და სიმონ ჩიქოვანი-ცო“... თავის ბავშვობისდროინდელ დაბადების დღეს გაიხსე-ნებს, როცა სუფრას გიორგი შატბერაშვილი უძღვებოდა და ეს სადღეგრძელო დაელა: მიწდა ის ადამიანი ვადღეგრძელო, ვინც პირველი წავა ჩვენგანო. დალევით დალევდნენ, მაგრამ... შეძრწუნდებოდნენ სუფრის წევრები, რამ მოაფიქრა ესო...

ამ სტრიქონებმა ჩვენი სამეგობროს ქეიფების ამბავი გა-მასხენა. მაშინ გიორგი შატბერაშვილის სადღეგრძელო ფოლ-კლორივით იყო გავრცელებული თბილისში.

სტუდენტობის წლებში ლხინის დროს, როცა შევჭიკჭიკებო-დით, „ქართული სევდა“ ჩვენც მოგვეძალეობდა და ადრე წამსე-ლელის სადღეგრძელოს ჩვენც ესვამდით. თითქოს რაღაც გამორ-ჩეულ უპირატესობას ვანიჭებდით, ჩვენი ქართული რომანტიკუ-

ლი სევდის ბურანში ვხვევდით. ერთხანს მეგონა, რომ ისე არავის არ უყვარს გარდაცვლილი ადამიანი, როგორც ქართველებს. მთე-ლი რიტუალებია მასთან დაკავშირებული. ალბათ შემთხვევითი არ არის ხალხში გავრცელებული აზრი (სოფელში კი ასე იყო!) — გარდაცვლილზე ცუდს არ ამბობენო. ამ აზრის გამო მე და კოტე მახარაძე ხშირად ვკამათობდით. მე მუდამ „ქართული სევდით“ ვახსენებდი გარდაცვლილს, კოტე კი ამბობდა: რას იგონებთ, სი-ცოცხლეში თახსირი იყო და რომ მოკვდა, გამოსწორდაო?..

„ქართული სევდის“ რომანტიკა ბევრჯერ განმიცდია. სევე-და კი სულ უფრო და უფრო ღრმავდება, თუ ავიყოლია...

სულ უფრო და უფრო გამძაფრება კი, ასე მეგონია, ნაღდი ქართული ფენომენია...

ისევე სანდრო ახმეტელის ახალგაზრდული წლების ნააზრევს მოვიშველიებ. ახმეტელისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერა-ნი“ ქართული ხასიათის გენიალური მეტაფორა იყო. „თვით მეო-სანი, მერანზე მჯდომი, ქართველი „მეა“ — მხედარი თვით ქართ-ველია, ქართველი ნებადაკარგული, ნებამოკლული. მხედარი — ქართველი, არათუ არ ლამობს მერანის შეკავებას, შეჩერებას, პი-რიქით, შეგნებულად ალიზიანებს, ააღმასებს მას შავი ყორანი, თავს არ ანებებს მხედარს და მერანს თვალღწვედნელ სიორციემი საზარელი ხმით დასწავის. „მერანი“ ჩვენი ტრაგედიაა... ქართ-ველს დამოუკიდებელი თავისუფლება მოუსპეს. ეს უბედურება ქართველებს მინიერი შემოქმედების უნარს უსპობს, უსაქართვე-ლო ქართველ კაცს მთელი სულიერი ლტოლვა მერნად ქცევია“.

ვრცელა „ქართული სევდის“ სამყარო, რადგან „მთელი ჩვენი ისტორია ტრაგედიაა პატარა საქართველოსი. ქართვე-ლი შვილია ტრაგედიისა!“ — ასკვნის ახმეტელი.

ნასულების სადღეგრძელო იმიერი და ამიერი ქართველე-ბის კვლავ გამთლიანების სურვილია. ქართველი ადვილად ვერ ეგუება ადამიანის სიკვდილს ანუ არარაობად ქცევას და მას გარდაცვალებას, ანუ მხოლოდ ფერისცვალებას იმედის რწმენით ანათებს.

ფერისცვალება კი ღვთაებრივი აქტია!..

რაც ღვთაებრივია — მარადიულია!..

ფიქრი უსაზღვროა და რას არ იფიქრებს ადამიანი. გიორ-გი შატბერაშვილმა თავის ერთ-ერთ პიესას „ფიქრის გორა“ უწოდა, რომელიც დიდმა რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა დადგა მარჯანიშვილის თეატრში ზუსტად 70 წლის წინათ, 1945 წლის 27 აპრილს. 1963 წელს პიესების კრებული გამოს-ცა და მარჯუა „მეგობრული გულით გჩუქნიო“. მართლაც მე-გობრული ურთიერთობა გვქონდა.

„ფიქრის გორა“ რომ დაიდგა, იმ დროს ფაშიზმის ბოროტე-ბასთან ბრძოლის დრამატული ეპოქა იყო. ამ დროს, ისტორიის ამ ურთულეს ჟამს მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან ისმოდა პი-ესის ერთ-ერთი გმირი ქალისადმი მიძღვნილი სიტყვები: „მის წი-ნამე დგას მალალი გორა განსაცდელისა და ფიქრისა. დიას, ფიქ-რის გორა მის წინ აღმართულა! ის ყოველდღიურად გულისტკი-ვილითა და სიყვარულით უახლოვდება მას, შესცქერის, ქვეყნის ჭრილობები სანატრელი ვაჟის ჭრილობებად მიანჩნია, ცდილობს მალამო უპოვოს მათ. ჩვენი ქვეყნის გამარჯვებაში სანატრელი ვაჟის გადარჩენას ხედავს, ელის, თავისი შრომითა და გულისცე-

მით აჩქარებს გამარჯვებას. ის შხამისგან სწმენდს ჰაერს, მასში ჩვენი ერის შეურყენელი ზნეობა ბობოქრობს, მსხვერპლიო? თუ ის მსხვერპლია, თუ ის განწირულია, მაშ, ჩვენს დავლუპულვართ, საქართველოც დალუპულა და ხსნა აღარსაით ყოფილა”...

ადვილი იყო სცენაზე ასე საუბარი ომის დროს?!

გიორგი შატბერაშვილის ნიჭი პირველად სანდრო ახმეტელმა შენიშნა, იგრძნო სულიერი სიახლოვე. „დუშმანი“ 1933 წელს, ახალი წლის წინა ღამეს, 31 დეკემბერს დაიდგა. არც ეს იყო შემთხვევითი. 23 წლის ახალგაზრდის პიესა იდგმება რუსთაველის თეატრში და გენიალური რეჟისორი მას ალექსანდრე ბატონიშვილის თემაზე ესაუბრებოდა და უნდოდა მისი სახელის გაცოცხლება თეატრში.

გიორგი შატბერაშვილმა პირველი ლექსი 15 წლისამ გამოაქვეყნა გაზეთ „მონაფის ხმაში“.

„დუშმანის“ დადგმიდან ორი წლის შემდეგ, გიორგი შატბერაშვილი პოლიტიკური ბრალდებით დაიჭირეს.

რალაც საბედისწერო იყო „დუშმანის“ დადგმის წელი. 1933 წელს დაიწყო სამინელი ტოტალური ცენზურის ეპოქა. გამოვიდა დადგენილება, რის საფუძველზეც თეატრებსა და საერთოდ იდეოლოგიის ყველა დარგზე უმკაცრესი ცენზურა დამყარდა. თეატრების რეპერტუარი დაიყო კატეგორიებად. გამოქვეყნდა პიესების სია, თუ რომელი პიესა რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა. ჯერ იყო ასე თუ ისე მოსათმენ პიესათა კატეგორია, სადაც იგულისხმებოდა გიორგი ერისთავისა და დავით კლდიაშვილის პიესები. ხოლო აკრძალული პიესების სიაში იყო დავით ერისთავის „სამშობლო“ და ალექსანდრე სუმბათაშვილის „ლალატი“, ანუ პატრიოტული თემა. შეწყდა ყოველგვარი ექსპერიმენტები ხელოვნებაში. გამეფდა სოციალიზმის დოქტრინა. ფართოდ გაეხსნა გზა პრემიულ, მაგრამ „იდეურ“, „აქტუალურ“ ნაწარმოებებს. ისტორიული ტრაგიკომიკური კუროზია, როცა სტალინის მხარდაჭერით ვინმე ნ. ფხაკაძეს პოემისათვის „შრომადღე“ რუსთაველის 750 წლისთავზე დიდი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული საიუბილეო ოქროს მედალი გადასცეს.

ნ. ფხაკაძე პოემაში წერს: „**შრომადღის ენით ლაპარაკობენ, კავანოვიჩი, ჩვენი ბერია, დიდი მოსავლის დღეს მით ამკობენ, მხარე შრომადღის მაღლიერია. ჩვენს სტალინს, ჩვენს ცეკას ვადიდებთ, ვერთაგულობთ, ერთად ვშრომობთ, ერთად ვცეკვავთ, ერთად ვმხიარულობთ**“.

აი, ამ სტრიქონების ავტორს მისცეს რუსთაველის საიუბილეო მედალი. აქედან ნათელი უნდა იყოს, თუ რა ისტორიულ პოლიტიკურ ფონზე უხდებოდათ ფიქრი სანდრო ახმეტელსა და გიორგი შატბერაშვილს სცენაზე ეხილათ პატრიოტ ალექსანდრე ბატონიშვილის სახე.

მაშინ რა იცოდნენ სანდრო ახმეტელმა და გიორგი შატბერაშვილმა, რომ ლავრენტის ბერიას 1933 წელს უკვე დაგეგმილი ჰქონდა სანდრო ახმეტელისა და მის თანამოაზრეთა განადგურების ფართო მასშტაბური გეგმა. ამ გეგმაში მოიაზრებოდა „დუშმანის“ ავტორიც. როგორც ვთქვი, 1935-36 წლებში შატბერაშვილი რეპრესირებული იყო, გადაასახლეს ალმა-ატაში.

ასეთი ბიოგრაფიის კაცს შეეხვედოდა რუსთაველის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ ჩემი მუშაობის დროს, თუმცა მაშინ არ ვიცოდი მისი დრამატული ბიოგრაფიის პერიპეტეიები. გიორგი იყო განწინასწორებული, დინჯი მოსაუბრე. თითქოს მიიკონყეს მისი „დუშმანიც“ და სანდრო ახმეტელთან ურთიერთობაც, რადგან თვით ახმეტელის სახელის ხსენებასაც ერიდებოდნენ ერთხანს რეაბილიტაციის შემდეგაც კი. დიდი იყო შიშის სინდრომის ინერციის ძალა. მე ახმეტელზე ხუთი წინი და ათობით სტატია მაქვს გამოქვეყნებული. რა ბრძოლები არ გადამხდა, მაგრამ აღარ გავაგრძელებ საუბარს. ერთ-ერთი ამბავი კი მუდამ მასსოვს და ძვირფასს მოგონებად დამრჩა, როცა გიორგიმ ტკბილი სიტყვებით ნამახალისა ახმეტელის შემოქმედების მხარდაჭერის გამო.

რთული ბიოგრაფია ჰქონდა გიორგი შატბერაშვილის შესანიშნავ მოთხრობას „მკვდრის მზეს“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა.



გიორგი შატბერაშვილი

1964 წელს, სრულიად მოულოდნელად, დღემდე არ ვიცი, რა მოხდა, მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს არჩილ ჩხარტიშვილი. საოცრად შეურაცხყოფილი იყო არჩილი. მასსოვს, მისი სულიერი მდგომარეობის შესამსუბუქებლად და თანადგომის მიზნით, მე, ნოდარ გურაბანიძემ, ალექო შალუტაშვილმა და თენგიზ ჯანელიძემ საქეიფოდ წავიყვანეთ. გაუხარდა, ხსოვნაში ღრმად ჩამრჩა მისი სიტყვები: ადამიანი მთელი ცხოვრება შრომობს, რომ სიბერეში პატივისცემის გარანტია ჰქონდეს, მე კი, უსინდისოდ, რეპეტიციიდან გამომიძახეს და მომხსნეს...

მართლაც, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზის“ რეპეტიციებს ატარებდა, როცა მთავარი რეჟისორის თანამდებობიდან მოხსნეს, თეატრიდან გაუშვეს. 30-იანი წლები რომ ყოფილიყო, ალბათ დაიჭერდნენ კიდევ. რატომ, რისთვის, როგორც ვთქვი, დღემდე არ ვიცი.

არჩილ ჩხარტიშვილი მოხსნეს და გიგა ლორთქიფანიძე დანიშნეს.

გიგა ლორთქიფანიძე ვაჟკაცურად მოიქცა. გააგრძელა „მკვდრის მზის“ რეპეტიციები. პრემიერა შედგა 1964 წლის 3 ოქტომბერს. საინტერესო იყო 1964-65 წლების სეზონი. პირველი პრემიერა იყო „მკვდრის მზე“. გიგამ აფიშაზე არ მიაწერა თავისი გვარი, როგორც დამდგმელი რეჟისორი, რადგან მუშაობა არჩილს ჰქონდა დაწყებული.

ასედაც დარჩა თეატრის ისტორიაში — რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი. სეზონის ახალი სპექტაკლი იყო ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ (ვახტანგ ქელიძის შესანიშნავი თარგმანით), დაიდგა ჯემალ ქარჩხაძის „დევაძეების ოჯახი“, კარელ ჩაპეკის „დედა“, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“, ჟან ანუის „ჟანა დ'არკი“, გრიგოლ აბაშიძის თარგმანით, და ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი?“

სადღეისოდ სანატრელი რეპერტუარია!..

ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი?“ დადგმიდან (11 ივნისი) 50 წელი სრულდება.

პიესის საიუბილეო თარიღია!..

60 წელი სრულდება გიორგი შატბერაშვილის პიესის „უცნობი ქალის“ დადგმიდან. პიესა მარჯანიშვილის თეატრში დადგა ვახტანგ ტაბლიაშვილმა 1955 წელს. გარდა „უცნობი ქალისა“, მარჯანიშვილის თეატრში ლევან შატბერაშვილმა დადგა ბ-ნი გიორგის „ძველი სახლი“ და „რკინის პერანგი“.

ასე რომ, გიორგი შატბერაშვილი ერთხანს „რეპერტუარული დრამატურგი“ იყო. მის პიესებში რეჟისორებიც გამოჩნდნენ და მსახიობებიც, მხატვრებიცა და კომპოზიტორებიც.

მთავარი იყო მართალი სიტყვა. გიორგი შატბერაშვილი კი ნამდვილი ოსტატი იყო მართალი სიტყვისა.

გიორგი ხახიაური

როგორ გააპარეს სეპსურებმა ალექსანდრე ბატონიშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლე მეფის შვილი) ყოფილ ქალაქჩიით გამარიდებულ ჯევისურეთ უფარებაზე იმას თავს აქ ყოფილ კარგასხანს. ქალაქჩი რუსებს არ უშვავ იმის დაჭერა ზღოობნივ.

იტყოდინან: — იმასთანავ შუა კაცებს ულენავავ ქისტეთითაცავ, ლეკჩიითაცავ, სხვაქინითაცავ, იუბნიანავ, იქნებ რუსებ როგორ გავყარათავ აქითავ.

მემრ ქალაქჩიითავ კაც ვინამ მავიდავ ჯორ-ცხენითავ, იმის ნასაყვანადავ, ბატონიშვილს იქ საქმე რაიმ გამასჩენივ.

იმ კაცს უთქომავ: არ ვიცევ როგორ ნავიყვანავ, ყველაგანავ საითაც კი გაისვლებავ რუსის ყარაულ დგასავ, შაუმონმებლადავ არ იქით უშობენავ და არც აქეთავ. მიაც ძლივს გამამიშვესავ, უთხარივ, ვაჭარ ვარივ, ფართალ მიმაქვავ ყველ-ერბოზე გადასაცვლელადავ. ცოტა სასმელ-საჭმელ მაქმონდავ ისიც იმათ მივეცივ, მებრ გამამიშვესავ

ბევრ ვიამბეთავ და მემრ მავიგონეთავ, შეშის ბარვ გავაკეთათავ, შუაჩი ბატონიშვილ მავაქციათავ და ისრ გავაპარათავ.

წავედითავ, ხუთ-ექვს კაც ჯევისურებ გავხყევითავ ბარვიან ცხენ-ჯორებითავ. რომ დავახლო-ვდითავ იმ ადგილსავ, სადაც ყარაულ ეყენავ, ტყე იყვავ. იქ შეშა-ფიჩხ მავაგროვეთავ, შუაჩი ბატონიშვილ მავაქციეთავ, ერთ შამძლე ჯევისურს ავხკიდეთავ და წავედითავ.

რომ მივედითავ, ბარვიანი და ზოგნ შორს დადგნესავ, ავხვებ-ჩავგხედესავ და მაშინავ ის გვეკითხესავ: სად მიზდითავ, ან ეს შეშა სად მივაქვთავ, რაად გინდათავ? ჩვენ ვუთხარითავ, რო დუშეთში მივდითავ ყველ-ერბო მიგვაქვათვ ფართალზე და ნავთ-მარილზე გადასაცვლელადავ, შეშაიც კი იმაღ გვეინდავ რომ დავვილამებავ ცეცხლ დავაგზათავ.

— შეშის მეტ რაივ არავგის ქალაზუდავ იმათ გვითხრესავ.

— სადაც დავვილამებავ, იქ იქნებ ტყე არ იყვასავ, მინდორ იყვასავ, შეშა სად ვიძიათავ.

— ფეხლადავ გრილ ლამეებიავ.

— ერთ რუს ძალიან გაფოთლავ დაინყავ ჯავრობაივ. რუსებს ქართველებიც ეტანნესავ და ერთ ქართველს ვკითხეთავ: — რაად ჯავრობსავ ეგივ.

— იმაად ჯავრობსავ, რო ამბობსავ, გადაყარანავ ეგ შეშანივ, მაშინ გაუშობავ, სხვაად არ გაუშობავ.

საუბარს რომ მასჩნესავ ის ქართველ მავიდავ ჩვენთანავ და გვითხრავ: — თქვენ კი არ გენყინასთავ და იმ რუსს ვუთხარივ: ჯევისურებივ ბრიყვ-მამაც ხალხიავ. რომ არ გაუშვნათავ შულს დავკინებენავ, სიკვდილსაც არ მაელრიდებენავ, გაუშვნათავ, ძლივ დავითანხმევ.

მემრ ყველას გვარ-სახელზე დაინერესავ და გაგვიშვენესავ.

რო წამავედით ერთ კაც უკვენ მალვით მაგყვებოდავ კარგა ხანსავ ალბათ იმის გასაგებად შეშის ბარვით სადამდე იდენენავ. მემრ ისიც დაიკარგავ.

კარგა გზა რომ გავიარეთავ ის შეშა საფარებით ჯევში გადავყარეთავ და უფრო ჩქარა წამავედითავ. ის ქალაქელ კაცი და ბატონიშვილი ქალაქჩი წავიდეს და ჩვენ კი იმ ლამეს მალაროჩი (სოფელია არავგის ქალაზუ), დავერჩითავ.

ჩაიწერე 1952 წლის აგვისტოში ს. ხახაბოში 80 წელს გადაცილებული ლეკო მინდიკაურისაგან

„მე აიეტის ეპოქაც მახსოვს“

(მაკაა ჯიბლაქის ესაუბრება გიორგი ხაინდრაძეს)

გოგა ხაინდრაძე დაიბადა 1956 წლის 7 ივლისს. რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე. 1979 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი. 1984 წელს — საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინემატოგრაფიის ფაკულტეტი. 1988 წლიდან თეატრალური ინსტიტუტის სახელოსნოს, 1991 წლიდან შემოქმედებით სახელოსნოს „ტმს“-ის გენერალური დირექტორი. 2004-დან 2006 წლამდე იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. გადაღებული აქვს ფილმები „რობინზონი-ადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „ავტოპორტრეტი“, „ოცნებების სასაფლაო“, ნამუშევარია ფილმებზე „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“, „ზარი“, „სიკეთის ტელეფონი“, „ნეილონის ნაძვის ხე“, ნიკიტა მიხალკოვთან ერთად — „შავი თვალები“, „ურგა“, ეს ფილმები მნიშვნელოვანი პრიზებით დაჯილდოვდა.

— თქვენ 59 წლისა ხართ, ცხოვრობთ ძალიან აქტიურად, გარდა თქვენი პროფესიისა, ბევრ საქმეში ხართ ჩართული, ერთი სიტყვით, ყველაფერს ასწრებთ, ასე მგონია, რაც ჩაფიქრებული გქონდათ, უკვე განახორციელეთ, დაგრჩათ რაიმე საოცნებო საქმე?

— მე მგონია, რომ ვერაფერიც ვერ მოვასწარი, თუმცა ვფიქრობ, ერთი კარგი ფილმი „ოცნებების სასაფლაო“ გადავიღე. სხვა ნამუშევრებიც მაქვს, მაგრამ ეს ფილმი დებიუტი იყო და საკმაო წარმატება ხვდა წილად. 24 ფესტივალი მოიარა. ტოკიო, სან ფრანცისკო, ნიუ იორკი, მაშინ 35 წლისა ვიყავი. მე თეატრალურზე 27 წლისამ ჩავაბარე. მანამდე ვგეოლოგობდი. ღრმად მჯერა, რომ კინოსთვის ვარ დაბადებული და ყველაზე კარგად ეს საქმე ვიცი. დიდი სირთულეები მქონდა. პირველად ვარ იმ ვითარებაში, როდესაც ფილმი შემიკვეთეს, სულ ჩემი სახსრებით და წვალებით ვიღებდი ყველაფერს. ორგანიზაციასა და ყველაფერზე მე ვფიქრობდი. შემოქმედებითად როცა მუშაობ, სხვა რამეზე ფიქრი არ შეიძლება, სულ ფულზე ვფიქრობდი. არასოდეს მქონდა შესაძლებლობა, მთლიანად პროცესში ჩავრთულიყავი, რაც დროს და ენერჯიას გართმევს, ეს ძირითად საქმეს აკლდება, ამან უარყოფითი კვალი დატოვა ყველა ჩემ ნამუშევარზე.

— გეოლოგიას დავუბრუნდით, რატომ არ გაყვეით ამ პროფესიას?

— გეოლოგიამ შემაყვარა კინო. სამი წლის მანძილზე თვეობით მივდიოდი სვანეთში ექსპედიციაზე, პირველად კინოზე აქ დავფიქრდი. მაშინ ჩამოყალიბებული არ მქონდა, საით წავიდოდი, თუმცა მთაში ყოფნა ძალიან მომწონდა. საოცარ ადგილას მოვხვდით, ზემოთ კარგი ამინდი იყო, ქვემოთ წვიმა და სოფელში ვერ ჩავდიოდით, ამიტომ ერთი კვრა ქვემოთ ჩასვლა ვერ შევძელით. გარშემო ჩანდა კავკასიონი, უშბა, თეთნულდი. თვალწარმტაც ბუნებაში მოვხვდი. მთელი დღე ან ვკითხულობდი ან ბუნებით ვტკებობდი. ექსპედიციას უამინდობის გამო ვერ ვაგრძელებდით. გადაღმა დურბინდში ვუყურებდი არწივთა ბუდეს და მათი ოჯახის ცხოვრებას ვაკვირდებოდი. ენით აუნერგელი ბუნება იყო. ვფიქრობდი, ღმერთმა საქართველოსთვის რა სილამაზე და სიდიადე გაიმეტა. იმხანად მამას ინფარქტი ჰქონდა და იწვა. მაშინ ვიფიქრე, კარგი იქნება ვისწავლო გადაღება და მამაჩემს ვანახო, და კიდევ რამდენი ადამიანი, ვინც ვერასოდეს ნახავს ამ სილამაზეს-მეთქი. მერე ავარიამი მოვეყვი, ერთი

თვე ტვინის შერყევით ვინეტი. გამოვკეთი და პირდაპირ ძველი კინოსტუდიის სასწავლო სტუდიაში მივედი. ბედმა გამიღიმა, მოვხვდი ერთ-ერთ გამორჩეულ დამდგმელ ოპერატორ და რეჟისორ ლევან პაატაშვილთან. საერთოდ უფალი ყოველთვის მფარავდა და დღემდე ასე გრძელდება, შეიძლება ამის ღირსი არც ვარ. ლევანი გამორჩეულია თავისი კინემატოგრაფიული ხედვითა და განათლებით. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, ჩვენ ვმეგობრობდით, წლების მანძილზე ხუთ ფილმზე ვიმუშავე. მისი კლასი დავამთავრე. საქართველოში მან შესანიშნავი სკოლა დატოვა. პირველ რიგში ცხოვრებული გიორგი ბერიძე, გამორჩენილი ოპერატორი. ლევანმა ორი თუ სამი ჯგუფი გამოუშვა. ჩვენი პროფესიის დაუფლებაში დიდი როლი ითამაშა. ჯერ თავისუფალ მსმენლად ვიყავი. სტუდიაში ოპერატორის ასისტენტად ვმუშაობდი, ფაქტობრივად კინოსთვის ყველა აუცილებელი პოზიცია გავიარე. მაშინ დავქორწინდი, ბავშვიც შემიძინა და გეოლოგიას დავანებე თავი.

— გოგა, თქვენ ბევრ ცნობილ რეჟისორთან გიმუშავიათ, მოგვიყვით მათზე.

— რეჟისურას და მონტაჟს ოთარ იოსელიანი და რეზო ესაძე მასწავლიდნენ. ელდარ შენგელიასთან „ცისფერ მთებზე“ ვიმუშავე. თემურ ბაბლოვანთან მომიწია მუშაობა და მასთან ურთიერთობამ ჩემზე დიდი კვალი დატოვა. ვფიქრობ, ორიგინალური აზროვნებით და ხედვით ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი კინორეჟისორია. მონტაჟის დიდოსტატია, მისგან ბევრი ვისწავლე. მერე ბედმა გამიღიმა და ნიკიტა მიხალკოვთან ვიმუშავე ფილმზე „შავი თვალები“. მთავარ როლს მარჩელო მასტროიანი თამაშობდა, აქ გავიცანი ცნობილი იტალიელი კინოოპერატორი ფრანკო დი ჯაკომო, ძმებ ტავიანებთან ერთად მუშაობდა, ბევრი ფილმი აქვს გადაღებული. ამ ფილმზე მუშაობამ ევროპულ კინოსა და სტილზე თვალები ამიხილა. იტალიური კინოსკოლა გამორჩეულია, ჩემი აზრით რეჟისორები ხომ ჰყავთ, მაგრამ შესანიშნავი ოპერატორებიც არანაკლები. ვიტორიო სტორარო, ბრაიენ დი პალმა, რომელი ერთი დავასახელო. ჩემთვის ეს დიდი სკოლა იყო. ნიკიტასთან კიდევ რამდენიმე ფილმზე ვიმუშავე და ცნობილ მსახიობებს შევხვდი. სერიოზული სკოლა გავიარე. ამან შექმნა წინაპირობა ჩამოყვალბებულებიყავი კარგ ხელოსნად. სკოლა ზრდის ხელოსნებს.

— თქვენ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდით, რა მიგაჩნიათ პრიორიტეტად ოპერატორის, რეჟისორის და საერთოდ ხელოვანის აღზრდაში?

— 17 წელი ვასწავლიდი თეატრალურ ინსტიტუტში. სამმა ჯგუფმა გაიარა ჩემ ხელში, ორი ჩემი და ერთი რეზო ჩხეიძის, მან ფილმის გადაღება დაიწყო და მე მისი ჯგუფს ვასწავლიდი. ბოლო ორი წელი ჩემთან სწავლობდნენ. ყოველთვის ასეთი დამოკიდებულება მქონდა, ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ ხელობა, ხელოვანი თვითონ უნდა გახდეს. ეს უკვე ნიჭია, მადლია, შრომა, შინაგანი სამყარო და განათლება, ყველაფერი ერთად. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემთვის საინტერესო რეჟისურა იყო, მაგრამ ჯერ საოპერატორო ხელოვნების შესწავლა რომ დავიწყებ, მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. კინო ვიზუალური ხელოვნებაა, როგორი ნიჭიერიც უნდა იყო, არსი უნდა გასმოდეს, პლასტიკა, ოპტიკური სამუშაოებანი იცოდეს. ძნელია, თუ არ იცი, განათება რა არის, კომპოზიცია, შუქი როგორ მიუმარჯვო, როგორ შექმნა გამოსახულება. გარშემო შენი აღქმა დაადო ამ ყველაფერს, სხვადასხვანაირი ცოდნა საჭირო. გამიმართლა, რომ ამ გზაზე ნიჭიერ ადამიანებს შევხვდი, გაა გერსამია დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუშაობდა. ლერი მისანაშვილისგან ბევრი რამ ვისწავლე, ღმერთმა აცხოვნოს მისი სული.



მაკა ჯობლაძე და გიორგი ხაინდრავა

მე კინოს არ ვყოფ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებად, ჩემთვის კინო კინოა. დოკუმენტური კინო შეიძლება იყოს მხატვრული და მხატვრული — დოკუმენტური. რომელ ხერხს იყენებ შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად, ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, როგორ ამოცანას ისახავ, რისი და რა ფორმით თქმა გასურს. დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუშაობამ დიდი გამოცდილება შემიძინა, რაც დიდ კინოში გამოვიყენე. ვფიქრობ, ეს ჩანს „ოცნებების სასაფლაოში“. დღემდე ჰგონიათ, რომ დოკუმენტური ფილმია. ამ დროს მხატვრული ხერხებითაა გადაღებული. ყველაფერი მსახიობებთან არის დაკავშირებული. პროფესიონალი მსახიობი ერთია. იმ ისტორიას ვყვებით, რომელიც მინდოდა მომიყოლა.

— ყველამ იცის, რომ რეზო ჩხეიძე ძალიან გიყვართ და დიდ პატივს სცემთ. კინოსტუდიაში გატარებულ წლებზე მოგვიყვით.

— იმხანად კინოში ძალიან ნიჭიერი ადამიანები მოღვაწეობდნენ, კინოსკოლა რეზო ჩხეიძემ შექმნა. ის რომ არ ყოფილიყო, ასეთი ძლიერი სკოლა არ იქნებოდა. სიახლე ცარიელ ადგილზე მოიგონა. თბილისში კინოსკოლა არ იყო. უამრავ ქართველს მისცა შესაძლებლობა, საკუთარი ნიჭი გამოემჟღავნებინა. ასეთი რამე აღარ განმეორდება. ჩვენ, სტუდენტებს, უნიკალური პირობები გვქონდა. ამაზე ვერ იოცნებდნენ ვერც ამერიკაში, საფრანგეთში, იტალიაში და ვერც ნამყვან კინოსკოლებში. ნებისმიერი ტექნიკა იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი, ოღონდ რამე გეჩვენებინა. სტუდენტურ ფილმებს ისეთივე პირობებში ვიღებდით, როგორც დიდი რეჟისორები. კინოკათედრა ბატონი რეზოს მოგონილია. დღესაც მისით ამყობს საქართველო. დღევანდელ კინოში ასე თუ ისე ყველა ამ სკოლის ნაწილია. ყველა პირობა იყო საკუთარი ოსტატობის დასახვეწად.

კინოსტუდიის კარი დღისითაც და ღამითაც ჩვენთვის ღია იყო. ვერავინ გვეუბნებოდა, ლაბორატორიაში არ შეიძლება, ან — სტუდენტი ხარ და არ შემოხვიდე პავილიონში. სადაც გვინდოდა, შევდიოდით და რასაც გვინდოდა, ვაკეთებდით, რაც პროფესიას ეხებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ატმოსფერო დამხვდა, არც ისე პატარა, 27 წლისა ვიყავი, ერთი ინსტიტუტი დამთავრებული მქონდა, უკვე ოჯახიც მყავდა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც მქონდა, ვმუშაობდი, მივხვდი რომ ცოტა დრო მაქვს, ჩემზე წინ არიან ამ პროფესიაში. მისაღები

გამოცდები ჩავაბარე და პირდაპირ მეოთხე კურსზე დამსვეს. მანამდე ლევანთან თავისუფალ მსმენელად ვიყავი, გარკვეულწილად ჩემ კურსელებს უნდა დავნეოდი და მოვახერხე კიდევ. ორ წელიწადში დავამთავრე. არავინ მაგრძნობინა, რომ მე თავიდან იქ არ ვსწავლობდი.

— იმხანად თეატრალურ ინსტიტუტში ბევრი შესანიშნავი პედაგოგი იყო, თქვენ ვის გაიხსენებთ?

— პრორექტორი ვასილ კიკნაძე, კათედრის გამგე გოგი დოლიძე, აღარაფერს ვამბობ რეზო ჩხეიძეზე. ეთერ გუგუშვილი — რექტორი. ყველა ხელს მინიჭებდა. ჩემი კურსელების მსგავსი უფლებები მქონდა. ამასობაში დოკუმენტური ფილმების სტუდიაში დავინწყე მუშაობა — ჯერ მესამე, მერე მეორე, შემდეგ პირველი კატეგორიის ასისტენტად, შემდეგ ოპერატორი გავხდი. ბევრ ფილმზე ვმუშაობდი, საერთოდ ძალიან ბევრს ვმუშაობდი. უკვე ნათელი იყო, ეს ჩემი პროფესია გახდებოდა. ორ წელიწადში მოვასწარი იმის სწავლა, რასაც სხვებმა დიდი დრო მოანდომეს. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომირებული ოპერატორი ვიყავი, სწავლა ლევანთან გავაგრძელე. ოპერატორი ვიყავი თემურ ბაბლოვანთან. „ცისფერი მთები“ გიორგის შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. რეზო ესაძის „ნეილონის ნაძვის ხე“, „რობინზონიად“ მთლიანად, ნაწილობრივ ნოდარ მანაგაძის ფილმზე, „იე, მაცელრო!“ ეს ერთ-ერთი გამორჩეული ფილმია, სამწუხაროდ, ადრე წავიდა ჩვენგან ორიგინალური ხედვით გამოირჩეოდა, ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო.

— საინტერესოა გზა გაიარეთ.

— დიდი გზა გავიარე, ბევრი ვისწავლე, სულ ვგრძნობდი, რომ დამოუკიდებლად შემეძლო ფილმის გადაღება, მაგრამ ვიცოდი, ასეთ ოსტატებთან ერთად მუშაობის საშუალება აღარ მექნებოდა. მერე ირაკლი შავლიაშვილთან ერთად რამდენიმე სადებიუტო ფილმი გადავიღე, მათ შორის „ზეიმი“. ანდრო ჭიაურელთან ერთად — მოკლემეტრაჟიანი „სიკეთის ტელეფონი“, გამორჩეული ფილმი იყო. ერთკვლე ბადურაშვილთან „ავტოპორტრეტი“. ფილმებს საერთოდ შავ-თეთრს ვიღებ. აქ გამოჩნდა, რომ ის ახალი ტალღა, რომელიც ლევანმა მოიყვანა, დათო შუშანია, კახა ხოშტარია, კახა ჭელიძე, ახალი ხედვითა და ახალი წყურვილით არიან აღვსილნი. გიორგი ბერიძემ უამრავი ლამაზი ფილმი გადაიღო, ჩვენს შორის გამორჩეული იყო, რაც, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ დამტკიცდა. დიდი პროფესიონალი დადგა. სამწუხაროდ, ძალიან ადრე წავიდა.

— გოგა, თქვენ ქართული კინოს კორიფეებთან მოგიწიათ ურთიერთობა და უბედნიერესი ადამიანი ხართ, ეს სახელები უკვე ისტორიაა.

— ჩემი სწავლების პირველი წლები სრულიად გამორჩეული იყო. ჩვენმა უფროსმა თაობამ ხელი შეგვიწყო. ნებისმიერ დროს შეგვეძლო გადავხვებოდით, ბუნებრივია, ინტრიგებიც იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ერთ დიდ ოჯახად ყოფნას. ოპერატორები ლომერ ახვლედიანი და რომელი ერთი ჩამოვთვალო, საერთოდ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ იყო გამორჩეული ურთიერთობებით. აქ ვხვდებოდით რეზო თაბუკაშვილს, რეზო ჭეიშვილს, თენგიზ აბულაძეს, რეზო კვესელავას, ლანა ლოლობერიძეს ნანა ჯანელიძეს, ნანა ჯორჯაძეს, ნანა მჭედლიძეს. ყველაზე კარგად რაც მახსოვს, სწორედ ურთიერთობაა, თბილი, გულწრფელი, ყველა ერთად უწყობდა ხელს ქართული კინოს განვითარებას. დიტო ცინცაძე, ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიონალი. ტატო კოტეტიშვილი, კაშკაშა ვარსკვლავი, ადრე წავიდა ჩვენგან. რუსეთში ალექო ცაბაძე გამორჩეული ხელწერით, უამრავი ნიჭიერი ადამიანი იყო... ფესტივალი არ ყოფილა, რომ ქართულ ფილმს არ გაემარჯვა. იმხანად ქართულ კინოსთან შეჯიბრება ძნელი იყო, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში

სრული კოლაფსი განვითარდა. ყოველთვის განსაკუთრებით მშურდა მუსიკოსების, მხატვრების, პოეტების, მათ შუქდღიათ საკუთარ ოთახში შექმნან ნაწარმოები, კინო დამოკიდებულია ჯგუფზე და სხვადასხვა ადამიანებისგან შედგება. ამავე დროს ძვირი სიამოვნებაა. „ოცნებების სასაფლაო“ მამუკა კიკალეიშვილის დახმარებით გადავიღე. მე და მამუკამ დავაარსეთ კინოსტუდია, მაგრამ ორი-სამი კაცის ახირება საკმარისი არ არის. მერე დიდი წყვეტა იყო ჩემ კარიერაში და თეატრალურმა ინსტიტუტმა გადაამარჩინა, სტუდენტებთან ვმუშაობდი, რომ არა ისინი, ადვილია პროფესიის მივიწყება. ჩემი მეგობარი გიგა ჩხეიძე ახლა გერმანიაში ცხოვრობს, ძალიან საინტერესო პიროვნება და რეჟისორია. მაია პლისიციკაიაზე ფილმს იღებდა და გვთხოვა, შენ და გიორგი მოსკოვში გამომყევითო. ეს სახელი და გვარი საკმარისი იყო ფილმზე მუშაობის სურვილისთვის. პირველ დღეს სავარჯიშო დარბაზში მივედი და საოცარი სურათი დაგვხვდა მაია პლისიციკაია 17 წლის გოგონებთან ერთად — როგორც დამწყები ბალერინა — საათნახვერის მანძილზე ისე ვარჯიშობდა. 65 წლისა ისე ცეკვავდა, 20 წლის გოგონები ვერ ცეკვავენ. ეს ყველაფერი მიზანმიმართული შრომის შედეგია. ყოველთვის ცდილობდი სტუდენტებისთვის ამეხსნა, რომ შრომის გარეშე ხელოვნება არ არსებობს, თავდაუზოგავი შრომის. ამის მაგალითი ბევრია. ლევან პაატაშვილმა იცოდა ასე, დღე და ღამე მოსვენება არ გვექნა, არ არსებობდა მისთვის არც წვიმა, არც ქარი. მთლიანად მუშაობაში იყო ჩართული. ამან დიდი კვალი დატოვა ჩემს ბიოგრაფიასა და შესაძლებლობაზე. დღესაც არ ვიცი, როგორ გადავიღეთ „ოცნებების სასაფლაო“-ს სამხედრო სცენები.

დარბაზში ფილმის ყურებისას რეზო ჩხეიძე მომიტრიალდა, დესანტის გადასხმის სცენაა, იმ წუთებში ბუნებრივად ჟღერდა კითხვა, რაც ჩემთვის, როგორც დამწყები რეჟისორისთვის, დიდი ქათინაური იყო. აფხაზებმა როგორ გადაგაღებინეს თავიო? აფხაზები რას გადაამაღებინებდნენ ან საერთოდ ბრძოლას როგორ გადავიწყობდი, დადგმული კადრი იყო. მეორე ასეთი ქათინაური იყო, სან ფრანცისკოს ფესტივალზე კაუფმანმა მითხრა — თავად ორჯერაა ნომინირებული ოსკარზე და მასაც დოკუმენტური კადრები აქვს გადაღებული — ფილმის ყურებისას დარბაზში დენტის სუნი იდგაო. სხვათა შორის ამ ფესტივალზე მე მოვიგე მთავარი პრიზი. მისი სურათიც იყო წარდგენილი და მისგან ეს დიდი კომპლიმენტი იყო. მართლაც ეს არის ფილმი, რომელსაც არ შერცხვება. ახალგაზრდა თაობისთვის საინტერესოა. კინოს დანიშნულებაა, გადმოსცე ეპოქა, ენერგეტიკა, იმ დროისთვის დამახასიათებელი პლასტიკა და ურთიერთობანი, თუ გულწრფელად გადმოეცი და დახატე, ეს დიდი ბედნიერებაა.

— როგორ ფიქრობთ, ის არწივების ბუდე რომ არა, რეჟისორი გახდებოდა?

— არწივების ბუდე რომ არა, სხვა რამე იქნებოდა, თუმცა გეოლოგიამ დიდი როლი ითამაშა რეჟისურაში გადასასვლელად. მაშინ ბევრი ვიარე, ჩემმა მეგობარმა ირაკლი სუთიძემ დაინიშნა მოგზაურობა და მეც მასთან ერთად მოვიხავე საქართველოს ბუნება, სამწუხაროდ, საქართველოში მოგზაურობა ნესად აღარ არის. მშობლები ფიქრობენ, ბავშვები საზღვარგარეთის კურორტებზე დაასვენონ, საქართველო კი არ იცინან. სვანეთში საოცრებები ვნახე. საქართველო საერთოდ უნიკალური ზონა, უფალმა გვარჩუნა ეს ყველაფერი, მაგრამ ვერ ვიყენებ, სამწუხაროდ, ბევრ რამეს არ ვიყენებთ საერთოდ.

— დედა რა პროფესიისა იყო?

— სპორტსმენი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, რამდენიმე სახეობაში სპორტის ოსტატი, მერე დიასახლისი, სამ შვილს გვზრდიდა. უკეთილშობილესი ადამიანი, ქალი დონ კიხოტი. თავიდან ერთოთახიანში

ვცხოვრობდი. მამა მწერალი გახლდათ და რამდენიმე წიგნი რომ გამოუშვა, მწერალთა სახლში ოთხთახიანი ბინა მოგვცეს, მაშინ ეს დიდ ბინად ითვლებოდა. მე არ მახსოვს დღე, ჩვენთან ვინმეს რომ არ ეცხოვრა. სულ ვილაც იყო, დედა სულ ვილაცას უვლიდა. მამა კარგი ოჯახიდან გახლდათ, შანხაიში ფრანგული უნივერსიტეტი ჟურნალისტური და ისტორიული განხრით დაამთავრა. ნარჩინებული ჟურნალისტი და მწერალი იყო. საკმაოდ ცნობილ გაზეთებში მუშაობდა. უგანათლებლესი პიროვნება, რამდენიმე ენას ფლობდა — ინგლისური, ფრანგული, პოლონური. რუსული ისე იცოდა, კორნეი ჩუკოვსკი გაცეცხული სწერდა, ასე კარგად სად ისწავლე რუსული? დედა პოლონელი ჰყავდა და ერთმანეთში პოლონურად საუბრობდნენ. ღრმად მორწმუნე გახლდათ. ეკლესიაში ბავშვობიდან დავდიოდი, ნაძვის ხეს ახალ წელს კი არა, შობას ვდგამდით. სკოლაში გულზე ჯვარი მეკიდა, სულ მართმევედენ, მე ახალს ვიკიდებდი. სკოლის დირექტორმა მამა დაიბარა და უჯრაში 30 ჯვარი ედო. ერთხელ მამას ვკითხე: რას ნიშნავს ღმერთი? ღმერთი თუ არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულიაო. მაშინ ადამიანი ადამიანისთვის ავტორიტეტი არ არის. ასაკი რაც უფრო მემატება, ღვთიურ ცხოვრებას უფრო ვაცნობიერებ.

— ვერტინსკი მამასთან მეგობრობდა, თქვენ გახსოვთ?

— მე პატარა ვიყავი, მახსოვს სახლში, ჩვენთან, მამა მისი მეჯვარე იყო, ჩინეთში ძალიან მეგობრობდნენ. მამა მოსკოვში როდესაც ჩადიოდა, ნახულობდა. საერთოდ გამორჩეული წრე ჰყავდა, დღეს საქართველოში უამრავი ადამიანი, ვინც მამას სკოლა გაიარა. პედაგოგად იყო დაბადებული.

ჩემს ცხოვრებაში ჩემმა ძმამ ივლიანემ დიდი როლი ითამაშა. ის წრე და ატმოსფერო, რომელშიც გავიზარდე. ყველაფერმა კვალი დატოვა, ვფიქრობ, ივლიანე განათლებითა და ერუდიციით ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა საქართველოში, მე უფრო ტრადიციული თბილისური ცხოვრებით ვიცხოვრე, სკოლა, ეზო, ქუჩა. სპორტს მეტ დროს ვუთმობდი, ვიდრე სწავლას, ალექსანდრეს ბაღში გავიზარდე.

— მგონია, რომ ბედნიერი ადამიანი ხართ?

— დიას, ნამდვილად ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ საქართველოში დავიბადე, ღვთისმშობლის ნილხვედრი, გამორჩეული ქვეყანაა. კარგ ოჯახში გავიზარდე, კარგ წრეში მოვხვდი, პროფესია სწორად ავირჩიე, ადრინდელ ასაკში გავიცანი უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და მთელი ცხოვრება მის გვერდით გავატარე. ძალიან კარგი მეუღლე შემხვდა, კარგი ოჯახი მყავს და, ვფიქრობ, არ დამიმსახურებია ის, რაც მაქვს, და დრო მოვიდა, ღვთის ნინამე მადლობა გადავიხადო.

დიდი წარსულის ერი ვართ. ჩვენს ქვეყანას არცერთ ეტაპზე არ აკლდა თავდადებული, ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანები. ისტორიულად ღირსების გრძნობა დამყვება. მე ძალიან ადრე მახსოვს ჩემი თავი — მახსოვს ვახტანგ გორგასალის ეპოქაც, აიეტის დროც მახსოვს, იქიდან მოვივიარე და ჩემი ცხოვრების გზაზე არაერთხელ დავრწმუნდი. იქ იღებს სათავეს ჩემი მოდგმა. ამერიკის სამ პრეზიდენტს ვიცნობ და სხვადასხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრებს და არცერთ ვითარებაში არავისზე ნაკლებად არ მიგრძენია თავი.

— ოსკარზე რას იტყვით?

— თავისთავად დიდი მიღწევაა, როდესაც ნომინირებული ხარ ოსკარზე, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, მოიგე თუ არა. ვულოცავ ზაზას. ჩვენ გატკეპნილი გზები დაგხვდა, წინ ისეთმა თაობამ იარა, ჭიაურელი, კალატოზიშვილი, შენგელაია... სადაც უნდა ჩავსულიყავით, ქართული კინო მნიშვნელოვანი იყო. ზაზამ დღეს თავის ახალგაზრდა კოლეგებს გზა გაუხსნა და სხვა სამყაროში კარი შეაღო. ზაზამ დიდი საქმე გააკეთა. მიუხედავად იმისა რომ ფილმი ესტონური

კინოს სახელით გავიდა. ქართული კინოსთვის დიდი წარმატებაა. ოსკარი ძალიან მნიშვნელოვანია — კინოში მეტი მწვერვალი არ არსებობს.

— ოსკარზე მოხვედრის ოცნება გაქვთ?

— ოცნება არა, მაგრამ სურვილი მაქვს, რომელი ჯარისკაცი გინახავთ, გენერლობა რომ არ უნდოდეს?!

რადგან თქვენს ჟურნალს „ჩვენი მწერლობა“ ჰქვია, მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ მწერლის სახლში გავიზარდე. ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდა და ექნება ლიტერატურას.

P.S.

ალბათ მიმართლებს, ყოველთვის საინტერესო პიროვნებებს რომ ვხვდები. რესპონდენტებთან დარეკვისას ყოველთვის მეკითხებიან, ინტერვიუ რამდენ ხანს გაგრძელდებაო, მეც მორიდებულად ვპასუხობ: იქნებ ერთი საათი გამონახოთ, მეტ დროს არ წაგართმევთ-მეთქი. მრავლისმომცველ თემებს დაგეგმილი სტანდარტული ერთი საათი არ ყოფნის. უამრავ საინტერესო ამბავს ისმენ. გოგა ხანდრავასთან ინტერვიუს ერთი ამოსუნთქვით ნაამბობი ეწოდება. ჩემი შედეგინილი კითხვების დასმა თითქმის აღარც დამჭირდა, თვითონვე გასცა ყველაფერს პასუხი.

საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული დღესაც აღნიშნავს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. კინო, კინო და კინო, სხვა არაფერი. რეჟისორს მიაჩნია, რომ შემთხვევითობა არ არსებობს, მეც ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ მის ცხოვრებაში ის არნივების ბუდე არ იყო შემთხვევითი, ეს ულამაზესი ამაყი ფრინველი გახდა მიზეზი მისი ცხოვრების გეზის შეცვლის, სიხალისის და პროფესიის არჩევის. თვითონაც ამბობს, სხვა ბუდე ან რაღაც მოვლენა მაინც გახდებოდა მიზეზი ყოველივეს შეცვლისაო, მაგრამ არნივი ხომ სიმბოლური დატვირთვა იყო მის ცხოვრებაში. ძლიერი, ამაყი, შეუდრეკელი ფრინველი, რომელსაც ვაჟა-ფშაველამაც აზიდა სიმამაცის სიმბოლოდ: „ნუცა მსმენია სიკვდილი და ნუშეც მინახავს ლომისა! ნუშეც მინახია არნივი შწო აღარ ჰქონდეს ომისა! ლომს ტახტი უდგა მხეცებში, არნივს-ფრინველთა შორისა“.

გეოლოგიიდან რეჟისორობაში წასვლის მიზეზი მამის ავადმყოფობა, ბუნების სილამაზე, არნივთა ბუდე და ამ ყველაფრის სწორი აღქმა გახდა. ფაქტობრივად რეჟისორად გეოლოგიამ გამოძიერა, მიმართულება უჩვენა და უფალმა გზა გაუხსნა წარმატებული პროფესიის არჩევანში.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, როგორც მინდიას ესმის ფრინველთა ენა, ისე ესმის მას კამერის ხმა. კინო მისი სულის ნაწილია. ამაცობს მშობლებით, იმ წრით, რომელშიც გაიზარდა, შესანიშნავი და უგანათლებლესი მამით, კეთილშობილი დედით, კარგი და ცნობილი მეგობრებით, შესანიშნავი მეუღლით, შვილებითა და შვილიშვილებით.

თითქმის მთელ დედამიწას შემოეუარეთ, რეჟისურა, ლიტერატურა, პოეზია, მხატვრობა, პოლიტიკა, აიეტის ეპოქაშიც გადავედი, გამახსენდა ჩემი ბავშვობისდროინდელი ზღაპრები, სარკეში შესვლით სხვა დროში რომ მოგზაურობდნენ. სულ მინდოდა ასეთი სარკე მქონოდა და გარკვეულწილად, მგონი, ოცნება ავიხდინე. ასე მგონია, აქ ეტლით დავდიოდი, ცხენების ფლოქვების ხმაც მესმოდა. ვახტანგ გორგასალსაც ვესტუმრეთ, თამარი, დავითი, ერეკლე, რუსუდანი, ქეთევანი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი თავდადებული მეფე მოვიხსნა. რა და ვინ არ გაიხსენა. გარდაცვლილი მეგობრები სიყვარულით და სინანულით მოიგონა. ბოლოს დავბრუნდით ჩვენს საყვარელ ქალაქში, რომელშიც ქალაქური წესებით ეს ერთი თბილისელი კაციც ცხოვრობს. ეს ის წესებია, რომელსაც ვერცერთ წიგნში ვერ ნაიკითხავთ, რომელსაც ვერავინ გასწავლით, არც არავინ იცის, ვინ დაწერა, ფაქტია, ვილაცამ დაანესა და ნამდვილი თბილისელები ამ წესთა დაცვით ცხოვრობენ.

ეკა ბუჯიაშვილი

რას ეუბნება კრიტიკოსი მკითხველს

ნეტა რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს ისეთს, რაც არ ვიცით? იქ თითქოს ყველაფერი ნათელია, არც ბუნდოვანებაა, არც სიმბოლოები და ქარაგმები, მაგრამ შექსპირია და შექსპირთან ნასაკითხია მეორე და მესამე პლანიც, — ასე გახსნა როსტომ ჩხეიძემ ურნალ „ჩვენი მხარეობის“ — იმავე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — ძალისხმევით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრა, რომელზეც პაატა ჩხეიძის ახალი ესეების კრებული განიხილეს სწორედ ასეთი შთამბეჭდავი სათაურით: „რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს და სხვა ესეები.“

— ეს წიგნი ნიმუშია იმისა, რომ არამარტო შექსპირს და მის თითოეულ სტრიქონს უნდა ჩავუღრმავდეთ, არამედ მასზე ნაკლებ მწერლებსაც. ჯერ არ ნასულა ის დრო, როცა უკუღმართად განიმარტებოდა ლიტერატურული პროცესები. თუმცა გამორჩენილი კრიტიკოსები, ლიტერატორები, რომლებიც ანგრევენ მწერლობაში დადგენილ სტერეოტიპებს და არღვევენ ამ სტერეოტიპებში მოქცეულ სივრცეს. მათ შორის უნდა ვიგულისხმეთ პაატა ჩხეიძეც, ვინც ცდილობს, ახლებურად გაიაზროს ყველაფერი, ის მოვლენებიც კი, რომლებიც თითქოს დადგენილი გგონია, მაგრამ თურმე ზედაპირულად, უკუღმართად, ცალმხრივად.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა წიგნია, შინაგანი სივრცით მრავლისმომცველია და არამარტო ქართულ ლიტერატურას სწვდება, არამედ დასავლურ სამწერლო პროცესებსაც, უმთავრესად, ინგლისურს, ამერიკულს, ერთი ვრცელი ნაწილი კი თარგმანის შედარებით ანალიზს ეთმობა, რათა ამ ფონზე გათვალისწინოვდეს მკითხველისათვის ამა თუ იმ თხზულების ღირსება-ნაკლოვანებანი.

თარგმანები ფასდება ხოლმე ჩვენში — ხან ზერეულად, ზედაპირულად და ხან ღრმადაც, ოღონდ იშვიათად ადარებენ ორიგინალთან. ასეთ გამონაკლისათ შორის უნდა ვიგულისხმეთ პაატა ჩხეიძის ლიტერატურული წერილების ციკლი „შეხვედრა“ — შეხვედრა ორ კულტურას, ორ სამწერლო პროცესს შორის. ამ ყაიდის წიგნი მას ადრეც აქვს გამოცემული „ივანე მაჩაბლის ტრადიცია“, სადაც შექსპირის თარგმანები იყო განხილული მაჩაბელთანაც, მის შემდეგაც, და სანიმუშოა იმ თვალსაზრით, თუ როგორ უნდა შეფასდეს სრულფასოვნად თარგმნის პროცესი მკითხველისთვის.

რაც შეეხება გამოხმაურებებს ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე, ამ პატარა-პატარა ნატეხებში აირეკლება არა მხოლოდ დღევანდელი სამწერლო ცხოვრება, არამედ კლასიკური ლიტერატურული თხზულებანიც და ასევე ემსახურება დადგენილი და დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევას, — ესეც აღნიშნა თავის გამოსვლაში ბატონმა როსტომმა და სიტყვა მომხსენებელს, ბელა ნიჟურინას გადასცა.

— პაატა ჩხეიძის ახალი წიგნი „რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს და სხვა ესეები“ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) ორი რიგის ესეებს მოიცავს: ესეებს ინგლისურენოვანი ლიტერატურისა და მისი ქართულენოვანი თარგმანის პრობლემებზე და ესეებს საქართველოს დღევანდელ, კულტურულად და სოციალურად აქტუალურ პრობლემებზე. თუკი ესეები ინგლისურენოვანი ლიტერატურის თარგმანის თემებზე სრულიად უკლასაზა პასუხებს სცემს ნამოჭრილ საკითხებს, ესეები ქართულ თემეტიკაზე, პირიქით, ფართო დისკუსიას შეიძლება აღძრავდეს. და ეს არის კიდევ ესეისტური ფორმატის ერთ-ერთი მთავარი და ტრადიციული ფუნქცია — არა მხოლოდ გვამცნოს ავტორის პოზიცია, არამედ მოგვცეს მსჯელობის, განხილვის, პოლემიკის იმპულსი.

პაატა ჩხეიძე, როგორც ინგლისურენოვანი ლიტერატურის მთარგმნელი და მკვლევარი, 17 ესეიში ინგლისურენოვანი ლი-

ტერატურის შესახებ ქმნის სურათს ერთდროულად რამდენიმე ჭრილში: ჩანს, თუ რომელი მწერლებია თარგმნილი, გაანალიზებული და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ქართულ კულტურულ გარემოში — შექსპირიდან თუ მილტონიდან მოყოლებული ფოლკნერამდე თუ ვონეგუტამდე, და ივანე მაჩაბლის დროიდან მოყოლებული დღემდე; ჩანს, თუ რამდენად დეტალიზებულად და, ამავე დროს, ინტერდისციპლინურად შეიძლება გაანალიზდეს საკითხი — თარგმნილი ტექსტისა და თარგმანის ენის ლინგვისტურ თავისებურებებთან ერთად ნაჩვენები იყოს ორიგინალური ტექსტისა და ორიგინალის ენის ლინგვისტური სპეციფიკაცა, ნაჩვენები იყოს დედნისა და თარგმანის ინტერკულტურული ფუნქციაც და ის მიმართებაც, რაც ტექსტს შეიძლება ჰქონდეს ავთენტურ (ინგლისურ, შოტლანდიურ თუ ამერიკულ) კულტურულ სივრცესთან, ხოლო თარგმანს გაუჩნდეს ქართულ კულტურულ სივრცესთან.

მეორე მხრივ, პაატა ჩხეიძე, როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევარი და ქართული კულტურულ-სოციალური სივრცის წევრი, 15 ესეიში ქართულ ლიტერატურასა და სამოქალაქო პრობლემათა საუბრობს. ამ ესეებში მნიშვნელოვანია პრობლემების იდენტიფიკაცია, დეტალისა და ზოგადი სურათის ანალიზის პრინციპიც, მკვეთრად გამოხატული სამოქალაქო პოზიცია. ესეების პოლემიკური სულისკვეთება მკითხველს აღუძრავს სურვილს, ავტორს აჰყვეს დიალოგში ისეთ თემებზე, როგორცაა: მონარქიზმი თუ სეკულარიზმი, კონსერვატორობა და ლიბერალობა, რადიკალიზმი და პლურალიზმი.

წიგნის მისიას პაატა ჩხეიძე განსაზღვრავს როგორც შეხვედრას — და ეს არის არა მხოლოდ კულტურათა შეხვედრა, კულტურათა დიალოგი, არამედ სამოქალაქო პოზიციათა დიალოგისა და შეხვედრის შესაძლებლობაც. ამ თვალსაზრისით წიგნში მიღწეული მიზანი, ვფიქრობ, ისიც არის, რომ იგი ქმნის სადისკუსიო სივრცეს, სადაც ქართული მწერლობისა და ქართული სინამდვილისთვის ნაცნობი ბევრი პრობლემა შეგვახსენებს თავს — პრობლემები, რომლებიც, როგორც ჩანს, სახეს იცვლის და ახალ პასუხს ითხოვს ყოველ ახალ დროში.

რას-რას და სიტყვა-სიტყვით ამას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს:

— არის უფრო მეტი რამ ზეცასა და მიწაზე, ჰორაციო, ვიდრე დასიზმრებია თქვენს ფილოსოფიასო.

ამ ზედმინევნით თარგმანსაც გვთავაზობს პაატა ჩხეიძე თავის წიგნში და **მაია ჯალიაშვილის** თქმით, ეს ფრაზა ერთგვარი ენიგმაა, რომლის შინაარსი არსებითად არა, მაგრამ ნიუანსობრივად იცვლება ეპოქათა და გარემოებათა მიხედვით და მთარგმნელის გულისტკივილს გამოხატავს.

— ავტორი ჯერ იმას არკვევს, თუ რა იგულისხმა შექსპირმა, როდესაც პერსონაჟს ეს სიტყვები ათქმევინა, შემდეგ კი დეტექტიური ტექსტისათვის დამახასიათებელი მოულოდნელი ინტერპრეტაციებით ატყვევებს მკითხველს, მსჯელობისას კი აანალიზებს კონკრეტული დროის კულტურულ-ისტორიულ სივრცეს. მისი აზრით, „რაკი ჰამლეტი და ჰორაციო მე-16 საუკუნის დასასრულს ვიტენბერგში სწავლობდნენ, ლოგიკურად, ლუთერის მოძღვრების გავლენა უნდა განეცადათ და ასე უნდა მომხდარიყო რეალურ ცხოვრებაშიც და მხატვრულ სინამდვილეშიც. როცა ჰამლეტი ჰორაციოს ფილოსოფიას უხსენებს, ლუთერის სწავლებაზე მიუთითებს“.

ქალბატონი მაია პაატა ჩხეიძეს ილიასეული კრიტიკული სკოლის იდეების გამგრძელებლად მიიჩნევს: უპირველესად ილიას „ორიოდე სიტყვას“ ვგულისხმობ, ისიც ზედმინევნით წარმოაჩენს მთარგმნელის ღირსებას და არ ერიდება ნაკლის მხილებას. სწორედ ამგვარი „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპითაა დაწერილი მისი წერილები, რომლებიც უილიამ ბატლერ იეიტსის, უილიამ ფოლკნერისა და სხვა თარგმანებს შეეხება.

მომხსენებელმა კრებულიდან წერილი „და სხვა ალუდაც“ გამოარჩია და აღნიშნა, რომ ავტორი აქ გასაოცარი გარდასახვის უნარს ამჟღავნებს და ეს შესანიშნავი მაგალითია, თუ რა გამოძახილი შეიძლება ჰპოვოს პერსონაჟმა მკითხველის გულში და ხელახლაც დაიბადოს.

— გოეთე წერდა: „სამი სახის მკითხველი არსებობს: ერთი, რომელიც განსჯის გარეშე ტკბება, მეორე, რომელიც ტკბობის გარეშე მსჯელობს და მესამე, რომელიც ტკბობისას მსჯელობს და მსჯელობისას ტკბება.

პაატა ჩხეიძე ამ წერილების მიხედვით იმ მესამე მკითხველად წარმოგვიდგება, გოეთეს რომ იდეალურად მიაჩნდა.

სწორედ ასეთი — იდეალური მკითხველის — პოზიციიდან ნაუკითხავს თავის დროზე **თემურ ნადარეიშვილის** თარგმანებიც. პროფესიით ფიზიკოსს, ლიტერატურის დიდ მოყვარულს, ამ სფეროშიც მოუსინჯავს თავისი შესაძლებლობანი და ობიექტური კრიტიკაც მოჰყოლია ბატონი პაატას მხრიდან.

— ფიზიკოსი კი ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს შექსპირი და ეს ფრაზები რომ მესმოდა, სულ მაინტერესებდა, როგორ ჟღერდა ორიგინალში, — თქვა შეხვედრაზე ბატონმა თემურმა და რამდენიმე ავტორის თხზულებათა თარგმანების სხვადასხვა ვერსია მოიყვანა ნიმუშად, მათ შორის საკუთარი თარგმანიც იმ ფრაზისა, ჰამლეტი რომ ეუბნება ჰორაციოს, და დასძინა:

— დოსტოევსკი ამბობს, არაფერია ქვეყნად ასეთი ფანტასტიკური, როგორც რეალობა. ისეთი რამ შეიძლება ნახო ცხოვრებაში, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდი. სინამდვილე გაცილებით ჭკვიანია, ვიდრე ნებისმიერი ფილოსოფია და სწორედ ამაზე მიანიშნებს ჰამლეტი, ვინც ისეთი რამ ნახა, იმდროინდელ ცოდნას რომ ეწინააღმდეგებოდაო.

აი, **ნანა კუცია** კი პაატა ჩხეიძის ცოდნაზე, შინაგან სამყაროსა და შემოქმედებით ღვაწლზე ისაუბრებს და იტყვის, რომ „ეს წიგნი მკითხველის წინაშე წარმოაჩენს უაღრესად საინტერესო შინაგან სამყაროს ავტორისა, პიროვნებისა, რომლის მზერაც თანაბრად აკადემიურად სწვდება როგორც საკუთრივ ქართული, ასევე ევროპული, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურული სივრცის ანალებს.

— ვისზეც ან რაზეც უნდა წერდეს პაატა ჩხეიძე (შექსპირზე, ფოლკნერსა თუ ჯოისზე, მათი ტექსტების ქართულ თარგმანებსა თუ ვაჟასა და ყაზბეგის საკრალურ სივრცეზე), მისი საზრუნავი მუდამ ქართული „წყევლაკრულვიანი საკითხავია“, როგორც არქეტაში — ილიას წერილში „ორიოდ სიტყვა“ — თარგმანის პრობლემათა ანალიზის საფანქვებზე „სულ სხვა ნესტრით ნაჩხვლეტი“ გული ილანდება.

ქალბატონი ნანას თქმით, განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ვაჟასა და ყაზბეგის პერსონაჟთა ახლებური რაკურსით წარმომჩენი ესეები. — განსხვავებით კონიუნქტურული საბჭოთა კრიტიკისაგან, თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და მისი ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, პაატა ჩხეიძე ტექსტისა და კონტექსტის სკრუპულოზური ანალიზით ასკვნის, რომ სწორედ თემი არღვევს ძველთუძველეს ტრადიციებს, საკრალურს — „ალუდა ქეთლაურში“ ვაჟაცაგის ვერ თუ არდამნახველია, „სტუმარ-მასპინძელში“ — სტუმარმასპინძლობის უზენაესი კანონის შემბლაღველი. თემის არსზე მსჯელობს ავტორი „ხევისპერი გოჩას“ ანალიზისასაც, დასკვნა ლაპიდარულია და უზუსტესი — გოჩამ პირადი ტრაგედიის ხარჯზე გადაარჩინა თემი „მოლიზღარ ბრბოდ“ ქცევისაგან. გებრიელ კონროის (ჯოისი, „მიცვალებულები“) სახის კვლევისასაც (ესეი „საით მიდის გებრიელ კონროი?“), კონახტის, დასავლეთ ირლანდიისკენ პერსონაჟის სვლის მნიშვნელობაზე საუბრისას, კვლავ მაშულის პარადიგმულ არსზე დაგვაფიქრებს კრიტიკოსი — „დასავლისაკენ“ (ერთდროულად „დასავლეთსაც“ რომ გულისხმობს და „დასავალსაც“ — დასასრულსაც) მიდრეკილი ირლანდიის ბედი უცნაურ-საცნაურად ჰგავს საქართველოსას. ამ ღრმა და ნათელი წიგნის კითხვისას სევდა და ნუგეში ერთდროულად გამსჭვალავს. რატომღაც მგონია, სწორედ ასეთ ლექციებს უკითხავდა ოდესღაც მანგანადან დაბრუნებული იოანე პეტრინი თავის სტუდენტებს გელათში — მსოფლიო კულტურის კონტექსტში ქართული კულტურის გააზრებას ასწავლიდა, ამიტომ ძალიან მშურს „ილიაუნის“ სტუდენტებისა, რომლებსაც პაატა ჩხეიძის მოსმენის ბედნიერება აქვთ.



პაატა ჩხეიძე

არის ასეთი პიესა: „ფილოსოფიის დოქტორი“, სადაც ერთი პერსონაჟი მეორეს ეკითხება: რა არის ფილოსოფიაო?

ეს პიესა შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა და ვიდრე იმასაც გეტყვოდეთ, რა უპასუხა პიესის გმირმა შეხვედრის ავტორს, ჯერ **ნიკოლოზ სანებლიძის** გამოსვლას უნდა გაეცნოთ:

„პაატა ჩხეიძის მოცულობით მცირე, თუმცა ძალზე ინფორმაციული წიგნის „რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს“ კითხვის დროს მოწყენა არ გენვევათ. ავტორი ახერხებს დაინტერესოს მკითხველი, თუმცა, იმავდროულად, საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს მას. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ქართული შექსპირიანა და თარგმანის კულტურა საერთოდ (ეს განსაკუთრებით ინგლისურენოვან ტექსტებს შეეხება) საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და უკვე საუკუნე-ნახევრის ტრადიცია გააჩნია. საფუძველი მას ივანე მაჩაბელმა და ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარეს. ძალზე მრავალმეტყველი ფაქტია და ბევრ რასმე ავალებს მას, ვინც მათ საპატიო გზას აგრძელებს.

ავტორი მონოდების სიმალღეზე დგას. იგი თითქმის ყველგან ლოცმანის სიზუსტეს ირწმუნება მთარგმნელობითი საქმის სცილას (მშობლიურ) და ქარიბდას (ორიგინალის ენა) შორის ნელი და დაკვირვებული ცურვის დროს. ამაში ეხმარება არა მხოლოდ ინგლისურის ჩინებული ცოდნა, აგრეთვე უეჭველი და თანაც მრავალმხრივი ენობრივი ალლო, არამედ გულმოდგინე, ჩაძიებული პროფესიული საქმიანობაც, რაც მხოლოდ საქმის ცოდნითა და სიყვარულით მიიღწევა.

და მინც, რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს? ვფიქრობ, იგი მიუთითებს განათლების სისტემის განსხვავებაზე, რაც კუნძულოვან (ინგლისურ) და კონტინენტურ (გერმანულენოვან და ლუთერანულ) სამყაროს შორის არსებობს (თანაც ამ უკანასკნელს აშკარა უპირატესობას ანიჭებს). ცნობილია, რომ თარგმანის წარმატებისთვის მხოლოდ მთარგმნელის კომპეტენცია და ნიჭი არ არის საკმარისი. ამ დროს ერთმანეთს ხვდება ორი ენა და მხოლოდ მათი დიაქრონიული ჭრილების ტიპოლოგიური მსგავსება და სემანტიკური სტრუქტურების თანაფარდობა იძლევა წარმატების მყარ საფუძველს. სწო-

რედ ასე მოხდა ინგლისური და ქართული ენების პირველი შეხვედრის დროს. როცა ივანე მაჩაბელმა თანაბრად გამოიყენა როგორც 60-იანელთა გამოცდილება, ისე ბიბლიური, ანტიონისეული და დოდაშვილისეული ტრადიცია და მოგვცა საოცარი პოსტრომანტიკული ენობრივი სინთეზი, ესოდენ ზუსტად რომ მოერგო შექსპირულ სამყაროს (ეს უკანასკნელი ხომ ძველი და ახალი ინგლისურის მიჯნაზე დგას, განუმეორებელ გაქანებას და სურნელს რომ ანიჭებს მის შემოქმედებას).

მეორე მწერალი, რომლის მიმართაც ბ-ნი პაატა აშკარად არ არის გულგრილი, ფოლკნერი გახლავთ ძველი რომაელებისა არ იყოს — *audiatur et altera pars* — უნდა მოსმენილ იქნეს მეორე მხარეც (დაპირისპირებისა): სწორედ ამას აკეთებს ფოლკნერი და აღმოჩნდება, რომ სამხრეთელთა ღირსება და საოცარი მომხიბლაობა დიდ შინაგან სიმართლეს ატარებს, რომლის დაკარგვაც გაალარებდა ამერიკის ისტორიას. ვფიქრობ, სამყაროს ფოლკნერისეული წვდომის ზუსტი ავტორისეული რეკონსტრუქცია მხოლოდ ამ უკანასკნელის კონსერვატორული განწყობის შედეგი არ არის. იგი მშობელი ხალხის ისტორიის მართებულ შეგრძნების ნაყოფია და ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის, ფოლკნერის აქტუალობას ნათელყოფს.

პოეტი წერდა — მტერს ისიც კი შეაშინებს ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა — პარადოქსია! მარაბდის ველზე ქართველები დამარცხდნენ, თუმცა შინაგანი გაუტყნობა და გამბედაობა ერთგვარად ანელებდა დამარცხების სიმწარეს, ქართული ღირსება კი შეუბღალავი დარჩა. ამაზე მიანიშნებს ლადო ასათიანიც. არ ვიცი, რამდენად ერთმანეთს მარაბდა და რინ-მონდი, თუმცა პაატა ჩხეიძე კი გრძნობს ამ მსგავსებას და ლამის არის ეს მეც დამაჯეროს. ამ პოზიციის გამამართლებლად კი შესაძლოა ის ფაქტი გამოადგეს, რომ იოსებ ფლავიოსი და თუკიდიდე, ბრძოლის ველზე წარუმატებელი ეს ორი უდიდესი ისტორიკოსი, სწორედ ტოტალური მარცხის ელდით აღძრულნი, გვიტოვებენ დამარცხების მარადიულ ჰიმნს. ასე რომ, ეგებ ტრადიცია ამ შემთხვევაშიც ბ-ნი პაატას მხარეს იყოს; ისევე როგორც კიპლინგის შედეგის განხილვისას. ავლანებს ხომ არასოდეს ჩაუგიათ ქარქაშში მახვილი ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მაინც. მხოლოდ მათ გაბედეს დიდი სარდლის ურჩობა და დღესაც ურჩნი არიან. ბრძოლაში არის მათი ცხოვრების საზრისი. კიპლინგმაც კარგად იცის ეს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ინგლისისა და რუსეთის იმპერიების დიდი სტრატეგიული თამაშის“ გამოყოფად აღვლანეთი მოგვევლინა და ვითარება სადღეისოდაც არ შეცვლილა. ამ კონტექსტში თავისებურად ჩანს ლექსის გმირის საქციელიც.

პაატა ჩხეიძის წიგნი კიდევ მრავალ ფიქრს აღძრავს, თუმცა ამჯერად ეს ვიკმაროთ.

სხვათა შორის, ნიკოლოზ სანებლიძემ თავის გამოსვლაში ასეთი რამაც აღნიშნა: სამშობლოს ცნებას უსამშობლო ადამიანები ეფარებიანო, რასაც შეხვედრაზე დიდი ხმაური მოჰყვა. ბატონმა ნიკოლოზმა იქვე განუმარტა შეკრებილებს: სამშობლოს ცნება ვიგულისხმებ და არა სამშობლო და შევეცადე, ეს საკითხი ფილოსოფიის ჭრილში განმეხილაო.

აი, სწორედ ამ დროს გაიხსენა ბატონმა როსტომმა ეს პიესაც; სადაც ერთი პერსონაჟი მეორეს ასე უხსნის ფილოსოფიის რაობას:

„ეს ის არის, როცა მე ვლაპარაკობ და შენ არ გესმის და შენ ლაპარაკობ და მე არ მესმის“.

— ასე რომ, მაინცდამაინც ნუ დავეძალებით ფილოსოფიას და გაუგებრობანიც აღარ იქნებაო, — ეს უკვე ბატონმა როსტომმა დასძინა ვითარების განსამუხტავად და შეხვედრაც ასე გაგრძელდა:

* * *

— მართალია, მაჩაბელმა გაგვიშინაურა შექსპირი, მაგრამ შექსპირს თავის თხზულებებში სკაბრეზული პასაჟებიც აქვს.

ძალიან მაინტერესებს, თავის დროზე ვეძებდი კიდევ, არსებობს თუ არა შექსპირის ისეთი თარგმანები, ზედმიწევნით რომ იმეორებს ორიგინალს?

დღეს შექსპირთან დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. იმასაც ამბობენ, რალა დროს შექსპირიაო. სადაც ნაკიკოთხე, ინგლისში თურმე ერთ მოქმედებად დაუდგამთ „ჰამლეტი“, სადაც ფარდით ყოფილა გამოყოფილი სცენა და საპირფარეშო... — ეს შეხვედრაზე **ლევან ქურციკაშვილმა** აღნიშნა, რასაც ბატონმა პაატამ ასე უპასუხა:

— ყოველთვის მიჩნდება გამოპასუხების სურვილი, როცა ინგლისსა და ამერიკას აუგად იხსენიებენ. ინგლისი ძალიან დიდია და ლონდონში უამრავი თეატრია, მათ შორის იმგვარად აღდგენილიც, როგორც შექსპირის დროს იყო, და მის პიესებს დგამენ ისე, როგორც საუკუნეების წინათ. მეტიც: ამ ბოლო დროს ცდილობენ — და წარმატებულადაც — მსახიობებმა იმ ინგლისურით ილაპარაკონ, იმ გამოთქმითა და ინტონაციით, როგორც შექსპირის ეპოქაში იყო. რა თქმა უნდა, შეუძლებლად გვეჩვენება, მაგრამ ამას ასევე ათავსებენ ექსპერიმენტის საშუალებით. ჩვენც შეგვიძლია სხვადასხვა ჩანაწერის საშუალებით მე-19 საუკუნის მეტყველების აღდგენა. ქართული თეატრებში ჯერ საპირფარეშოებს არ დგამენ სცენაზე — ალბათ მალე ამასაც იზამენ — ამგვარი წარსულის, მაგრამ გაცოცხლების მცდელობა არ შეინიშნება. კი, ბევრნაირ შექსპირს ნახავთ ინგლისში, ასეთსაც, ისეთსაც, შეურაცხყოფილსაც და ცამდე აზიდულსაც, თუმცა, არსებითად, მაინც იქ რომ უფრთხილდებიან თავის კულტურას, ნეტა ჩვენ ვახერხებდეთ ასე.

ბატონი ლევანის შეკითხვის მეორე ნაწილს **ნინო ქუთათელაძე** გამოეხმაურა. მისი თქმით, თარგმანის მხრივ შედარებით ზუსტია პნკარედები, რასაც თავისი განმარტებებიც ახლავს და აზრობრივი კომენტარებიც. ზედმიწევნით ზუსტად გადმოლენა კი ყოვლად წარმოუდგენელია:

— ის ნიუანსები, რითაც დაინტერესდა ბატონი ლევანი, ინგლისურის რჩება ხელუხლებელი. მაგალითად, გალაკტიონი ვერაინ თარგმნა სრულყოფილად. მაჩაბლის თარგმანი პირადად მე სრულიად მაკმაყოფილებს. გარდა ამისა, ბატონ პაატას ბოლომდე ვეთანხმები იმაში, რომ ეს ახალი სიტყვაა სალექსო ფორმის თვალსაზრისით. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართული თარგმანებით შემოდის ჩვენთან სალექსო ფორმები. სულხან-საბამ შემოიტანა და დაამკვიდრა ასე ახალი ფორმა „ქილილა და დაბანაში“. იგივე გააკეთა მაჩაბელმაც და ბატონი პაატა ამაში სრულიად მართალია.

გია ჯოხაძის თქმით კი პაატა ჩხეიძე მაშინაც მართალია, როცა დაიჩემებს, რომ თუ თარგმნისას მთარგმნელი მხოლოდ ორიგინალის ავტორთან — და არა ღმერთთან — შეხვედრას დაისახავს მიზნად, ვიღებთ ნანვალეზ, ცოცხალ-მკვდარ, ნიც-შეს გაგებით არარეალიზებულ ტექსტს...

— საქმე ისაა, რომ ყველა დიდი პოეტი მხოლოდ წერისას ხედება ღმერთს, სხვა დროს ის შესაძლოა მევახშებთან ლაპარაკობაც გაერთოს. ყველა თარგმანი ახალი შესაქმნეა და ეგებ ამიტომაც ერიდებიან შემოქმედის როლს რაციონალური თეორიებით შეიარაღებული ე.წ. მეცნიერ-მთარგმნელები. ბევრად უსაფრთხოა, ადამიანური საზომ-საწყაოს მომარჯვებით დავკმაყოფილდეთ.

პაატა ჩხეიძე კი, ბატონი გიას თქმით, მაშინაც მართალია, როცა ამა თუ იმ თარგმანის განხილვისას თავდაუზოგავად ფურცლავს ორიგინალს და ერთმანეთს უდარებს ორენოვან (ზოგჯერ — სამ თუ ოთხენოვანსაც) პასაჟებს, ქმნილების ავტორის პიროვნებას მიახლოებს, ეპოქასა და იმდროინდელ ეპისტემას ჭკრეტს და მერე აფასებს მთარგმნელის ხელობას...

და კიდევ:

— პაატაცა და როსტომიც მართლნი იყვნენ, კურტ ვონეგუტის ნოველა „ჰარისონ ბერჯერონის“ თარგმნისას წინასწარ რომ წარმოიდგენდნენ, როგორ განუდგებოდნენ ამ წრეგადსულ გმირს, რომელიც გათანაბრებულსა და ერთფეროვან მომავალს გამოპს და რაინდული დროების გამოხმობას ელტვის, რადგან სჯერა, მისი მოგონება, მისი ხსოვნა ფილისტერული ყოფის უპირობო გაბატონებას შეენინააღმდეგება.

პაატა ჰარისონის მხარესაა, ვინეგუტი — მუნ გლემპერსისა, მე — პაატასი.

ბატონი გია ამ წიგნის შესახებ თავის სიტყვაში ასეც დასძენს:

— აჰა თქვენ ის თეზაურუსი, რომელსაც პაატაც ხშირად იმეორებს და სხვასაც საკუთარი მაგალითით ასწავლის, რა სჭირდება, ვიდრე მთარგმნელი ტექსტს შეეხებოდეს და მის მშობლიურ ენაზე გადმოტანას იტვირთებდეს.

ცნობისათვის: თეზაურუსი, ბატონი გიას განმარტებით, ლექსიკონია, ცნობათა კრებულია იმ საწესდარსო ცოდნაზე, ურომლისოდაც რომელიმე სპეციფიკურ ტექსტს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, სიტყვა გაგებულება და თავის იდუმალ მნიშვნელობას არ გაგიმხელს. ამიტომაც ითარგმნება ეს სიტყვა ბერძნულიდან „საუნჯედ“ თუ „საგანძურად“.

და მანც: რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს?

— ეს საკითხი თარგმანის ჭრილში მაქვს განხილული და არ ვცდილვარ, ფილოსოფიაში გადამეტანა, — ეს თვითონ ბატონმა პაატამ აღნიშნა და განმარტა: — ყველა თარგმანში, რა ენაზეც ვნახე, თითქმის სხვადასხვანაირადაა გადატანილი ეს ფრაზა. არადა, ის შესაბამის კონტექსტში უნდა განვიხილოთ — ჰამლეტმა ნახა აჩრდილი, რომელმაც უთხრა: შური უნდა იძიო და თანაც, ამ ამბავს ნურავის გაანდობო.

ბოლოსდაბოლოს, ვინ არის ჰამლეტი?

ის ვიტენბერგში სწავლობდა და იმ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხალია ლუთერანობა. მეტიც: მას ნახევარი გერმანია და მეტიც მოუცავს. ეს მორალური ფილოსოფია გვასწავლის, რომ რაც ღმერთს უნდა, ის მოხდება, განსხვავებით მართლმადიდებლური ქრისტიანობისგან, რომელიც გირჩევს, მაგრამ თავისუფალ ნებას გიტოვებს.

ანგლიკანობა კიდევ უფრო ნაკლებად დაშორდა კათოლიციზმს, ვიდრე ლუთერანობა, ამიტომ თავისუფალი ნება აქ შედარებით შენარჩუნებულია. და როცა ჰამლეტი ამას ეუბნება ჰორაციოს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინ იყო იგი — ანგლიკანი, რომელსაც ანგლიკანობას კანონი აიძულებს, ფარული კათოლიკე თუ კიდევ უფრო შორსაა წასული პროტესტანტიზმში?

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის კლაეს რინის თქმით, მას ვერც კათოლიკობას დააბრალებ, ვერც ანგლიკანობას და ვერც სხვა რამეს. ლუთერანობა ხომ საერთოდ გამორიცხულია, შექპირი ამ ყველაფერს იყენებს ზოგადი სულიერების წარმოსაჩენად. ჰამლეტი, ვინც ფაქტობრივად შექსპირია, უნივერსალური ქრისტიანია, რომელიც გულის პასუხს ყველა ქრისტიანულ აღმსარებლობაში იწვევსო.

მე კი მგონია, რომ ჰამლეტმა ბოლომდე თვითონაც არ იცის, რას ეუბნება ჰორაციოს. ამ ფრაზით იგი თავიდან იცილებს მას — არაფერი მკითხო იმაზე, რაც აჩრდილმა მითხრაო, რადგან ჯერ კიდევ არ იცის, ის კეთილი სულია თუ არა.

ბატონი პაატა წინა შეხვედრაზე განხილულ თემასაც გამოეხმაურა — ალუდა ქეთელაურის გასამართლებას — და აღნიშნა, რომ ალექსანდრე ყაზბეგისთვისაც და ვაჟა-ფშაველასთვისაც თემი უწმინდესი და უძვირფასესი რამაა. თემის წესისა და კანონის დარღვევა არ შეიძლება. თუმცა, როცა გასამართლებთ, უნდა ვიცოდეთ, რა სამართალით ვმსჯელობთ, როგორია თემის სამართალი?

— ეს ხომ არ გახლავთ დღევანდელი ქართული კონსტიტუცია, რომლის დასაწერადაც რამდენიმე ადამიანი შეიკრიბა და ცოტა ფრანგული, ამერიკული და გერმანული გავლენებით შეიქმნა. ეს არ არის კოდიფიცირებული სამართალი, როცა დანერვილი უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, მისი შეცვლა არ შეიძლება.

სამაგიეროდ, არსებობს პრეცედენტული სამართალი, დაყრდნობილი პრეცედენტებზე, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მისი ინტერპრეტაცია.

რა ხდება ამ შემთხვევაში?

ჯოყოლა უხსნის მომხდარ თემს — რომელიც ეუბნება, თემს რაც სწავია, მას იზამსო — ასე არ უნდა განმსაჯოთ იმის გამო, რომ მტერია ჩემთან. მე სტუმარმასპინძლობის კანონი მიცავს და ეს კაცი აქედან რომ გამოვა, როგორც გინდათ, ისე მოეპყარიო.

ის იცავს თემს.

და თემი ამ შემთხვევაში ფსევდოთემია და დამრღვევია წეს-კანონისა.

ალუდას შემთხვევა ცოტა უფრო რთულია. როსტომი სამართლიანად და არგუმენტირებულად გამოესარჩლა იმ წესს, რომ ხატობაში ტარიგის შეწირვის რიტუალი მხოლოდ ხევისბერმა უნდა აღასრულოს.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ხევისბერი თავისი პირველი ფუნქციით მთავარსარდალია, და მხოლოდ შემდეგ — სასულიერო პირი. ის ერის წინამძღოლია ბრძოლაში და ალუდა ასე არ უნდა მოქცეულიყო. იგი თემს ყველაზე მაღალ ღირებულებად სთავაზობს სიქველესა და ვაჟაკობას. შესაძლოა ვცდები, მაგრამ ალუდა არ არღვევს თემის კანონს, ის ცდილობს ახალი პრეცედენტის შემოტანას და ამით თემის პრეცედენტული სამართლის გაძლიერებასა და მაღალ საფეხურზე აყვანას.

პიროვნებისა და თემის დაპირისპირების საკითხი, რაც დემოკრატიის ნიმუშად მოაქვთ ხოლმე, მიუღებელია. თემი და დემოკრატია სრულიად სხვადასხვა რამაა.

და რაკი თემის სამართალი უხსოვარი დროიდან მოყოლებული გამოცდილებას ეყრდნობა, ალუდას, როგორც წინამძღოლს, გმირს, თემის გამორჩეულ ადამიანს (აი, აქ ვიცავ მას!), აქვს უფლება ახალი პრეცედენტის შემოტანისა და დამკვიდრებისა.

ბატონი პაატა შეხვედრაზე ნიკა სანებლიძის სიტყვასაც გამოეხმაურა. კერძოდ, ავღანების თემას — აქაც სწორედ ეს საკითხი წამოჭრა კიპლინგმა, როცა ინგლისელი და ავღანი იბრძვიან და ავღანი დაინდობს მონინალმდეგეს, რადგან კარგ ვაჟაკად მიიჩნევს. არათუ დაინდობს, თავის შეილსაც გაატანს. კიპლინგი ინგლისური იმპერიალიზმის დიდი მეხოტბეა და მიაჩნდა, რომ მსოფლიო თეთრმა კაცმა უნდა მართოს და ავღანები კარგს იზამენ, თუ მის ჭკუაზე ივლიან.

თუმცა ავღანები დაუმორჩილებელი ხალხია. არ უნდათ ისეთი ცხოვრება, როგორსაც ინგლისელები სთავაზობენ.

არ უნდათ თავისი წესისა და რიგის დარღვევა.

არ უნდათ არც მაკედონელებისგან, არც ინგლისელებისგან, არც ამერიკელებისგან და არც ქართველებისგან...

მათ სურთ, თვითონ იყვნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონები.

ფუნდამენტალიზმისა და ისლამური რესპუბლიკისაგან განსხვავებით, ავღანებს აქვთ ეროვნული იდენტობა. ისინი თავს სწირავენ და ახერხებენ იმას, რომ ავღანებად დარჩნენ.

ბოლოსდაბოლოს, რაც უნდა კარგი უნდოდეთ ინგლისელებსა და ამერიკელებს ავღანეთისთვის, თვითონ ისინი ორივეს სახიფათოდ მიიჩნევენ და უნდა ჰქონდეთ უფლება, ისე იცხოვრონ, როგორც სურთ.

შეხვედრის დასასრულ ბატონმა პაატამ მადლობა შეკრებილებსაც გადაუხადა და როსტომ ჩხეიძესაც — ჩემზე უმცროსი კია, მაგრამ როსტომი რომ არა, არც ის თარგმანები იქნებოდა და არც ეს წიგნიო.

თვითონ ბატონმა როსტომმა კი ამ წიგნის ღირსება შეხვედრის ბოლოს კიდევ ერთხელ გამოკვეთა:

— ერთი მხრივ ხომ გაცხადებულია, რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს, თუმცა ამასთანავე იდუმალებაშიც ინთქმება ეს ყველაფერი.

ასეთია ეს კრებული და ასეთი უნდა იყოს ყველა წიგნი — თან ცხადი და თანაც დიდი იდუმალების განცდასაც ტოვებდესო.

მიხეილ ქოპილაშვილი

მიდიოდნენ

მიდიოდნენ...

ერთი იმ ბიჭს მიჰყვებოდა უკან სულით და გულით, ვაჭარს რომ დაადევნა, მეორე — ბედისწერას (რომელიც საერთოდ არ არსებობს, თუ არ დანებდები), მესამე კი — მუსიკის ჰანგებს. მათი მზერის გადაკვეთის წერტილი საქართველო იყო — ნითელი დათვის კლანჭებში მოქცეული, დათვისა, რომლის სისხლიანი სხეულიც თოვლზე ურცხვად დაგორავს, როგორმე რომ წაშალოს ნაკვალავი — სისასტიკის მამხილებელი სამხილი.

და მაინც, რაც მეტი დრო გადის, დათვის „კამუფლიაჟი“ უფრო და უფრო უფერულდება, სანამ ხალხი საბოლოოდ არ იხილავს პირისსხლიან მტარვალ მხეცს, რომელიც მზადაა, დაფლითოს ყველა, ვინც მის სისასტიკეს არ ემონება.

ღირსეულ ქართველებს არ შეუძლიათ მტრის წინაშე მუხლებზე ფორთხვა, შავზე თეთრის თქმა.

ღირსეულები გაიმეტეს — პაგანიისთითებიანი ყმანვილიც, ქაქუცაც, თავადიც.

ცხოვრება სასტიკია, და მაინც, არცერთი ნებდება მას.

სამივე ცდილობდა, კაცურად ეცხოვრა და სამივემ მოახერხა. სამივეს სასტიკად მოექცნენ, სამივეს უძვირფასესი წაართვეს და მაინც ვერ გატყვეს მათი სული.

...გამაგებელი მიქროდა ნითელი ვაკონი, არად დაგიდევდა არცერთი გაჩერებას. მიქროდა შეუჩერებლად, შეუსვენებლად და მიაქროლებდა მგზავრებს უფსკრულიკენ, მონობისაკენ, ტირანისაკენ. არ ჩანდა ძალა მისი შემჩერებელი, დამაოკებელი. მეტისმეტად გამჭრიახი და ცბიერი იყო მემანქანე.

ვის არ შეხვდებოდით ვაკონში — დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აჯანყებულებს, ნათავადარ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ, უსიცოცხლო თვალებით მომხილად ადამიანებს, თუ მუსიკოსებს — და ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია ჩამონათვალისა.

„ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ — ამ ლოზუნგით აღჭურვილიყო „ნითელი რასა“, დამოუკიდებელ აზრს არსებობის უფლებას რომ უსპობდა.

ამბობდნენ, დემოკრატიას ვაშენებთ, ხალხურ დემოკრატიასო. კარგად მიუგო გრიგოლ რობაქიძემ: „დემოს“ ხალხს ნიშნავს; როცა ამბობენ, ხალხურ დემოკრატიას ვაშენებთ, ცრუობენ, რადგან გარდა, „ხალხურ ხალხოკრატიას“ აშენებენ, სწორი იქნებოდა, ეთქვათ, დემოკრატიას ვაშენებთ, მაშინ მართლები იქნებოდნენო.“

იხსენებ გრიგოლ რობაქიძის სიტყვებს და შეუძლებელია არ დაეთანხმო. სხვა რა შეიძლება ეწოდოს მმართველობის ამ ყალიბს? უკეთესად ვერცერთი სიტყვა ვერ გამოხატავს მოვლენის არსს.

დაბალი ფენის ინტერესებს, მუშათა ინტერესებს, გლეხთა ინტერესებს ვიცავთო, ამბობდნენ და, როგორც ყოველთვის, ტყუოდნენ.

ეს იყო ფარსი, შირმა, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოსთვის დამლუპველი აღმოჩნდა — ესაძირკვლა ერის იდეოლოგიურ გახლეჩას, მენტალურ მუტაციას, ეროვნულ დეგრადირებას.

ღვთის წყალობით, ავად თუ კარგად, ამასაც გაუძლო საქართველომ, თუმცა „შემოჩერებული მენტალიტეტის“ გადმონაშთი, სამწუხაროდ, დღესაც მრავალადაა ქართულ კულტურაში, ერის ყოველდღიურობასა თუ ცნობიერებაში.


თითები წაასხიპეს ხელოვანს.

ეს იგივეა, ფრთები დააჭრა ფრინველს. თუ ტკივილისაგან არ მოკვდა, სევდა გადაიყოლებს ორივეს. მერე ვიმტვრიოთ თავი იმაზე ფიქრით, რის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ — ტკივილისა თუ სევდის.

ჩვენ ხომ ხშირად მეორეხარისხოვანზე გვიყვარს ყურადღების გამახვილება, მთავარი კი განზე გვრჩება, ხშირად ისე, რომ ვერც კი ვამჩნევთ. არადა, ადამიანის გულს მხოლოდ გარკვეული

ზომით შეუძლია როგორც სიხარულის, ისე ტკივილისა და სევდის ატანა. როცა ზღვარს მიაღწევს, ვეღარ უძლებს და ჩერდება.

სიხარულს რა ატანა უნდაო, მხოლოდ ის იტყვის, ალბათ, ვისაც არ განუცდია აუტანელი სიხარული, თუმცა ნეტავ სიხარულისგან გასჩერებოდა შემოქმედს გული — როდესაც ხალხის სიყვარულს იგრძნობდა, მისი კონცერტის მოსმენის შემდეგ, გამაყრუებელი ოცავიებისა და აპლოდისმენტების ფონზე, ვეღარ აეტანა გულს სიხარული, ბედნიერებისგან გარდაცვლილიყო ხელოვანი...



რა უნდა იყოს შემოქმედისთვის ამაზე ბედნიერი აღსასრული?! რასაკვირველია, ეს მრავალი კონცერტის მერე უნდა მომხდარიყო, მანამდე კი, ვინ იცის, მის მიერ აუღერებელი მუსიკა რამდენ გაციებულ გულს გაათბობდა, რამდენ უსიცოცხლო ადამიანს დაუბრუნებდა სიცოცხლის სურვილს, თბილ გულს კი ისე გაავარვარებდა, მარადიული ცეცხლის თანაზიარი გამხდარიყო, არასოდეს განელეზულიყო და გარშემომყოფთა გულებიც ანთო სიყვარულის ალით. შემოქმედება აერთიანებსო — ნათქვამია. ვინ იცის, სიყვარულზე დაფუძნებული ერთობა როგორ მასშტაბებს მიიღებს! ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიყვარულით გამთბარი გული შეეთვისებოდა ერთმანეთს! თუმცა ეს ხომ მხოლოდ ოცნებაა. ეს ოცნება კი იმ პატიმარს მოგვაგონებს, სამუდამო პატიმრობა რომ ჰქონდა მისჯილი, შემდეგ სასჯელი შეუცვალეს, ოცი წელი ელოდა იმ დროს, როდესაც თავისუფლების სურნელს შეიგრძნობდა. რაზე არ უფიქრია, რას არ გააკეთებდა, ათასწიარ გეგმას აწყობდა და აი, დადგა დღე, იმედით, ენითაღუნერელი სიხარულით სავსე, ხელახლა დაბადებული პატიმარი გამოვიდა ციხიდან, მეორე დღეს კი ქუჩაში გამოსულს მოულოდნელად მანქანამ დაარტყა, სული განუტევა. ბედის ირონიაა, მოულოდნელი დარტყმა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით... სწორედ ასე დაემართა „ახალგაზრდა პაგანიის“, რომელიც უცხო ქვეყნის „აგენტობაში“ ამხილა გალატაკებული ხალხის „სახსნელად“ მოვლენილმა რეჟიმმა.

ხელოვანს ნააჭრეს თითები, რომ წამოსული სისხლისთვის პირი შეეშვრათ, დაელიათ და დამძლარიყვნენ, რადგან საჭმელ-სახსნელი ვერ აოკებდა მგლურ მადას, დემონური ტკობა სჭირდებოდათ, რის შესანიღბ საშუალებასაც წარმოადგენდა ტკივილისაგან კრუნჩხვებში ჩავარდნილი ადამიანისაგან ბრალის აღიარება.

აი, ეს იყო ნამდვილი სიამოვნება! მზად იყვენენ, ამ „სიამოვნებისთვის“ ყველაფერი გაელოთ.

დარწმუნებული ვარ (რაც უნდა ამაზრუნენად უღერდეს), „მამხილებელთაგან“ ზოგი ორგაზმსაც კი განიცდიდა, როცა ახალგაზრდა შემოქმედის თითების გილიოტინას ესწრებოდა. ვერ გაუძლებდა უთითობას შემოქმედი, როგორც ჩვილი ბავშვი — ურძეობას, ერთი ამოიხრიალა და გარდაიცვალა.

მიღიერში მაინც იპოვის სიმშვიდეს ხელოვანის სული, იქ მაინც აღარ შეანუხებენ უჯრედის მდივანი, რაიკომის მდივანი და მილიციის მუშაკები, გაუთავებელი კითხვებითა და ტანჯვა-წამებით.

აქ კი... ცხოვრება სასტიკი, უსამართლო და ხშირად აუტანელია. მხოლოდ უფალშია შვება, დანარჩენი — ყველაფერი მოჩვენებითი და წარმავალი, თავის მოტყუება და სხვა არაფერი...

მიაბარა სული შემოქმედმა შემოქმედს, ქმნილებამ — უფალს. ღვთის საჩუქარი ვერ შეირგო კაცობრიობამ.

* XX საუკუნის ოციანი წლების (1921-1924) რეფლექსია უახლეს ქართულ ნოველისტიკაში (ოთარ ჩხეიძის „პაგანიის თითები“, ვანო ჩხიკვაძის „ნითელი ვაკონი“, ნუგზარ შატაიძის „თეთრი ცხენი“)

დემრთი გაუმრთელებს თითებს „პაგანინის“ და აღარასოდეს შეწყდება ზეციური მელოდია, რომელსაც მხოლოდ რჩეულები მოუსმენენ, მხოლოდ ისინი, ვინც შეძლებს დააფასოს ეს მელოდია, მადლობა შესწიროს უფალს საჩუქრისთვის, წყალობისათვის. დედამინა მუსიკის გარეშე ხომ შეცდომა იქნებოდა! რაც მეტ ასეთ ადამიანს გაიმეტებს სამყარო, მით მეტად დარწმუნდება უმელოდო ყოფის უაზრობაში.

ზაალ სამადაშვილის ლაპიდარული მონასში ვრცელ რეცენზიად ღირს: „სულ ახლახან ნაეკითხე **ოთარ ჩხეიძის „პაგანინის თითები“**... მენდეთ, ზედიზედ რამდენჯერმე დამესიზმრა საბედისწეროდ დაქნეული გაბასრული წალდი და დასხეპილი თითები“.

...თავადი ნიკოლოზი **[ვანო ჩხიკვაძე, „ნითელი ვაგონი“]** საკანში მანველოვთან ერთად მოხვდა. სირაჯი მანველოვი გაძვალტყავებულიყო, ადამიანს აღარ ჰგავდა.

ბედისწერას კვლავ შეეყარა მატყუარა ვირთხა და გენით, გონით, არსით თავადი ნიკოლოზი.

ერთ საკანში ისხდნენ არისტოკრატი და ვაჭარი, რომელმაც ნაბილწული ღვინო მიჰყიდა კლიენტს, არადა, ფული ადლო, რომ ეს არ გაეკეთებინა. მაგრამ ვაჭარი რის ვაჭარია („ჯაბანი, ომისაცა უმეტარი“ მანველოვი კი ნამდვილად ვაჭარი იყო, სულით და გულით ვაჭარი!) — უნდა ევაჭრა ყველათი და ყველაფრით. ივაჭრა კიდეც, ვიდრე იმ გზას გაუყენებდნენ, სადაც ვერავის შეევაჭრებოდა.

თავადი ნიკოლოზი კი... ბედის ბორბალი უკულმა დატრიალდა სრულად საქართველოსათვის, ბუნებრივია, თავადისა და მისი ოჯახისთვისაც. შვილები მამულის დაცვისას, ომში დაეღუპა, ნაართვის ქონება, შეავინროვეს, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელი იყო და აი, ბოლოს, საკანშია მანველოვის გვერდით...

რა უცნაურია ცხოვრება, ნიკოლოზი ხვდება, რომ ეს იქნება ბოლო სივრცე, რომელსაც ხედავს. აღარ აქვს ძალა ბრძოლისა, იქნებ, აღარც სურველი (აკი აღნიშნავს რემარკაში ავტორი, „გულზე რომ ხელი დაერტყა, სიცარიელე ამოსახებდაო“). დაინგრა ბედნიერება, ამა თუ იმ „გარემოების წყალობით“.

არ აღმოჩნდა მზად საქართველო ნითლების შემოსევისაგან თავის დასაცავად, რადგან, ჩვენი ხასიათის გამო, გვეგონა, ყველაფერი ჩაივლიდა, თავისთავად გამოსწორდებოდა. ჩვენ ხომ გვიყვარს პასუხისმგებლობის თავიდან არიდება და, თუკი არასასურველი შედეგის წინაშე აღმოვჩნდით, ამას მაშინვე სხვას გადავაბრალებთ.

დინებას მიუყვებითო, ვამბობდით, ძალიან დიდხანს ხომ არ მიყვებით დინებას?!

ამბობენ, „დინებას მარტო მკვდარი თევზები მიუყვებიანო“ (ზვიად გამსახურდია). ვინმეს ხომ არ გაგონებთ ეს მკვდარი თევზები? დიახ, ეს ჩვენ ვართ, შეგჩერებივართ ხელებში ძლიერთა ამა სოფლისათა, ხან ერთსა და ხან მეორეს, მშვიდი ძალღებვივით, და ველით, როდის გადმოგვიგდებს ლუკმას ახალი თუ მობეზრებული „პატრონი.“ გვირჩევენია, დარდს წამოვუნვით, თვალი მოვუხუჭეთ. არანაირი აქტიურობა, არანაირი რეაქცია, არანაირი განცდა იმისა, რომ მამულიშვილები „მონაღვლენი“ ვართ (უნდა ვიყოთ) და თავად უნდა ვმართოთ ღვთისგან ჩვენთვის ნაწყალობევი, „უთვალავ ფერად“ ქმნილი ქვეყანა; რომ შენი ტკივილი ჩემი ტკივილია, და პირიქით.

აქტიურობა და სიზარმაცე, „მონაღვლეობა“ და განურჩევლობა ერთმანეთს ვერ ეგუებიან. ვიდრე ამას გავიაზრებთ, ვიდრე მეორეს ვამჯობინებთ პირველს, ვინ იცის, რამდენს დაეკარგავთ, რამდენი ნიკოლოზი, რამდენი „პაგანინი“ შეენიერება „სხვათა ქვეყნებში ატეხილი ჭირის“ რეციდივს ჩვენს მამულში!

ვერ დავიცავით ნიკოლოზი, ვერ დავიცავით სამშობლო ჩვენი. მეორემ პირველი განაპირობა. ჩვენ წამოვეგეთ ანკესზე, როდესაც გლეხი თავადს დაუპირისპირეს და შემდეგაც, როდესაც სამოქალაქო ომში ჩაითრიეს ქვეყანა. ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა ვერ გამო-

ვამჟღავნებთ, სუსტები აღმოვჩნდით, ვერ ვივარგეთ — არც რწმენა გვეყო, არც განათლება, არც ღირსება.

საჭიროა ერის გამოფხიზლება, გამოთლიანება, მამულიშვილის გენის აღორძინება. „ნითელი ვაგონის“ იდეაც ესაა — სანამ ყველა კვიპაროსი არ იქცევა კუნძად, სანამ ყველა დედაბოძს არ მოჭრიან და დაჩეხენ, მანამდე, მანამდე, თორემ მერე გვიან იქნება.

არ უნდა დავემსგავსოთ მანველოვს, არ შეიძლება ყველაფრით ვაჭრობა, მატერიალური განამანისის გამო იმ ყველაფერზე უარის თქმა, რასაც ადამიანობა, ღირსება, კაცობა, მამულიშვილობა ჰქვია, ყოველივე ღვთისნიერის უგულბელყოფა და დავინყება, თორემ ჩაივლის ცხოვრება, იმაზე ბევრად სწრაფად, ვიდრე წარმოგვიდგენია, ვერსად გავექცევით სიკვდილს, როგორც მანველოვი ვერ გაექცა აღმართში და დევნებულ ტყვიას.

...თეთრ ცხენს **[ნუგზარ შატაძე, „თეთრი ცხენი“]** მკერდიდან ვარდისფერი სისხლი მოსდიოდა. ჭრილობა შესწნოდა და, რაც უფრო სწრაფად მიქროდა, მით მეტად უძლიერდებოდა ტკივილი. უნდა ევლო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა! ვერ მიატოვებდა საკუთარი სულის ნაწილს, თავის მხედარს. იბრძოდა თეთრი ცხენი, იბრძოდა, ცდილობდა, თვალთახედვის არედან არ დაეკარგა შეფიცულნი — ადამიანები, რომელნიც მისთვის ყველაზე ძვირფასს წარმოადგენდნენ.

მიდიოდნენ ადამიანები, მიჰყვებოდათ თეთრი ცხენი. გზა... მგზავრები... ცხენი... ჩამორჩენა... შეჩერება... დანევა... ფეხის აჩქარება... დევნა... ისევ წამოწევა...

მიდიოდნენ მგზავრები და ტოვებდნენ სამშობლოს, თეთრი ცხენიც მისდევდა, ვიდრე შეეძლო, ვიდრე სუნთქავდა.

რამდენჯერაც დაენია მგზავრებს, გაასწრეს, ფეხს აუჩქარეს და სვლა განაგრძეს.

დაიღალა თეთრი ცხენი, საქართველოს მარადიული სული, დაიღალა დევნით, აღარც ძალა შერჩა, გზა განეგრძო.

მგზავრები კვლავინდებურად წინ მიიწვევდნენ, აღსავსენი ტკივილითა და იმედეგატრუებით, უიმედონი და ცარიელნი, როგორც სხეული ადამიანისა — სიკვდილის შემდეგ.

იომა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, იომეს მისმა რაზმელებმა, ბევრი მოულოდნელი დარტყმა აგემეს მტერს, აზარალეს, თუმცა ძალა აღმართს ხნავს. აღარ ჰქონდა უთანასწორო ბრძოლას აზრი და, ამის მიხედვარა-გაცნობიერების შემდეგ, ამ სულანთებულ ქართველებშიც კი ჩაინავლა სიცოცხლის სურვილი, ბრძოლის ჟინი.

ვის უტოვებთ სამშობლოსო, ჰკითხა მწყემსმა გზადმემოყრილ მგზავრებს... სად მიდიხართო... რა ეშველება საქართველოსო...

სად მიდიოდნენ?!... რა ეშველებოდა საქართველოს?!... ვისთვის უნდა დაეტოვებინათ?!

ტკივილი... ტკივილი და სიმარტოვე (ბავშვის მოწყვეტა დედის კალთიდან... თუმცა არც ერთი იყო ბავშვი, დედისთვის ხომ საკუთარი შვილი ყოველთვის პატარა იქნება)...

მიდიოდნენ... იქნებ ჰქონდათ იმედი, რომ დაბრუნდებოდნენ, ოდესმე დაბრუნდებოდნენ და მწარედ ანანებდნენ მომხდურთ.

მანამდე კი უნდა წასულიყვნენ. უნდა გარიდებოდნენ, რადგან არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის საკმარისი მათი თავგანწირული ბრძოლა. არადა, ყველაფერი ილონეს, რომ გაემარჯვებოდა, ყველა გზა, ყველა ხერხი მოსინჯეს, მაგრამ...

თეთრი დროში მიდიოდა ქაქუცა, დროშად ექცია თავისი თეთრი პერანგი, რომელიც ისეთი სინანულით გაიძრო, თითქოს სული ამორთმეოდეს.

რას ფიქრობდა, ვინ იცის... რა ეიმედებოდა...

გადავიდნენ თურქეთს, ქაქუცა მიუძღოდათ წინ — არსაით... მიდიოდნენ... მიდიოდნენ...

„გმადლობ, მიმავალო რასაც“, — უნუგეშო სევდით იტყოდა მარინა ცვეტაევა.

როგორც უბის ნიგნაკში ჩაუნერია, მიხეილ ჯავახიშვილსაც „ჯავახოს ხიზნები“ თურმე „მ ი მ ა ვ ა ლ მ ა ქვეყანამ დაანერინა...“

როსტომ ჩხეიძე

ფერფლის მისტერია... სიცოცხლის ტრაგიკომი...

(ლაშა თაბუკაშვილის
ნაგვიანები დავიუთი რომანტიკაში)

ფერფლსაც აქვს თავისი ესთეტიკა.
თავისი ეთიკაც აქვს ფერფლს.
და მისტერია ხომ — თავისთავად!..

* * *

ასეთი ფინალური აკორდი, ეპიზოდურ გაღვებზე დასრულებული მთელი ბიოგრაფია გმირისა, ლაშა თაბუკაშვილის რომანი „ერთი გაგვიცინე, გუნძენ!“ რითაც გვირგვინდება, თავისთავად სულაც არ არის ახალი ჩვენს ბელეტრისტიკაში.

არც კინემატოგრაფში, სხვათა შორის.

და ეს, კინოხატი, იმ ნოველის უშუალო ზეგავლენით — მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყვილისა“, რომელიც მწერლის სიცოცხლეში ვერ ეღივებოდა გამოქვეყნებას და მხოლოდ მისი ოფიციალური რეაბილიტაციის შემდეგ იხილავდა მზის სინათლეს ახალდაარსებული ჟურნალ „ცისკრის“ პირველივე ნომერში — 1957 წელს, თუმცა უხმაუროდ ვერ ჩაივლიდა, ბოლოა მწერლები რომ წაესოდნენ ამ პუბლიკაციას და რედაქტორს — ვახტანგ ქელიძეს — ბრალდებად წაუყენებდნენ: მიხეილ ჯავახიშვილისა როგორც მოქალაქის რეაბილიტაცია მოხდა და არა როგორც მწერლის, ამიტომაც არაფრისდიდებით არ შეიძლება „მინის ყვილის“ დაბეჭდვაო.

მითუმეტეს — ემიგრანტთა ცხოვრებას წარმოსახავდა.

მითუმეტეს — მთავარი გმირის, ანდრო კაიშაურის, მიღმა ვარლამ ჩერქეზიშვილი ილანდებოდა პროტოტიპად, ქართული ანარქისტული მოძრაობის წინამძღოლი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მიზანმიმართული მებრძოლი დასავლური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მისამხრობად.

და მითუმეტეს — გულისშემძვრელი ფინალური აკორდი...

მშობლიური მინის მონატრებაში უნდა ამოხდეს სული გაფრანგებულ ანდრო კაიშაურს, სიცოცხლის მიმწუხრზე ხელახლა რომ უნდა აღიდგინოს დაიწყებული ქართული ენა, გამშობლიურებული ფრანგული კი სრულიად მიაგინდეს... და რაკილა გრძნობს, რომ თავის ქვეყანას ველარ დაუბრუნდება, იხვეწება: მინას დაუბრუნეთ ჩემი ვალი — ან ცოცხალი, ან მკვდარიო...

და ეს არის მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდერძიც, რომელიც კიდევ შეუსრულდება, თანაც... პარიზში კარგი კრემატორიუმი, ხოლო დიდი კაცის ფერფლი ჯიბის კოლოფშიც ეტევა.

და აგერ ანანურიც — ღრმა ხევში ჩანოლილი... მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი... მთხრობელმა ავტო უნდა შეაჩეროს, ზევით ავიდეს, ანდრო გაიხსენოს და ის ნავლი ხევის ნიაგს გაატანოს.

ემიგრანტის ფერფლის ჩამოტანის მოტივი მოგვიანებით გადაინაცვლება კინოფილმში „ფესვები“ (რეჟისორი გუგული მგელაძე), ამ ფინალით რომ შეიკვროდა მისი კომპოზიციური ქარგა, ყველაზე უკეთ რომ დაავიწყებებოდა იმ ღრმა სევდასა და ნოსტალგიას, რითაც გაუღვნილა საფრანგეთში გადახვენილი გმირის თავგადასავალი.

ასე განმეორდებოდა უშუალოდ „მინის ყვილის“ დასასრული.

გნებავთ თავისებურ გადაძახილად იგულისხმეთ, კინემატოგრაფის დასესხებად ბელეტრისტიკისაგან.

და აი, კიდევ ერთი გადაძახილი თუ შეხმიანება ჯავახიშვილურ ფინალთან, აღიარებული დრამატურგი პირველად რომ გამოჩნდებოდა რომანის ჟანრში.

უშუალო? ან ეგებ ქვეშეცნული?

ერთიც შესაძლებელია და მეორეც, უკვე იქ რომ გიგრძნობს გული ამგვარ სიუჟეტურ სვლას, ლაზარე იშხნელის ბარათს რომ გაეცნობი ბექასადმი, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ემიგრანტისა — თავისი ახალგაზრდა ნათესავისადმი:

— არ დაგაბნოს ეპისტოლარულმა ჟანრმა! ამ წერილს რომ წაიკითხავ, მე აღარ ვიქნები. შენთან კლო ჩამოვა, რალაცას ჩამოგიტანს და შენ თვითონ იცი, რაც უნდა გააკეთო, ალავერდის ტაძრის მახლობლად. ჩამოვლენ ჩემი ადვოკატებიც და აგისხნიან ჩემ მემკვიდრეს, რა და როგორ... მარტო მივდივარ, ასე უღმერთო და უსამშობლო! ერთს ვფიქრობ მხოლოდ, შენში სულ ცოტა მაინც ხომ ჩქეფს ჩემი სისხლი, მაშ რაღაც არ თავდება და გრძელდება!

რაღაცას ჩამოგიტანსო...

მანამდე ასეთივე „რაღაც“ თვითონვე ჩამოგიტანა და ბექას თვალწინ გაეფანტა ჰაერში: დედ-მამის ფერფლი.

და რამდენიმე დღის შემდეგ ბექა ალავერდის ტაძრის მახლობლად უნდა იდგეს და მოულოდნელად მოვარდნილ ნისლში ხედავდეს, თუ როგორ მიაცილებენ იმ დილას ჩამოფრენილ კლოს ლენი და თამთა მანქანისაკენ, დათო და სოსიკო კი ლარნაკს ფლავენ მინაში, გიაც იქვე დგას და უღვაშს აწვალებს.

ჯანლი ასევე უეცრად რომ გაიფანტოს და ბექამ კავკასიონის ქვედ გაუსწოროს თვალს... მერე ლაზარეს ხმა ჩაესმას, მისტიკურმა საბურველმა ორი ადამიანის მიერ ერთდროულად დასიზმრებული ზმანებაც ძალდაუტანებლად რომ უნდა შემოაცუროს თხრობაში.

ქარმა კი დაბეროს და ლაზარე იშხნელის ფერფლი ალაზნის ველზე გაფანტოს.

საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ ემიგრანტის ფერფლი ნოველაშიც და რომანშიც მაინცდამაინც საყდრისა თუ ტაძრის, ღვთის სახლის მახლობლად რომ უნდა გაიბნეს ჰაერში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ივედებოდა სხეულის დაფერფვლას, რათა ეგებ ასე მაინც ღირებოდა საქართველოში დაკრძალვა, თორემ ცხედარს ვინ შემოაღწევინებდა საზღვარს გადმოღმა.

მიხაკო წერეთელიც მოინდომებდა ამასვე და, განსხვავებით ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან, მისი ეს ანდერძი აღსრულებოდა, ოღონდ ნაწილობრივ — დაფერფვლით კი დაფერფლავდნენ, მაგრამ ლარნაკი ლევილის სასაფლაოზე ჰპოვებდა ნავსაყუდელს.

ქაქუცას ნატვრა „მინის ყვილის“ შექმნამდელია, მიხაკო წერეთლისა — „მინის ყვილის“ შექმნის შემდგომი, თუმცა მიხეილ ჯავახიშვილმა არა უწყოდა რა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამ ნატვრისა, მიხაკო წერეთელმა კი — ამ ნოველისა.

და ეს იმ ზღუდეების გამო, საბჭოთა იმპერია დანარჩენი მსოფლიოსაგან რომ მოეწყვიტა.

მაგრამ იქ, სივრცეებში შეხვდებოდნენ და შენივთდებოდნენ ეს ოცნებანი, მწერალი ისედაც რომ მიჰკვლევდა ემიგრანტთა ფარულ ოცნებას და აქცევდა მხატვრულ თემადაც და მოტივადაც, გამოძახილსაც რომ ჰპოვებდა.

და რომც არ აღმოჩენილიყო „მინის ყვილი“ მწერლის არქივში, ლაშა თაბუკაშვილი თავისითაც მიაგნებდა ამ მოტივს და აქცევდა რომანის მხატვრულ-იდეური კონცეფციის ერთ-ერთ საყრდენად, და ეს იმიტომ, რომ გაეშინაგანებინა ქართველ ემიგრანტთა ხვედრი და ბედისწერა, განსაკუთრებით კი მიხეილ თამარაშვილის ჩამოსვენებისა და დაკრძალვის პროცესი იმოქმედებდა მის ფსიქიკაზე, წარუშლელად რომ დააჩნდებოდა, რადგანაც ეს მოვლენა მისი ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად გადაიქცეოდა.

ჩვენი ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად კი ქცეულა და მითუმეტეს — ლაშასათვის, რევან თაბუკაშვილი ურთულეს პირობებში, საბჭოური რეჟიმის კიდევ ერთხელ გამკაცრების ჟამს იტალიიდან რომ ჩამოასვენებდა დიდებული მამულიშვილის ნეშტს და, ვიდრე საქვეყნოდ დასაფლავების უფლებას მოიპოვებდა და სამგლოვიარო პროცესია დიდ ეროვნულ მანიფესტაციად გარდაიხსებოდა, მის სასახლეს რამდენიმე დღე საკუთარ ჭერქვეშ ამყოფებდა...

ეს ის შტრიხია, კიდევ უფრო რომ აცხოველებს მთელი ამ პროცესით მოგვიღო შთაბეჭდილებას, ისედაც შემძვრელს იმჟამინდელი რეალობის ფონზე.

და ეს ყოფითი სურათიც ჰკვებავს რომანის ავტორის წარმოსახვას და ამიტომაცაა, „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ ლიტერატურული ასოციაცია-ალუზიით რომ არ იზღუდება და ფინალი მოხდენილ თუ ეფექტურ დასასრულად კი არ არის ჩადგმული, არამედ რომანის გამჭოლ იდეად, მისი სულისკვეთების წარმმართველად.

მოულოდნელობის ეფექტი არ ახლავს და აღარც შეიძლება ახლდეს?

ამის იმედად არც ყოფილა, რადგანაც უპირატესად გულის კარნახს მიჰყვებოდა და ყოველივეს საკუთარ ქურამი აღნობდა, თორემ სხვაგვარად მოერიდებოდა თუნდ ვესტერნიზაციისათვის ნიშანდობლივ სცენებს, უხვად რომ მიმოხეწულა თხრობაში ეს ქუჩური ჩხუბები, სროლები, დაჭრა-მკვლელობები...

ყოფითი რეალობიდან ნატურალისტურად შემოიჭრებოდა საუკუნის მიწურულისა და დასაწყისის ჟამს შეთხზულ პროზაულ თუ დრამატურგიულ ქმნილებებში ვესტერნული სურათები ქოთური სინამდვილის ანარეკლად და გასათვალსაზრისებლად და იმდენი დახორავდებოდა, მოსაბეზრებელიც გახდებოდა, სრულიად რომ გამოეცლებოდა შინაგანი მუხტი და ექსპრესია და არაფრისმთქმელ ლიტერატურულ და კინემატოგრაფიულ კადრებად ჩაიქროლებოდა, მკითხველსა თუ მაყურებელს ოდნავადაც რომ ველარ აუტოკებდა გულს.

თუმც გამონაკლისი ყოველთვის არსებობს და ლაშა თაბუკაშვილი მაშინაც შეძლებდა ისეთი პიესის შექმნას — „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ — რომელიც, მიუხედავად ვესტერნიზაციისადმი გაღებული ხარკისა, შთამბეჭდავ თხზულებად შემორჩებოდა მკითხველისა თუ მაყურებლის ცნობიერებას; და რომანშიც აღწევს იმას, რომ მობეზრებისა თუ ათვალწუნების განცდა არ გაუჩნდეს მკითხველს და სიუჟეტის სიმძაფრე და დინამიკურობა კი განსაზღვროს სურათთა ამ წყებამაც გამოკვეთილი, კოლორიტული ხასიათების წყალობით და იმ მარჯვედ აგებული დიალოგებისა, ლაშა თაბუკაშვილს წარმატება რომ მოუტანა დრამატურგიაში და ახლა რომანის კომპოზიციური ქარგაც მტკიცედ მოირგო, რომანისა, ჩვენი სამწერლო ცხოვრების ერთ გამორჩეულ ქმნილებად რომ წარმოდგება და ჭეშმარიტი სალიტერატურო ყოფის პირობებში ის ხვედრი ერგებოდა, ძალდაუტანებლად რომ გააღწევდა დასავლურ სამწერლო სივრცეშიც და ბესტსელერთა შორისაც დაიმკვიდრებდა ადგილს და ნამდვილ დამფასებელთაც ჰპოვებდა იქაც და ჩვენშიც, კანტიკუნტი გამომხაურებების იმედად კი არ დარჩებოდა.

რომანის გეოგრაფიული სივრცე ისედაც მოიცავს ვეება ტერიტორიას — საქართველოს გარდა დასავლეთსაც.

და ბარემ ამ სივრცეშივე დატრიალდებოდა თარგმანების სახითაც.

ამგვარი სურვილი ამაო ოცნებად მოჩანს?

ჩვენს სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა რომ მოეპოვებოდეს — ღრმად გააზრებული და მიზანმიმართული, ანუ ხელი-



სუფლებას ოდნავ მაინც აღელვებდეს ჭეშმარიტი ლიტერატურის ბედი, ჩვენი მწერლობა, თავისი ყველა ჟანრით, უკვე ფენმოკიდებული იქნებოდა საერთაშორისო ასპარეზზე, ცხადია, პროზასაც გაეხსნებოდა გზა და ახალი მნიშვნელოვანი თხზულებანიც გაცილებით ადვილად მოექცეოდა დასავლელი მკითხველის ყურადღების შუაგულში.

სურვილი და სწრაფვა იყოს და... დაე ამიერიდან მაინც მოებას თავი კულტურის პოლიტიკის ხორცმესხმას, თორემ ცალკეული თარგმანები ფუჭ გასროლაზე უკეთეს ნაყოფს ვერ გამოიღებს დასავლურ სალიტერატურო პროცესებთან ჩვენს დასაახლოებლად და მასში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

არადა, ძალდაუტანებლად შეიძლება მოვინიშნოთ გუინპლენი ის მწერლები და თხზულებანი, რომელთათვისაც გზის გაკვლევა სასიკეთოდ წაადგება ჩვენს მწერლობას... და „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ უსათუოდ მოხვდება ჩვენ-ჩვენ ჩამონათვალში.

ბესტსელერთა შორისაც დაიმკვიდრებდა ადგილს და ნამდვილ დამფასებელთაც ჰპოვებდაო...

მკითხველის გემოვნებას მიხეილ ჯავახიშვილიც რომ ითვალისწინებდა, ამიტომაც მოიმარჯვებდა ბულვარული რომანის ხერხებსაც, რათა თხრობა მასზე დაყრდნობით აეზიდა ნამდვილ მხატვრულ სიმაღლემდე... ასე სხვა არაერთი მწერალი მოქცეულა და ამჯერად თუნდ ლაშა თაბუკაშვილიც მიმართავდა ბულვარული რომანისა თუ მელოდრამის ხერხებს, იმ მელოდრამის, ასე კანთიელად რომ იგრძნობა მისი პიესების ერთ რკალში და დრამატურგს ბენვის ხიდზე უწევდა სიარული, რათა ეს სტილისტიკა ბანალურობაში არ გადასულიყო, ერთბაშად რომ გააცამტვერებდა იმ ხიბლს, ამ პიესებს რომ ანათებდა იდუმალი შუქით.

და მაინც, ბოლომდე არ უნდა გაჰყოლოდა ამ გზას და სხვა სტილისტიკაც ეძია, ასე ხელშეახებად რომ იჩინდა თავს დრამაში „...მაგრამ უფლება არ მოუცია“ — უშუალო გაგრძელებად რომ წარმოგვიდგება პიესისა „შენკენ სავალი გზები“, სხვაგვარად — მელოდრამის ნიმუშის, და ამ ორი დრამატურგიული თხზულების შედარებით ანალიზი ერთგვარად საგულისხმოც შეიძლება გამოდგეს ჟანრობრივ თავისებურებათა წარმოჩენისას, მთავარ გმირებს ახალ გარემოში რომ გადმოუნაცვლებიათ და, მარტო გარემო რა სათქმელია, ახალი სტილისტიკის გამოიხსობით ახალი ფერებითა და სისხლხორციითაც აღვსილან... და გარემო სინამდვილეს ამიტომაც უფრო მკვეთრად და მძაფრად წარმოსახული, შინაგანი დულიციც უკვე საგრძობი რომ არის, და გმირის ფორიაქი ამიტომაც გადაეჯაჭვება ქვეყნის ფორიაქს, სწრაფვას სასიკეთო ფერისცვალებისაკენ.

ის სწრაფვაა, რომანშიც რომ გადმოსულა, ოღონდ ამაღლებულ იდეალებს ცხოვრების სისასტიკე შეხლია და ახალი ეპოქა ამიტომაც აღბეჭდილა იმ ტრაგიზმით, რომლის გარდუვალობაც ერთდროულად მოამზადა გარე და შიდა მიზეზებმა და წინააღმდეგობებმა, ღვთისმადიებლობა ასე სავალალოდ რომ შემოგვიბრუნა და სატანურ ძალთა ხელში ჩაგვავდო...

და ვდგავართ და ვდგავართ საბედისწერო მოსახვევში...!

ეს სიმბოლური სურათი რომანში ბეჭა იმხნელის სახედ გარდასხეულებულა — იგი დგას საბედისწერო მოსახვევშიც, ჩიხშიც და... გამოსავალი თუ ილანდება, ეს ის სულიერი ნაკადია, რომლის უწყევტობის შენარჩუნებაც დაჰკისრებია; ამ იდუმალი, მისტიკური აქტის თვალნათლივი გამოხატულება კი ის ფერფლია, ალავერდის ტაძრის სიახლოვეს რომ უნდა გაიბნეს ჰაერში, როგორც თავისებური შემაკავშირებელი ზეცისა და მიწის, ახალი სიცოცხლის შთამბერავი იმ სულიერი ძარღვისათვის, რომლის დავრდომილებაც ერთბაშად გააქარწყლებდა ყოველგვარ

იმედს, მისი შენარჩუნება კი შეუძლებელი იქნებოდა წინაპართა აზრდობისა და იმ მარადმდინი სისხლის გარეშე, ლაზარე იშხნელისაგან ბექასთან რომ უნდა გადადინდეს.

და გადადინდეს ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, რადგანაც ორივეს არსებას, თვალნათლივ თუ ფარულად, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ამბობება ალავესებს, ის ჰეროიკა, ის ტრაგიზმი, ის ნიშანსვეტი, ადრე თუ გვიან კვლავაც რომ უნდა განმეორებულიყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ოღონდ ამჯერად წარმატებით — თუ მაშინ ვერ ამოვიგებდით სახელმწიფოებრიობას, 90-იანი წლების დამდეგს მოგვეპოვებინა ხელახლა... მოგვეპოვებინა იმ ქაოსთან ერთად, მიუხედავად ტრაგიკულობისა, დამოუკიდებლობას რომ მაინც აღარ თუ ვეღარ გამოგვტაცებდა ხელიდან...

ხოლო ვიქტორ ჰიუგოს რომანის გმირის გახსენებას მხოლოდ პერსონაჟის ხასიათისა თუ ბედის გამოსაკვეთად არ დაისაჭიროებდა ლაშა თაბუკაშვილი. ცხადია, შემთხვევითი არ არის, კოლეჯის დღესასწაულებზე ლაზარე იშხნელი მაინცდამაინც გუინბლენის ნიღბის გაკეთებას რომ ამჯობინებს და მეგობრები ამის გამო გუის შეარქმევენ, ნიღბს კაცისა, კომპრაჩიკოსებს რომ დაუმახინჯებიათ და ისე მოუკვეთათ ტუჩები ბავშვობაში, თითქოს იცინისო.

შინაგანი ტრაგიზმი გარეგნული კომიზმით, მხიარულებით, უდარდლობით გამოიხატებოდა ჰიუგოს პერსონაჟის სახეში.

და ერთხელ კი არ მოირგებდა ლაშა თაბუკაშვილის გმირი, არამედ შეითვისებდა და შეისისხლხორცებდა, და თუმც ნიღაბი აღარ უკეთია, მეტსახელი გუი სამუდამოდ შერჩება იმ ამბების გაუნელებელ ხსოვნადაც და ჭრილობადაც.

გმირის მიღმა კი... მისი სამშობლოს ტრაგიკომიკური ხვედრი ილანდება, ძალაუნებურად გასიმბოლოებული მკითხველის აღქმაში.

გუინბლენი ლაზარე იშხნელიცაა და საქართველოც... და გამოუვალობის მოსახვევსა თუ სულაც ჩიხში ამიტომაც უნდა შემოცურდეს სიზმარეული ჩვენება, უშუალოდ გადაჭლობილი ფერფლის გაფანტვას; და ამიტომაც ჩვენებაში, ერთდროულად რომ ეზმანება ორ იშხნელს, იმ უკეთესი საქართველოს კონტურები ილანდება — გრძელი ფიჭვნარი ტბასავით უძრავი ზღვის სანაპიროზე და გორაკი, საიდანაც მზე იწვევება... ნაპირთან კი წყალი ისეთი სუფთა და კრიალაა, რომ ყოველ კენჭს არჩევით ამოკოცნი...

ჯერ ისედაც ნაკლებ აღიქვამდი ამ სურათს პეიზაჟად. და ასეთი ფინალური აკორდის ფონზე ხომ!..

* * *

ერთბაშად უნდა გაიფანტოს მოულოდნელად მოვარდნილი ნისლი.

ქარმა დაბეროს. და ლაზარე იშხნელის ფერფლი ალაზნის ველზე გაფანტოს, ალავერდის ტაძრის სიახლოვეს.

და მაშ... სულაც არ მთავრდება რაღაც, და გრძელდება და გრძელდება და ჯერჯერობით მაინც იმ ტრაგიკომიკურობით, თომას მანი ღმერთსმოკლებული ეპოქის ყველაზე რეალურ შინაარსად რომ მიიჩნევა და მისი სიმბოლიკა კი ჯერ კიდევ როდის ენინასწარმეტყველა ვიქტორ ჰიუგოს.

* * *

და ბრუნავს ფერფლი, ბრუნავს და ბრუნავს ალაზნის ველზეც...

თავისი ესთეტიკით. თავისი ეთიკით. მისტერიით ხომ — თავისთავად!..

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე ბერმანის და იტალიის ბაერთიანებაზე

XIX საუკუნის შუა ხანების დასავლეთ ევროპის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს გერმანიისა და იტალიის გაერთიანება. მან ღრმა კვალი დატოვა იმ პერიოდის ისტორიაში და გავლენა მოახდინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაზე. ინდუსტრიული რევოლუციის ჩამოყალიბების პროცესი დასასრულს უახლოვდება. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გერმანიისა და იტალიის გაერთიანებისადმი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება. ქართული საზოგადოებისათვის დიმიტრი უზნაძის წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში ნაკლებად აცნობილი. წინამდებარე ნაშრომი ამ მიმართულებით მისი წვლილის გაცნობიერების გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს.

დ. უზნაძე "ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოში, რომელიც მან ი. გველესიანთან ერთად დაწერა, ბუნებრივია, შეეხება გერმანიის და იტალიის გაერთიანებასაც. ეს მცირე ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვა უფრო ვრცელი მასალა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. ამიტომ იმ მონაცემებს უნდა დავჯერდეთ, რაც გავაჩნია.

სახელმძღვანელოში ამ თემებზე მსჯელობის შეფასება დღევანდელი გადასახედიდან ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს მიამიტური მსჯელობა დღეს ლიმილის მომგვრელია, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ მთავარი ეს არ უნდა იყოს. ამ საკითხებზე მსჯელობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქართველ მკითხველს, პირველ რიგში კი მოსწავლეებს, გერმანიის და იტალიის გაერთიანებაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნინდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ, შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გართვეს თავი. მთავარი, სწორედ ეს უნდა იყოს.

სახელმძღვანელოს, გარდა პირწმინდად შემეცნებითი მნიშვნელობისა, მეცნიერული დატვირთვაც აქვს და ამ მოვლენების თხრობა-გადმოცემასთან ერთად მიზნად ისახავს მის გააზრებას, შეფასებას. ეს მათ მსჯელობას ისტორიოგრაფიულ მუხტს სძენს. ამ თემის განხილვა ძირითადად სწორედ ისტორიოგრაფიული რაკურსით გვანტერესებს.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ამ თემების განხილვა ემყარება ემპირიული, ფაქტობრივი მასალის კარგ ცოდნას. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ავტორები არ კმაყოფილდებიან ფაქტების მშრალი გადმოცემით, აღწერილი. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. ეს საინტერესო არ იქნებოდა. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევას. ამას მათ თხრობაში ანალიტიკური მუხტი შეაქვს, რაც ამ საკითხზე მათი მსჯელობის მთავარი პლიუსია.

ყურადღებას გვაქვს იტალიაში ორ გარემოებაზე: ავტორები ჯერ იტალიის გაერთიანებაზე საუბრობენ, შემდეგ კი განიხილავენ გერმანიის გაერთიანებას. რა თქმა უნდა, გერმანიის გაერთიანებას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იტალიისა. ამიტომ, ალბათ, გაცილებით უპრიანი იქნებოდა ჯერ გერმანიის გაერთიანებაზე გვესაუბრა და შემდეგ იტალიის. ის საუბრობს პრუსიის გაძლიერებაზე და მერე, საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, ძალიან მოკლედ, სულ ნახევარ გვერდზე ეხება გერმანიის გაერთიანებას. სასურველი იყო მასალის უფრო კომპაქტურად დალაგება. ეს გაუადვილებდა მოსწავლეებს სათქმელის აღქმას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, თითქოს და დიმიტრი უზნაძეს არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ გერმანიის გაერთიანებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე იტალიის, მაგრამ ის კვალში მიყვება ცნობილი რუსი ისტორიკოსის, პროფესორ პავლე ვინოგრადოვის "ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოს.

საქართველოში გერმანიის და იტალიის გაერთიანებით დაინტერესების გარკვეული ტრადიცია არსებობდა, რომელიც თავდაპირველად, უპირატესად, პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო აღნიშნული საკითხებით დაინტერესების პირველი პერიოდი. დამოუკიდებელ საქართველოში ამ თემსაკივით დაინტერესებამ უმთავრესად ასახვა პპოვა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებში და სამეცნიერო-პოპულარული

ხასიათი შეიძინა. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, ეს უდავოდ წინ-გადადგმული ნაბიჯი იყო და ამ წარმატებაში დიმიტრი უზნაძეს თავისი წვლილი მი-უძღვის, ფაქტობრივად, ეს იყო საკითხებით დაინტერესების მეორე პერიოდი. შემდეგ მოდის ამ საკითხებით დაინტერესება საბჭოთა პერიოდის საქართველოში და ბოლოს მეოთხე პერიოდი — პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია. ეს ხანა დღე-საც გრძელდება: ფაქტობრივად, ეს არის აღნიშნული საკითხის პერიოდიზაცია.


გერმანიის გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას დიმიტ-რი უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას. საკითხისადმი ამგვარ-რი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, სახელდობრ, პ. ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს გავლენის ლოგიკური შედეგია.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ გერმანიის გაერთიანებაზე ფიქრი გუშინ და დღეს არ დანეყებულა და მას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში გადაიდგა და გერმანიაში ნაპოლეონის მიერ გატარებულ რეფორმებთანაა დაკავ-შირებული. 1803 წლის თებერვალში მიიღეს კანონი რეცისიების შესახებ, რომელ-მაც მკვეთრად შეამცირა გერმანიის სამეფო-სათავადოთა რაოდენობა, ხოლო 1806 წლის 12 ივლისს იქმნება რაინის კავშირი, რომლის პროტექტორადაც არჩეულ იქნა თვით ნაპოლეონი. ჰეგელის აზრით „ნაპოლეონი რაც უფრო დიდხანს დარჩებოდა გერმანიაში, მით უკეთესი იქნებოდა“. გერმანელი ისტორიკოსის გეორგ გერვინიუ-სის თქმით, „ნაპოლეონი ასრულებდა პროგრესულ როლს გერმანიაში ფეოდალური ბარიერების მოსპობის საქმეში“. ფიქრობთ, დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგად უნ-და ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მიუხედავად ნაპოლეონის ომების დაპყრობი-თი ხასიათისა, მასში პროგრესული ელემენტი მაინც რჩებოდა და დაპყრობილ ტე-რიტორიაზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. ეს ამ თემაზე დიმიტრი უზნა-ძის მსჯელობის ძლიერი მხარეა. ის ხაზს უსვამს, რომ ნაპოლეონი ევროპაში ავრცე-ლებდა საფრანგეთის რევოლუციის სოციალურ მონაპოვარს. ეს სწორი მიდგომა იყო. „საფრანგეთის ევროპაში გაბატონებას ერთი კარგი მხარე ჰქონდა: რევოლუ-ციით შექმნილი სამოქალაქო წყობილება თითქმის მთელ ევროპაში გავრცელდა. სადაც კი გაჩნდებოდა საფრანგეთის ჯარები, ბატონყმობა, ფეოდალური პროვი-ლეგები და დახვასებული ძველი კანონები ყველგან ისპობოდა და მის მაგიერ სინ-დისის თავისუფლება, ნაპოლეონის კოდექსი და ფრანგული ბიუროკრატიული სის-ტემა მყარდებოდა. ამგვარი ძირითადი გადატრიალება მარტო ისეთ ქვეყნებში კი არ ხდებოდა, რომელნიც პირდაპირ საფრანგეთთან იყვნენ შეერთებული, არამედ იქაც, სადაც თუმცა პოლიტიკური დამოუკიდებლობა არსებობდა, მაგრამ საფრან-გეთის გავლენა მაინც დიდი იყო, როგორც, მაგალითად, ბავარია ან საქსონიაში.

სახელმძღვანელოში ლაკონიურად, ძალიან მოკლედ არის მოთხრობილი გერმანიის ყოფა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ 1815-48 წლებში. გერმანიის ისტორიის ამ მონაკვეთისადმი დიმიტრი უზნაძის კრიტიკული მიდგომა, ცხა-დია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა მის მსოფლ-მხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირე-ბულებებზეა ორიენტირებული და ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ გერმანი-აში გამეფებული რეაქცია უკანგადადგმულ ნაბიჯად ესახება.

მისი ღრმა რწმენით, 1848 წლის რევოლუცია გერმანიაში სწორედ ამ გაუსაძ-ლისი ყოფის ლოგიკური შედეგი იყო. „1848 წ. საფრანგეთში მომხდარმა რევო-ლუციამ ევროპის სხვა სახელმწიფოებზე, თოფის ნამლის სანყოფიში გადასრო-ლილი ნაპერწკალივით იმოქმედა. ნიადაგი ყველგან მზად იყო და რევოლუციუ-რი მოძრაობის დასაწყებად სიგნალის ჩვენება იყო დარჩენილი. თებერვლის რევოლუციამ სწორედ ამგვარი სიგნალის როლი შეასრულა“.

გერმანიაში 1848 წლის რევოლუციის გამომწვევი ეკონომიკური ფაქტორები გან-ხილულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად. ფაქტობრივად იგნორირებულია. იგი მოკლედ განიხილავს 1848 წლის რევოლუციის პერიპეტებს გერმანიაში და ეხე-ბა მისი წარუმატებლობის მიზეზებს. ასეთად ესახება გერმანიის პატარა სამეფო-სამთავროთა მტრული დამოკიდებულება პრუსიის გაძლიერების მიმართ, რომელიც გაერთიანებას სათავეში უნდა ჩადგომოდა. მათ უარი თქვეს პრუსიის ჰეგემონობაზე. ეს იყო 1848 წლის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი. არსებობდა სხვა მიზეზებიც. პირველ რიგში რევოლუციური ბანაკის სისუსტე, რომელმაც მონარქიას-თან კომპრომისი არჩია. ამან მისცა შესაძლებლობა პრუსიის მონარქს ანგარიში გაეს-ნორებინა რევოლუციისათვის და უკან ნაელო რევოლუციის დასაწყისში გატარებუ-ლი რეფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაძლოა ის აჭარბებდა ფრანკფურტის პარლამენტის როლს და ამის მიზეზი უწინარესად მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული.



დიმიტრი უზნაძე

სახელმძღვანელოში კარგადაა ნაჩვენები, რომ პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერ-თიანების აქტუალიზაცია ხდება 50-იანი წლე-ბის მიწურულს და 60-იანი წლების დასაწყის-ში. ის ამას ძირითადად სამიზნო პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს. ჯერ იყო და 1857 წელს ჯანმრთელობაშერყეული ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის ძმამ ვილჰელმმა იტვირთა მმართველობა, ხოლო 1861 წელს ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის გარდაცვალების შემდეგ პრუსიის მეფე სწორედ ვილჰელმ I შე-იქმნა. უნდა ითქვას, რომ ამ აქტუალიზაციას სტიმული მისცა საგარეო პოლიტიკურმა სი-ტუაცამ, უშუალოდ კი 1859 წელს ავსტრიის მიერ განცდილმა მარცხმა.

ახალმა მონარქმა კურსი არმიის რეორ-განიზაციაზე აიღო, რაც გერმანიის გაერ-თიანების წინაპირობა გახლდათ. მან განიზ-რახა არმიის რიცხოვნობა გაეზარდა. „პრუ-სიის და გერმანიის მომავალი უმთავრესად სამხედრო მომზადებასა და პრუსიის ჯარის რიცხვზე იყო დამოკიდებული“ — აღნიშნუ-ლია სახელმძღვანელოში. ამის განხორციე-ლებას ესაჭიროებოდა ფული. ლანტაგებმა ცივი უარი განაცხადეს რეფორმის დაფი-ნანსებაზე. სახელმძღვანელოში ხაზგასმუ-ლია, რომ პრუსია კონსტიტუციური კონფ-ლიქტის წინაშე აღმოჩნდა. აი, ამ რთულ ვი-თარებაში — 1862 წლის 23 სექტემბერს — პრუსიის მთავრობას სათავეში ჩაუდგა 47 წლის ოსტელბელი იუნკერი ოტო ფონ ბის-მარკი (1815-1898). გერმანიის ზემოდან გა-ერთიანების მთავარ ინიციატორად სწორედ ბისმარკი მოგვევლინა. ამ ექსტრემალურ სიტუაციაში კარგად გამოიყვანდა მისი მტკიცე ხასიათი. ამიტომ მოგვიანებით მას თავყვანისმცემლებმა „რკინის კანცლერი“ შეარქვეს. „თანამედროვეობის დიდი სა-კითხები სიტყვებით და დადგენილებებით კი არ სრულდება, არამედ მახვილითა და სისხლით“ — განაცხადა ოტო ფონ ბისმარკ-

მა. მან კურსი გერმანიის ზემოდან გაერთიანებაზე აიღო. ალბათ, უფრო ხაზგასმით უნდა თქმულიყო, რომ არსებობდა გერმანიის გაერთიანების ორი გზა. „მცირე გერმანული“, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის გაერთიანებას პრუსიის მეთაურობით, და „დიდი გერმანული“ გზა, რომელიც გერმანიის გაერთიანების მთავარ ინიციატორად ავსტრიას მოიაზრებდა. ეს იყო გერმანიაში პირველობისთვის ავსტრიასა და პრუსიას შორის ხანგრძლივი დაპირისპირების დასკვნითი აკორდი.

სახელმძღვანელოში ძალზე მოკლედ, ლაკონურად არის საუბარი დანიასთან ომზე (1863-64), ავსტრიასთან ომზე (1866) და საფრანგეთ-პრუსიის ომზე (1870). ხაზგასმულია ამ ომებში პრუსიის წარმატება და მისი მნიშვნელობა. ეს ბისმარკის პოლიტიკის დიდი მიღწევა იყო. „საფრანგეთ-გერმანიის ომის უმთავრესი შედეგი გერმანიის ტერიტორიის გაფართოება კი არაა, იმ მიზნის მიღწევაში გამოიხატა, რომლის შესრულებაც გერმანელები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ. ეს მიზანი გერმანიის გაერთიანება იყო“.

აღნიშნულია ამ საქმეში პრუსიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის წვლილი. გერმანიის გაერთიანების განხილვის დროს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ბისმარკის როლის გააზრებას. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს სახელმძღვანელოში ბისმარკის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება. ოტო ფონ ბისმარკის საქმიანობისადმი დიმიტრი უზნაძის დაბალანსებული მიდგომა ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული, რომ ბისმარკის ძალისმიერი პოლიტიკა უწინარესად სახელმწიფო ინტერესებით გახლდათ გამონჭვეული. მას გათავისებული აქვს გერმანიის ზემოდან „რკინითა და სისხლით“ გაერთიანების მნიშვნელობა.

სახელმძღვანელოში არ შეინიშნება ბისმარკის დამსახურების გაზვიადება, რაც ნითელ ზოლად გასდევს XIX-XX საუკუნეების გერმანულ ისტორიოგრაფიას ლეოპოლდ ფონ რანკედან დაწყებული ჰანს როტფელსით დასრულებული. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი პლუსია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული უკმაროზის გრძნობა მაინც გვრჩება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, რომ ოტო ფონ ბისმარკზე მეტი უნდა თქმულიყო. გერმანიის გაერთიანების საქმეში ბისმარკის წვლილი, კიდევ უფრო მკაფიოდ, მკვეთრად უნდა ყოფილიყო გახაზული. XIX საუკუნის ევროპის ისტორიაში ნაპოლეონის შემდეგ, ყველაზე უფრო თვალსაჩინო და კოლორიტული ფიგურა სწორედ ოტო ფონ ბისმარკი გახლდათ, თუმცა ბისმარკის განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია და ამაში დიმიტრი უზნაძე სავსებით მართალია. სახელმძღვანელოში საუბარია პრუსია-ავსტრიის ომის შედეგებზე. 1867 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი. მას სათავეში პრუსია ჩაუდგა. მდინარე რაინის ჩრდილოეთით მდებარე გერმანულ სახელმწიფოთა ნაწილი ბისმარკმა უშუალოდ შეუერთა პრუსიას, ხოლო მეორე ნაწილი პრუსიის მეთაურობით ჩამოყალიბებულ ჩრდილოეთ გერმანიის კავშირში გაერთიანდა.

1871 წლის 18 იანვარს ვერსალში სარკეებიან დარბაზში გამოცხადდა გერმანიის იმპერია. გერმანიის ზემოდან გაერთიანება დასრულდა. სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობაც ამით მთავრდება.

თავდაპირველად უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოში იტალიის გაერთიანებით დაინტერესებას გაცილებით უფრო მყარი საფუძველი აქვს, ვიდრე გერმანიისა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. იტალიის გაერთიანება, რომელიც ამავდროულად ეროვნულ-გამათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა, ქართული საზოგადოებისთვის გაცილებით უფრო ახლობელი აღმოჩნდა, ვიდრე გერმანიის გაერთიანება. იტალიის გაერთიანება მიმდინარეობდა ავსტრიელი დამპყრობლებზე

ბის წინააღმდეგ ბრძოლის თანადროულად. სავსებით მართლზომიერი იყო, რომ იტალიის გაერთიანება უმაღლესად XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ეს ადვილი გასაგებია. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების თვალში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ყოველთვის აქტუალური თემა იყო. იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაინტერესების მთავარ ტონის მიმცემებად საქართველოში ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ორბელიანი მოგვევლინენ.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, სახელმძღვანელოში კარგადაა ნაჩვენები, რომ იტალიის გაერთიანებისათვის საფუძველი დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა და ის ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. სახელმძღვანელოში სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის დასაწყისში გადაიდგა და იტალიაში ნაპოლეონის გატარებულ გარდაქმნებს უკავშირდება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძეს, ეტყობა, კარგად აქვს გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების ორმაგი მისია: დაპყრობითი და სოციალური ასპექტები. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დ. უზნაძე აგრძელებს იმ კარგ ტრადიციას, რომელსაც სათავე დაუდეს ქართველმა სამოციანელებმა ნიკო ნიკოლაძის თავკაცობით.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ იტალიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება — გერმანიის მსგავსად — დიმიტრი უზნაძეს წინგადადგმულ ნაბიჯად არ ესახება. ყველაზე უფრო გამწვავებული მდგომარეობა იტალიაში იყო: ფრანგების დროს ცოტათი თუ ბევრად გაერთიანებული მხარე, ისევ წვირდ ერთულებად დანაწილდა“. აქ, ბუნებრივია, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებას გულისხმობს.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ნაპოლეონის დაცემის შემდეგ იტალიაში დაიწყო რევოლუციური განწყობილების ზრდა. „სარევოლუციო მზადება ყველა ქვეყანაზე ადრე იტალიაში დაიწყო: იქ კარბონარიების საიდუმლო კავშირები დაარსდა, რომლებიც მასონთა ლოჟების მსგავსად იყო მოწყობილი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მას წინდა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა დასახული; კარბონარიები იტალიის გაერთიანების და განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდნენ. ნიადაგი უკვე მზად იყო და სამხედრო აჯანყებაც დაიწყო. სარდინიასა და ნეაპოლში ჯარებმა აიძულეს მეფეები, კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი მიეღოთ“.

აქ, ცხადია, გულისხმობს 1820-21 წლების რევოლუციებს ნეაპოლსა და პიემონტში. აღნიშნულია, რომ საღვთო კავშირის ძალისხმევით ეს რევოლუციები ჩაახშეს. იყო ამის გამოწვევი საწინაო ფაქტორებიც. სახელმძღვანელოდან კარგად არ ჩანს, რაში ხედავდნენ ავტორები კარბონართა მოძრაობის სუსტ მხარეებს და რითი ხსნიდნენ მათ წარუმატებლობას.

ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო 1831 წლის რევოლუციაზე ცენტრალურ იტალიაში. ეს შინა-არსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ მონაკვეთს.

გაცილებით მეტი უნდა თქმულიყო ჯუზეპე მაძინის (1805-1872) შესახებ, რომლის ძალისხმევითაც 1831 წელს ჩამოყალიბდა საიდუმლო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია“. მან იტალიური რისორჯიმენტოს ისტორიაში დიდი როლი შეასრულა და ღრმა კვალი დატოვა. მაძინის მოღვაწეობისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, იმით გახლდათ გამოწვეული, რომ მაძინის რადიკალურ-რესპუბლიკური შეხედულებანი არ შეესაბამებოდა დიმიტრი უზნაძის პოლიტიკურ იდეალს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მაძინი, როგორც პატრიოტი, ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას არ იმსახურებდა.

საუბარია 1848 წლის რევოლუციაზე იტალიაში და მის დამარცხების გამომწვევ მიზეზებზე. ხაზგასმულია, რომ ამას ევროპის რეაქციასთან ერთად დიდად შეუწყო ხელი თვით

იტალიელთა რიგებში არსებულმა უთანხმოებამ. „სარდინიელთა მეფემ რესპუბლიკელებისგან დახმარება ვერ მიიღო და იძულებული შეიქმნა ბრძოლა საკუთარი ძალ-ღონით ენარმობინა. იგი რამდენჯერმე დამარცხდა და თავისი შვილის, ვიქტორ-ემანუელის სასარგებლოდ ტახტზე უარი თქვა“.

დიმიტრი უზნაძემ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ის მთავარი მიმართულებები, რომლებიც იტალიის გაერთიანების საკითხში არსებობდა. ისინი სამ ჯგუფად იყოფოდნენ: დემოკრატიული რესპუბლიკის უჭერდნენ მხარს, ლიბერალური — კონსტიტუციური მონარქიას, ხოლო სამდღელოება — რომის პაპის მეთაურობით — უფრო იტალიის ფედერალური პროვინციით მოწყობისაკენ იხრებოდა. მათ შორის არსებული უთანხმოება იტალიაში 1848-49 წლის რევოლუციის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად იქცა. „იტალიის გაერთიანება და განთავისუფლება ამგვარად დაღვრილი სისხლის მიუხედავად კვლავ საოცნებო საგნად დარჩა“ — დასძენენ სახელმძღვანელოს ავტორები.

სახელმძღვანელოში იტალიის გაერთიანების განხილვა ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია. აქ საკმაოდ მოკლედ, ლაკონურად და, რაც მთავარია, საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული რისორჯიმენტოს ისტორია.

თავდაპირველად იტალიის გაერთიანებას სათავეში სარდინიის სამეფო ჩაუდგა, ხაზგასმულია ამ საქმეში კამილო კავურის როლი, რომელმაც 1852 წელს სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. მას დიმიტრი უზნაძე „სახელმწიფო ნიჭის კაცს“ უწოდებს. შესაძლოა, დიმიტრი უზნაძე, როგორც ლიბერალი, სიმპათიით იყო განწყობილი კამილო კავურის მიმართ, მაგრამ იტალიის გაერთიანების საქმეში მის როლს არ აჭარბებდა და კარგად აცნობიერებდა.

სახელმძღვანელოში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ იტალიის გაერთიანება უწინარესად წარმოადგენდა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შედეგს. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარი ღირსებაა. ყირიმის ომის დროს სარდინია (პიემონტი) საფრანგეთსა და ინგლისს მიემხრო. მან კარგად გამოიყენა შექმნილი საერთაშორისო სიტუაცია და 1856 წელს პარიზის მოლაპარაკების დროს ერთიანი იტალიის შექმნის საკითხი დაყენა. 1859 წელს სარდინია საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დაპირისპირების დროს საფრანგეთს მიემხრო. 1859 წელს მაჯენტასა და სოლფერინოსთან ბრძოლაში მოკავშირეებმა წარმატებას მიაღწიეს. სახელმძღვანელოში ნახსენებია ეს ბრძოლები, მაგრამ მითითებული არაა მათი თარიღი. ეს გამართლებული არ უნდა იყოს. ზავის თანახმად, სარდინიამ მიიღო ლომბარდია მილანიტურთ, ხოლო ვენეცია ისევ ავსტრიელებს დარჩათ. კომპენსაციის სახით კავური საფრანგეთს საფოიასა და ნიცას დაპირდა. საფრანგეთის თანადგომა სულაც არ ატარებდა უანგარო ხასიათს და მას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. სახელმძღვანელოში, ჩვენი აზრით, შეიძლება შეინიშნება საფრანგეთის პოლიტიკის შელამაზება. ეს მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ამით აიხსნება ნაპოლეონი III-ის საქციელის რეაბილიტაციის მცდელობა. საფრანგეთმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიის ავსტრიელთა ბატონობისგან სრული გათავისუფლების შესახებ.

სახელმძღვანელოში იტალიის გაერთიანების საქმეში არც ჯუზეპე გარინბალდის ღვაწლია მივიწყებული. აღნიშნულია მისი დიდი დამსახურება სამხრეთ იტალიის შემომტკიცების საქმეში. „სამხრეთის ბედი გარბალდამ გადაწყვიტა. 1859 წლის ომის დროს იგი ვიქტორ-ემანუელის დროშის ქვეშ ომობდა ავსტრიელთა წინააღმდეგ, ხოლო ციურინის ზავის შემდეგ დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. 1000 მოხალისით იგი სიცილიაში გადავიდა და ნეაპოლიტანიის მეფის ფრანცისკ II ჯარები რამდენიმე კვირის განმავლობაში კუნძულიდან გარეკა. სიცილიიდან გარბალდი აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა და ნეაპოლიდან ბურბონები განდევნა. მისი სწრაფი წარმა-

ტების მიზეზი ის იყო, რომ მცხოვრებთა თანაგრძნობა მის მხარეზე იყო და ამას გარდა თვით ნეაპოლიტანის ჯარებიც ბურბონთა საქმეს უხალისოდ იცავდნენ“.

ეს მსჯელობა ყურადღებას იპყრობს არა მარტო ისტორიული ფაქტის ცოდნით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, არამედ გარბალდის წარმატების სწორი ახსნით. ეს ამ თემაზე მსჯელობის მთავარი პლუსია.

იტალიამ კიდევ ერთხელ ისარგებლა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით და 1866 წელს პრუსიასა და ავსტრიას შორის დაპირისპირების დროს პრუსიას დაუჭირა მხარი. დამარცხებულმა ავსტრიამ უარი თქვა ვენეციაზე. ასე აღმოჩნდა ვენეციის ოლქი გაერთიანებული იტალიის შემადგენლობაში. ვფიქრობთ, სასურველი იყო სახელმძღვანელოში ამ საკითხზე ორიოდე სიტყვა თქმულიყო, მაგრამ ავტორები რატომღაც სხვაგვარად მოიქცნენ და მას გვერდი აუარეს, რაც, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ეს მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ამ თემას.

დაბოლოს, სახელმძღვანელოში საუბარია რომის გათავისუფლების საკითხზე. მას ავტორები კვლავ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარების შექმნას უკავშირებენ. ეს მართლაც ასე მოხდა. 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს პაპის მთავარი მფარველი ნაპოლეონ III დამარცხდა და ტახტიდან ჩამოაგდეს. 1870 წელს რომის ოლქი იტალიას შეუერთდა. იტალიის გაერთიანების პროცესი დასრულდა.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობა გადატვირთული არ გახლავთ ფაქტობრივი მასალით და არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალისგან განტვირთვა მისასალმებელია და ამ თემაზე მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად გვევლინება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სულ სხვა უკიდურესობაში აღმოვჩნდით. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, რომ ამ თემაზე საუბრის დროს ნახსენებია მთელი რიგი ისტორიული მოვლენები, მაგრამ მათი თარიღით მითითებული არაა. სასკოლო სახელმძღვანელოში კი ეს დაუშვებელი უნდა იყოს.

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს არ გააჩნია არც მეთოდური აპარატი. შეკითხვები. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მისცემს მასწავლებელს გამოარკვიოს თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახალი მასალა. აქ აისახა საესებით რეალური ვითარება. მასში ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების გარიჟრაჟზე შექმნილი სიტუაციის გამოძახილი უნდა დავინახოთ.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე გერმანიის და იტალიის გაერთიანების გამოქცევის დროს მეცნიერულ პოზიციაზე დგას და უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ამ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება სავსებით შეესაბამება XX საუკუნის დასაწყისში ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო მოთხოვნებს და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ პრობლემების განხილვამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა. დიმიტრი უზნაძის და ი. გველესიანის სახელმძღვანელოში აღნიშნული თემების გარჩევა, ვფიქრობთ, ნათქვამის დასტური უნდა იყოს.

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა გერმანიის და იტალიის გაერთიანების სწავლების და პოპულარიზაციის საქმეში. მისი დამსახურება სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გერმანიის და იტალიის გაერთიანების შესწავლის დროს ქართულ ისტორიოგრაფიას სწორი კურსი ჰქონდა არჩეული და აქცენტს აკეთებდა პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. შემდგომ ამ პრობლემების დამუშავებამ სულ სხვა ხასიათი მიიღო, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

თეიმურაზ დოიაშვილი

ნიგნი-მთლიანობა

1914 წლის ივნისში ქუთაისში, გოკიელოვის ბინაში გამართულ სტამბაში, ახალი დროების შესაფერისი სახელი — „მობა“ რომ ჰქონდა, ტუტკუ გვარამიას თაოსნობით გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი ნიგნი დაიბეჭდა.

ივნისმა და მთლიანად ზაფხულმაც მშვიდად, უხმაუროდ ჩაიარა, ახალგაზრდა მგოსანი კი გულისფანცქალით ათვალიერებდა ჟურნალ-გაზეთებს და ელოდა, როდის დაიქუხებდა შთაგონებით, უნით და ვნებით დაწერილი მისი ნიგნი.

იმედი დიდი ჰქონდა.

„ამ ნიგნით მე ვფიქრობდი ქვეყნის აფეთქებას“, — ასე გამოხატა გალაკტიონმა ორმოცზე მეტი წლის შემდეგ იმდროინდელი განწყობილება.

პოეტურ „აფეთქებას“ კი არა, სარაევოში 1 აგვისტოს გასროლილ ნამდვილ ტყვიას არ გამოუფხიზლებია ზაფხულის სიცხით გათანგული თბილისი და ქუთაისი. ცოტა თუ აცნობიერებდა, რომ ევროპაში აპოკალიფსის მწვანე მხედარმა შემოაჭენა, რომ შორეულ ბოსნიაში ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობას მსოფლიო ქარტყილები მოჰყვებოდა.

ამ დროს ჭყვიშში მყოფი გალაკტიონი მოსკოვიდან არდადეგებზე ჩამოსულ ბიძაშვილს — ტიცციან ტაბიძეს შესწიოდა:

— რა წელიწადი დადგა. რანაირი წელი ერგო ჩემს პირველ ნიგნს... გამოვიდა თუ არა ნიგნი, ომიც გამოცხადდა. ბედი არ ჰქონია, ტიტია ჩემო, ბედი...

ტიტია-ტიციანი იზიარებდა გალაკტიონის წუხილს, თან, ალბათ, ეღიბებოდა კიდეც მის ხუმრობანარევს, მაგრამ ნაღვლიან სიტყვებზე:

— ამ ნიგნით მე ვფიქრობდი ქვეყნის აფეთქებას და ჩემს მაგიერ გერმანია აფეთქებს ქვეყანასო...

ლიტერატურულმა კრიტიკამ გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ნიჭი გზის დასაწყისშივე შეამჩნია. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ლირიკაში ბუნების განცდას ეძღვნებოდა, იგი ფიოდორ ტიუტჩევის გვერდით მოიხსენიებოდა, სხვა ავტორებთან კი ისეთი მიმართულების პოეტად იყო წარმოჩენილი, ვინც, ოცნებას შეხიზნული, მხოლოდ თავის ინდივიდუალურ „მეს“ გამოსახავს. სულ მალე გალაკტიონის სახელი ახალ მიმდინარეობებს — იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს დაუკავშირეს.

პირველი ნიგნის მიმართ კრიტიკოსები, რასაკვირველია, გულგრილი არ დარჩენილან. გარდა ივანე გომართელის ესეისა, რომელიც კრებულს წინ უძღოდა, პრესაში გამოქვეყნდა ივანე ყიფიანის, აკაკი პაპავას, ალექსანდრე აბაშელის, მიხეილ აბრამიშვილის, იოსებ იმედაშვილის, ტიცციან ტაბიძისა და სხვათა წერილები, რეცენზიები თუ გამოხმაურებანი. იმდროინდელმა კრიტიკამ თითქმის ერთხმად აღიარა გალაკტიონ ტაბიძის ტალანტი, განსაზღვრა ნიგნის იდეურ-თემატური მიმართულება და მეტ-ნაკლებად შეეხო ფორმის საკითხსაც. საკმარისია წერილთა სათაურების ჩამოთვლა, — „სევდის მგოსანი“, „ღამის მგოსანი“, „ყვირელი ფოთოლი“, „მარტოობის ორდენის კავალერი“, — რომ ცხადე გახდეს: ყურადღების ცენტრში მოექცა ავტორის სახე — ნიგნის ლირიკული სუბიექტი, მისი ფიქრები და განწყობილებანი ანუ შემოქმედის ცნობიერების შინაარსი. სევდის, მარტოობის, სულიერი ობლობის, იდუმალების, მარადისობისაკენ ლტოლვის მოტივთა დომინანტურობის გამო ქაბუკი გალაკტიონი კრიტიკამ ნიკოლოზ ბარათაშვილის

გზის აღმადგენლად და გამგრძელებლად დასახა და „მსოფლიო სევდის მგოდებელ მგოსანთა“ ორდენშიც ჩარიცხა. შეუმჩნეველი არ დარჩენილა ავტორის განსაკუთრებული ინტერესი უნივერსალური პრობლემებისადმი (ეროვნულ-სოციალური საკითხების წილ!) და მისტიკური ნაკადის არსებობა.

გალაკტიონოლოგიის თანამედროვე ეტაპზე პოეტის ადრეულ ლირიკასა და, მაშასადამე, პირველ ნიგნზე მსჯელობისას, უპირატესად, კრიტიკული სიმკვეთრე იგრძნობა. ამ პერიოდს განიხილავენ „მხოლოდ შეგირდობის ხანად“, როდესაც XIX საუკუნის პოეტიკის ინერციით და „ახალი პოეზიის“ მიბაძვით შეიქმნა „სტილისტური სიჭრელით ალბეჭდილი“, „დიფუზიური პოეზია“.

ამრიგად, თანამედროვეთა აღიარებას მოგვიანებით კრიტიციზმი შეენაცვლა, მაგრამ არც ქებასა და, ცხადია, არც უარყოფაში არ ჩანს პასუხი კითხვაზე, რით და როგორ აპირებდა გალაკტიონი „ქვეყნის აფეთქებას“. ნუთუ პოეტი, მიმწუხრის უამსაც რომ ახსოვდა პირველ ნიგნთან დაკავშირებული დიდი მოლოდინი და იმედები, ასე ცდებოდა თავისი ნაღვანის შეფასებისას?!

გალაკტიონ ტაბიძის პირველ ნიგნში სულ 153 ლექსია.

კრებულის შესადგენად პოეტს შესარჩევი სამუშაო ჩაუტარებია: გარდა უამრავი ახალი, გამოუქვეყნებელი ლექსისა, ავტორმა ნიგნში 1908-1912 წლებში დაბეჭდილი ორმოცდათექვსმეტი ლირიკული ნაწარმოებიდან მხოლოდ თექვსმეტი შეიტანა. ესთეტიკური კრიტერიუმში, რასაც სელექციის დროს მიმართავენ ხოლმე, გალაკტიონს, როგორც ჩანს, მკაცრად არ დაუცავს, რადგან მხატვრულად უფრო ღირებულთა ნაცვლად კრებულში შედარებით სუსტი ლექსებიც მოხვდა.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ლექსების განლაგებისას უარყოფილია ქრონოლოგიური პრინციპი — ადრეული ნაწარმოებები პოეტმა გვიანდელთა შორის ჩართო. მაგალითად, 1910 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ჭკნობა“ კრებულში რიგით ასმეექვსეა.

გალაკტიონი, რომელმაც მანამდე რამდენჯერმე ამაოდ სცადა ნიგნის გამოცემა, რასაკვირველია, ნაწარმოებთა უწესრიგო, ქაოტურ განლაგებას არ დაუშვებდა, ამიტომ ქრონოლოგიური რიგის დარღვევა ესთეტიკური კრიტერიუმის შერბილებასთან ერთად ბადებს ვარაუდს, რომ პირველი ნიგნის შედგენისას ავტორი რაღაც სხვა, ჩვენთვის უცნობი პრინციპით ხელმძღვანელობდა.

კრებულის დაკვირვებული შესწავლა სხვა გარემოებებსაც წარმოაჩენს, პირველ რიგში — ხშირ და პირდაპირ გადაძახილებს ლექსებს შორის. ამასთან, თითქოსდა ნათელი სახისმეტყველების მიუხედავად, ტექსტებში იგრძნობა რაღაც ბუნდოვანება, რის გამოც შინაარსის მიმართ არაერთი კითხვა ჩნდება. პირველსავე ლექსში „ხელოვნება“, მაგალითად, გაურკვეველია, რა იგულისხმება გამოთქმებში „შორი მუსიკა“, „ცის ალერსი, ცის ამბორი“, „საღვთო ბილიკები“, „კვალი“... მაგრამ ის, რაც ბუნდოვანია იმანენტურ ჩარჩოში, სიცხადეს სხვა ტექსტების გარემოცვაში იძენს. იმავე „ხელოვნებას“ ფარული ძაფები აკავშირებს ისეთ ლექსებთან, როგორებიცაა „შორი ალერსი“, „სიმღერა“, „პოეტი“, „იდეალი“, „მე მესიზმრება“ და, ზოგადად, მთელ კრებულთან. ამ კავშირებისა და მთლიანი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ტექსტების აზრობრივი შინაარსის გაგება-ინტერპრეტირება.

ნარმოდგენილი დაკვირვებანი გალაკტიონის პირველ ნიგნზე მაფიქრებინებს, რომ ჩვენ წინაშეა არა ტრადიციული „რჩეული“ — ლექსების ნაკრები, არამედ ერთიანი ტექსტი — **ნიგნი-მთლიანობა**. სწორედ მთლიანობა უნდა იყოს ის პრინციპი, რომელმაც განსაზღვრა ლექსების შერჩევაც და მათი

არაქრონოლოგიური განლაგებაც. ერთიან სივრცეში მოქცეული ყოველი ლექსი მხატვრული მთლიანობის ნახნაგია, ერთდროულად ამხსნელიც და ასახსნელიც წინარე თუ მომდევნო ტექსტებისა.

ცნობილი ფაქტია, რომ 1912 წლიდან გალაკტიონ ტაბიძე ახალი, მოდერნისტული პოეზიით ინტერესდება. ჭაბუკი პოეტი გულმოდგინედ ეცნობა დიმიტრი მერეჟკოვსკის, ფიოდორ სოლოგუბის, განსაკუთრებით, კონსტანტინ ბალმონტის, ვალერი ბრიუსოვის, ანდრეი ბელის, ალექსანდრ ბლოკის ნიგნებს. რუს სიმბოლისტთა პოეტური კრებულებისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილების გაცნობისას გალაკტიონს შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა პოეტური მთლიანობის მკაფიოდ დეკლარირებული იდეა და ამ იდეის რეალიზაციის ნიმუშები, თუნდაც ალექსანდრ ბლოკის „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ (1904). ამ დროისათვის რუსულ სიმბოლიზმში, შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ გამოცდილების გათვალისწინებით, უკვე არსებობდა ლირიკული თხრობით შეკავშირებული არაერთი სხვა ნიგნი-მთლიანობა.

ვალერი ბრიუსოვი, რომლის შემოქმედებას გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა, ადრეული კრებულის „luvenalio“-ს („სიჭაბუკისანი“) წინასიტყვაობაში მკითხველებს ურჩევდა, ლექსები წაეკითხათ თანამიმდევრობით, როგორც ლირიკული დღიური ან რომანი, რათა არ დაკარგულიყო ნიგნის მთავარი ღირსება — ჩანაფიქრის მთლიანობა. მოგვიანებით, თხზულებებისა და თარგმანთა პირველ ტომში (1913), რომელიც, სავარაუდოდ, ხელთ ჰქონდა გალაკტიონს, რუსული სიმბოლიზმის ლიდერი აღნიშნავდა, რომ მისი ყოველი ლირიკული კრებული, შინაარსითაც და არქიტექტონიკითაც, განსაზღვრულ მთლიანობას წარმოადგენდა.

ნიგნის პუბლიკაცია გალაკტიონს ადრეც — 1911 და 1912 წლებშიც სურდა, მაგრამ პოეტი, უბრალოდ, ლექსებისა და პოემების შეკრება-გამოცემას ფიქრობდა. უთუოდ „ახალი პოეზიის“, ახალი იდეების გაცნობას უნდა შთაეგონებინა გალაკტიონი, შეექმნა ნიგნი-მთლიანობა და მის განსახორციელებლად ინტენსიური მუშაობაც დაეწყო. დაახლოებით ორწლიან მონაკვეთში დაინერა ასოცდაათზე მეტი ლექსი, რომლებიც მიზნობრივად შერჩეულ ორ ათეულამდე ადრეულ ნაწარმოებთან ერთად ახალი კონსტრუქციული პრინციპით გაერთიანდა.

ამ ნიგნით მე ვფიქრობდი ქვეყნის აფეთქებასო...

„ახალ პოეზიასთან“ დაკავშირებული, მკითხველთათვის უცნობი მრავალი ლექსის გამოქვეყნება და, რაც მთავარია, ნიგნი-მთლიანობის შექმნა, ალბათ, იძლეოდა იმის ობიექტურ საფუძველს, რომ ეპიგონ-ვულგარიზატორთა მიერ კლასიკური პოეზიის გაუფასურების ფონზე ახალგაზრდა შემოქმედს ამგვარი მოლოდინი ჰქონოდა.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველ ნიგნს კარგად გააზრებული სიუჟეტურ-კომპოზიციური წყობა გამოარჩევს. კრებულის მთლიანობას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებენ ისეთი ღია ინტეგრატორები, როგორებიცაა ლირიკული სუბიექტი და გზის თემა.

ნიგნი იხსნება ლექსი-მანიფესტით „ხელოვნება“. იგი ავტორის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ ძიებათა ერთგვარი რეზიუმეა და მის ზოგად პოზიციას აფიქსირებს.

მანიფესტს მოსდევს ლექსი-პროლოგი სათაურით „მიმღერე რამე“, როგორც გზამკვლევი ნიგნი-მთლიანობის მხატვრულ სამყაროში. რეფრენულად განმეორებადი ფორმულა „მიმღერე რამე“ მიემართება „ნუგეშს“ ანუ მუზას: პოეტური შესაქმნის დაწყებამდე ავტორი, ძველ პოეტ-ეპიკოსთა მსგავსად, პოეზიის ქალღმერთს სთხოვს შეწევნას.

პროლოგში მონიშნულია ის ძირითადი თემები, მოტივები და განწყობილებანი, რომლებიც ლირიკული სუბიექტის ცნო-



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ბიერების შინაარსს ქმნიან. შინაგანი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ავტორი ემზადება მხატვრულად გაიაზროს განვლილი ცხოვრება, ის მოვლენები და განცდები, წარუშლელი კვალი რომ დატოვებს მის სულსა და მეხსიერებაში. პოეტს სურს გვიამბოს „სრულ ტრფობაზე“ — გარდასულ ზექვეყნიურ სიყვარულზე, ყმანვილკაცობის უზრუნველ ხანასა და ნაადრევად დაკარგულ ბედნიერებაზე. იგი გვირბდება, აღადგინოს „ქარიშხლიანი სიცოცხლის“ სურათები — არსებობის მიზნის ძიების თავგანწირული ცდები, რაც, სამწუხაროდ, მთელი თაობის ლიტერი და ცემა-დაუძღურებით დამთავრდა.

საკუთრივ ლირიკული ნარატივი იწყება რიგით მესამე ლექსით „შავი ყორანი“, რომელსაც თხრობაში ექსპოზიციის როლი ეკისრება და თავიდანვე გამოკვეთს სიუჟეტის საყრდენ თემას. სამჯერადი გამეორებით აქცენტირებული სიტყვა „გზა“ („გზაზე მივდივარ“, „გზა გავიარე“, „გზა აღარა სჩანს“) იმის მაცნეა, რომ ავტორი გზის/მგზავრობის მეტაფორას მიმართავს, ლირიკული სუბიექტი კი მგზავრი-პილიგრიმია. ამ მეტაფორას, როგორც ვნახავთ, ნიგნში ერთდროულად კონცეპტუალური დატვირთვაც აქვს და სიუჟეტის სტრუქტურასაც განსაზღვრავს.

გზა, როგორც მხატვრული კონცეპტი, ცხოვრებას/არსებობას გაიაზრებს, როგორც დროში განფენილ პროცესს. პოეზიაში იგი ხშირად ავტორის შემოქმედებითი განვითარების სურათს წარმოაჩენს, თუმცა გალაკტიონის პირველ ნიგნში ნაჩვენებია არა კონკრეტული პოეტის ევოლუციის პროცესი, არამედ განსაზღვრული ტიპის შემოქმედის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პოზიცია, როგორც „მოგზაურობის“ შედეგი. იგი იკითხება შემოთავაზებულ იდეათა კომპლექსში, სინამდვილესთან მიმართების სპეციფიკაში, უპირველესად კი — ლირიკული სუბიექტის პარადიგმაში.

ლირიკული სუბიექტი, როგორც ავტორის სახე, გალაკტიონთან მოკლებულია ინდივიდუალურ ნიშნებს. პოეტის მონოლოგებსა და ობიექტივირებულ თხრობაშიც ყოველთვის ერთი ხმა ისმის და იგი პარადიგმულ სუბიექტს ეკუთვნის. ავტორისეული ყველა სახე-ნიღაბი (მოხეტიალე ყარიბი, მხედარი, მეზღვაური...) ლექსიდან ლექსამდე ინტეგრირდება ცენ-

ტრალური პერსონაჟის — ახალგაზრდა პოეტი-პილიგრიმის სახე-სიმბოლოში. ესაა სინამდვილის უარყოფელი მარტოსული — ბროსაგან განმდგარი/დევნილი პოეზიის ქურუმი, ზეექვეყნიური გრძნობით ანთებული მგოსანი-მენესტრელი, ვინც თავგანწირვით დაექვს ცხოვრების მიზანს, თუმცა ეს ხშირად ამაო, თვითკმარ ქმედებად ესახება.

შემოქმედის ტიპი, რომელსაც გალაკტიონი ნიგნში ძერწავს, — პესიმისტური მსოფლგანცდით და ინდივიდუალიზმით, სინამდვილისა და ხელოვნების შეუთავსებლობის იდეით და პანესთეტიზმის ნიშნებით, — ნეორომატიკული პოეზიის არეალში თავსდება. პოეტი სხვადასხვა რაკურსით და ასპექტით წარმოგვიდგენს რომანტიზმის უნივერსალური მოდელის შესაბამისად ორგანიზებულ ლირიკულ ცნობიერებას, რომელსაც ეპოქისმიერი დეკადენტური სკეფსისიც ახლავს.

ავტორის პოზიციის გამომხატველი ლირიკული სუბიექტი ის ფოკუსია, რომელიც ცალკეულ ტექსტებს ნიგნის ერთიან მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალურ სივრცეში უყრის თავს.

დავუბრუნდეთ ექსპოზიციას — ლექსს „შავი ყორანი“.

მოგზაურობის სიუჟეტს გალაკტიონი სათავიდან კი არ იწყებს, არამედ — კრიზისული მომენტიდან, როდესაც დაქანცულ პოეტ-პილიგრიმს გზის დაკარგვის საფრთხე ემუქრება:

**მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა...**

ვითარება საგანგაშოა: სადღაც უკან (წარსულში) დარჩა „მთისა ქედები“, წინ კი შორი, უსაზღვრო სივრცეა გადაშლილი. მგზავრი იძულებულია შეწყვიტოს მსვლელობა, შეჩერდეს, რადგან, აქტიურობის მიუხედავად, სივრცე უცვლელია, წყვდიადში კი გზის გაგნება ჭირს.

თხრობის ასეთი დასაწყისი ასოციაციით „ღვთაებრივი კომედიის“ ექსპოზიციას მოგვაგონებს. გზის ჭეშმარიტებაში დაექვებული გალაკტიონის პერსონაჟიც, ნახევარგზაზე, გაურკვევლობის უსიერ ტევრშია მოქცეული. შეჭრების უამს დანტეს ბრძენი ვერგილიუსი ეცხადება, გალაკტიონის პილიგრიმს კი — შავი ყორანი! ბედისწერის ეს ავბედითი სიმბოლო, ერთი მხრივ, ბარათაშვილის „მერანს“ უკავშირდება, უკუთქმითი ფრაზების დაჟინებული გამეორებით კი („ნუ იხედები“, „ნუ გასცქერი“, „ნუ გიყვითელი“) ედგარ პოს „ყორანის“ ლამის სტუმარს — მეტყველ ფრინველს.

გზად მიმავალ მგზავრს შავი ფრინველი აუწყებს, რომ წარსულის გააზრებისა და მომავლის განჭვრეტის წადილი ფუჭია, ხოლო ცხოვრების მიზნის ძიება — ამაო. ყორანი ლირიკულ სუბიექტს ყოფიერების ფუნდამენტურ კატეგორიებს (სივრცე, ჟამი, დრო) შეახსენებს და შთააგონებს, რომ სამყაროს მარადიულ, უცვლელ სცენაზე გულცივად და უსასრულოდ თამაშდება არსებობის დროით დასაზღვრულობის ტრაგედია. რეალური მხოლოდ „განადგურების სევდიანი გზაა“, ამა სოფლად ადამიანს გარდაუვალი სიკვდილი ელის...

ლირიკული ნარატივის დასაწყისშივე მძაფრი კოლიზიის — სიკვდილი თემის შემოტანა ძლიერ ბიძგს აძლევს სიუჟეტის გაშლას. დაექვებით აღძრულ სულიერ კონფლიქტს მოაქვს თემებისა და განწყობილებების ის სპექტრი, რაც მუდმივად თან სდევს და აფორიაქებს პოეტ-პილიგრიმს.

სიკვდილის თემა პირდაპირ უკავშირდება გზის მეტაფორასა და სიცოცხლის საზრისის ძიებას. თუ სიკვდილი შავი ბედისწერაა, ადამიანის გზაზე შედგომა ანუ აქტივობა აზრს კარგავს. აქედან გამომდინარე, მიზნის ძიება მხოლოდ ისეთ პიროვნების ხვედრია, ვისაც სწამს და ეოცნება სიკვდილის დამარცხების შესაძლებლობა. ასეთი მეოცნებე იყო გალაკტიონის პერსონაჟი, სანამ სინამდვილე — შავი ყორანი სიკვდილის გარდაუვალობას შეახსენებდა.

„გზა“ გალაკტიონთან ან პირდაპირ სახელდება, ან მინიმუმბულია მოძრაობის აღმნიშვნელი სიტყვებით (მივდივარ, გავიარე, ვხედავ...), რომლებიც ლირიკული სუბიექტის ფსიქოლოგიურ-ემოციურ განწყობილებათა გამომწვევ სიტუაციებს აფიქსირებენ. თუ მიზანი მოძრაობას, წინსვლას აძლევს სტიმულს, სიკვდილი უმიზნობის განცდით ნებელობას ადუნებს. ეს განცდა სიუჟეტში შეჩერებებით, პასიურ-ჭვრეტითი მდგომარეობებით (ვიცდი, ვხედავ, ვუკვირდები, ვფიქრობ, ვეძახი...) აღინიშნება და განსჯით-რეფლექსური სტილით გადმოიცემა.

სინამდვილე/ანმყოფი ნიგნში ორი სტაბილურად ნეგატიური ნიშნით ხასიათდება — მუდმივი ტანჯვა-წამებით და დასასრულის მოლოდინით. სიკვდილის ფენომენს გალაკტიონი რამდენიმე ასპექტით — რელიგიური, მისტიკური თუ მატერიალისტური კონცეფციების სამხრიდან გაიაზრებს. უკიდურესი იმედგაცრუების უამს სიცოცხლე ოდენ არყოფნისაკენ მიმავალი გზაა, სიკვდილი — ხსნა, განამებული არსებობის ალტერნატივა („მე სიკვდილს ვეძებ, რომ დამიამოს / და დამავინყოს გულის ღრმა წყლული“). მიუხედავად ამისა, პოეტ-პილიგრიმს არ ტოვებს ოცნება იდეალურ მხარეზე — „სხვა ედემზე“, რომელიც მისი ლტოლვის მუდმივი ობიექტია. მას არ სურს დაიჯეროს სულის უკვალოდ გაქრობა, თუმცა არც ნირვანაში გადასვლა და ემპირიაში პასიური ყოფნა აკმაყოფილებს.

გზის თემა ნიგნში სამ ქვეთემად განშტოვდება და, ლირიკული სუბიექტის სულიერი მდგომარეობის შესაბამისად, ლექსებში ერთმანეთს ენაცვლება მოძრაობის, უძრაობისა და სტიქიის — მიზნის ძიების, სკეფსისისა და ბრძოლის მოტივები.

თუ მოძრაობა მიზნის მიღწევას, იდეალის მიგნების იმედს უკავშირდება, შეჩერებანი და პასიურ-ჭვრეტითი მდგომარეობანი, უპირატესად, რეფლექსიები ანმყოფე, თანამედროვე ცხოვრებაზე, სადაც მგზავრის ყოფნა ცხედრის არსებობას ედარება. შავი ფრინველის მკაცრი შეგონების შემდეგ პესიმიზმისა და სკეფსისის შემოტევა კულმინაციას აღწევს ლექსში „უდაბნო“. უდაბნო ინფერნალური სინამდვილის სიმბოლოა, რომლის სივრცეში პოეტი-პილიგრიმის მიერ ყოველივე ექვქვეშა დაყენებული. უარიყოფა ყველაფერი — სიყვარული, მეგობრობა, სამშობლო, ლტოლვა „უსაზღვროსა და მიუნდომლისაკენ“, თვით პოეზიაც კი („ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?“). მგზავრის სულში „სიცარიელის“ შავი ნისლი“ ისადგურებს და ნატვრა „უცნაური რაიმე ძალისა“, რომელიც ამ ნისლს გაფანტავს.

სუბიექტის გააქტიურება და სიუჟეტის სტატიკურობის დაძლევა იწყება უმნიშვნელოვანესი ლექსით „განახლდა გული“. იგი პრინციპულად უპირისპირდება „შავი ყორანის“ კონცეფციას, რომელმაც უმიზნობის განცდა მოიყოლა და მოძრაობა შეაფერხა. ამჯერად ლირიკული პერსონაჟი ალტაცებით საუბრობს ფერისცვალებასა და ალორძინებაზე, შავი ბურუსისა თუ წყეული ლამის დამარცხებაზე. ამიერიდან ისინი ველარ დააბრკოლებენ მგზავრის წინსვლას და მებრძოლ სულისკვეთებას:

**წინ ვივლი, სანამ დავმინდებოდე,
ბედს კი მაინც არ შევურიგდები.
წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,
წყეულო ლამე, წინ ნუ მიხვდები!**

განახლების გზაზე წარსულთან, სიყმანვილის ილუზიებთან გამოთხოვებაც ხდება და ანმყოფი განცდილი აპათიის დაკინებაც. სული ბრძოლის, გამარჯვების ჟინით ივსება:

**გავანადგურებ ხელისშემშლელ ნისლს,
წყეულ ლამესაც გავანადგურებ!**

საიდან მოდის ეს უჩვეულო, განმაახლებელი ძალა? იგი ნამების უწყვეტ ცეცხლში, მარტოობისა და მწუხარების ნიადაგში იზარდება. ცეცხლიდან, წარსულის ფერფლიდან, ვითარცა ფენიქსი, აღდგება ძველი მეოცნებე, რასაც მოძრაობის განახლება მოსდევს.

გალაკტიონი პირველ ნიგნში არცთუ იშვიათად საუბრობს „ქარიშხლიან წარსულზე“, მიზნისათვის ბრძოლაზე („მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების“). თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლის მიზანი სიკვდილის დაძლევა, „სხვა ედემში“ გაღწევა, ნათელი გახდება, რომ პრინციპულად უარსაყოფია ბრძოლის კონცეპტში სოციალური მიზნის შეტანა. ეს სახე-ცნება გალაკტიონთან მხოლოდ და მხოლოდ სულიერ ძალისხმევას გულისხმობს, რომელიც ზეკვეყნიურ ზრახვათა განსახორციელებლად არის მიმართული.

პილიგრიმის ფერისცვალებით, როგორც ითქვა, კვლავაც იწყება იდეალის, „ქალწულის“ ძიება. ლირიკული სიუჟეტის საყრდენს სწორედ „ქალწულისადმი“ პოეტი-პილიგრიმის სიყვარულის ამბავი ქმნის — სატროფოსთან წარმოსახული შეხვედრის, მისი დაკარგვისა და დაუსრულებელი ძებნის პერიპეტეიები.

ჟამიდან ჟამამდე განახლებულ გულს მაინც ამინებს „უმიზნობის ქსელი საზარი“, იდეალის ძებნისას თავს ახსენებს ძველი, მაგრამ უპასუხოდ დარჩენილი, ეჭვნარევი კითხვა:

**საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?**

ამგვარი განცდის მიზეზი ისაა, რომ „ქალწული“, ვისაც „ოცნება ედემის ციურ ხატებად თვლიდა“, თვალს მიეფარა, პილიგრიმის ძახილს არავინ ეხმაურება:

**ვნუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...**

ასეთ კრიზისულ მომენტებში ლირიკული სუბიექტის ყოფნა „უმიზნო დღეების“ წყებად, ტანჯვად იქცევა.

ლირიკულ სიუჟეტში ერთმანეთს რამდენჯერმე ენაცვლება პასიურობა-ჭვრეტისა და ძალთა მოკრების — აქტიურობის ფაზები. პოეტი-პილიგრიმი, წარმავლობას შეგუებული ბრბოსაგან განსხვავებით, ვერ ეღვევა მარადისობის მაძიებლის დიად მისიას, თუმცა ლექსში „ბედს იქით“ რეალურ ცხოვრებასთან შერიგების შესაძლებლობაც მოისინჯება:

**მაგრამ ვის ველი, ან რად ვლონდები,
განა არა მაქვს წინ მომავალი?
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა,
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?**

ლექსში თითქოს სინამდვილისადმი შიშის დაძლევაზე, დაბრკოლებათა გადალახვასა და გამირულ სულზეც არის მინიშნება:

**ვის შევუშინდე? რას შევუშინდე?
დავინყებულები სად არის ჩრდილი?
დაბრკოლებები? — უამისოდ ხომ
არც გმირობას აქვს ქვეყნად ადგილი!**

ეს მრავალკითხვიანი, მწარე მონოლოგი წუთისოფლის „სევდიან გზაზე“ ნაადრევად დაღლილ მგზავრს ეკუთვნის, რომელიც, ნატანჯვი და გარეუბული, რეალობასთან შეგუების ფიქრსაც მოუცავს და ბედს იქით გასვლის ნადილსაც ვერ შელევია („და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს/ შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!“).

ნიგნის ფინალისაკენ თანდათან ცხადი ხდება, რომ „ქალწულთან“ კონტაქტი აუხდენელი ოცნებაა, რომ პოეტი-პი-

ლიგრიმი ვერსად, ვერასდროს ველარ შეხვედბა იდეალს. იმედი თითქოს ზუუტავს („არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს“), მაგრამ უფრო და უფრო ძლიერდება სკეპტიციზმი: სინამდვილის, სიკვდილის წინაშე უძლეური აღმოჩნდა სიყვარულიც, ხელოვნებაც და ხსოვნაც („ქალი და ხელოვნება“, „მესაფლავე“). ბრძოლა შავი ყორნის გამარჯვებით დასრულდა...

სულიერ ძიებათა შედეგი, როგორც ადრეც აღინიშნა, გადმოცემულია ლექს-მანიფესტში „ხელოვნება“, რომელიც, გალაკტიონის ცნობით, სპეციალურად ამ ნიგნისათვის დაინერა. ეს ლექსი თავიდანვე მიაჩნებოდა ავტორის ალტერ ეგოს — მოგზაური პოეტის არაორდინარულ მიზანზეც და მისი „შავი ნიგნის“ დაუმთავრებლობის მიზეზზეც: ტრანსცენდენტურის სფერო ხელოვანისათვის კვლავაც გადარაზული დარჩა, „სხვა ედემში“ გაღწევის ცდები წარუმატებელი აღმოჩნდა, რამაც ნიგნის შეწყვეტა განაპირობა...

**შავი ნიგნი არ თავდება, შავი ნიგნი შვაზე წყდება...
მას იქით კი კაცის გრძნობა და გონება ვერას სწვდება.**

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის პირველი ნიგნის რეალურ პლანში ამოიცნობა მგზავრისა და გზის თემა. პარადიგმული ლირიკული სუბიექტი და მოგზაურობის ლირიკულად ორგანიზებული ნარატივი ის ღია ინტეგრატორებია, რომლებიც ქმნიან საანალიზო კრებულის კონცეპტუალურ და სიუჟეტურ ერთიანობას.

ღია ინტეგრატორების გარდა, გალაკტიონ ტაბიძის პირველ ნიგნში მოქმედებს ინტეგრაციის შეფარული მექანიზმი.

გზის თემა, ლირიკული სუბიექტის მოგზაურობა იშლება „აქ“ და „ახლა“ და ქმნის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სახეობრივ-მხატვრულ სინამდვილეს. მაგრამ ავტორის მიზანია არა სინამდვილის ასახვა, არამედ მისი „საიდუმლოს“, დაფარული არსის წვდომა, გაღწევა „სხვა მხარეში“, რომლის არსებობა არ აეჭვებს.

ყოფიერება/სინამდვილე გალაკტიონისათვის ის ნოუმენალური სამყაროა, რომლის შეცნობა გრძნობადი ცდის ფარგლებში კანტმა შეუძლებლად მიიჩნია. მიჯნის „იქით“ გასვლა ახალგაზრდა პოეტმა, როგორც ეპოქის ახალი იდეების მიმდევარმა, ინტუიციით, მხატვრული შემეცნებით სცადა. ამ მიზნით გალაკტიონი პირველ ნიგნში მიმართავს სინამდვილის გადააზრებას და გამოსახვას მითის საშუალებით. ჭეშმარიტი არსებობა ე.წ. მაიას საფარველს ანუ ხილულ მოვლენათა მიღმა წარმოსახულია, როგორც მოძრაობა ქაოსიდან მშვენიერებისაკენ, რაც სინამდვილეს მითოლოგიურ და ესთეტიკურ ბუნებას მიაწერს.

სამყაროს არსის ასეთი გაგებაა მოცემული ცნობილ ლექსში „მე და ღამე“. ბუნების სიღრმეში მიმდინარე პროცესი, ხელოვნების ანალოგიით, აქ დახასიათებულია, როგორც შემოქმედებითი აქტი — „წვა“ („შუალამე ინვის, დნება“), რის შედეგადაც ღამის იდუმალი, ბნელი წიალიდან ამოდის და ბუნებას ეფინება მშვენიერების საბურველი — ლუნარული ვერცხლის საბანი.

სინამდვილის მითოლოგიური ახსნა (სამყარო, როგორც მითი) საფუძველს ქმნიდა იმისთვის, რომ რეალობის ტექსტში, ყოველდღიურობის საგნებსა თუ მოვლენებში მითის გამოთქმით დაენახათ, ხოლო მითოლოგიზებული რეალობა სიტყვებით, მეტაფორებით, სახე-სიმბოლოებით დაშიფრულიყო.

თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, გალაკტიონის პირველი ნიგნი წარმოადგენს ტექსტ-მითს, რომელსაც სპეციფიკური სტრუქტურული ორგანიზაცია აქვს. ლექსებში გაბნეული, უკვე ნახსენები ბუნდოვანი სახეები მითოლოგიება ანუ მითის შეკუმშული ფრაგმენტები, რომლებიც მეტონიმიური ალუზიის ფუნქციას ასრულებენ. ისინი მიაჩნებენ

ტექსტგარეთ მდებარე რომელიმე მითზე, რომელსაც ლექსები ისე უკავშირდებიან, როგორც ელემენტები მთელს. ლირიკული ტექსტები წამიერი გაელვებანია მითის უსასრულობაში...

ტექსტი-მითი ისეთი მთლიანობაა, რომლის გამოსახვის პლანი რეალობას ასახავს, ხოლო მეორე, დაშიფრული პლანი დაფარულ შინაარსს ინახავს. მითოლოგიზებული ტექსტის დეკოდირება ხორციელდება დადგენილი წყარო-მითის მეშვეობით, რომელსაც შიფრის როლი ეკისრება.

ტექსტი-მითის მისაგნებად, უპირველეს ყოვლისა, მითოლოგიების შემჩნევა და აღნუსხვა აუცილებელია, რაც წყარო-მითზე გავიყვანს. შემდეგი ეტაპია ლექსების, როგორც მითოლოგიური სიუჟეტის პასაჟების, სიღრმისეული შინაარსის ამოცნობა. ავტორის ტექსტი ასეთი მიდგომისას მითის ინდივიდუალურ ვარიანტს უთანაბრდება, რომლის შიგნით ლირიკული სუბიექტი („მე“) და მიმართვის ობიექტი („შენ“) მითოლოგიზებულ პერსონაჟებად გარდაიქმნებიან.

მითის ავტორისეული ინტერპრეტაცია წყარო-მითთან ე.წ. ცხოვრებისეული პასაჟების მიმართებით იკვეთება. საბოლოოდ, ტექსტი-მითი სინამდვილის ან ხელოვნების რომელიმე კონცეფციის ვერსიას გვთავაზობს.

გალაკტიონ ტაბიძის პირველ ნიგნში დაფიქსირებულ მითოლოგიამ-ალუზიებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი ეყრდნობოდა XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი მოაზროვნისა და პოეტის — ვლადიმერ სოლოვიოვის მითოპოეტურ კონცეფციას სამყაროს ტრიადულ განვითარებაზე და მითს წმინდა სოფიაზე — მარადქალურზე. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან სოლოვიოვის შექმნილ მით-ინვარიანტზე იყო ორიენტირებული რუსული სიმბოლიზმის თითქმის ყველა ტექსტი-მითი.

„ვლადიმერ სოლოვიოვი და გალაკტიონი“ სპეციალური გამოკვლევის თემაა, რომელიც გარდაუვალი აუცილებლობით დგას გალაკტიონოლოგიის წინაშე. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ახალგაზრდა გალაკტიონი, ჩემი დაკვირვებით, კარგად იცნობდა არა მარტო რუსი ფილოსოფოსის ლირიკას, არამედ მის უმნიშვნელოვანეს ესთეტიკურ ტრაქტატებსაც — „მშვენიერება ბუნებაში“, „სიყვარულის აზრი“, „ხელოვნების ზოგადი არსა“... საკითხთან მიმართებით უინტერესო არ უნდა იყოს ერთი ფრაგმენტი პროკლე ტაბიძის 1911 წლის წერილიდან გალაკტიონისადმი: „რუსულ მწერლობაში ეხლა ვლ. სოლოვიოვის კითხვას შევუდექი. მისმა ფილოსოფიურმა წერილებმა ძალიან დამაინტერესა“. წარმოუდგენელია, უფროსი ძმის მიერ მიწოდებული ინფორმაციას და ტაქტიან მინიშნებას უკვლოდ ჩაველო, მით უფრო, რომ სოლოვიოვის იდეური ზეგავლენა აშკარად ეტყობა გალაკტიონის 10-იანი წლების ლირიკას.

ვლ. სოლოვიოვის სამყაროს ტრიადული განვითარების მითოპოეტურ კონცეფციას სამსაფეხურიანი „სიუჟეტი“ აქვს (თეზა — ანტითეზა — სინთეზი), ხოლო სუბსტანციური საწყისები (ქაოსი, კოსმოსი, მსოფლიო სული) ამ სიუჟეტის „პერსონაჟები“ არიან. არსებობა ქაოსსა და კოსმოსს შორის წარმოებულ ბრძოლაა, რომელიც მსოფლიო სულისთვის მიმდინარეობს.

ტრიადულ სქემაში თეზა კრეატიული აქტის წინმსწრები, ბუნებამდელი ყოფიერებაა, „ოქროს საუკუნე“, როდესაც მსოფლიო სული ღმერთთან სრულ ერთობაში იმყოფებოდა. ეს მითოპოეტური სიუჟეტის ექსპოზიციანია.

ანტითეზა ერთიანი სამყაროს „ქმნად მრავლობითობად“ დაშლის ფაზაა, რამაც ქაოსი წარმოქმნა. ამ დროს მსოფლიო სული გამოეყო ღვთაებრივ ყოვლადერთობას და ქაოსის ტყვედ იქცა. ეს მითოლოგიზებული ანმყო, ქაოსისა და კოსმოსის ბრძოლის ეტაპი, რომელიც სიუჟეტურ კოლიზიათა მთელ მწკრივს ქმნის.

სინთეზი ღვთაებრივი იდეის ხორცშესხმა სამყაროში — მატერიის გამსჭვალვა „სინათლით“, მსოფლიო სულით. ქაოს-

სის დამარცხება მყოფობადმი ივარაუდება და სამყაროული სიუჟეტის კულმინაციური მომენტი.

ვლ. სოლოვიოვის განვითარების ტრიადულ სქემაში, როგორც ვხედავთ, წარსულის ჰარმონიას მოსდევს დისჰარმონიული ანმყო, ესქატოლოგიური მოლოდინი კი ახალი ჰარმონიის სუფევას უკავშირდება.

გზის მეტაფორა გალაკტიონთან, როგორც ითქვა, მოძრაობის, განვითარების იდეას ატარებს. არსებობის ერთიანი პროცესი ნიგნში დიფერენცირებულია ტრიადული მწკრივის სახით: წარსული — ანმყო — მომავალი.

წარსული „სიყმანვილის ნაზი გაზაფხულია“, სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის ხანა, რომელიც სოლოვიოვის თეზას შეესაბამება.

ანტითეზა **ანმყო**, აღბეჭდილი ლირიკული სუბიექტის სულიერი კატაკლიზმებით, რაც სინამდვილესთან შეჯახებამ და „ქალწულთან“ (მსოფლიო სულთან) კონტაქტის დაკარგვამ გამოიწვია.

სინთეზის ეტაპი წარმოდგენილია რწმენისა და ეჭვის ზღვარზე, როგორც შესაძლებლობა, პოტენცია „ქალწულთან“ მისტიკური კავშირის აღდგენისა გაურკვეველ **მომავალში**.

გამოდის, რომ გალაკტიონის პირველი ნიგნის რეალურ პლანში გადმოცემული „მოგზაურობის“ მიღმა ვლ. სოლოვიოვის სამყაროს მითის მითოპოეტური შინაარსი იკითხება. ეს შინაარსი გალაკტიონთან გაცხადებულია, მაგალითად, ისეთ განმეორებად მითოლოგიებში, როგორიცაა გაზაფხული — შემოდგომა — შორი გაზაფხული, სადაც პირველი წარსულის — სიჭაბუკის, ჰარმონიის მხატვრული სახეა (თეზა), მეორე — ანმყო, კვდომისა და დისჰარმონიისა (ანტითეზა), ხოლო „შორი გაზაფხული“ ახალი ჰარმონიის — მითოპოეტური მომავლის სიმბოლო (სინთეზი).

მითოლოგიური პლანის არსებობაზე პირველ ნიგნში ყველაზე ცხადად „ქალწულის“ თემა და სიტყვიერ ქსოვილში ჩანერგილი მეტონიმიური მითოლოგიები მიაჩნებებენ. სწორედ ისინი მიგვიძღვიან ვლ. სოლოვიოვის საკულტო მითოპოეტური სიმბოლოსკენ, რომელიც მის ფილოსოფიურ ნააზრევში წმინდა სოფიას სახელს ატარებს, მისსავე პოეზიაში კი „ქალწულის“ — მსოფლიო სულის, გოეთესეული „მარადქალურის“ პერსონიფიცირებული სახეა. გალაკტიონთან ამ სახის აღსანიშნად ყველაზე ხშირად გამოიყენება იგივე „ქალწული“ და სინონიმურ სიტყვა-სიმბოლოთა მთელი მწკრივი: ნუგეში, ღვთისმშობელი, ნათელი, ლაურა, იმედი, ავრორა...

ქალწულის მითი სიუჟეტურად ტრიადული სქემის უმნიშვნელოვანეს საფეხურს გადაგვიშლის, დრამატულ ძიებებს ანტითეზიდან სინთეზისაკენ — მოლოდინს მარადქალურისა, რომელმაც თავისი ღვთაებრივი ძალით სამყარო უნდა განაახლოს.

გალაკტიონის პოეზიაში „შორეული ქალის“ თემა, — ზოგადსიმბოლოსტური კონტექსტის გათვალისწინებით, — დეტალურ ანალიზს მოითხოვს. ამ ეტაპზე სანიმუშოდ განვიხილოთ მხოლოდ ერთი, არსობრივად მნიშვნელოვანი უსათაურო ლექსი „არ მინდა სიტყვა“, სადაც სასიყვარულო სიტყვა-ციამი იდუმალი მითოლოგიური შინაარსია დაშიფრული.

ლექსის დასაწყისშივე ლირიკული სუბიექტი მიაჩნებებს რაღაც ისეთ უჩვეულო გრძნობაზე, გამოსახვის ისეთ ობიექტზე („სიმართლის ალი“), რომლის სიტყვიერი გადმოცემა ოდენ არის პროფანაციას გამოიწვევს:

**არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სიმართლის ალი — როგორც ბურუსი,
ისე ირღვევა და იფანტება.**

ამ ფონზე ჩნდება არავერბალური კონტაქტის მოტივი: მიმართვის ობიექტი („შენ“/სატრფო) წარმოსახულია ისეთ არსებად, ვისაც თვალებით მეტყველების უნარი მიეწერება:

მხოლოდ თვალებით, მაგ განუსაზღვრელ სევდის მორევში მცურავ თვალებით მითხარი რამე, თორემ სულს დავლევე გამოურკვეველ ქენჯნა-წვალებით.

სინტაგმები „განუსაზღვრელი სევდა“, „გამოურკვეველი ქენჯნა-წვალება“ და არავერბალური კონტაქტის შესაძლებლობის დაშვება იმის მაცნეა, რომ ეს არაა სატრფოსადმი კონკრეტული განცდის ასახვა, აქ რაღაც უფრო მეტია, ვიდრე რეალური გრძნობადი სურვილის გამჟღავნება.

მომდევნო სტროფს მოაქვს ინფორმაცია ლირიკულ სუბიექტზე, რეალობის სივრცეში მის ტრაგიკულ არსებობაზე. არაამქვეყნიური სულის მქონე მინიერი არსება მხოლოდ სატრფოზე ოცნებით ცოცხლობს, როგორც ზვარაკი, მსხვერპლი ზექვეყნიური, ენით გამოუთქმელი სიყვარულისა:

მე სული არ მაქვს ამქვეყნიური, შენზე ოცნებით დაიწვა იგი, განშორდა სოფელს და თუ კვლავ სცოცხლობს, სცოცხლობს ისე, ვით ტრფობის ტარიგი.

ფინალურ სტროფში უკვე შეუნიღბავი საუბარია ტრფობის არაქაურ ბუნებაზე. სწორედ ზეგრძნობადი მისტიკური განცდის გამოთქმის სურვილი აღძრავს ისეთი სიტყვის მონატრებას, რომელიც „გულში ნაგრძნობს“ უდანაკარგოდ გადმოსცემს:

და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი, სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?

თუ ალუზიების მწკრივს ვაყვებებით, დამონმებულ ლექსში ამოვიცნობთ მარადქალურის საერთოსიმბოლისტურ მითს, რომელიც ვლ. სოლოვიოვიდან მოდის. მითის კონტექსტში გასაგები ხდება ტექსტის იდეალური, სიღრმისეული აზრი — ლირიკული სუბიექტის მისტიკური ლტოლვა სატრფოსადმი, მარადქალურისადმი, რომელიც „განუსაზღვრელი სევდით“ უმზერს შორეთიდან.

ამრიგად, ინტიმური ლექსში აღბეჭდავს კოსმიურს, რითაც ადასტურებს ინდივიდუალური და სამყაროული

არსებობის ერთიანობის რომანტიკულ-სიმბოლისტურ იდეას.

სიტუაციის დრამატიზმს ამძაფრებს „პერსონაჟებს“ შორის უკონტაქტობა და „მოკვდავთა ენის“ უმწეობა ღვთაებრივი გრძნობის წინაშე. ახალი გრძნობის და ძველი სიტყვის ამ შეუსაბამობამ შვა სამომავლოდ მინიშნებათა პოეტიკა, გალაკტიონის ახალი პოეტური ენა.

საბოლოოდ, გალაკტიონის ლირიკული სუბიექტის მითოლოგიზებული „თავგადასავალი“ ასე შეიძლება დახასიათდეს: სინამდვილის პირისპირ დარჩენილმა ობოლმა სულმა, რომლის მესხიერებაში სამუდამოდ ჩარჩა „ოქროს ხანის“ — სიჭაბუკის ნათელი ხსოვნა, პირველი ნუგეში მსოფლიო სულის რწმენაში, სამყაროს ორგანულობის იდეაში ჰპოვა. ბუნების მისტიკური განცდა პეიზაჟურ ლირიკაშია გაცხადებული („დუმლი“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს“, „AURORA“, „იმ ნეტარ ღამეს“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“...).

ბუნებაში განფენილი მსოფლიო სული, მარადქალური შემდგომ „ქალწულის“ სახეში პერსონიფიცირდა და მისდამი ზექვეყნიური ტრფობის მითოპოეტურ სიუჟეტად გაიშალა. ამ სამზეროდან **გალაკტიონ ტაბიძის პირველი ნიგნი არის** მეოცნებე პოეტისა და შორეული „ქალწულის“ **მისტიკური რომანი ლექსებად**, რომლის მთლიანობას ერთდროულად ქმნიან ღია და ფარული ინტეგრატორები: რეალურ პლანში — გზის/მოგზაურობის თემა, ხოლო სიმბოლურში — მისი მითოპოეტური უკუფენა ანუ მითი სამყაროზე და მარადქალურზე.

ნარმოდგენილ დაკვირვებათა შედეგად, ვფიქრობ, რამდენიმე საგულისხმო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს:

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ნიგნი არ არის ლექსების ნაერები, იგი პოეტური მთლიანობაა, რთული სტრუქტურის ტექსტი-მითი. აქედან გამომდინარე, მეცნიერულ და აკადემიურ გამოცემებში დაუშვებელია მისი ცალკეულ ლექსებად დაშლა და შერევა სხვა ტექსტებთან, როგორც ეს პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულში მოხდა.

დადგენილი რეალობის პირისპირ, ამიერიდან მაინც, უხერხულია საუბარი გალაკტიონის ადრეული ლირიკის შეგირდულ, დიფუზიურ ხასიათზე. პირველი ნიგნი უნიკალური მოვლენა იყო თავისი დროის ქართულ პოეზიაში და იგი ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძეს, თუნდაც დაგვიანებით, განახლების გლობალური პროცესის თანამონაწილედ წარმოაჩენს.

ამ ნიგნით მე ვფიქრობდი ქვეყნის აფეთქებასო, — თურმე ცარიელი ფრანზა, უნიადაგო ქადილი არ ყოფილა!

მნიშვნელოვანი ნაომსჯეა — გალაკტიონის თხუთმეტტომეული

18 მარტს თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — **გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის პირველი და მეორე ტომების** ელექტრონული ვერსიების პრეზენტაცია და სამეცნიერო სესია.

სესია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა თსუ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ირმა რატინამ**, რომელმაც ისაუბრა ამ პროექტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა **თეიმურაზ დოი-აშვილმა** ნაიკითხა მოხსენება: **„გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური გამოცემის შესახებ“**, რომელშიც წარმოდგენილი იყო პოეტის თხზულებათა ახალი თხუთმეტტომეულის ზოგადი კონცეფცია და ძირითადი პრინციპები. მომხსენებელმა გამოკ-

ვეთა ის მნიშვნელოვანი სიახლეებიც, რომლებიც ასახავს ჰპოვებს ახალ გამოცემაში.

პროექტთან დაკავშირებულ ტექსტოლოგიურ საკითხებზე ვრცლად ისაუბრა პროექტის მენეჯერმა **ნათია სიხარულიძემ**. მან დეტალურად წარმოადგინა განული პრაქტიკული სამუშაოების ანგარიში და შედეგები, დამსწრეთ გააცნო ახალი აკადემიური გამოცემის პირველი და მეორე ტომების ელექტრონული ვერსიები.

ლიტერატურულ-სამეცნიერო კრებული **„გალაკტიონოლოგია VII“**, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის პირველი ნიგნის (1914) მეცნიერული გამოცემა, გაანალიზა და მაღალი შეფასება მისცა კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ**. პროექტის გარშემო ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა **ემზარ კვიციანიშვილმა** და **როსტომ ჩხეიძემ**. მათ მხარი დაუჭირეს გალაკტიონის შემოქმედებისადმი ახლებურ კონცეპტუალურ მიდგომას, რომელიც პრინციპულად უარყოფს საბჭოთა იდეოლოგიის მიერ დამკვიდრებულ, დღემდე ინერციით გადმოსულ სქემებსა და კლიშეებს.

აზრი გამოთქვეს აგრეთვე რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, პოეტმა **დავით შემოქმედელმა**, პროფესორმა **შალვა საბაშვილმა**, მკვლევარებმა **ზოია ცხადაიამ**, **მანანა კვატაიამ**, **თამარელა ნონორიამ** და სხვებმა.

ივანე ამირხანაშვილი

შეხვედრა

პოეტები ერთმანეთს არ ჰგვანან. თუნდაც მამა-შვილი იყოს. ნიჭი განასხვავებს. ქმნადობის წესი ყველა ადამიანში სხვადასხვანაირია. ერთი ნიუანსიც საკმარისია, რომ დიდი განსხვავება მივიღოთ.

ისინიც განირჩეოდნენ ერთმანეთისგან. მანძილი იყო მათ შორის, მამაშვილობის დისტანცია, დრო, გზასავალი. მაგრამ მსგავსებაც იყო, რაღა თქმა უნდა, უეჭველი მსგავსება და ეს, უწინარეს ყოვლისა, სათნოებაში გამოიხატებოდა, ორივეს სულის ძალად, სულის საფანელად სათნოება ჰქონდა, რაც გამხსნატვის ჰუმანისტურ მანერად წარმოგვიდგებოდა.

ანზორ სალუქვაძე და მამუკა სალუქვაძე. გარეგნულად სხვადასხვაობს მათი სიტყვა, მაგრამ შინაგანად ერთად არიან. გამომცემლობა „ინტელექტმა“ ერთ წიგნში მოაქცია მამა-შვილის შემოქმედება. „100 ლექსის“ სერიით გამოცემულ კრებულში ორი პოეტური პორტრეტია მოცემული. ნასაკითხად, აღსაქმელად, გასააზრებლად იოლიც არის და რთულიც. გააჩნია, საიდან შეხედავ, საიდან გაზომავ კეთილშობილ სულთა ნიადგზე აღმოცენებულ სიდიდეებს, რომელთა პოეტური გარსიც იმდენად ახლოს მოდის, გგონია, მთლიანად აღიქვამ მათში განფენილ აზრს, მაგრამ ფორმათა სისადავე და უბრალოება შინაარსის გაგების გარანტია არ არის. თუმცა ტკბობას შეიგრძნობ: აბსტრაქტულსაც და კონკრეტულსაც. აბსტრაქტულს იმით, რომ მშვენიერებასთან გაქვს საქმე, კონკრეტულს კი იმით, ეს შენთვის არის შექმნილი.

ხასიათიც ისეთი ჰქონდათ, უბრალო, სათნო, თბილი, ადამიანური, გეგონებოდა, მამაც და შვილიც შენთვის, შენთან ურთიერთობისთვის იყო დაბადებული.

ორივე სრული იყო, ბუნება-ზიარის თვისებებით შემკული, გულთამხილავი უნარით დაჯივნილი. ამიტომ ძნელია მათზე წერა. იცი, რაღაცას ისე ვერ იტყვი, რაღაც არ გეყოფა, მთავარს ვერ გამოთქვამ, სიტყვა არ გეყოფა.

მახსოვს ყოველდღიური შეხვედრები ანზორ სალუქვაძესთან „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, თემურ მაღლაფერიძესთან ორთაჭალაში, მყუდრო, რომანტიკულ სახლში, ზოგჯერ მწერალთა კავშირში, ქალაქგარეთაც, პიკნიკებზე. უბნო, უსიტყვო შეხვედრა იცოდა, ყველაფერს ღიმილით ამბობდა. თუ რამეს ზღაპროდა, იცოდა, რომ გაუგებდი. იმასაც გაგრძნობინებდა, რომ შენი ესმოდა, გენდობოდა და მთელი არსებით შენთან იყო მეგობრად, მოყვასად, თანამდგომად.

ლექსივით ქმნიდა ადამიანურ ურთიერთობათა შედეგებს. ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს ამბობდა. თავს არ შეგანწყენდა, მაგრამ ნება-უნებლიეთ გაიძულებდა მუდმივად ყური გეგდო. ზოგჯერ, მოულოდნელად, ლექსსაც წაიკითხავდა და ამ დროს გრძნობდი, რომ ბუნებით ესთეტი იყო, მშვენიერების მოტრფიალე, სილამაზის დამფასებელი.

ღიწჯი, დარბაისელი, მყარი კაცი იყო. თავისი დროით ცხოვრობდა. სადაც უნდა მისულიყო, ყველგან ურღვევობის, მკვიდრობის, უდრტიველოების, უხანობის, უუამობის აურა მოჰქონდა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს წარმავალ ყოფიერებასთან კავშირი ჰქონდა განწყვეტილი. ნირი არც მაშინ შეუცვლია, როდესაც მამუკა წავიდა ამქვეყნიდან. სტოიკურად ეჭრა თავი. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. სიტყვა არ დასცდენია თავის ტრაგედიაზე. არისტოკრატულად უძლებდა ტკივილს, მტკიცედ იდგა მანამდე, სანამ თვითონაც არ იგრძნო ამქვეყნიდან გასვლის ჟამი — ნვერი მოუთხრა, თვალეში სხივი ჩაუქრა და ჩამოხმა, დადნა ანაქორეტივით...

კრებულს, რომლის შემდგენლები არიან ლენა ნაკაშიძე და დოლო იაშვილი, უძღვის რევაზ კვესელავას, გურამ ბენაშვილის,

რეზო ჭიჭიშვილის, ემზარ კვიციანიშვილის, გივი შაჰნაზარისა და ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები ანზორ სალუქვაძის შესახებ. ამ მოკლე ამონარიდებში კარგად ჩანს ამ შესანიშნავი პოეტისა და ლირსეული ადამიანის პორტრეტი, უფრო სწორად, შტრიხები შემოქმედებითი და პიროვნული პორტრეტისათვის. მეგობრების თვალთ დანახული ანზორი ანუ „ოლია“, როგორც ყველა ეძახდა, „ერთნაირია“, რადგან ხასიათი ჰქონდა მთლიანი და მონოლითური.

„ბევრს არ წერდა, და რასაც წერდა, გულმოდგინედ სრულყოფდა. ლამაზი ხელწერა ჰქონდა, ძერწავდა პირდაპირ. დროდადრო შეყოვნებოდა, გახედავდა ნაწერს, თუ მოეწონებოდა, შვებით ამოისუნთქავდა და წერას განაგრძობდა. დრო არ ენანებოდა. ე.წ. ცხოვრების პრობლემებს მონად არ გახდომია. ინარჩუნებდა თავისუფლების აუცილებელ დოზას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დაინახო საკუთარი თავი, დაინახო გარემო და დაიცვა წონასწორობა. მერე და მერე გაიჩქარა, რამდენი ცრემლი უღვრია პოეტს, ცრემლი სიხარულით და სევდით. ანზორი გაურბოდა პათეტიკას პატრიოტულ თემებზე, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ მას ანუხებდა თავის ქვეყნის ბედი, ასევე ანუხებდა თავისი მეგობრების მოუწყობელი ცხოვრება...“ (რევაზ კვესელავა).

მამუკასაც გაზეთის რედაქციაში ვხვდებოდით. შემორბენა იცოდა, გამორჩნდებოდა და მალევე უჩინარდებოდა. ეფემერული იყო მისი გამოჩენა. ადგილს ვერ პოულობდა, სულ ჩქარობდა. რამდენჯერმე კინოთეატრშიც მინახავს. იჯდა და თითქოს მაინც გარბოდა. ეკლემზე იჯდა. ერთხელ თეატრშიც ვნახე, თავისი პიესის პრემიერაზე დაგვპატიჟა. იქ უკვე თავსაც გაურბოდა. ძალიან მორიდებული ჩანდა. ნიჭიერი და თან წესიერი კაცის მოკრძალება ეტყობოდა. ეს იყო 1991 წელს. „რეპეტიცია ლაზარეს აღდგინებისა“ — ასე ერქვა სპექტაკლს, რომელიც პრემიითაც დაჯილდოვდა თეატრალური სეზონის საუკეთესო ქართული ნაწარმოებისათვის.

ჩქარობდა და ბევრსაც ასწრებდა. 1978 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში რედაქტორად, დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატაიანეში“, იყო საბავშვო ბალის გამგე. 1995 წელს დააარსა დამოუკიდებელი სტუდია „რენესანსი“. გადაიღო რამდენიმე დოკუმენტური და მხატვრული ფილმი. მთავარი როლი შეასრულა რეჟისორ ალექსანდრე რეხვიანიშვილის მხატვრულ ფილმში „XIX საუკუნის ქრონიკები“. წიგნად გამოსცა ლექსების ციკლი „შერბარიუმი“ და საბავშვო პოემა „თუთიყუშ ფაკოს თავგადასავალი“. დაწერა რამდენიმე პიესა და პოემა. თარგმნა ვიქტორ ჰიუგოს, ჟან პიერ ბერანჟეს, ჟერარ დე ნერვალის, ალფრედ დე მისეს, ლეკონტ დე ლილის, პოლ ვერლენის, ემილ ვერჰარნისა და სხვა ფრანგი პოეტების ლექსები.

ჩემთვის ყველაზე უფრო უცნაური და საკვირველია, როგორი ერთუზიანობითა და რწმენით წერდა ბიბლიურ ტექსტთა პოეტურ „რემიქსებს“. ამ ჟინს ძველქართულად საღვთო შური ერქვა. ასეთი „მეშურნე“, ესოდენი რწმენითა და სათნოებით აღსავსე კეთილმზრახველი პოეტი მეორე არ მახსენდება ჩვენს ლიტერატურაში.

კარგად წერს მაკა ჯოხაძე: „მამუკა სალუქვაძე კაცად დაბადებული ბიჭი იყო — ლამაზი, ჭკვიანი, ღრმა ადამიანი. ამიტომაც სწორედ, მოდურად კი არ ნაპოტინებია სარწმუნოებას, რელიგიის სფეროს. ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტუალური თუ ცხოვრებისეული გამოცდილების გზით იარა და გაიზარდა სულიერად. მხოლოდ ტკივილითა და ტანჯვით მოპოვებული სიბრძნის მერე მისცა თავს უფლება, რომ ათი მცნება გაეღქმას. ეკლესიასტეს მიხედვით გაერთიანდა და დაეწერა საკუთარი შეგრძნებებითაც ამაოებათა ამაოებაზე, მშვიდი, ღვთიური წონასწორობით მოეთხრო შესაქმის დღეთა შესახებ...“

რამდენადაც ვიცნობდი, მამუკა მართლაც „კაცად დაბადებული ბიჭი“ იყო და ჰქონდა მას კიდევ ერთი თვალმისაცემი თვისება — თავისთავადობა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ხასიათი


ინდივიდუალური ზმის თარგზე იყო მოჭრილი, თავისუფალი, დამოუკიდებელი კაცის ნებელობა ჰქონდა, თუმცა გარეგნულად შეიძლება პირიქით მოგჩვენებოდა, მშვიდი, განონასწორებული ხასიათი და რელიგიური თემებით გატაცება შემგუებლობის გამოხატულებად მიგჩინა. კაცმა რომ თქვას, არც ეს იქნებოდა გასაკვირი, რადგან რთული ხასიათის გამოცნობა ძნელია იმდენად, რამდენადაც წინააღმდეგობრივია და ერთ მნიშვნელობაზე არ დაიყვანება.

მის ხასიათს საუკეთესო გამოხატულება მოუძებნა კინორეჟისორმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა ფილმში „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ სტუდენტ ნიკო ბურნაძის როლი ზუსტად მოერგო მის შინაგან ბუნებას, მრწამსს, ზნეს, ნიშანს. როგორც იტყვიან, თავისი თავი ითამაშა. ის მართლაც ასეთი იყო: პოეტური, ღრმა, ფიქრისმიერი და ცოტა მისტიკური. ცოცხალთვის გრძნობდი, რომ მისი შინაგანგადაცვალებით მეტი იყო, ვიდრე გარეგანი. ტრადიციული, აკადემიური სანყისი დომინირებდა მის ქცევასა თუ აზროვნებაში. ეს იყო მისი სულიერი საფანელიც და მემკვიდრეობითი კოდიცინოლა გურგულიას ვოკალური კულტურისა და ანზორ სალუქვაძის აკადემიზმის გავლენა უთუოდ იგრძნობოდა მისი ხასიათის სიღრმეებში, რაც ის ბედნიერი შემთხვევა გახლდათ, როდესაც მშობლების გენეტიკური ფაქტორი შვილის კულტურულ საზრისს ბოლომდე განსაზღვრავს.

კულტურულობის შინაგანი კანონი აიძულებდა ყოფილიყო ისეთი, როგორც იყო — ტრადიციული, კონსერვატიული, აკადემიური ფასეულობების ერთგული დამცველი და მიმდევარი. მან აირჩია ძნელი, არაპოპულარული, მაგრამ სწორი გზა.

ავანგარდისტული ეპატაჟისაგან შორს ეჭირა თავი და იმის ძალაც შესწევდა, რომ თავისი პოზიცია ბოლომდე დაეცვა და, სიმართლე ითქვას, იყო ამ სიჯიუტეში განწირულის სულისკვეთება, ბარათაშვილისეული გაგებით.

უადგილო გადახვევად თუ არ ჩამეთვლება, ერთ დეტალს გავიხსენებ. 2015 წელს შესრულდა ასი წელი მას შემდეგ, რაც შეიქმნა კაზიმირ მალევიჩის ცნობილი „შავი კვადრატი“, რომელიც აღმოჩნდა ერთგვარი შტრიხკოდი ავანგარდისტული სულისკვეთების კრიზისული ბუნების გასახსენლად. ეგრეთ წოდებული სუპერმატიკული (აღმატებული, უმაღლესი, აბსტრაქციონისტული) ნიშანი, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ აკადემიური ხელოვნების დასასრული ეჩვენებინა, სინამდვილეში ავანგარდიზმის იდეის ტრაგიკულობის მაუწყებელი



აღმოჩნდა. ვისთვის როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ ავანგარდიზმის კრახს თვით ავანგარდისტები აღიარებენ.

სიურრეალიზმის მამამთავარი სალვადორ დალი ავტობიოგრაფიულ წიგნში ასეთ რამეს წერს: „მთელი ეს ჩემი სიურრეალისტური დიდება ჩირად არ მიღირდა: ჯერ სიურრეალიზმის ნახტები ტრადიციაში უნდა ჩამენნა და ამისათვის თავად წარმოსახვა შესაბამისად მექცია იმად, რასაც ახლა „კლასიკურს“ უწოდებენ“ („სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრების ამბავი“, თარგმნეს ზაზა ქილაძემ და გრიგოლ ჭუმბურიძემ, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2012, გვ. 220).

მაინც კლასიკური, მაინც აკადემიური, მაინც ტრადიციული.

ავანგარდიზმი ტრადიციის აღორძინებას უნდა ემსახურებოდეს. ამას ქადაგებს სალვადორ დალი, და თავს თუ არ მოვიტყუებთ, ყველა შემოქმედი შინაგანად ამ პოზიციას ემხრობა,

რადგან იცის, რომ მარადიული, გამძლე ფასეულობა მხოლოდ აკადემიზმის ნიადაგზე ხარობს. აკადემიზმი, ტრადიცია, კულტურა იქმნება იქ, სადაც ღმერთის არსებობა იგულისხმება.

პოეზია თუ სულისთვის არ იღვწის, თუ ადამიანის გაკეთილშობილებას არ ემსახურება, თუ მაღალ ეთიკურ და ესთეტიკურ ამოცანებს არ ისახავს მიზნად, ის არც ქმნადობა და, მითუმეტეს, არც ხელოვნება.

ამ პრინციპს იცავდა შვილი და ამ პრინციპს ერთგულებდა მამაც.

„ჩვენ მაინც ვივლით, ჩვენ მაინც ვივლით იმავე გზითა და იმავე სინდისით!“ — წერს ანზორ სალუქვაძე ლექსში, რომელიც რევან თვარაძესა და თამაზ ჩხენკელს ეძღვნება. ეს არის მთელი თაობის პოზიცია, მრწამსი, პრინციპი. ამ ბრწყინვალე ლიტერატორთა დასს ახასიათებდა სიცოცხლის მშვენიერების აღქმის დიდი უნარი. მათი ეგზისტენციური განცდა იყო რეალური, ემპირიული, სრულყოფილი. სიცოცხლის სიყვარული ნასწავლი კი არ ჰქონდათ, არამედ პრაქტიკით შეთვისებული-გამოცდილი. აკადემიზმის ერთგულება და ტრადიციის დაცვის ერთობლივი ნება, მამა-შვილთა ამ თაობებს რომ ახასიათებდა, შემდგომ თაობებში აღარ გადასულა, აღარ განმეორებულა.

პოეზიის ფუნქცია ის არის, რომ შექმნას ახალი სინამდვილე, ამ სინამდვილის აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ შთანთქოს და თავის თავში განაზავოს ავტორი. რაღაც მსგავსი მისტერია განხორციელდა ამ წიგნშიც. „100 ლექსი“ — მამა-შვილის ბედნიერი შეხვედრა ერთ სივრცეში, პოეტური სიტყვის ერთ სტიქიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ეპისტოლეთა სივრცე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა **მაია ცერცვაძის** საჯარო ლექცია თემაზე: **„ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა — უახლესი სამეცნიერო კვლევები“**.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა, მიუხედავად მცირე მოცულობისა (18 ბარათი), უაღრესად საყურადღებო და მრავლისმთქმელია, უწინარესად, თვით ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების, სულიერი ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მრწამსის შესწავლის თვალსაზრისით. პოეტის პირადი ბარათები, ამავდროულად, ეპოქის სანდო დოკუმენტები და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის საუკეთესო წყაროებია.

მომხსენებელმა საზოგადოებას გააცნო 13 პუბლიკაციაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი შედეგები უახლესი კვლევებისა, რომელთაც ატარებდა დამოუკიდებლად და ამჟამად აგრძელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

სლიად-მოუს თანხლებით მაია ცერცვაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილთა დათარიღების, პირთა იდენტიფიკაციის, პოეტის სანაცნობო წრის, პოეტისა და მათი ურთიერთმიმართების, წერილებში ჩართული რამდენიმე პოეტური ნიმუშის, აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების ისტორიულ კონტექსტში გააზრებისა და სხვა საკითხებზე ისაუბრა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა ვრცელი კომენტარებითა და ექსკურსებით მზადდება გამოსაცემად ცალკე წიგნად და, რამდენადაც ვიცნობთ მის ცალკეულ პუბლიკაციებს, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება გამორჩეული მოვლენა ჩვენს სამწერლო-კულტურულ და საზოგადოებრივ სინამდვილეში, ენციკლოპედიური ყაიდის ნაშრომი, მდიდარი ახალი მიგნებებითა და დაკვირვებებით.

მიხეილ ანთაძე

სიტყვის არქეოლოგია

ქაჩვა

ჩემის აზრით, „ქაჩვა“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქართული სიტყვაა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა, დაახლოებით ორი საუკუნისა და დამეთანხმებით, ძირძველი ქართული ენისთვის ეს ყველაზე მეტად ჩვილობის ასაკია.

განმარტებით ლექსიკონს მივმართოთ:

ქაჩავს — გრძე — (გადაქაჩა, გადაუქაჩავს)

1. საქაჩავი მილით ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს (სითხე).

2. „სატუმბავი სადგური... დღე-ღამეში მილიონობით ვედრო წყალს ქაჩავს არხის წყალსატევებში („ახალგაზრდა კომუნისტი“).

3. მოქაჩა, — მოუქაჩავს კუთხ. (იმერ.გურია) თავისკენ ეწევა, ეზიდება.

„ჩამოხტა ყარამანი და თავისი ნაოსტატევი სადავით დაუნყო ქაჩვა ჯორს“ (ა. ბელიაშვილი)

4. გაქაჩა, გაუქაჩავთ კუთხ. (იმერ.გურია) იჭერს, იპყრობს, ძაგრავს, ბოჭავს.

5. თამბაქოს, პაპიროსს, ყალიონს ქაჩავს კუთხ. (იმერ.გურია) თამბაქოს უზომოდ ეწევა

6. თვალებს ქაჩავს კუთხ. (იმერ.გურია) თვალებს აბრიალებს, ჭიმავს, ბრეცს.

ამრიგად, პირველ ყოვლისა ის აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას მიაკუთვნებს ლიტერატურულ ქართულს — სითხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობის საშუალებით, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები კუთხურიაო. მართალს ბრძანებს ლექსიკონი, რადგან ამ ქართული ზმნის ნარმოზობა სწორედაც რომ ტექნიკასთანაა დაკავშირებული, კერძოდ, იმ მოწყობილობასთან, ორასიოდენ წლის წინ რუსეთის იმპერიას რომ შემოჰყვა ჩვენში — წყლის ტუმბოს, რომელსაც რუსულად **насос** ჰქვია, ხოლო ამ ტუმბოების საშუალებით წყლის მოპოვებელ სისტემას — **водокачка**.

ეს კომპოზიტი ორი სიტყვისგანაა შედგენილი — **вода + качать**.

ზმნა **качать** ასე განიმარტება:

1. რაიმესთვის რხევითი მოძრაობის გადაცემა ამ მოძრაობის შემდგომი შენარჩუნებით. მაგალითად, ქალმა ბავშვი დაარნია — **Она принялась качать ребенка...** აკვნის დარწევა — **качать колыбель...** ნიკოლაი ფეხს იქნევს — **Николай ногой качал...** თავის ქნევა — **качать головой...** ქარი ნავს არწევს — **лодку качает**.

2. ტუმბოს საშუალებით სითხის ან აირის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

მაგ. **Сейчас можно приобрести насос наружной установки, который может качать воду с глубины хоть 100 метров.**

3. სპორტ. კუნთური მასის გაზრდა, მუსკულატურის გაძლიერება.

მაგ. **Многие люди, чтобы избавиться от большого живота, начинают качать пресс.**

4. სასაუბრო. ძლიერი მოწონების, მავანის მიერ აღფრთოვანების ნიშნად ვინმეს ხელებით ჰაერში ასროლა ადამიანთა ჯგუფის მიერ.

მაგ. **Казанцы, побросав на лед шлемы, одели заранее приготовленные чемпионские бейсболки и принялись качать своего тренера.**

5. კომპიუტერულ ქსელში ფაილების გადაცემა.

6. სლენგი. საკუთარი უფლებების უაპელაციოდ დეკლარირება — **качать права**.

ლინგვისტების აზრით, ეტიმოლოგიურად ამ სიტყვას პროსლავური „კოტიტი“, „კოტიო“ ესაფუძვლება, საიდანაც ასევე წარმოდგება რუსული **катить, катать**, უკრაინული **катати**, და **КОТИТИ**, სლოვენური **kotáti** — (გაბრტყელება) და **prekotiti** (ნაქცევა, გაგორება) ჩეხური. **kácet** (ხის ჩეხვა) პოლონური. **kacić się** (ნადირობა)... შევადართო ძველი იტალიური **cacciare**-ს, რაც აგრეთვე ნადირობას ნიშნავს, ინგლისურ **skate** (სრი-ალი, ციგურა) და იგივე მნიშვნელობის ჰოლანდიურ. **schaats**, ლათინურ **quatiō** (ვარყევ, ვუბიძგებ), ბერძნულ **πασσω** (ვყრი, ვაწნევ), ძველ ინდურ **čātáyati** (გამარცხებ) და სხვა.

ზემოაღნიშნულ რუსულ მნიშვნელობათაგან პირველი — ბავშვისა და აკვნის რწევა, თავ-ფეხის ქნევა და ასეთები ქართულთან არავითარ ნათესაობას არ ამჟღავნებს და ჩვეულებრივ, შესაბამისი ანალოგებით ითარგმნება. აზრად არავის მოუვა ქართულად თქვას — აკვანს აქაჩავებს ან ფეხს აკაჩავებსო.

რაც შეეხება 3-4-6 მნიშვნელობებს, დღევანდელ ქართულ სლენგზე ეს გამოთქმები გავრცელებული გახლავთ, როგორც ბარბაროზები, სწორედ რუსული ტრანსკრიპციით — „კაჩ“ და არა „ქაჩ“ ფუძით — „კუნთებს აკაჩავებს“, „ვიღაცა ხელში აიტატეს და აკაჩავებდნენ“, მავანი „პრავებს აკაჩავებს“ — ცხადია, ასეთი გამოთქმების შემთხვევაში არავითარ ენობრივ დიფუზიასთან საქმე არა გვაქვს. ეს უბრალოდ, ენის დამახინჯებაა.

მაგრამ რაც შეეხება წყლის „ქაჩვას“ და მის უახლეს ანალოგს — „კომპიუტერში მასალის გადმოქაჩვას“ — აქ აშკარად რუსული სიტყვის გაქართულებას აქვს ადგილი.

გაქართულებაცაა და გაქართულებაც — ქართულ ზმნად ქცეულმა და უმძლავრეს მორფოლოგიურ ველში მოქცეულმა რუსულმა სიტყვამ საოცარი ტრანსფორმაცია განიცადა. (კიდევ არაერთხელ შევეხებით ქართული მორფოლოგიის და, პირველ რიგში, ზმნის განსაკუთრებულობას).

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ რუსული ზმნა **качать** აუცილებლად გულისხმობს რხევით, რეგულარულად განმეორებად მოძრაობას. ძველებური წყლის საქაჩი მექანიკური ტუმბოები სწორედ ამგვარი მოძრაობით მოქმედებდა, რის გამოც დაერქვა რუსულად წყლის ამოტუმბვას **качать воду**, ხოლო ტექნოლოგიას — **водокачка**.

ქართულმა ენამ თავდაპირველად ეს მნიშვნელობა გადმოიტანა და წყლის ტუმბვას წყლის ქაჩვა უწოდა, მაგრამ მალე ზმნას რიტმული პერიოდულობის აუცილებლობა ჩამოართვა, რის გამოც, ჩვენებური პრეფიქს-სუფიქსებით ნაირგვარად შეკაზმულმა, გაცილებით განზოგადებული და მრავალფეროვანი მნიშვნელობები შეიძინა.

ჩვენ ვიტყვი: „თმაზე მოქაჩა, ტანსაცმელზე მოქაჩა, კაბის კალთაზე ჩამოქაჩა, დაქაჩა“ და ა.შ.

ჩვენ ვიტყვი: თვალევი გადმოქაჩა, თვალევი მიქაჩავს... ანდა საკვერცხე მქაჩავს, ჭრილობის კიდეები დაქაჩული მაქვს... წინ ნაბიჯის გადადგმა მინდოდა, მაგრამ რალაც უკან მექაჩებოდა...

ჩვენ ვიტყვი: რა უნდა ერთი მაგას, რას იქაჩება... ვის ექაჩები, რო ექაჩები... რას იქაჩები... ანდა: მალალ თანამდებობაზე გაიქაჩა... უმალლეს დონეზე გაიქაჩა... ბანკიდან ფინანსები გადაქაჩა... მილიონები ოფშორულ ზონაში გადაქაჩა... „გუგლიდან“ ინფორმაცია გადმოვაქაჩე... სწავლაში ჩამოვრჩი, მაგრამ მერე ამოვქაჩე... წყალში იხრჩობოდა და ქაჩვა-ქაჩვით ამოვართიე ნაპირზე... დღე და ღამე სიგარეტს ქაჩავს... პოლიციელები ქურდს დაედევნენ და გაქაჩეს... — და ასე უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება... ამ ფრაზებში სიტყვა ქაჩვის სინონიმი ხან რა არის და ხან რა: მოზიდვა, მო-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №9,10,11,12

წევა, მოთრევა, დაბრუნება, დაბრიალება, დაჭიმვა, შეფერხება, გაბლენძვა, შეტევა, განე-გამონევა, დანინაურება, წარმატების მიღწევა, გადატანა, გადარიცხვა, გადმონერა, დაწევა, ანაზღაურება, დაჭერა, დაპატიმრება და სხვა მრავალი. რაც მთავარია, ზემოთ მოყვანილი ფრაზები რუსულად რომ ვთარგმნოთ, სიტყვა качать უმრავლეს შემთხვევაში გამოუსადეგარი აღმოჩნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე უცხო ლექსიკური ერთეული სრულად არის გაქართულებული.

ასეთ შემთხვევაში ამ უკიდვანო მრავალფეროვნებას ქართული ენის ზმნური ბუნება, მისი მისტიკურ-ეზოთერულად მდიდარი მორფოლოგიური უნიკალურობა იძლევა. დიას, ჩვენი ენა ზმნური ენაა, ხოლო ზმნები, როგორც მილორად პავიჩი თავის „ხაზარულ ლექსიკონში“ აღნიშნავს, „მეტყველებაში ბევრად მნიშვნელოვან როლს იძენენ, ვიდრე არსებითი სახელები... ღვთაებრივ მეტყველებასა და ადამიანთა მეტყველებას შუა საზღვარი ზმნასა და სახელს შუა გადის... ის სიტყვა, რომლითაც ცვეციერება იწყება, ზმნაა. ამრიგად, ჩვენს ენას ორი შრე აქვს... ზმნები სახელებზედ უსაზღვროდ მაღლა დგანან, ასაკითაც არათანაბარნი არიან და წარმოშობითაც, რამეთუ ზმნები შესაქმემდე გაჩნდნენ, სახელები კი შემდეგ...“

თუ შეატყვევთ, ეს მსჯელობა, იქით მიდის, რომ ქართული ენა სხვა ენებზე მეტად ქაჩავს...

თეთრი

ქართულად თეთრი ორ რამეს ჰქვია — ფერს და ახლახან, ოციოდე წლის წინ შემოღებულ ხურდა ფულს. თუმცა, ცხადია, არ გვეგონება, თითქოს ეს სიტყვა ფულს საზოგადოდაც ახლახანს დაერქვა. ნახეთ, როგორ განმარტავს საბა: თეთრი არს „სპეტაკი, გინა ვეცხლიო“.

ჩვენი ნუმიზმატიკის ისტორიაში ამოვიკითხავთ: „თეთრი“ ვერცხლის ფულის ზოგადი სახელი იყო საქართველოში. წერილობით წყაროებში პირველად XIII საუკუნიდან გვხვდება. XIII-XIV საუკუნეებში „თეთრი“ აღნიშნავდა კონკრეტულ ფულად ერთეულს და შეესაბამებოდა მონღოლურ დირჰემს, რომლის მასა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ქართულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ყაზანური თეთრი, გიორგაული თეთრი, კირმანეული თეთრი. XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნეში ქართული თეთრს საანგარიშო და სამონეტო ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა. 6 თეთრი 1 დრაჰკანს შეადგენდა. მომდევნო საუკუნეებში „თეთრი“ ვერცხლის საფასის ზოგადი ტერმინი იყო, ზოგჯერ კი საერთოდ ფულს აღნიშნავდაო.

ამ ფაქტის ანალოგიით ისტორიკოსებმა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანტიკური ხანის ადგილობრივ მონეტებს „კოლხური თეთრი“ უწოდეს. ამ ფულის რამდენიმე ტიპი და ნომინალი არსებობს. ჩვენდამდე მოღწეულ ერთეულებს შორის უდიდესია ე.წ. ტეტრადრაქმა (ანუ ოთხდრაქმიანი მონეტა). შემდეგ მოდის დიდრაქმების (ორდრაქმიანი) რიგი.

სწორედ ამაშია საქმე!!! ტეტრადრაქმაში! რაშიო, მკითხავთ. რაში და უმრავლესობა დარწმუნებული ვართ, რომ ფულს, კერძოდ კი ვერცხლის ფულს ფერის სახელი დაერქვა. არადა, პირიქითაა, ფერს ეწოდა ფულის სახელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII-XIV საუკუნეებში „თეთრი“ ახლანდელივით ფერსაც ქვია და ფულსაც, თვით „ვეფხისტყაოსანის“ ამ სიტყვას ფერის აღსანიშნად იყენებს: „თეთრთა კბილთა გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი“, მაგარამ რაც უფრო ღრმად მივიღვართ წარსულში, მით ნაკლებად ვხვდებით მას, ხოლო იმ ფერს, რასაც მოგვიანებით თეთრს დავარქმევთ, სულ სხვა სიტყვა — სპეტაკი ეწოდება. სავარაუდოა, რომ ჩვენმა წინაპრებმა ფულის სახელად ეს სიტყვა ბერძნულიდან ისესხეს — კერძოდ, ტეტრადრაქმიდან, ანთუ უბრალოდ „ტეტრადან“ — რიცხვითი სახელიდან, რომელიც არც მეტსა და არც ნაკლებს — ოთხს ნიშნავს. ტეტ-

რადრაქმა — ოთხდრაქმიანი მონეტა, ვერცხლისა იყო და ბრინჯოსა თუ ოქროს ფულისგან სპეტაკი ფერით განირჩეოდა. სხვათა შორის რომის იმპერიასა და იუდეაშიც ბრუნავდა. თუმცა მისი ყველაზე ძველი ნიმუშები ათენში ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეშია მოჭრილი.

ასე, რომ ჩვენმა წინაპრებმა ეს ბერძნული წარმოშობის სიტყვა, უეჭველია, თავდაპირველად ვერცხლის ფულს უწოდეს და მხოლოდ დროთა განმავლობაში გახდა იგი ფერის აღმნიშვნელი „სპეტაკის“ სინონიმი, მრავალსაუკუნოვანი პარალელური არსებობის შემდეგ თითქმის განდევნა კონკურენტი და მკვიდრად გამაგრდა ფერთა შორის უმდიდრესისა და უნივერსალურის აღსანიშნავად (თეთრი ხომ სპექტრის ყველა ფერის კრებულია). „სპეტაკმა“ ამასობაში ფუნქცია რომ არ დაეკარგა, გადატანითი მნიშვნელობები ათვისა — წმინდას, სუფთას, ამაღლებულის სინონიმად იქცა, თეთრს კი ფინანსური მნიშვნელობა ძლივსა შერჩა და კიდევ კარგი, დამოუკიდებელ სამშობლოში ეს მნიშვნელობა ხელახლა მიანიჭეს. აი, ასეთი გვარიანად ჩახლართული ამბავია.

ისე, სხვათა შორის, გეომეტრიაში არის ტეტრაედი, მუსიკაში — ტეტრაკორდი, ხოლო ოთხკუთხედებიან კომპიუტერულ თამაშს „ტეტრისი“ ჰქვია. გინდაც „თეთრისი“ დავუძახოთ, ეს მაინც უკვე სულ სხვა თემაა...

ტაბლა

ტაბლა არს სუფრა და ყოველი ფეხედი ფიცარი წინ სადგმელიო, - განმარტავს სულხან საბა. ამ სიტყვის წარმოქმნაზე დაშობიანი ქეიფი გვახსენდება დუქანში, ან სადმე სოფლად, ხის ჩრდილში, დალოცვილი ღვინითა და გემრიელი პურ-მარილით დაბალ მაგიდაზე, ჩვენებურად ტაბლა რომ ქვია. ო, რა ქართული, მამა-პაპური სიტყვაა. ხომ კი?

მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ჰქვია მაგიდას - გინდ დაბალს და გინდ მაღალს - ინგლისურად, წამსვე მივხვდებით, რომ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

მართალია საბა, ტაბლის განმარტებისას ფიცარს რომ ახსენებს და ისიც უეჭველად ეცოდინებოდა, ლათინურად ფიცარს რომ ტაბულა ჰქვია.

გავიხსენოთ პოპულარული გამოთქმა „ტაბულა რასა“ - სუფთა დაფა - ასე ხშირად რომ ვხვდებით ნაირნაირ ინტელექტუალურ კონტექსტში.

მაშ ასე, ლათინურად ტაბულა ნიშნავს ფიცარს, დაფას.

ან უკვე რუსული ენიდან ჩვენში შემოსული სიტყვა „ტაბულა“ აღნიშნავს ცხრილს, ნუსხას, აგრეთვე უჯრებად დახაზულ ფურცელზე ჩასმულ სტატისტიკური ცნობებს, ქიმიური ფორმულებს და სხვა მონაცემებს თვალსაჩინოდ განხილვისათვის, ასევე საკლასიფიკაციო სქემებს, საავტორო ნიშნებს და სხვა სისტემატურად ან ანბანურად განყოფილი ამგვარ რამეებს.

მსგავსი (ფაქტიურად იგივე) პოპულარული სიტყვაა „ტაბელი“ და ნიშნავს განსაზღვრული მიმდევრობით შედგენილ რისამე სიას, ცხრილს, დაფას, რომელზედაც ჩამოკიდებულია ფეტონები მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და იქიდან ნასვლის აღრიცხვისათვის; თვით ასეთ ფეტონს ან კიდევ ზოგადად ნებისმიერი სახის უწყისს, სადაც აღირიცხება მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადება და ნასვლა.

იმავე ლათინური „ტაბულადანა“ წარმომდგარი „ტაბლეტი“ — ბრტყელი, პატარა „ტაბულეტები“, აბის სინონიმად რომ ვიყენებთ ხოლმე. ამ ბოლო ხანს პატარა კომპიუტერსაც დაერქვა.

ყოველივე ამაში დიდად ამოსაცნობი საიდუმლო არ იმალება, ყველაფერი ნათელია და ზედაპირზე დევს.

ასე რომ ჩვენს ძველებურ ტაბლაზე ასეთი ლექსიკური ბარაქა დავახვავეთ — ტაბულა, ტაბლეტი, ტაბელი...

ჩიტის რძე არ აკლია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის 1838 წლის 6 აგვისტოთი დათარიღებული წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი რუსულ ენაზეა შესრულებული და თბილისიდან დედოფლისწყაროშია გაგზავნილი. მისი ავტოგრაფი ადრესატის შვილმა გიორგი თუმანიშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. არსებობს წერილის ორი ასლი, ერთი დავით კარიჭაშვილის, მეორე — პეტრე უმიკაშვილის მიერ გადაწერილი. წერილის ქართული თარგმანი პირველად გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა, ხოლო რუსული დედანი თარგმანის გარეშე — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მომზადებულ 1895 წლის გამოცემაში. გთავაზობთ წერილის პუბლიკაციას ახალი კომენტარებითა და შენიშვნებით.

მაია ცერცვაძე

„მხოლოდ ტფილისის მშვენიერი მთვარიანი საღამოები გამოგაცოცხლებს სოლმე“

ამ წერილებში მოცემულია ისეთი ფრაგმენტები, რომელთა საშუალებით საუკეთესოდ სდგება მისი პოეტური ფიგურა, მუდამ მღვლეარე და სულით მაღალი.

...
ეს წერილები ერთგვარი შესავალია მისი პოეტური შემოქმედების გასაგებად.

ვახტანგ კოტეტიშვილი

P.S. Не успеть написать особо къ Варламову. Если увидишься съ нимъ, скажи ему, что дело его обработано, какъ он хотель, и представлень къ чину. Пусть теперь примирится с светомъ.

მიხეილ თუმანიშვილისადმი

მიხეილ თუმანიშვილისადმი

6 აგვისტო, 1838

ქ. ტფილისი

6-го августа 1838,
г. Тифлисъ

Милый друг! Не пеняй меня за молчаніе. Право, въ нашемъ скучномъ отъ жаровъ, душномъ отъ пыли городе нетъ ничего любопытного. Я оживляюсь только по вечерамъ луннымъ, такъ прекраснымъ в Тифлисе! Вчера въ одинъ изъ этихъ вечеровъ пошелъ я бродить к Московской заставе; Вдругъ я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянулъ на это онеменіе: 11-ть часовъ ночи. Ни души! Кругомъ пустота вечная; луна тускло освещаетъ могилы, какъ догорающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекаетъ Кура, какъ будто боясь нарушить покой въ этомъ уныломъ мире... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтобы смертный порой читываль бы по нему свою жизнь: утешение несчастного — конецъ счастію!

Ну, обратимся къ тебе. Спасибо, братъ, за письма, за удовольствіе. Последнее изъ нихъ читали мы съ Захаріем Орбеліановымъ. Это была критика, или лучше посланіе къ сочинителю „ასტრა“.

Прекрасно! Только, кажется, оно не достигнетъ цели, то есть, ты не узнаешь, кто это неведомое „ასტრა“. Это тайна сочинителя. Онъ писалъ ни для тебя, ни для света; писалъ для нея одной; Она его понимаетъ и онъ этимъ доволенъ. Чтожь ему больше? Нужды нетъ, понялъ ли ты его или нетъ? Мы все знаемъ только, что предметъ украшаетъ стихи. А если хочешь знать только значеніе слова „ასტრა“, то это очень просто: оно взято съ французского *astre*, которое по нашему, ძმაო თავყანა, значитъ: „მთიები“. ასეა, ჩემო ბატონო!

Скажу тебе новость, თუ არ გაჯავრდები. Я еду сегодня вечеромъ въ д. Мцкнети, зачемъ? А за темъ, что она тамъ. Мать ее просила меня провестъ с ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? მაშ, მოჰკვიდი, ბბ!

Однакожь кончимъ беседу, а то прозеваю на почту. Ты знаешь, я не люблю заготовлять заранее письма.

Прощай, пустынникъ Алазанской долины! Поведай мне что нибугь о деве твоей долины.

весь твой Н. Баратовъ.

საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენი გამხდარა, ხოლო მტერისაგან — სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ ტფილისის მშვენიერი მთვარიანი საღამოები გამოგაცოცხლებს სოლმე! გუშინ, ერთ-ერთ ამგვარ საღამოს, წავედი სახეტილოდ მოსკოვის საგუმბაგოსკენ² უცებ სასაფლაოზე³ აღმოვჩნდი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შეეშფოთდი, როცა თვალი მოვავლე ამ უდაბურებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული. ირგვლივ მარადიული სიციველეა. მთვარე საფლავებს მკრთალად ანათებს, როგორც მბჟუტავი ღამპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოვლავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა... შენ ახლა გალალეული ხარ და არ მინდა შეგამფოთო შავ-ბნელი ფიქრებით, რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-მინიერმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგემისციემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!⁴

ახლა კი შენ მოგმართავ.

გმადლობთ, ძმაო, წერილებისათვის, სიამოვნებისათვის. ბოლო წერილი მე და ზაქარია ორბელიანმა⁵ ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“⁶ ავტორისადმი. ძალიან კარგი! ოღონდ, მე მგონია, იგი მიზანს ვერ მიაღწევს, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოა. იგი არც შენთვის წერდა და არც ქვეყნისათვის, მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის წერდა. მას ესმის დამწერისა და დამწერი ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა? შენ გაუგე თუ არა მას, ეს არც არის საჭირო.⁷ ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს. ხოლო თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა თვით სიტყვისა „ასტრა“, ამის გაგება სულ ადვილია — იგი აღებულია ფრანგულიდან „*astre*“,⁸ რაც ჩვენებურად, ძმაო თავყანა,⁹ ნიშნავს: მთიები.¹⁰ — ასე, ჩემო ბატონო!

ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს საღამოს წყნეთში¹¹ მივემგზავრები. რატომ? იმიტომ, რომ ის¹² იქ გახ-

ლავთ. დედამისმა¹³ მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარებო.¹⁴ როგორი იქნება ეს დღეები? ახ? მამ მოკვდი, ბუ!¹⁵

დროა საუბარი დავამთავრო, თორემ ფოსტას ვერ მივუხსნებ. შენ ხომ იცი, წერილების წინასწარ დამზადება არ მიყვარს.

მშვიდობით, ალაზნის ველის მეუღაბნოვე!¹⁶ მაუნყე ხოლმე რამე შენი ველის ქაღალდისა.¹⁷

შენი ნ. ბარათაშვილი

P.S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმენერა ვარლამოვისათვის.¹⁸ თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.

შენიშვნები:

1. მიხეილ თუმანიშვილი — მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (*ფსევ. ხელთუბნელი, მოლაყბე*) (1818-1875), პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მეფე გიორგი XII-ის (1846-1800) მდივნის ბირთველის (1760-1836) და ანა მირიამნოვას ვაჟიშვილი, მწერალ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას (1849-1932) მამა, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და გულითადი მეგობარი. მასთან ერთად გიმნაზიაში რედაქტორობდა მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალს „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ და ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ წრეს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, მონაწილეობდა მრავალ საზოგადოებრივ წამოწყებაში. იყო ქართული თეატრის და ჟურნალის აღორძინებისა და თბილისის კერძო ბიბლიოთეკის დაფუძნების ერთი ინიციატორთაგანი. მის ლექსებს ემჩნევა ქართველ და რუს რომანტიკოსთა გავლენა. ითვლება პუშკინის ნაწარმოებთა („ბაღჩისარაის შადრევანი“, „კ-სადმი“ „ადელს“...) ერთ-ერთ პირველ მთარგმნელად. მ. თუმანიშვილი ადრესატია ილია ჭავჭავაძის პამფლეტების „კიდევ გამოცანებისა“, რომელშიც ავტორი მას ა. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟის სახელს „ქართველ მოღჩა-ლინს“ უწოდებს:

...ჩინოვნიკობაში იგი
თურმე გამოქნილი არი,
ისე როგორც უღლის ქვეშა
ჩვენი გლეხიკაცის ხარი.
ეს უსახო და უხაში
ქართველი მალჩალინია,
თავი მოჰსწონს მხოლოდ მით, რომ
ზედიზედ მოსდის ჩინია...

(ი. ჭავჭავაძე. *თხზულებანი. ტ.1. „მეცნიერება“*, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987წ., გვ.137).

მ. თუმანიშვილი მრავალშვილიანი ოჯახის მამა იყო. მისი შვილები ბარბარე (1846-1873), გიორგი (1854-1920), ვასილი (1857-1912) და კონსტანტინე (1859-1921) თუმანიშვილთა გვარის მნიშვნელოვანი ტრადიციების გამგრძელებლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. დაკრძალეს ავლაბარში, ხოჯივანქის სასაფლაოზე (*დაწვრილებით იხ. ნ. ვახანია. „მიხეილ თუმანიშვილი“ წიგნში „ჩვენი XIX საუკუნე“*, თბილისი, 2012წ. გვ. 563-588).

2. მოსკოვის საგუშაგოსკენ — თბილისში, დღევანდელი ზემე-ლის, რუსთაველის მოედნის ტერიტორიაზე მდებარეობდა ე.წ. მოსკოვის საგუშაგო — ქალაქის უკიდურესი საპოლიციო უბანი შლაგაუმიტით. იგი განთავსებული იყო ხევზე გადებულ ხის ხიდზე. მე-19 საუკუნის ბოლომდე ეს მიდამო წარმოადგენდა ქალაქის გარეუბანს, საიდანაც იწყებოდა გზა მცხეთისა და რუსეთისკენ საქართველოს სამხედრო გზის გავლით. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული ხევი ამოავსეს, საგუშაგოს სიახლოვეს გაჩნდა სამხედრო დასახლება.

3. იგულისხმება ვერის ძველი სასაფლაო (გაბაანთხევი, გაბაშვილების მამული), საბჭოთა პერიოდში ს. კიროვის სახელობის პარკი, ამჟამად ვერის ბაღი, ლურჯი მონასტრის მიმდებარე ტერიტორია, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მ. კოსტავასა და ნ. ნიკოლაძის ქუჩების გადაკვეთაზე. 1898 წელს, როდესაც ქალაქურმა განაშენიანებამ ვერისუბნის დიდი ნაწილი

დაიკავა, ეგზარქოსის თანხმობით, ქალაქის გამგეობამ სასაფლაო გააუქმა და ბაღის გაშენება დაიწყო. ვერის ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია დანიელ ჭონქაძისა და მისი მეუღლის, აგრეთვე, ლავრენტი არდაზიანისა და სხვათა საფლავები.

4. ნ. ბარათაშვილის წერილის ამ ფრაგმენტს გულისხმობდა კიბა აბაშიძე, როცა თავის ცნობილ „ეტიუდებში“ შენიშნავდა: „ზნეობრივი ელემენტი შეაქვს პოეტს რომანტიკულ-სალირიკო პოეზიის ერთ უმთავრეს საგანში, — სახეში მაქვს სიკვდილი, ეს „ნუგეში უბედურთა“... მართალია, პოეტმა ამაში ქართველობა გამოიჩინა და ლექსი ამ საგნის შესახებ არ დაგვიტოვა, მაგრამ იმისი ერთი წერილის ადგილი ბევრს ლექსსა სჯობს თავის სიმშვენიერთა და აზრთა სიღრმით“ (*„თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი“*. „ქართული მწერლობა“. ტ. 28. „ნაკადული“, თბილისი, 2007წ. გვ. 97).

5. ზაქარია ორბელიანმა — ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1806-1847), პოლკოვნიკი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, დედის ძმა. სამხედრო სამსახური დაიწყო ცხენოსანი არტილერიის №8 ასეულში, 1826 წელს იმავე არტილერიის ლეიბ-გვარდიაში გადაიყვანეს. 1828 წელს მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, 1831 წელს იბრძოდა პოლონეთში. 1833 წლიდან კავკასიის გრენადერთა ბრიგადის პირველ ბატარეაშია, 1839 წელს ებრძოდა კავკასიელ მთიელებს, 1841 წელს მსახურობდა ჩრდილოეთ დაღესტანში, 1842 წელს გადაიყვანეს ყოფილ სამურის ოლქში, 1846 წელს დაინიშნა აფშერონის პოლკის მეთაურად. 1835 წელს მიიღო პორუჩიკის, 1838 წელს შტაბს-კაპიტნის, 1844 წელს — პოლკოვნიკის წოდება. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-4 ხარისხის და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენებით. უყვარდა ნინო ჭავჭავაძე (1812-1857), რომლის ტრფობა ქორწინების შემდეგაც არ განელებია. 1835 წლის 10 თებერვალს ნ. ბარათაშვილის მშობლების ეფემიასა და მელიტონის რჩევითა და მეცადინეობით იქორწინა ანჩისხატის დეკანოზის აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ასულზე — ქეთევანზე (1818-1895). 1836 წელს შეეძინა ვაჟი (*„У меня родился сын, коего предп-олагаю назвать Дмитрием при крещении... Черты лица его очень хороши“* — სწერდა გახარებული მამა თავის ძმას გრიგოლს 1836 წლის 15 ოქტომბერს (იხ. ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავები“. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1968წ. №3. გვ. 21). მისი პირმშო დიმიტრი იქილობაში გარდაიცვალა 1837 წელს. დარჩა ერთი ვაჟიშვილი ალექსანდრე (სანდრიკო) (1839-1856). ზაქარია ორბელიანი გარდაიცვალა 1847 წლის 11 ივნისს ქოლერით დაღესტნის სოფელ ხოჯალმალქში. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში. ზ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილის 1844 წლის სამი წერილის — 14 აპრილის, 10 მაისის და 18-დან 20 აგვისტომდე (სავარაუდო დათარიღება, იხ. მ. ცერცვაძე. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღებისათვის“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 8 მაისი, 2015 წ.) წერილების ადრესატია.

6. „ასტრას“ — „ასტრა“ ნ. ბარათაშვილის დაკარგული ლირიკული ლექსია. პოეტს ის 1838 წლის ივლისში დაუწერია და ფრანგი მეგობარი ქალიშვილის, იმხანად მისი ყმანვილური გატაცების საგნის დელფინა ლაბიელისადმი მიუძღვნია. ნ. ბარათაშვილის „ასტრას“ უძღვნა ვარლამ ჟურულმა (1908-1965) თავისი „დაკარგული ლექსი“ (1945წ):

საით გაიჭერ, ლექსო კეთილო,
სად წარიტანე ამდენი ნატვრა,
ვარდის ცრემლის წინ ატირებულო
და უგ ზო-უკვლოდ გამქრალო „ასტრავ“!

...
იქნებ საფლავში ჩაჰყევი მგოსანს,
განჯის მინაში ჩაუშვით ორნი,
ან იქნებ სადმე, არქივის მტვერში,
დარდობ მარტო და გეძებენ დრონი!

...
შენც ავეიმლერდი, ამოხმატკბილდი,
ამონათვე ოცნების მწყემსო,
ბარათაშვილის დიდი გულიდან
ამოფრენილო პატარა ლექსო!

(„ქართული პოეზია“. ტ. 15, „ნაკადული“, თბილისი, 1984წ. გვ.186-188)

7. როგორც ირკვევა ლექსი „ასტრა“ ნ. ბარათაშვილს ჩვენამდე არ მოღწეულ ერთ წერილთან ერთად გაუგზავნია მიხეილ თუმანიშვილისათვის 1838 წელის ივლისის პირველ ნახევარში. წერილის ადრესატს იგი ძალიან მოსწონებია, თუმცა ვერ მიმხვდარა, რას ნიშნავდა სათაური „ასტრა“ და ვის ეძღვნებოდა იგი. მიხეილ თუმანიშვილს მალევე, იმავე წლის 15 ივლისს წინანდალში საპასუხოდ დაუწერია ლექსი-შეკითხვა „ასტრას“:

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,
ეს სახელი არ სმენია არავის!
ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,
ან ყვავილი უსახელი ველური,
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.
მოფრენილო შორეულისა ქვეყნით,
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,
მიუხვედრო, ასტრავ, შენის ნოდებით.
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,
ოდესცა ვსცნობ შენსა სახელსა მისგან,
მაშინ გაქვნიდეს უეჭველი იმედი,
რომ იქნები ნაკითხული ყველასგან.

ეს ლექსი მის ავტორს წერილთან ერთად გამოუგზავნია მეგობარი პოეტისთვის. ნ. ბარათაშვილი წინამდებარე წერილში დასმულ კითხვებზე ერთგვარი ქარაგმებით პასუხობს მ. თუმანიშვილს.

8. ასტრე — (ფრ. *astre [astr]*), ციური სხეული, ციური მნათობი, მნათობი.

9. ძმალ თავყანა — მკვლევართა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, „თავყანა“ მივიჩნით „სათაყვანოდ“ (იხ. ნ. ბარათაშვილი. „თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. შემდგენლები ა. არაბული, თ. გვანცელაძე, ა. ლომთაძე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1996. გვ. 136). ჩვენი აზრით, თუ „ყანას“ სიმკვიდრის, სიმწიფის სიმბოლოდ და მეტაფორად მივიჩნევთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეპითეტ „თავყანას“ ნ. ბარათაშვილი „ჭკვიანის“, „გონებრივად მომწიფებულის“ მნიშვნელობით ირონიულად უწოდებს მეგობარს, რომელმაც ვერ გაიგო მისი დაქარაგმებული ლექსის შინაარსი. შესაძლოა, მას შეხუშრებით ხმარობდეს ხატოვნად თავმსუბუქის, სულელის, ზერელე ადამიანის მნიშვნელობით (შდრ. იგივე მნიშვნელობის „თავუქვილა“, „თავქარიანი“, „თავში ბზე უყრია“ (თ. სახოკია. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, „მერანი“, თბილისი, 1979 წ. გვ. 244-245). წერილის ტექსტის სტილი გვაძლევს ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. შესაძლებელია აგრეთვე აღნიშნული ეპითეტი მეგობრის გარეგნობის სახასიათო რაიმე ნიშანს აღნიშნავდეს (სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით წერილის ადრესატის, იმხანად ოცი წლის ჭაბუკის მიხეილ თუმანიშვილის გარეგნობის შესახებ), მაგალითად, გულისხმობდეს თანხმობას, თავქორორას ან ირონიული მნიშვნელობით — მელოტს. არსებობს ზემოთაღნიშნული დიალექტური ერთეული „თავყანათა“, რომელიც განიმარტება, როგორც უკან გადახრილი, გადაწონილი (იხ. ალ. ლლონტი. „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“. ტ. 1. „განათლება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 240). ნ. ბარათაშვილის მეტყველება ამ დიალექტზე თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ სიტყვას იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც და ჩვენ ვერ მოვიძიეთ ამის შესახებ ცნობა.

10. მთიები — 1. ცისკრის ვარსკვლავი. 2. (პოეტ.) ვარსკვლავი საერთოდ (ქეგლ). „განთიადის ვარსკვლავი; მთიებდა იწოდებოდა აგრეთვე მოძღვარნი ეკკლესიისანი; *утренняя заря, разсветь, денница, светило*“ (დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი); საბას მიხედვით „ესე მთიები არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი. მთიები ითქმის განმანათლებელად, გინა მათენებულად, რომელი ესაიამ 14, 12 თავის წიგნში ეშმაკ-მთავარს სახელ-სდვის და ან წმიდათათვის არს სახელი იგი და ადგილიცა მისი ზეცისა“. თუ რატონ დაშიფრა ბარათაშვილმა დელფინას სახელი მაინც და მაინც ვარსკვლავ-ასტრაი, ამ საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დელფინა ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს ნიშნავს (ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1967. გვ.

204). მართლაც, დელფინი, ლათინურად *Delphinus*, სპეციალურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ცის ჩრდილოეთი ნახევარსფეროს მცირე თანავარსკვლავედი (https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%84%D0%B8%D0%BD_%D1%81%D0%BE%D0%B7%D0%B2%D0%B5%D0%B7%D0%B4%D0%B8%D0%B5).

11. წყნეთში — წყნეთი, სოფელი (ამჟამად დაბა) თბილიდან 8 კმ-ზე, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე ვერის ხეობაში. ზღვის დონიდან 700-1100 მ-ზე. წყნეთი ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატური კურორტია.

12. ის — იგულისხმება დელფინა ლაბიელი. პოეტის გატაცება ამ ფრანგი ქალიშვილით მხოლოდ ორ წელს 1837-1838 წლებს მიეწერება. დელფინას ეძღვნება პოეტის 1837 წელს დაწერილი ლირიკული ლექსიც „ჩემს ვარსკვლავს“.

13. დედამისმა — იგულისხმება დელფინა ლაბიელის დედა მადამ ლაბიელი. ფრანგი ქალი მადამ ლაბიელი პროვანსიდან ყოფილა. იგი ჩამოსულა თბილისში მეუღლესთან ივანე ლაბიელთან ერთად, რომელიც მალე გალოთებულა და 1831 წელს უშუშევრად დარჩენილა. მადამ ლაბიელს ჯერ კონსულ გამბას მიერ საქართველოში ჩამოყვანილ ნეგოციანტ მოიჯარადრე კასტელას აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში უმუშავია ფეიქრად, ხოლო 1839 წელს, როცა ფაბრიკა დაკეტილა, უშუშევრად დარჩენილს თბილისში, ერევანსკის მოედნისა და შუაბაზრის კუთხეში პირველი გასტრონომიული მაღაზია გაუხსნია. იქ იყიდებოდა როგორც ნამცხვარი, ისე რძისა და ხორცის პროდუქტი, მაგარი და ტკბილი ევროპული სასმელები. დელფინას გარდა მას მეორე ქალიშვილიც ჰყოლია. ისინი ორივენი რუს სამხედრო პირებსა და მოხელეებზე გათხოვილან. ქალიშვილთა დაბინავებით მადამ ლაბიელს თბილისის უმაღლეს არისტოკრატიამი გაუკვალა გზა.

14. ნ. ბარათაშვილის ამ სტუმრობას წყნეთში ლაბიელებთან და უშუალოდ დელფინას ეძღვნება გიორგი ლეონიძის (1899-1966) ლექსი „წყნეთური ვარდი“ (1938):

შენ ერთხელ წყნეთში რომ ზაფხულობდი,
შუქმოლევარე ლამაზი ქალი,
მოგმართავ სიტყვით ასი წლის მერე,
იქ, სადაც შენი ფეხის სჩანს კვალი...
იყავ გულტკბილი, იყავ პირვარდი,
იყავ წელნაზი, მტრედულ ფრთხილით,
თუ შაქრტუჩა, თვალშენიერი,
თუ ძუძუმარწყვა და შოლტა ქალი?
იყავ კისკისა, თუ სევედიანი,
იყავ პირსავე, თუ იყავ მქრქალი?
იყავ აღმასებრ აელვებულნი,
გქონდა ცისფერი თუ შავი თვალი?
მონარგიზული სახე თუ გქონდა
და ღანვის თავზე თუ გაჯდა ხალი?
თუ იყო ბრწყინვა შენი ღანვისა
პოეტის სულის ნაქროლი კვალი?
მარგალიტური შუქის მთოვარი
თუ იყავ გიშრის ბრწყინავი ალით?
გიყვარდა ლექსი თუ არ გიყვარდა,
რომანტიული თუ გადა მჭვალი?
ვის უძახოდა შენი ბალიში,
ვის უნათებდა ტუჩების ლალით?
დასწვი რამდენი კოცნის კოცონით
და ვისი ტრფობის შენ გწავდა ალი,
იყავ მართალი, თუ ცბიერებით
მეგობრის გულში შენც გედო ბრალი?
გყავდა ტარიელ, თუ ავთანდილად
ქარიბლერტია გუსარი ხმალით?
მართლა გიყვარდა ენაჭრიჭინა,
ულავის წეკპით, ყბედობის ძალით?
მართლა გიყვარდა მოფატმანება,
თუ მთვარის შუქზე ოცნება მკრთალი?
დიდხანს იცოცხლე, თუ ცრუ საწუთრომ
მალე მოგთხოვა თავისი ვალი?
ისიც არ ვიცი, ახლა სად წევხარ
და სად იფშენება დღეს შენი ძვალი...
მაგრამ ის ვიცი, თვალშენიერი,
და მისთვისა ხარ ამ ლექსში თქმული,

რომ სამი ლამაზ დღით გაახარე
ოდესღაც წყნეთში პოეტის გული...
შენ იყავ მისი გულისუფალი,
მისი სულისმზე, მისი ნათელი.
განა არ გახსოვს წყნეთში, ცაცხვის ქვეშ
მისი შენდამი შემონათვალა:

— ხარ სამუდამო ჩემი ოცნება,
მგეთქვარ ჩემი სულის თრთოლვაში!
შენ ხარ ნიავე მტრედის ფრთებისა,
ჩემს სულს მიაფრენ საღვთო ქროლვაში!
დახატულ მტრედზე უფრო ლამაზო,
ჩემი გულის ცა გინათებია;
მიშველე, ლამის ყინვამ დამაზროს
ყინვას ქარბუქი მიმატებია!
გულო, რამდენი გულმა გეძია...
განა რას იტყვის სიტყვის ლაღადი,
როდესაც სული სულში გადადის,
და გული გულთა შენატყეცია!
და როცა, ალბათ, შენ გაუღიმე,
გულსაც შეჰპირდი ალბათ, ზეპირად,
პოეტს ეგონა, თითქოს იმ ნუთში
თავს მტრედის გუნდი გადმოეფინა...

...
გახსოვს, წყნეთში რომ თავს გეველებოდა,
თავს დავხაროდა, წყნეთურ ვარდო?
იქნებ არც გახსოვს, იქნებ არც იცი,
რომ უკვდავება მას იცნობს მარტო!

...
დღეს მომაგონდით წყნეთში, ცაცხვის ქვეშ,
შენ და ბრწყინვალე შენი მგოსანი...
იყავ ბედნიერ, რომ გულის ვარდად
გახსენებს ლექსის გვირგვინოსანი...
(<http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=13109>)

15. ბზ! — ხმაბაძვითი შორისდებული, ნიშნისმოგებით წარმოთქმული.

16. ალაზნის ველის მეუღაბნოვე — ნ. ბარათაშვილის ამ წერილს მიხეილ თუმანიშვილის ხელით მიწერილი აქვს: «10 августа, Цар. Колодцы». როგორც ჩანს, ბარათის მიღების დროს ის კახეთში, ახლანდელ დედოფლისწყაროში (ძვ. რუს. Царские Колодцы, საბჭოთა პერიოდში 1991-მდე წითელწყაროში) ისვენებდა. მეუღაბნოვეს, ალბათ, უწოდებდნენ იმის გამო, რომ იგი ავტორია ელეგიური, ღრმა ტრაგიზმით გამორჩეული ლექსისა „უღაბნო“ (1838):

ვის არ გიხილავთ უღაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სჭერეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?
ვის არ გიხილავთ იქა ხე, მხარედ
გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით
და მალალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ
გარდმოკიდული დამჭკნარ შტოებით!
ეს არს, მოყვასნო, ვლახ ჩემი ბედი!
მეც ეგრეთ ვიქმენ დღევანამწარი:
ვერღა მეახლოს ტკბილი იმედი,
ვერღა ალყვავდეს მით გული მჭკნარი!

(„ქართული პოეზია“. ტ. 10, „ნაკადული“, თბილისი, 1978წ. გვ.152)

ავტორის შენიშვნით ლექსი ბაირონის მობაძვავა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი დაწერილია ა. პუშკინის «Анчар»-ის უშუალო გავლენით. ლექსის განწყობილებას ამსგავსებენ აგრეთვე მ. ლერმონტოვის უსათაურო ლექსი: «На темной скале, над шумящим Днепром», სადაც ასეთივე დაპირისპირებაა მოცემული განწირული ადამიანის ბედსა და ობლად მდგარ ხეს შორის (იხ. ქ. ბურჯანაძე. „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1992, გვ. 94).

17. შენი ველის ქალწულისა — სავარაუდოდ, იგულისხმება ეკატერინე ჭავჭავაძე (1816-1882). ცნობილია, რომ მიხეილ თუმანიშვილი ეტრფოდა ეკატერინეს. 1838 წელს მას უძღვნა ლექსი „კ. ჭ. ალბომზე“. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ „ასტრას“ საპა-

სუხო ლექსი-ექსპრომტი მიხეილ თუმანიშვილს წინანდალში, ჭავჭავაძეთა საგვარეულო სოფელში აქვს დაწერილი. 1840 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის გათხოვების შემდეგ მან ცოლად შეირთო ცნობილი დიპლომატის, ერევნის მელიქისა და ქალაქისთავის (1826-28), პოლკოვნიკ (1829) მირზა-აბრამ (მირზა-აფრიაბა) მირზა-გურგენის ძე ენიკოლოფაშვილის ქალიშვილი სოფიო. ნ. ბარათაშვილის ტრფობა ეკატერინესადმი, როგორც ირკვევა, 1838-39 წლებში დაწყებულია. 1839 წელს პოეტმა მას უძღვნა ლექსები: „თავადის ჭ(ავჭავაძის) ასულს ეკატერინას“, „საყურე“ (მათი სასიყვარულო ისტორიისა და მისი პერიპეტეიების შესახებ იხ. პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანი“. თბილისი. 1969წ. გვ. 70-84). ერთი და იგივე ქალისადმი ტრფობას ნ. ბარათაშვილისა და მ. თუმანიშვილის მეგობრობისათვის ხელი არ შეუშლია.

18. ვარლამოვისათვის — გარსევან სტეფანეს ძე ვარლამოვი, თბილისელი კათოლიკე, ნ. ბარათაშვილის თანაგემნაზიელი. გარდაცვლილი აზნაურის სტეფანე ვარლამოვის ვაჟიშვილი გარსევან ვარლამოვი ნ. ბარათაშვილთან ერთად გიმნაზიასთან არსებულ პანსიონშიც ირიცხებოდა. გააჩნდა ლიტერატურული ინტერესები. იხსენიება 40-იანი წლების ლიტერატორთა მიხეილ თუმანიშვილის, ლუკა ისარლიშვილის (1817-1893), პოლონელი პოეტის თადეუშ ლადა ზაბლოცკის (1811-1847) წერილებში. გიმნაზიის რუსულ ხელნაწერ-ფურნალში „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ მოთავსებულია მისი ლექსები „ელეგია“, „ძილი“ და პროზაული თხზულება „ფურცელი კახეთზე“. ცდილობდა განაფუილიყო თარგმანშიც. იონა მეუნარგია გადმოგვცემს ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილს: „ერთ შეგონდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

**Мой дядя самых честных правил,
Когда не в шутку занемогъ:**

ვარლამოვს არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუბა ამხანაგები: — სუთ, ყური და-მიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წავიკითხოთ. ვარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბარათაშვილმა დანიყო ხმაბაღლა:

**ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:
როდესაც ხუმრობა გამობით ავად გახდა...**

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ პოეტს“ (იხ. ი. მეუნარგია. „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. „ქართული მწერლობა“. ტ. 22, „ნაკადული“, თბილისი, 2004 წ.; 239-240). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1837 წლის 7 დეკემბრიდან გ. ვარლამოვი „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“ ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ჯერ კანცელარისტად, ხოლო 1840 წლის 31 დეკემბრიდან — მაგიდის უფროსის თანაშემწედ. მიღებული ჰქონდა კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი. 1845 წლის 9 თებერვალს მას გუბერნიის მდივნის ჩინი მიენიჭა (იხ. ქ. ჩხეტია. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ტ. I. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. შსსრ მინსახკომის საარქივო სამმართველოს გამომცემლობა. თბილისი 1945 წ. გვ. 250, 288, 310).





ფრანგულენოვანი ჩინელი მწერალი შან სა დაიბადა ჩინეთში. ეს მისი ფსევდონიმია, რაც ჩინურად ნიშნავს: ქარის ხმაურს მთებში. თავიდან ჩინურად წერდა — 7 წლიდან აქვეყნებდა ლექსებს. 12 წლისამ მიიღო პირველი პრემია ბავშვთა ეროვნული პოეზიის კონკურსზე. 14 წლისა გახდა ყველაზე ახალგაზრდა წევრი ჩინელ მწერალთა ასოციაციაში. 1990 წ. პეკინიდან, სადაც ბაკალავრიატის განათლება მიიღო, გადასახლდა საფრანგეთში (ტიანან მანის მოედანზე მანიფესტაციის შემდეგ). აქ 1992 წ. ჩააბარა ბაკალავრიატის გამოცდები ფილოსოფიაში და მუშაობდა მდივნად მხატვარ ბალტუსთან. მეუღლის ინიციატივით შეისწავლა კითარაზე დაკვრა, გო, კალიგრაფია და დაშნის ხელოვნება. პირველი პუბლიკაცია მისი ნოველებისა 1990 წ. მოხდა. მესამე რომანი „გოს მოთამაშე“ პირველ დიდ წარმატებას მოუტანს ფრანგული ლიტერატურის სცენაზე: გონკურის პრემია მიენიჭა. ეს რომანი 100 000 ეგზემპლარზე მეტით გაიყიდა. დაწერილი აქვს ისტორიული რომანები. მისი პირველი რომანი „ციური მშვიდობის ჭიშკარი“ დაჯილდოვდა გონკურის დებიუტანტის პრემიით. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს 30 ენაზეა თარგმნილი. საფრანგეთის, ჩინეთისა და იაპონიის კოლეჯებში ისწავლება მისი რომანები და ლექსები. 2001 წლიდან ხატავს და მისი ნახატების ექსპოზიცია იყო პარიზში, ნიუ-იორკში, ტოკიოსა და შანხაიში. 2009 წ. მიეკუთვნა ხელოვნებისა და ლიტერატურის რაინდის წოდება საფრანგეთის კულტურის სამინისტროს მიერ.

ათიოდე წლის წინათ შან სა ჩამოვიდა საქართველოში. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრში მოეწყო მასთან შეხვედრა, ლექსების კრებული „მძლავრი ქარი და მახვილი ბასრი“ წაკითხულ იქნა დედანში და ქართულად (რუსუდან რცხილაძის თარგმანი).

შან სა

ტრფიალებავ
მხოლოდ ერთი შეხედვა შენი
ორად აპობს არსებას ჩემსას.

კლდეზე ამოსულო ხეო ეულო
სუნთქვამ შენმან მე მომგრისა.

წეფრითის ტარიანო ხანჯალო
განვედ ჩემგან
სინმინდე
გამომტაცე
მისი მზერის ტანჯვა-წამებას.

სისხლი ნადენი შენი სულიდან
ჩემს კანზე აბნევს
მუნჯსა ხმოვნებსა.

ამბორი უძღვენ
ჩემს ბაგეებს
გადაპობილებს
სიცივისა და
შიმშილისაგან
ლამის ფუტკარო
საფირონო მინანქრიანო.

შენსა თვალეში
ზღვაა მღელვარე
სად ჩემი სული გამოფიტული
წყურვილს იოკებს.
ეს არის
სიყვარული
უფრო მხიარული
მსუბუქი უფრო
მთრთოლვარე მეტად
ვიდრე სიმღერა ჩემი ქვეყნის
ხუთიათას წლის თოვლით და ლექსით.

შენკენ მივმართავ
ცვართ ჩამოდენილთ
ფოთოლ-ფოთოლ
ხის კენწეროდან.

მიძინებული ტანი ჩვენი
გარდაიქმნება ნაკადულებად.

მთელი ღამე
ხენი მთებისა
მოდიან ჩემთან
სათითაოდ
აღმაფრენის მოსანიჭებლად.

პირველი სხივი ღამეს გააპობს
და უფლისწული ცისკრისეული
თავს მოუყრის ჩემს არსებაში
ცვარნამეულს ყველაზე ძვირფასს.
ვინ შეითვისებს სხეულს მთრთოლვარეს
შთაგონებული მგოსანი ქალის?
ან კი ვინ სწვდება მის შავ დალალებს
ბნელეთსა და სინათლეს შორის?
ვინ დაუკოცნის მას თეთრ მკლავებს
შემოჭდეულთ უხილავ ხეზე?

მე ვერ შევძლებ ბომონზე აღსვლას
თუ არ იქნება ეს შენთან ერთად.

სხეულნი ჩვენი უნასებივით ჩახლართულები
ძალას გამოსცემს რომ ავმალდე
შავბნელ ღამეზე.

ბაგეთა შენთა ჩემს კანზე ლივლივს
შავი გონდოლა შეიძლება რომ შევადარო.

რა არის ეს ყმუილი ამ თოვლიან ღამეს?

შენი გუგები ფიქრებია
ორქიდეა ველური სხეული შენი
ყოფილი შენი გალიმება
ვარდს გადმოაფრქვევს.

სული შენი
ქალღმერთია დაუნდობელი
მთვარესა შენთა ღამეთა მანათობელსა.
ჩემი სიტურფის ბედის არს განმგებელი
და მე ავავსებ მივლევ
დავწვავ უფერულს გავხდი
შენ მონადირევ ჩამეხვიე
და მე მოგართმევ
ამპარტავნობას დათრგუნულს ჩემსას.

დაე გახდეს სისხლი ჩვენი აღრეული
შენი ვენები ჩემს ხორციდან ამოზრდილები.
როს გადვიქცევით ცივ მყინვარად დაოკებულნი
აიზიდება მის წვერი ცისკიდისაკენ.

ჭავლი წყლისა გაიყინება
სტალაქტიტებად
ალესილები როგორც
ჩემი ეჭვიანობა.

თრთვილმა დაფარა ფანჯრის მინები
ფოთლებისაგან განიძარცვენენ ხეები სულმთლად
და დაფარეს დამჭკნარი ვარდნი
მე ის მელა ვარ მონითალო
ვინც გადაჭრა შენი წალკოტი.

რაც შენ ნახვედი იმის შემდეგ
ველმინდვრის ნისლმა
შთანთქმა ვერ შეძლო
ჩემი მწუხარებისა.
სული ჩემი
ურნა არის შენი ფერფლისა.

დროის ბეჭედმა გაახუნა
ეგე ვარდები
სიძულვილი კი
ჩემო მიჯნურო
დაცხრა, ჩანყნარდა.

ციცინათელას სხივი
შენ რომ მომართვი
ხელთქმნილ ცეცხლსა ჰგავს ათიათას ნაპერწკლით სავესე
იმ ღამისეულ ბალლისათვის
რომელადაც მე გარდვიქმნები.

შენა ხარ განა
მომთაბარე წითელი ჩალმით
შემომჯდარი მწვერვალის თავზე?
მე ვმწყემსავ შენი გრძნობის რემას.

ძალზე საყვარელო ქალწულო
შეძლებ მე მითხრა
რომელმა ღვთაებამ ინება
ჩაფრქვევა ოქროცვარ სხივების
მშვენიერ მტრედისფერ თვალებში?
გუშინ ღამე ჩემს სასთუმალთან
მთვარის გონი გამომეცხადა
ფლეიტის ხმათა ჰანგებსა ზედა.

ამ შემოდგომის კუნაპეტ ღამეს
წვიმის ნაკადი მოედინება მოკირწყლულ გზაზე.

აღისფერი აბრეშუმის კაბა
მოქარგული ოქრომკედით
შევსვამ მწკლარტე ღვინოს
ქრიზანთემის
რათა შემოდგომა მინას მივაბარო.

მწვერვლებს თოვლი
ჩამოაწვა
გონებავ მთისა
სადა ხარ სადა?

გონებავ მთისა
რატომ ცახცახებ?

დღე გადაიშალა
ვით თეთრი სუფრა.
სული შენი
მთაა მშვიდი წყნარი
რა ჩიტია შავი
ცა რომ გადასერა?

ვოცნებობ
და ვხედავ მშობლიურ მხარეს
მდინარეთა დამცხრალ დინებას
ფრინველთა უსწრაფეს ირაოს
მაღალ მთებს
ღრუბელთა ქულებში ნავებად გარიყულთ
ვაი რომ ეს არის
მხოლოდ ანარეკლი,
ან კიდევ მირაჟი
რომელსაც განდევნის ქარბუქი ძლიერი.

გადამფრენო ფრინველნი
საით გაგინევიათ
მე მამჭმუნვარებს
დაღვრემილი სეზონი ესე,
სადაც ვერხვნი
მოდარაჯე ჩემი მხარისა
ფოთლებს დააფენს
ჩემ წინაპართ სამარის კარზე.

**თარგმნა
გრუსუდან რცხილაქე**

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

ყურ. ზამთარი. ჯიხვები...

თოვლი თოვს საჯიხვეშია,
მზევ, რად არ ჩამაშუქდები...
ხალხური

ზამთარია. გარეთ არათუ ძალღი, ველის ნადირიც რომ არ გაიგდება, სწორედ ისეთი ზამთარი.

მთიანეთში დიდთოვლობა ვის გააკვირვებს, მაგრამ წელს იმდენად ჩაჩუქრა თვალსაკიდი, სადმე შავი ლაქა თუ წერტილი რომ შენიშნო, ისიც გიხარია და სახვალის იმედის უღბოვლელ ბოძს ებლაუჭები...

ბარაქიანად თოვდა გუშინ, ხშირ ფიფქებში თავბრუდამხვევად ბრუნავდა და ბარბაცებდა უსანყისო და უსასრულო სივრცე; ღამითაც გემრიელად იფიფქა, ითოვა და გამთენიისას, როგორც იქნა, აიკრიფა, შეწყდა, გამოიღარა... მეფური სიღარბისლითა და დასაბამიერი სისპეტაკით ჩამოლაგდნენ მხარი-მხარს გაბმული, თეთრად გადალესილი, იდუმალებაში დანთქმული, უძველესი ფერხულის მონაწილე ვეება მთები... მყინვარმაც მოიშორა სათოვარი ღრუბლების სალუქი საბურველი და ცათა მიუნჯვომელი სიმალიდან ჩამოხედა სტეფანწმინდასა და მის ჭალარა, ჩანაღვლიანებულ შემოგარენს...

ზამთარია. რალაცნარად თავისთავში ჩაყუდებული, ჩაყუჩებული და ჩამყუდროებული; ნაშრომ-ნამაშვრალ მთიელთათვის შვებისა და სიმშვიდის მომგვრელი ზამთარი. აღარც ყინულის საკინძემკერული მდინარეების შიშისმომგვრელი ხმაური ისმის და, ცხადია, არც ნინველი ნაკადულების ამო, წყნარი, კაემნიანი ლიკლიკი არღვევს გარესამყაროსგან დროებით მონყვეტილი ხევის სრულ, უხინჯო იდილიას...

კაბინეტში, სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის მეორე სართულზე გვიტარდება ფიზიკის გაკვეთილი. პედაგოგი გივი ჩოფიაკაშვილი, მეტსახელად „გლახა“, პირმეშველი პრინციპულობითაც გამოირჩევა და მონაფეთა გულისნადილის ამოცნობის ესოდენ სასურველი უნართაც; სამართლიანი გაჯავრებაც სჩვევია და უნებლიე შეცდომისა თუ გადაცდომის დიდსულოვნად შენდობა და პატივბაც.

ბიჭებს ამიტომაც გვიყვარს და „ვექმაცაცებით“. საგნის რიგინად ათვისებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურისა და დანადგარების ნაწილი, უადგილობის გამო, იატაკზე ალაგია, ნაწილი — კედლის გაყოლებაზე გამართულ ხის თაროებზე.

კაბინეტის სამივე ფანჯარა ყუროს უყურებს. შესვენებაა და საინტერესო სანახაობის მოლოდინში ვართ.

„შტატივზე“ დამონტაჟებულ გრძელ ჭოგრიტს იმდენად ახლოს, ლამის ცხვირწინ მოაქვს თოვლით გადაგლუებული ნახერეთის ფერდობი თუ ფხანალი კლდეების გალიგვებულ-გაკრიახებული მასივები, რომ მოინდომო, ასე გგონია, ხელით მიწვდები და შეეხები...

და აგერ, ქარისგან თოვლგადახვეტილ, ოდნავ შენისლულ საბალახო სერზე არეულად, წინაუკმოდ, პირთავქვე ჩამოთითოვდებიან სავარაუდოდ ხდის ხეობიდან ამ დილას გადმომფრთხვალ ბერხენი ჯიხვები. ტანადები, მუქ ყავისფრები... ერთი მათგანი წამით გაისუსება, წელში გაიმართება, თავს ასწევს, გაუყურდება მსუსხავ, ავნალიკა ნიავს, მიდამოს მოათვლიერებს და, რაკი სახიფათოს ვერაფერს ინიშნებს, ჩვეული სიღინჯით გააგრძელებს ხემსის ქებნას, დამზრალი და უგემური, უმანიერო ბალახის ძოვას...



სუნთქვაშეკრული ტკბები და ნეტარებ ამ ნამდვილი, ნატურალისტური სიცხადის სანახაობით. უფროსებისგან ბევრჯერ გსმენია, ხოლო ახლა უშუალოდ უცქერ ულამაზეს სულიერთა „პრაგმატულ“, თითქოს არაფრით შესაშურ, ერთსახოვან ყოფას... და ის აზარტი და ეგზოტიკა, გამოცდილ მონადირეთა ნაამბობსა და ხალხურ ლექსს რომ სდევდა, თვალსა და ხელსშუა მკრთალდება, იცრიცება, მომწუსხველი მიმზიდველობის ზეგარდმო ძალისგან იცლება და იძარცვება.

შირიმები და ალლოჯ კლდეთა შვერილები... ქუფრი ქარაფები და შიბივით ვინრო ნავარნები... კამკამა წყაროები და ლებიანი ქვასალოკები... ჩამომხველული ხეები და თოვლის ზვავები...

ერთი შეხედვით ჯიხვების საწუთრო მეტი არც არაფერია; დაბადება, ზრდა, სიბერე (იმ შემთხვევაში, თუკი მონადირის ტყვიის ანანერებად არ იქცნენ!) და სიკვდილი.

და ეს ყოველივე — ჩვენი ცოდნითა და წარმოდგენით; ცოდნით, რომელიც ისეთივე ღარიბი და უბადრუკია, როგორც უნრთვენ და უნიგნურ მდაბითა სულიერი სამყარო...

ისე, კაცმა რომ თქვას, რაც მაგათ ალპიური ზონის დილა-საღამოები „დაუგემოვნებათ“ და შუურგიათ, რასაც ეგენი დაზამთრებისა თუ ბროიანი გაზაფხულის დადგომის ბუნებრივ სცენებსა და „სპექტაკლებს“ შესწრებიან, ამ ყველაფრის ნაიფური ხელოვნების ენაზე გარდათქმა და გადატანა რომ შეიძლებოდეს, აბა, მაშინ გენახათ ალფრთოვანებასა და გაკვირვებას გადაჩვეული თანამედროვე სნობების გაოცება.

ამ ბოლო წლების ომებმა და ქექა-ქუხილმა ჯიხვებსაც აურია ჟამკარი. ხან იქით აწყდებიან და ხანაც — აქეთ. კავკასიონი დიდია და უხერხდებათ შედარებით მშვიდი თავშესაფრის პოვნა. და, ალბათ, მათაც ისევე სურთ და სწყურიათ ხანიერი, გრძელვადიანი სინყნარე, როგორც ჩვენ, ადამიანებს — მიზეზთ ათასგვარი სიავისა, უკეთურებისა, უსამართლობისა...

ის ზამთარი ხშირად მახსენებს თავს. და ძალიან მინდა, სამუდამოდ იქ ჩავრჩე და „ჩავიმარხო...“ სიტბო და მასწავლებლებისთვის მოსაწონი სინყნარეა ფიზიკის კაბინეტში, მაქლასო ოთახებში, დერეფნებში, საერთოდ, სკოლის მთელ შენობაში.

ჭოგრიტის საწიერში ხანმოთეული, რქაჯანგანი ჯიხვები ბალახობენ; ჩლიქებით თხრიან თოვლის თხელ საფარს და ველური ჟინით ეურჩებიან შიმშილსა და ყინვა-ყიამეთს.

ყუროს დაკბილულ მწვერვალებსა და ღრანტე ხეებს უმთვარო ღამის ნაფლეთებივით შავი, ხმადაწყველილი ყორნები დაჰყვენ...

მოსატკივრა და ჭირისუფალი

სადარაო და მამუკავ,
დედა ვაცხონე თქვენიო...
ხალხური

დარიალის ვინრო ხეობით ზელიმხან გუშმაზუკოვთან (უხორ-ცოსავით მამაც ჩეჩენ აბრეკთან) შესახვედრად და შესაამხანაგებ-ლად მიმავალ, სულმოკლე გუდამაყრელი მწყემსის (მისი გვარ-სახელი სხენებადაც არ ღირს!) მიერ ურცხვად გაყიდულ ბურუკურთელ მამუკა გოგოჭურს (მოურჯულეხელ „ყაჩაღს“, ნითელი საბჭოთა იმპერიის ემისართა რისხვასა და დაუძინებელ მტერს) ბალთის საგუშაგოზე გააჩერებენ, დაჰკითხავენ, შეამონებენ და საბუთებს მოსთხოვენ. დრო არ იცდის. მამუკა ქისტის ეროვნების ერთ-ერთ ოფიცერს ხანჯლის ბასრ, ნამახულ წვერზე წამოაგებს (მეორე ვარიანტით — მხარილივ გადასხეპს; სხვაგან: გაჰკარავს, გაუსომს და გროვად დაყრის მკვდარს; მოხეურ ლექსში: ნაბადს გვერდზე მოიგდებს, მგლის ფერს დაიდებს და ცხვრის ფარასავით მიფანტ-მოფანტავს ყაზახებს) და ტრიალ, ქარიან მინდორზე გავარდნილსა და ცოტათი გამანძილებულს ტყვიებით დაცხრილავენ. წამებში დასრულდება ელვისებრ დატრიალებული სისხლიანი შეტაკება. ტრაგიკული ამბის დამსწრე ჯარისკაცები გარდაცვლილი ქისტის „დამკაცრევენას“ შეუდგებიან. ჯავრისაგან განაცრე-ბულები და გულალრენილები ურჩი ხევსურის სულდანაღვებისკენ არცკი იცქირებიან... ხოლო სულთი აღაზას მონათესავე ქისტის ქს-ლები მამუკას სიმარჯვით მოიხიბლებიან, პირს ცრემლით იბანენ და მოთქვამენ ზარიანად: „საით მიხოლი, ვაჟკაცო, შე მგზავრო შავეთისაო. ბრალია შენი სიკვდილი, მინა გიშლიდეს პირსაო...“ და როგორია ამ დროს ხანჯლით განგმირული უდანაშაულო ქისტის მშობელი მამის რეაქცია?... სულერთია, ისმენ თუ კითხულობ, ტანში გაეცრის, ტაოს დაგაყრის. შიშისგან? არა! მისი „ალოგიკური“, უცნაური, მოულოდნელი საქციელისგან... მემკვიდრედაკარ-გული მამა გუშმაგებს მიმართავს: — თქვენ ამას უპატრონეთ (უთითებს თავისი შვილის ცხედარზე), მე კი იმას მივხედავ (მკვლელის ცხედრისკენ იშვერს ხელს); დაუმარხავს ვერ დაგტოვებ, ყვაფ-ყორნები დაესევინა, განაგაბრებენ, პატრონი არ ჰყავს და ცოდ-ვაა!.. და კიდევ ერთხელ დაგბურძგლავს ტანში; დაგბურძგლავს ვაჟკაცობის მალმერთებელი ასაკოვანი მაჰმადიანის დიდბუნე-ბოვნებით აღფრთოვანებულს. და უმალ ვეფხვისა და მოყმის სწო-რუპოვარი ბალადაც გაგასხენდება — სადიდებელი ადამიანის სუ-ლის სიმალისა, სიფართოვისა, სილამაზისა!

გაზაფხული

გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდენ იანი...

ვაჟა

გაზაფხული — წელიწადის დილა; გონჯი ღამის გათენე-ბის ბადალი!

ზამთარი — ურჯულოსავით ღრჯუ და უჯიათი: მარცხ-თან, წუხილთან, სიმძიმითან, სიკვდილთან წილნაყარი...

არყოფნასთან შეპირისპირებაში, არყოფნის განცდისა და გაცნობიერების განაცხადი ფასობს სიცოცხლე (ვაჟა: „და შენც, სიკვდილო, ფასი გქვ სიცოცხლის ნანყენობითა...“). ასევეა გა-ზაფხული! ზამთარი რომ არ უსწრებდეს წინ, ასეთი სასურველი, სანატრელი და სასოებასთან დაწყვილებული არ იქნებოდა!..

„ან ხვარ შამწანდა ჭალები ღელე-ლაშარის ძირსო?“

— მაღლით ნაპოხი მშობლიური ადგილებისკენ „დანუხების“ ენითუთქმელი გრძნობა, ჩანწული და ჩანწურული ფშაველი მე-ლექსის ამ უბრალო, ბუნებრივ, სასაუბრო ტონალობაზე მო-მართულ „უწყინარ“ შეკითხვაში.

გამომამინდების, მკვდრეთით აღდგომის, ირგვლივების ხელახლა შობისა და გაცოცხლების დიადი მისტერია ორ,

ორადორ „ჩვეულებრივ“ სტრიქონში: „შამაპრობს გაზაფხუ-ლი კლდეებს თვითთვლიანებსა“.

გაზაფხულის მობრძანების, მომძლავრების გულისგულუ-რი ნატვრა და მოლოდინი თითქოსდა ტრივიალურ, არაფრით გამორჩეულ ხალხურ ტაეებში: „მთა გამრეს, მინა გამოჩნ-დეს, ლურჯამ მოჰკიდოს ნალია“; „თოვლმ გადღრიდას მთა-წვერთა, ფოთოლ მაისხას ტყემაო...“

და ამ პეიზაჟურ პასაჟა მშვენიერების ხილვით მიღებუ-ლი მტეხიარობის ტკივილი, გულში რომ ველარ ეტევა და გა-რეთ გამოლწევას, გამოჩენას, გადმოღვრას ლამობს...

ვწყინობთ და ვგლოვობთ გაზაფხულის გასაშტერებელ ფერ-თა და ხმათა (თუნდაც: გაღმა ტყიდან გუგული რომ გამოგვძა-ხის) განმცდელი გულების სამუდამოდ გაჩერებას, გაჩუმებას...

და უქმდება, აზრისა და ლოგიკური შინაარსისაგან იცლე-ბა კრთომით ამოთქმული რიტორიკული შეკითხვა: „გულო, რა მოგივიდა?!“

ბათირა

კაი ყმის ნაბინავარში
შეშანი დარჩებთანო...
ხალხური

მანმაველ ბათირა არაბულის კაიკაცობა, მაღლი მისი მასპინ-ძლობისა და წინდახეული თადარიგანობა ერთხელ კიდევ ვი-ხილეთ და ვირწმუნეთ მისი გარდაცვალების წლისთავზე ბარი-სახოში ასულელებმა: თითქმის უთოვლო თებერვლის იმ მშვიდ, უმ-ზეო, შავნაღვლიან დღეს სტუმრად წვეულნი თუ ჭირისუფალნი წლინახვერის წინათ ბათირას ხელით გამოხდილი „ბორბალა“ მსხლის წინწანაქარით და ადგილზე მისგანვე დანურული, ამხ-ნობამდე წაუკანჭავად შენახული ღვინით ამბობდნენ სააქოდან წასულთა ხსოვნისას და ზედამრჩოთა დღეგრძელობისას...

ძველსა და, იმავდროულად, ახალ ყაიდაზე განყოილ სანიმუ-შო სამგლოვიარო სუფრას ბერდია არაბულის მონაწილეობითა და თავკაცობით ნაღულარი სვიანა, დაძირწვერებული ლუდით საესე სანდეებიც ამშვენებდა და ჯიხვის სამი წყვილი რქაც, რომელთა მიღებისა და „შეფერების“ პატივი ბალათერ არაბულს, ტარიელ ფუტკარაძესა და თქვენს მონა-მორჩილს ხვდათ წილად (ოჯახის დიასახლისმა სანათა ნიკლაურმა ამ სახით გამოხატა მაღლიერება: ჩვენგან ნამაგარი ბათირას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნისთვის თვალისა და ხელის შევლება გარდაცვლილის გაცოცხლებას გაუ-თანაბრეს სევდიანი სანესჩვეულებო რიტუალის მონაწილეობა)...

ხოლო სუფურეთის არაგვის სულთის სულთისა და გაქირსლუ-ლი ტყიანი ფერდობის ფერხით, ატალახებული გზის შორი-ახლო, სიპი ქვით კოხტად მოპირკეთებული წყარო მოჩქეფდა, სოფლის ხუცესის მიერ ნაკურთხი და დალოცვილი ბათირას მართალი სულის საოხად და საწუგემოდ...

განსვენებულთა სახელების ხშირი ხსენებისა და გამარა-დიულების ეს ძველთუძველესი ჩვეულება თუ საშუალება, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხლობს მთაში...

და ბარისახოდან წამოსულებს (ეთერ თათარაიძე და მანმა-ველი ნოდარ არაბულიც ჩვენთან ერთად იყვნენ) წამოგვეყვა გან-ცდა, რომ უმზეო ქვეყნის „ახალმოსახლე“ თავისი ნათავედი სას-მელით — სურნელოვანი არაყით და მჭრელი, გემონწინდა ღვი-ნით თვითონ მასპინძლობდა მეგობრებს, ტოლ-სწორებს, მოკე-თე-მონაკიდვარს, თანასოფლელებსა და გვარ-საბიძაშვილოს.

წარამწერაქლი

პროვიდენციული თვალთახედვა, ბედისწერულობით და განგებისმიერობით რომ ხსნის ყოველივეს, ერთობ რელიე-ფურადაა გამჟღავნებული ხალხურ სიტყვიერებაში; ასევე, მხატვრულ ლიტერატურაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე ჩვენ დრომდე.

ბედისწერის იდეა, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ის ვი-
ლაციან ან რალაციან მომდინარეობს; რომ ვილაც წინდა-
წინ საზღვრავს უსათუოდ მოსახდენს ანდა ამ მოსახდენის შე-
უქცევადობა რალაციითაა პირობადებული.

წარმოდგენები ბედსა და ბედისწერაზე დაიყვანება შემდეგ
გაგებად: სუბიექტი ბედისა (ბედისწერისა), ობიექტი ბედისა
(ბედისწერისა) და ბედისწერა, როგორც ასეთი, მისი შინაარსი;
ის, რასაც ბედის სუბიექტი „დაუნერს“ ბედის ობიექტს.

„სიკვდილნახად“ ანუ „საიქიოს განმცდელ“ ადამიანთა სიტყ-
ვით, წერა-მწერელნი სულეთში სხედან და იქ წერენ შავ ქაღალ-
დებს იმათ სახელზე, ვინც ახლო ხანებში უნდა აღესრულოს...

ხევისურეთში მოპოვებული ფოლკლორული ტექსტების თანახ-
მად, წერა-მწერელნი სხვა არავინ არიან, თუ არა „ხითივილები“,
ღვთისნასახები, რომელთაც, ქართულ მითოლოგიურ გადმოცე-
მებში, საზოგადოებრივი ყოფის ამა თუ იმ სფეროს მართვა, მეურ-
ვეობა და ზედამხედველობა აქვთ მინდობილი და დავალებული.

თუმცის წარმოდგენით, „ბედ-მწერელთ“ ერთი კაცი და
ერთი ქალი ასახიერებენ. ისინი არამარტო ადამიანს უწერენ
ბედ-ბოლოს, არამედ წვრილფეხა პირუტყვსაც. თუმცისავე
რწმენით, შესაძლებელი ყოფილა ბავშვის „უმწერლოდ“ დაბა-
დებაც, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როცა სამზეოზე მის მოვლინე-
ბაში წერა-მწერელნი არ მონაწილეობენ.

ხევი დამონმებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით,
ჭირისუფლის სახლის ბანზე მსხდომ მამაკაცებს „მწერელი“
შეგნაბდებიან არსების სახით ეცხადება, რომელსაც ხელთ შუ-
ბისმაგვარი ჯოხი უპყრია და ამბობს, წლის განმავლობაში ვინ
რა მიზეზით მოკვდება სოფელში.

„ბანზე ჯდომის“ მოხუერ წეს-ჩვეულებასთან ხელშესახებ
მსგავსებას ავლენს ამიერ საქართველოს სხვა კუთხეებში
(თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი...) დადასტურებული, „სმინაო-
ბის“ სახელწოდებით ცნობილი რიტუალური ქმედება, რომე-
ლიც „კდინის კვირას“ სრულდებოდა და მიზნად ისახავდა
სოფლის მომავლის გაგება-გამოცნობას.

ადამიანის ხვედრის განმსაზღვრელი წერა-მწერელნი,
როგორც წესი, განკაცებულად წარმოსდგებიან შესაბამის ზე-
პირსიტყვიერ ჩანაწერებში...

წერა-მწერელნი არ წარმოადგენენ თვითკმარი ძალაუფ-
ლების მატარებელ ირაციონალურ არსებებს. მათაც ჰყავთ
ზემდგომი და „მაკონტროლებელი“ უპიროვნო ძალა ღვთის
სახით: წერა, ნაწერობი, მწერალი ღვთისგან მოდიან, უზენაე-
სის ნება-სურვილს მორჩილებენ და ამით თავიანთ უფლებრივ
შეზღუდულობას ადასტურებენ.

P.S. აღარ იცი, ვისი ირწმუნო, ბრძნადმოუბარი ხალხისა
— ბედისა და ბედისწერის საკუთრებული კონცეპტი რომ შეუ-
შუშავებია და ყველაფერს ღვთისნებითობით ხსნის და გან-
მარტავს — თუ ვაუა-ფშაველასი, ჩვეული კეთილმოსურნეო-
ბით რომ გვმოძღვრავს და ჩაგვაგონებს: „...იმედი ბევრად
სჯობია უაზრო ბედისწერასა...“

თავილია

სამოცდათორმეტს უახლოვდებოდა, თვალისჩინი რომ
დაკარგა. ადგილზე დარჩა და დასაყდრდა. დაემშვიდობა ვერ-
ცხლის სამკაულების, ყანძიმების, სარიტუალო თას-განძისა და
აბჯარ-იარაღის კეთებას. მისნაირი ოსტატი ხევსურეთს ბევ-
რი არ ჰყოლია. უმაღლესი სინჯის ნაღდი პოეზია სუნთქავდა
და კამკამებდა თავველქა არაბულის ყოველ ახალ, წინის-წი-
ნათა მჯობნ ნამუშევარში. ზედმინევი ფლობდა რკინის
წრთობის, „წურვის“, ორნამენტების ამოყვანისა და სევადის
საიდუმლოს. წინხადუდან წამოყოლილ მადლს არც ბარში მი-
უტოვებია... და აი, ერთ დანავსულ დღეს ბინდის ფარდა და
ბურანი აეფარა მის წილ სამზეოს, სამზეოს, აზრიან ყოფას,
სოფელ-ქვეყანას. და ყველაზე მეტად უტყვ მეტალთან ცალ-

ფა დიალოგის შეწყვეტასთან შეჩვევა ემნარა და გაუძნელდა.
და მაშინ ამოთქვა ლექსი, თავისი ღირსებით მისსავე ნახელ-
კეთილარს რომ ეხმიანებოდა და უახლოვდებოდა:

**„დავიკრავ, ჩემო ჩონგურო, შაყრილს ბევრაის ხისასა,
ყური დამიგდე, მსმენელო, გაამბობ ბნელეთისასა. ექვს
წელს ბნელაში ნამყოფი შუქს ვერ ვხედავდი მზისასა...
თვალში სინათლე მამიფა სამოცდათორამეტ წლისასა, ამ
ჩემსა გადანაყარსა შამსწვრალხართა ვინ სხვისასა?! მად-
ლობა ღმერთსა, რო ვხედავ მთა-ბარსა, დედამინასა, მად-
ლობა ანგელოზებსა გიორგიობის თვისასა...“**

ესეც თავველქას ერთ-ერთი ლექსის „პრელუდია“: „ლექ-
სის თქმა მწადის ერთისა, ყორანო, მომიბანეო, ამანათე
ჭაუხი, ამოდი, მთვარის ნალეო...“

დაბრმავებიდან მეექვსე წელს, „ულონკრო“ სიბერის უსიერ
ტალანებში ფეხმედგმულს, სრულიად მოულოდნელად, უმკურნა-
ლოდ და უოპერაციოდ, კვლავ დაუბრუნდა მხედველობა. ჯერ ვა-
ჟიშვილის სილუეტი აესვეტა ვინრო ფანჯრიდან შემოსულ შუქ-
ზე, ხოლო მერე სამყოფლო, სამისდღემო ოთახის კედელ-ყურესა
და დგამ-ავეჯსაც ჰკიდა თვალი. თითქოს ზღაპარში შეაბიჯა და
თვითონაც გამოგონილი სიუჟეტის პერსონაჟად იქცა. ამ საკვირ-
ველი ამბის შემსწრე მამუქას — თავველქას მემკვიდრეს — გაოგ-
ნებისგან გონიერული რეაქციის გამოხატვის უნარი წართმეოდა...

მოსუცმა ისევ მოიხილა მონატრებული საცეცხლური,
პრიმიტიული სამჭედლოს დაზგა-დანადგარი, თავისი ნაკე-
თობანი და ხელსაწყოები... მთების დანახვითაც უწინდებუ-
რად იამა, მგლის კვალზე გაყოლის იმედი მიეცა, თოფის „ლი-
შანსაც“ კიდევ „გახენა“ და ცოტა ხანს კიდევ იცოცხლა...

მას აქვთ აღარ მითქვამს, რომ მინიერ ცხოვრებაში სასწა-
ულები არ ხდება და ამგვარი რამეები კეთილ მუცლითმეზღაპ-
რეთა მონაგონია!

უფალმა არ ინება, რომ უებრო ოქრომჭედელთა და „ვერ-
ცხლისმკეთეთა“ ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი
უთვალისჩინოდ გამგზავრებულიყო საიქიოში...

ციკლიდან „სიყვანძილის სურათები“

ა, იმ ქედს იქით ქედი,
ქედთან — პატარა სოფელი...
შაბურა არაბული

გრილი, გალუმპული დილა.
დევთ დედაბერივით უხსოვარი დრო-ჟამის ავად აღროფე-
ბული სველი მდინარე. მიდის და მიაქვს სათიბებისთვის წართ-
მეული ატალახებული მიწა. მიახლოვდება ქვა-ლორღს. გრუ-
ხუნით მიაგორებს ლოპრიან ლოდებს. უმზეო დილის მიბჟუ-
ტულ სინათლეზე გველის ჭარბით უამრად უქლავს ღონიერ
ზვირთების დატალღული ზურგი თუ ზედაპირი.

მთელ ღამეს ცა იქცეოდა, იცრემლებოდა, ფეხად ჩამოდი-
ოდა და არავის უკვირს გაუგონებელი, გარდას გადასული
მდინარის დანახვა.

ნალებულია ორივე ხიდი. ჩრდილსა და მზისპირს შორის
განყვეტილია ყოველგვარი ძაფი, ძარღვი და კომუნიკაცია.
გალმა: ამოლურჯებული ჯეჯილები, სათიბები, სახენცლეე-
ბი... ხოლო გამოღმა: შეკავებული ღელვით აწრიალებული და
შენუხებული ოცკომლიანი სოფელი. კაცები — „სკოლის კარ-
ში“, საფეხვნოდ და სათათბიროდ; ქალ-დაიცები შინი-შინ, სა-
კუსნალბეებსა და საძროხე — ძირისახლებში.

თეთრნაბდინი მდევრებივით დაუდევარი ქარსაოტი ნის-
ლის ნაფლეთები დიდრუსა და ჭარხონვერაზე, ფადუსსა და
ყვავილიანაზე, შავქარაფსა და ნახიზნარალში...

რალაცნაირად ნაპირ-ყურე შემოჭუჭკული, თავის ტანტო-
მაგში ჩაბრუნებული, გარემყარს მოწყვეტილი, გაკენტებული
და მიუსაფრობის კალთას მოჭიდებული ჩემი სოფელი.

ამინდისა და ბუნების უეცარი, მოულოდნელი ფერისცვა-
ლება.

თანაც როგორი!..

და თავხშირი ბალახის ბურვილიანში სატაცურით სწორი და ღერომაღალი უცხო ყვავილი, თავლის სანთლის მოციმციმე ალივით რომ ანთია და ქანაობს აზავთებული და აზეზეურებული მდინარის ყველაზე უფრო ღალატინი, მლივი, უდუმალი მორვეის პირას...

ლეკომ ნიქას რეპერტუარიდან

მოდამი იყო მოკლე, მოტმასნილი, ჩალილული ქვედაკაბები. და თუნდ ერთი ლილის (იგივე ფოლაქის) შეუხსნელობაც კი მიზიდულობის მაგნიტურ ძალას სძენდა ისედაც „მარმიანი“ მანდილოსნების გარეგნულ იერს. მიმოდიოდნენ და თან სდევდათ დაოკებული ვენების ნელი ნიავი. შუ-და-შუ მაცდურ, გამომწვევ ლიმოსაც არ ზოგავდნენ, ალის სიმბურვალე რომ აღეგზნოთ „დაელმებულ“ მაკაკცთა მალულ მზერაში... სულო ცოდვილო და... იგივე ხდებოდა მისალებ გამოცდებზეც, ისედაც გაუსაძლის, ზღვარს იქით გავარვარებულ მხუთავ გარემოში. და რით, თუ არა სახელდახელო კაფით უნდა შეექციათ თავი სტაჟიან თუ დამწყებ გამომცდელებს; და ვის, თუ არა ამ საქმეში შეუდარებელ ალექსი ჭინჭარაულს უნდა რგებოდა პირველობის პატივი მოცემული სიტუაციის ნატურალისტურად ზუსტსა და ადეკვატურ ასახვაში; ვინმე იად ხმობილი მომხიბლავი დამსწრისა თუ ასისტენტის მოსხეპილ, ექსპრესიულ დახასიათებაში: „შენზედ ამბობენ, იაო, ჩეხი თუ პოლაკიაო, ლამაზად არის გახსნილი, დაბლა რო ფოლაქიაო, რა ვიცი, იმის გარშემო სუ მუდამ რბოლა კიაო...“

როგორც ჩანს (ჯეიუტია წერილობითი „მტკიცებულება“!), ყოველთვის არც პატიოსნებით ცნობილი „პრასვეტიტლები“ ყოფილან დაზღვეულნი ზომიერი ეროტიკული „გატაცებებისგან“... და მაინც, იმდენად მაღალია ზემორე დამონმებული ექსპრომტის პოეტური მუხტი, ყოველგვარი მიწიერი ნადილის გათქმა თუ გამჟღავნება უკანა პლანზე იკარგება და გრძნობ, როგორ შეუმჩნევლად გეუფლება მოხდენილი ნასიტყვით მოგვრილი ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება!

ოპტიმისტური

მტრის ხშირი, ჩქარ-ჩქარი, ლამის გაყოველდღიურებული „სტუმრობით“ შენუხებული (და არა შემკრთალი თუ შეშინებული!) არხოტელი მელექსე მორიგი თავისიანის დაკრძალვის დღეს იტყვის: „არ გასტყდათ, არხოტივებო, გატეხით რა იქნებისა, ერთს თუ მაგვიკვლენ, დავმარხავთ, სხვა კიდევ გაიზრდებისა!“

ვაჟაც, მცოდნე და მხილველი მთიელ კაი ყმათა უდროო სიკვდილის არაერთი საარაკო ამბისა, დაახლოებით ამასვე „მღერის“ თუ ლღინებს: „კაცის გმირული სიკვდილი უფალსაც ეამებო, დავიხრცებით, რა ვუყოთ, ეხლა სხვა გაიზრდებო!...“

და ჩნდება განსჯათა ლოგიკურ ბმამი ბუნებრივად ჩანერილი კითხვა: მოხმობილი სტროფების ბოლო ტაეპების ლექსიკურ-შინაარსობრივი თანხედრის სახით მსუბუქ პლაგიატთან გვაქვს საქმე თუ დიდი სულიერი მოძღვრისა და წინამორბედის გავლენის გარეშე ამოთქვა ხევსურმა მელექსემ ის, რაც ამოთქვა; ჩნდება კითხვა, რომლის ერთნიშნა, დასაბუთებულ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ამაოდ დაეუწყებთ ძებნას!

ღარდის მიჯაზი

მიდის და მიქანება,
ცხოვრება წარმავალია,
გონებას ავიბოჟივებს,
ცრემლით ივსება თვალია.
გოგიტო

შუალამის მიღმა, „მამალყიულზე“ იღვიძება და დგებოდა დარდად დამდნარი მოხუცი დედა. „შეხვეულ“ ნაცარს „გადაშლი-

და“, გაჩხრეკდა და მინელებულ, მიბნედილ ცეცხლს სულის შებერვით აანაკვერჩხლებდა. ხევსურის ქალი გამოღმა მთიდან ეჯიბრებოდა არავგს გაღმა მყოფ უცნობ ფშავლის ქალს, რომელიც ლამფის დროულად ანთებამიც ჯობნიდა და, მისგან განსხვავებით, არც თვალს აძლევდა ძილისა და მოსვენების ნებას. აკარგინი დედა წყალგალმელი ქალის სიმარჯვესა და გამრჯეობას აქებდა; იმის საარაკო სიმხნევეს შენატროდა. ძალიან უნდოდა გაცნობა და გასაუბრება, მაგრამ ღალატინი არავგის გაჩქევას ვერ ბედავდა. ახოტებდა და მისი ლოცვით იტკობდა ენა-პირს...

გამოხდა ხანი. ყველა „გაღმა გავიდა“ — გაღმელიც და გამოღმელიც. მისაგებელი მიეგოთ და დაიმკვიდრეს საუკუნო სასუფეველი მალათა ცათა შინა. ხოლო აქ, ამ ცოდვილ მიწაზე დარჩენილმა გონჯებმა „ურგო ბალახით“ ინყეს ერთურთის ცელვა, კარგთა კილვა და ღირსეულთა ცოცხლად მიწაში ჩადება და დასამარება...

აი, გაუქარვებელი დარდის მიზეზი, უღმობლად რომ ხრავს და ხავრავს სწორ ანდეზე აგებული კაცის სულს!..

ეს ბალაობინდელი სურათი, განცდა და სახილველი ლექსად აქვს ამოთქმული გოგიტო არაბულს — 84 წლის უდრეკ, უბერებელ, „შვილთა სიკვდილის მხილველ“ ჭირმრავალ ხიტალიონს.

ქეთელაურების ქალი

„ლექს კი არ, სიტყვას ველარ ვგონობ, აისრ ორ გახდილი!“ — დაიჩვილებს ჩვენთან საუბარში მარიემ ნანაისძის ასული ქეთელაური, საუკუნის მიჯრილი ამოდმეტყველი ხევსური ქალი და ისე გამართულად ჩამოაგვირისტებს შენდობის ტრადიციულ ტექსტს, აბეზარი კითხვა აგყვება და აგედევნება: რას ემდურის თავის ასაკს, მაცოდრობასა და მეხსიერებას?!

და რისი ჩანერაც იმ წამსა და წუთებში მკვდართათვის საგანგებოდ განწყობილ ტაბლასთან ეთერ თათარაიძემ მოასწრო და მოახერხა, აი, ესაა: „...აბა, კარგად იყვებით, იხარეთ, იცოტხლეთ, მარავალ ახალნელ ილოცეთ... ღმერთო, გეძახთ, ღმერთო, გეხვეწებით, ღმერთო, ნუ გავაცუდებ შენა სახსენებლად, შენა საგონებლად. ღმერთო, კაციც შენ გეძახს. ღმერთო, სულიც შენ გებარების... სადაც თქვენ ხართ, ჩემო დედამთილ-მამამთილნო, თქვენ ანდაბიას, თქვენ სადგომ-სამყოფოიას, თქვენიმც სახმარი ეს დადგმულ ტაბლა, დაჭვრეთილ ქადა, ანთებულ სანთელ. თქვენიმც საგაძლი, თქვენიმც საიალიო.. თუ რა ვინ გყავისთ მაკეთე, ოხრის სულმკვდარ, იმათაც მახამარას. ნუმცა რა ვინ დაგვენვისთ არამი და ცოდვიან. სანთლითად — საკმლითამც მაგვივასთ, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით...“

მიდიან და მიიკრიფებიან მოტირლები და გარდაცვლილთათვის შენდობის მთქმელები, მელექსეები და მეანდრეუბები, შემლოცველები და „ხთის სიტყვათა“ მცოდნეები, ცხვარ-ძროხის მომველები და ხელსაქმის მესაიდუმლები, მონესეები, მერჯულები და პირისწყალნი ბრმა, ცოდვარალიანი წუთისოფლისა...

წავიდა მარიემ ქეთელაური; მისი ორი ვაჟიც — გამიხარდი და ელგუჯა -საუკუნო გზასავალს გაუდგენენ... მატულობს მოურჩენელი ტკივილი. მწვავედა მარილმოყრილი იარა, რომელიც მოსვენებას არც მომავალში მოგცემს და, ცხადად თუ სიზმრად, ათასმეერთედ მოგანატრებს ზნეობრიობისა და ურთიერთსიყვარულის მყარ საყრდენებზე მდგარ წინანდელ ჯუთას!

მამია

ურძის ჯოხს მოიანდევება, მოიმარჯვებდა და ქერშემქვარტლული ძირისახლიდან მოკლე, უღონო ნაბიჯებით გარეთ, ზღავიან ეზოში გამოვიდოდა; წინგარდამდე სიბი ქვით აყვანილი უსწორმასწორო კიბის პირველ საფეხურზე ბატკნის მონითალო ტყავს დაიგებდა, დაჯდებოდა და ხელის განვ-

დენაზე მცოცავ, საკვების მაძებარ „პატარუა“ ჩიტებს დაჰკვლევა და, დააცქერდებოდა...

საკვირვლად ჩუმი, გაუჩივარი, გარინდებული ჯდომა იცოდა. ჭრელი, ჭიოტა და ჟანგისფერი ფრთოსნები მხრებსა და შავ, ნიკაბთან განასკვლავ თავშალზე ასხდებოდნენ. არ უფრთხოდნენ, შიში არაფრისა ჰქონდათ. ფრთებს ტანზე მიიკრავდნენ, ნიავისგან ანეწილ ბუმბულს შეიშნებდნენ, მყუდროდ მოკალათდებოდნენ და დაბლა ჩამონაცვლებას ანდა დილის გაცრილ, კამკამა სივრცეში შეფრთხილდებოდნენ სულაც არ ჩქარობდნენ. თბილი ქვეყნიებიდან გაზაფხულზე მოფრენილ მძლევერებთან და უბრალო, სოფლის ჩვეულებრივ ჩიტებთან რაღაც ხოგაის მინდისებრი მისტიკური სიახლოვე იგრძნობოდა ხანმოთეული არხოტელი ქალისა და ბუნების უწყინარ, უმშვენიერეს შვილთა თბილ ურთიერთობაში... მძიმია ხოგაის მინდის თემიდან გახლდათ ჯუთაში გამოთხოვილი. და, ამის გათვალისწინებით, შესაძლოა დიდად გასაკვირიც არა იყო რა მისი ყოველდღიურობის „რუტინულ“ რიტმსა და სტაბილურად უცვლელ განაწესში...

უმწიკვე სულიერი არსებების ფოფინი რომ დალიდა და შეაღონებდა, იქვე, ნივანკრულ კედლის ძირში თავისთვის მიმჯდარ — მიუჩრებულ შვილიშვილს გასძახებდა: — **ზურაბო, მოდი, ჩიტებ მაშაშორენ!** (შვილიშვილს, რომელსაც სინამდვილეში ზეზვა ჰქვია, თავისი უდროოდ დაღუპული შვილის სახელს — ზურაბს-ეძახდა).

ბებრული სიბრძნით დამძიმებული, ბევრი ღირსებითა და ღვთით მიმადლებული ჭკუა-გონებით გამორჩეული ბერდიშვილთა მამიშვილობის ტანჯული მანდილოსანი ყოველი სიტყვითა თუ საქციელით ამართლებდა თავის უცნაურ, არასადაგ ხევესურულ სახელს-მძიმია.

მოხუცი რობაი

არ გამკვირვებია, „მოხუცი რობაის“ ავტორი კახა გოდერძიშვილი რომ აღმოჩნდა. კახას მამამ ზაურ გოდერძიშვილმა თავი მსმენელსა და მაყურებელს ნაივურობისა და უზადო ნიჭიერების ნიშნით აღბეჭდილი ფოლკლორული საღამოებიდან დაამახსოვრა. მისი რამდენიმე უმწვავესი იუმორისტული ლექსი დღესაც ზურგის ქარის თანხლებით ხმინაობს და მოგზაურობს ხევში...

მამის ხალასი ნიჭი მემკვიდრეობით გადაეცა შვილს. თუმცა თავს საგულდაგულოდ ჩქმალავს და იუჩინარებს, ერთხელაც გატყდება დუმილის ყინული, უბრობის ნავსი და უეჭველად დავაჭმნიკებთ კახა გოდერძიშვილის შემოქმედებითი შრომის შედეგებს...

ოპტიმისტური განწყობის მიზეზია მისი „მოხუცი რობაი“, მკითხველის ყურადღებას, უბრველეს ყოვლისა, ეღვაწე სარიტომო სიტყვების ეფფონიით რომ იქცევს და იზიდავს: **„როგორც მერვე საოცრება — კედელს ერობაი ება. ვნერ რობაის, მწარედ ვფიქრობ: რაი მერობაიება“.**

P.S. ერობა — სოფლის მამაკაცთა საკრებულო. იგივეა, რაც ხევესურული საფეხვნი.

უკომპრომისო მსაჯულნი

„ვაჟკაცა შენისთანაი არ დლიანდების ჩვენშია, არცა რას ლოგინს დაუვებთ, დავანვენთ ჩალა-მტვერშია, გვერდზე ძონძ-მანძებს მივუყრით ქალაის მაგიერშია...“

სწორფრობის დღემდე ამოუხსნელ წეს-ჩვეულებათა უმკაცრეს იმპერატივებზე აღზრდილი ხევესური ქალის ლექსითი მსჯავრი და განაჩენი უღირსებო ვაჟისადმი, რომლის მსგავსნი მამინაც საკმარისად იყვნენ და, სავალალოდ, არც დღევანდელია განიცდის მათნაირების სიცოტავეს.

„დაფასება“ და „პატივი“ დამხვედურთა მხრიდან, რასაც ნელთბილი, უგერგილო „ვაჟკაცა“ იმასხურებს, სხვა არაფერია, თუ არა მისთვის სათემოდ თავის მოჭრა და „ცოცხლად დამარხვა“. გარდა იმისა, რომ პოეტური აზროვნების კურთხეული ნიჭით ნათობდნენ, იმდენად სწორი, უაღტერნატივო გადანწყვეტილების გამოტანაც შეეძლოთ, „გასაჩივრებას“ რომ აღარ ექვემდებარებოდა და რომლის ობიექტურობაში დაეჭვება თვით ნაფიც მსაჯულებსაც კი გაუჭირდებოდათ!..

ლიბიელი მწერალი, იბრაჰიმ ალ-ქუნი დადამისის ოაზისში დაიბადა და უდაბნოს იმ მომთაბარე ხალხის ტრადიციებზე აღიზარდა, რომელიც „პირბადიანი კაცების“ ან „ლურჯი კაცების“ სახელით არის ცნობილი. არაბულად წერა-კითხვა 12 წლისამ ისწავლა. მოგვიანებით მაქსიმ გორკის სახელობის ინსტიტუტში შედარებითი ლიტერატურა შეისწავლა. ამჟამად შვედეთში ცხოვრობს. მისი წიგნები 35 ენაზეა თარგმნილი. ალ-ქუნის ნაწარმოებებში ერთმანეთს ერწყმის მითოლოგიური ელემენტები და სულიერი ძიებანი. მას ჯადოქარ რეალისტ, სუფიურ მთიგავე და პოეტურ რომანისტ მწერალს უწოდებენ.

2008 წლის თებერვალში იბრაჰიმ ალ-ქუნიმ შეიხ ზაიდის სახელობის ჯილდო მიიღო ლიტერატურაში. იგი უნიკალური შემოქმედებითი სტილის, ჰუმანისტური და პოეტური თვალთახედვისთვის დააჯილდოვეს, რომლითაც არაბული ლიტერატურა გაამდიდრა. აგრეთვე დაჯილდოებულია ფრანგული ორდენით ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის (2006წ.) და შვედეთის სახელმწიფო ორდენით (1995წ.).

იბრაჰიმ ალ-ქუნი

ორი ნოველა

ნიაღვარი

ნუთუ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, თილი რომ არ გამოჩენილიყო?

უდაბნოში არცთუ იშვიათად ხდება, მამაკაცი ქალს რომ ვერ ნახულობს, განსაკუთრებით ისეთი ობოლი, როგორც იამუნი იყო. მას არასოდეს უნახავს დედა, არ იცნობდა მამას. თავიდან ბიძა ზრდიდა, რომელიც წინასწარმეტყველის ნების აღსასრულდებლად, მეომარ წიშმს მიემხრო და საომრად გაემგზავრა ჩრდილოეთში. ბიჭი, ყველაფერი დანარჩენით, მოხუცი ზანგის მზრუნველობის ამარა დატოვა, რომელიც ოდესღაც ტყვედ წამოიყვანა მდინარის იქეთა ნაპირზე ერთ-ერთი თავდასხმის შემდეგ.

ხშირად იხსენებდა ამ პატარა კეთილ მოხუცს, მის უკბილო პირს, მოკლე, ხვეულ თმას, წვერს, რომელიც მოხუცებულობის ჭალარამ დაძლია, და ჯადოსნურ სიცილს. ყოველთვის, როცა იხსენებდა, როგორ იცინოდა ზურგზე გადაწოლილი მოხუცი, როცა ნადირობის გაკვეთილებზე ხედავდა, როგორ ააცდენდა მიზანს იამუნი, უსაზღვრო სიხარულით იცხებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ბიძის ტრაგიკული დაღუპვის ცნობა მოვიდა. ამ ამბიდან ერთი წელიც არ გასულიყო, მახრჩობელა გველი ყელზე რგოლივით შემოეხვია კეთილ მოხუცს, როცა ნითელი ჰამადას ქვიშაზე ეძინა, და მისი სიცოცხლე შეინირა. უდაბნოს მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ მახრჩობელა გველით დახრჩობა მოხუცის მთელი საგვარეულოს თანამდევნი წყევლა იყო. მისი ნიშანებიც ხომ ასე ილუპებოდნენ, უსიერ ბარდებში, მდინარესთან. ბოროტი მოხუცები ყველაფერში მას ადანაშაულებდნენ, ამბობდნენ: „იმ დროიდან, რაც უდაბნო უდაბნო გახდა, ასეთი სამიში მახრჩობელა არ უნახავს. ასეთი სიკვდილი მოხუცს მხოლოდ ამ ბედკრული ბავშვის გამო ენია“.

ადათი უფლებას არ აძლევდათ, კარგ და კეთილისმყოფელ ადამიანებს აეყვანათ მფარველობის ქვეშ. ბიჭმა მემკვიდრეობით ნახირი მიიღო, თავისუფლად გაუშვა საძოვარზე უდაბნოში, დაყვებოდა მათ ვადიში, ხეობასა თუ დაბლობში. გაურკვეველი იყო, მაინც ვინ ვის მწყემსავდა, — ის ნახირს თუ ნახირი მას. პირველად ამას ყურადღება მოხეტილად ბრმა წინასწარმეტყველმა მიაქცია. უძველესი შელოცვა ნაუკითხა, ყელზე წარმართული თილისმა ჩამოკიდა და უთხრა:

— ნახირს ენდე, მასში მეტი გულმონყალებაა, ვიდრე ხალხში. ღმერთი შეინყალებს მამამს. წადი მათთან, ნუ გეშინია, მათ უდაბნო შენზე, ჩემსა და მოხუცებზეც უკეთ იციან. თქვა ეს, დაჯდა თავის გაძვალტყავებულ აქლემზე და ისევ განაგრძო გზა ბედის საძებნელად. ბიჭუნა კი ამიერიდან ისე აკეთებდა, როგორც ბრმა წინასწარმეტყველმა ურჩია. უცნობია, რა საშიშროების წინაშე დადგებოდნენ უდაბნოს მცხოვრებნი, ალაჰს მათთვის ბრძენი წინასწარმეტყველი რომ არ გამოეგზავნა.

თილისმა ბედის უკუღმართობისგან იცავდა, ცხვრები კი სწორი გზით ატარებდნენ. მაგრამ... ვერც წარმართულმა ამულეტმა, ვერც ნახირის სიბრძნემ ვერ დაიცვა უბედურებისაგან! თილი ზაფხულის ერთ საღამოს მოულოდნელად გამოჩნდა, როცა ის ვინრო ვადის ფსკერზე იყო სამხრეთ ჰამადამი. ორი ნახირი შეეჯახა, ატყდა თხების კიკინი, ვაცები შუბლებით დაეჯახნენ ერთმანეთს, დედლებისთვის ომი გაიმართა.

ისინი შეჩერდნენ და გაოცებულგმა შეხედეს ერთმანეთს. ამ გაუგებარი, საოცარი სურნელისაგან, თითქოს რათამის ყვავილის სურნელიაო, თავებზე დაეხვა. მაგრამ რათამი წელს ჯერ არ აყვავილებულა. საიდან მოვიდა ეს ჯადოსნური სურნელი?

უბედურმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ქალის სურნელი გააბამდა მახეში.

არც თილიმ იცოდა, რომ უდაბნოში ვაცსა და მწყემსს ერთნაირი სუნი უდით.

მათი შეერთებამდე რამდენიმე წამმა გაიელვა.

ისინი გაშეშებული ათვალეირებდნენ ერთმანეთს. თვალს არ აცილებდა თილის ზურმუხტისფერ თვალებს, ტანსაცმელი გაიხადა, მხოლოდ მოსასხამი დაიტოვა.

ვადი ვაცის სუნით და რათამის ყვავილის სურნელით აივსო.

მიუახლოვდა. ის კი გაუნძრევლად იდგა. განიერი თეძოები ჰქონდა, მისი დიდი, ველური, შავი თვალები წყურვილით ავსებდა. სავსე ტუჩები უთრთოდა.

ქამარი გაუხსნა და ფუმფულა მკერდი გაუთავისუფლა. ხელები უთრთოდათ. ორივე ციებზიანებით კანკალებდა.

ხელუხლებელი ვადის ფსკერისკენ უბიძგა, რომელიც ხვლიკის, გველების და ხოჭოების ნაკვალევით დაფარულიყო. თხები თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თავები დახარეს. ვაცებმა ბრძოლა დაამთავრეს. ცა გამჭვირვალე გახდა. თვალუნვდენელი უდაბნო სიმშვიდითა და სისუფთავით აივსო.

მისმა გააფთრებულმა კვილმა ზღაპრული სიჩუმე გააპო. შემდეგ კიდევ ერთხელ განმეორდა და სადღაც შორს, მგლების ყმუილს შეუერთდა. საკუთარი თავი აღარ ახსოვდა, დახშული ხმით ნაიბუტბუტა: „იყვირე... იყვირე... იყვირე...“ და მასთან ერთად ყვირილი დაიწყო, მის კენესას იმეორებდა.

ეს იყო ტკივილის, გაოცების, ქალწულობისა და მამაკაცს მოწყურებული ქალის სიამის კვილი, რომელშიც მამაკაცური სანყისის გამომახილი ხრიალებს, ლტოლვა ქალისკენ, თუნდაც თავის ბედის წიგნში ერთხელ დაბეჭდილი — სამყაროში მისი მოვლინების დღეს ამ მრავალტანჯულ მინაზე.


მათი ჩაკრული სხეულები ხობავდნენ უმანკო წყლის ფსკერზე, სრესდნენ თავიანთ წმინდა გზაზე გაზაფხულის პირველ ყვავილებს, ხოჭოებსა და ჭიანჭველებს. ხვლიკები გზას აძლევდნენ, სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ. ცხვრები და თხები აკვირდებოდნენ მათ, გაურკვეველ ენაზე ჩურჩულებდნენ, თითქოს ლოცავდნენ ამ შეხვედრას. ამაცი უდაბნო ამ საზეიმო მომენტში მუხლებზე დაეშვა.

ისინი კი განაგრძობდნენ ყვირილს. მათ ოფლი, სისხლი და ცხოვრებისეული სინოტივე ერეოდათ შიგნიდან, როცა ყველაფერი დამთავრდა, და დაქანცულები და ძალაგამოცლილები იხვნენ, მან თქვა:

— მამაჩემი დიდ ურვადს მოგთხოვს.

ამ დროს მან ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ წყევლას შეიძლება ფარადეს ქალის ნათქვამი ეს მოკლე ფრაზა. ის უბრალოდ მდუმარედ უსმენდა მგლების ყმუილს, რომლებმაც ამ დროისთვის მუსრი გაავლეს ნახევარ ფარას.

ის იყო პირველი ბოროტება, რომელიც „ადამის“ და „ევას“ პირველმა შეხვედრამ მოიტანა.



მხატვარი გევა პაქსაშვილი

წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ეს მძიმე წლები, რომლებიც უდაბნოში იცხოვრა, რაც თავისი იღბალი ფარას ჩააბარა, უბრალოდ გასართობი გასეირნება იყო იმასთან შედარებით, რისი გადატანაც მოუხდებოდა მას შემდეგ, რაც ქალი ივტმა.

უდაბნოში მოხეტიალეს თავში აზრად არ მოსდიოდა, რომ უწყინარ, სუსტ არსებას შეეძლო კავშირი დაემყარებინა ეშმაკთან, რათა ასე ბოროტად ეხუმრათ მასთან.

მას შემდეგ თილი ერთხელაც აღარ უნახავს.

მისი ოჯახი სამხრეთ ოაზისში წავიდა ზაფხულის გადასატანად. ბარათი გაუგზავნა: „არ დაივინყო ჩვენი შეთანხმება. მამაჩემი დიდ ურვადს მოითხოვს! გელოდები“.

ოცნებობდა მის ჯოჯოხეთურად ტკბილ სხეულზე, წარმოიდგენდა მის მილულულ თვალებს, რომლებიც მეხსიერებაში ალებეჭდა.

საბოლოოდ გადაწყვიტა თვითონ წარემართა თავისი ბედი და გამდიდრებულიყო.

მიხვდა, განძის პოვნის სულ მცირე იმედიც არ არსებობდა, მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩა — ფარა გააორმაგოს, რომ საჭირო თანხის მიღება შეძლოს.

შორეულ ჩრდილოეთ უდაბნოში გაემგზავრა, იმედოვნებდა, მწვანე საძოვრები ეპოვა, ქორფა ბალახით. მაგრამ ბედმა, ამ სათამაშომ იბლისის? ხელებში, მხოლოდ დასცინა მათ და ბრძანა, რომ წვიმებს დაეტოვებინათ უდაბნო სწორედ იმ წელს, როცა მათი საბედისწერო შეხვედრა მოხდა. შვიდ გრძელ წელიწადს, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც კრიზისის წლები, განრისხებულმა უფალმა მიატოვა უდაბნო.

ღრუბლები გაიფანტა. წვიმები წავიდა.

ზეცამ გადაიყვარა ცოდვილი მინა, „დიდი შიმშილი“ დაიწყო, ასე მონათლეს უდაბნოს მცხოვრებლებმა ეს მძიმე წლები.

ბრძენთა ცი არ იცოდნენ, რომ ამ წყევლის საიდუმლო „ადამის“ და „ევას“ ქალწული ვადის ფსკერზე შეხვედრაში იმალებოდა.

მისი აჩრდილი ყველგან თან დაყვებოდა. ღამით სიზმრებში ეცხადებოდა. მუდმივად ხედავდა მის თვალებს, შეიგრძნობდა სხეულის თრთოლვას. სიზმარში ხედავდა, როგორ ცურავდა დიდ ტბაში, რომელიც ყოველთვის ქრებოდა, საკმარისი იყო მიახლოებოდა, მირაჟი აღმოჩნდებოდა. ეს სიზმარი ყოველდღამე ესიზმრებოდა, ხშირად ორჯერ-სამჯერაც კი.

მოგზაურობის პირველი წლის განმავლობაში მისთვის ნერვიულების წერა არ შეუწყვეტია.

ყოველთვის, როცა რომელიმე დასახლებაში მოხვდებოდა, ყურანის მცოდნეებს ეძებდა, მოისყიდდა მათ ქვამარლის ნატეხებით, სთხოვდა დაენერათ რამდენიმე წერილი, რომლებიც მხოლოდ თარიღით განსხვავდებოდა, და რომელშიც პირობას აძლევდა, იქნებოდა მათი შეთანხმების ერთგული, დაწეოდა წვიმას, იშოვიდა ფულს მზითვისთვის. შემდეგ გარბოდა მწყემსების, მოგზაურის ან ვაჭრის მოსაძებნად, რომლებიც თავისი ქარავანით ფუზანის ოაზისისკენ მიდიოდნენ. მათაც უმასპინძლებოდა ტურუნით და აიძულებდა თავიანთი ახლობლები დაეფიცათ, რომ ნამდვილად მიიტანდნენ მის გზავნილს ადრესატამდე.

პირველ წელს იღებდა პასუხებს, რომლებშიც თილი ამხნევებდა, ეფიცებოდა, რომ შეთანხმების ერთგული იქნებოდა და უცვლელად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს, რომლებიც ამ შიშველ უსასრულობაში ყოველ ჯერზე უღმობელად ჩანდა: „არ დაივინყო, მამაჩემი დიდ ურვადს მოითხოვს! მე გელოდები შენ“.

რაც უფრო შორს მიდიოდა წვიმა, მით შეუბრალებლად ექცეოდა ცა მიწას, მით იშვიათად მოდიოდა მისი წერილები. ბოლოს და ბოლოს მეხუთე წელს წერა შეწყვიტა.

იმ წელს სიცხემ ფარის დიდი ნაწილი გაანადგურა, ათი გაძვალტყავებული თხალა დარჩა.

მუხლებზე დაჩოქილი, უდაბნოში მიმოხეულ წმინდანთა უძველეს საფლავებს ხსნას ევედრებოდა. ერთხელაც მის წინ ადამიანი გაჩნდა, თმაგანწილი, დერვიშის ჩაცმულობით, რომელმაც დასავლეთისკენ მიუთითა, უთხრა, დიდი ხანი არ არის, რაც იქ იწინვითა.

როცა ჰამადას დასავლეთ მხარეს მიაღწია, კიდევ შვიდი თხა და ვაცი დაკარგა, მიხვდა, რომ ეს დერვიში ემპაკი იყო, ადამიანის სახიანი: მთელ ვადიში მიმოხეულიყო გამოშვებული აქლემები, თხები და ბატკნები, რომლებსაც წყურვილმა და სიცხემ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაშინ იამუნს სასო სრულიად წარეკვია.

მას „სიკვდილის ვადის“ ნაპირთან ჩაეძინა და ისევ ის სიზმარი ნახა: თილის დიდი, შავი თვალები, დალალებად დანუღლი თმა, ზღაპრული, უდრეკი სხეული დიდი ტბის წყალში. ნაბიჯი გადადგა წინ, მანძილი კი მხოლოდ გაიზარდა. ის გაიქცა, მაგრამ ზმანება გაქრა.

თვალები რომ გაახილა, თავთან მდგარი მოჩვენება დაინახა.

შავკანიანი წინასწარმეტყველი იყო. ჩრდილოეთიდან ბრუნდებოდა. მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა უხსოვარი დროიდან ცნობილ კანოს ჯადოქართა ემპაკისეული, მაგიური წყევლის დახმარებით. როცა მომთაბარე თავის ისტორიას მოუყვა, მან ტბაში შემოჰკრა და მზეზე მოელვარე ქვამარლის ნატეხის კნატუნით თქვა:

— რა ბრყივები ხართ, უდაბნოს მცხოვრებნი! რა უმეცარნი არიან თქვენი უხუცესები! ნუთუ შეიძლება ასეთ საქმეს ხელი მოჰკიდო და მსხვერპლი არ შესწირო?

იამუნმა სევდიანად უპასუხა:

— მთელი ნახირისგან მხოლოდ ერთი თხა და ერთი ვაცი დამრჩა.

— დაკალი თხა.

გაკეთა, როგორც უთხრეს. ჯადოქარმა იამუნს სისხლი წაუსვა და ჰაუსას³ ენაზე წარმართული შელოცვები წაუკითხა. შემდეგ კოცონი გააჩალა, ხორცი შეწვა და შეჭამა.

გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ მანამ, სანამ დილა გაიღვიძებდა, ვადი ნიაღვრის ისეთი გრუხუნითა და ღრიალით აივსო, როგორც დიად უდაბნოს უკვე საუკუნეებია აღარ ახსოვდა. გეგონებოდა, წვიმამ, რომელიც მთის მწვერვალებიდან ჩრდილოეთ ჰამადაზე მოდიოდა, უბინო დილასთან ერთად „სიკვდილის ვადიმდე“ მიაღწია.

წინასწარმეტყველი გაქრა.

იამუნმა ვერც კი მოასწრო გაეგო, რა მოხდა. ის ისევ თავის სიზმარს ხედავდა, რომელშიც ცდილობდა თილის დასწეოდა, მირაჟ-ტბაში მოცურავს. ვერც იმის დაჯერება მოასწრო, რომ ნიაღვარი გრუხუნით ხვეტდა ყველაფერს თავის გზაზე, რომელმაც ის და დარჩენილი თხა ჩაითრია. ტყუილად ცდილობდა რომელიმე ხეს მოჭიდებოდა, სწრაფი ნაკადით ფსკერისკენ მიექანებოდა, ყლაპავდა ტალახს და შავ ხოჭოებს, ეჯახებოდა გამოშვებულ მკვდარ ცხოველებს. მანამ, სანამ მარადისობაში ჩაიძირებოდა, უკანასკნელად დაინახა თილის აჩრდილი.

შავი ვაცი

1.

ნითელი ჰამადას⁴ უღელტეხილის გადაღახვას ხუთი დღე დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ხან წვიმდა, ხან სეტყვა მოდიოდა. მხოლოდ მაშინ გადაიღო, როცა ფუზანის უდაბნოს მივალნიეთ და საჰარას სიღრმეში შევედით. უცებ ჩავიკარგეთ ზულაფას უამრავ ბორცვსა და მალაღობს შორის. აბიბინებულ პალმები მთელ ჰორიზონტზე გადაჭიმულიყო.

ბურაკსა და საბჰას შორის, შუა გზაზე გაჩერება გადავწყვიტეთ. ძალიან ღამაზი დიუნები⁵ პალმებით იყო გარშემორტყმული, თუმცა ზამთარში არც ისე ღამაზია, როგორც სხვა დროს.

მზე ჩადიოდა, როცა აქლემებს უნაგირი ავხსენით. უკანასკნელი დღენახვერის შეუჩერებელი მსვლელობით ცხოველები ძალიან დაილაღნენ. მაშინვე შეშის შეგროვება დავიწყეთ. მსვილტანთან პალმასთან ახლოს, ქვიშიან ბორცვზე დიდი კოცონი გავაჩალეთ. ნითელი ჰამადას მხრიდან ჩრდილოეთის ქარები ცოტათი ჩანყნარდა, მაგრამ კოკისპირულად წვიმდა. სინოტივეს მოწყურებული ზულაფას ქვიშა ხარბად ისრუტავდა ყოველ წვეთს, სხვაგვარად ასეთ უზარმაზარ კოცონს ვერ გავაჩალებდით, რომელიც შორიდან შეიძლება ხანძარი გგონებოდათ — ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებით, საჰარაში ხშირი სიარულის გამო ვიცოდით. ისე გვინდოდა გავმთბარიყავით! მთელი ხუთი დღელადამის განმავლობაში, ვიდრე ნითელ ჰამადაზე მივდიოდით, კოკისპირული წვიმა არ შეწყვეტია. ისე დავსველდით, ძაფიც არ შეგვრჩენია მშრალი. მე და მამუნი, ფარვანებივით გარს ვუვლიდით კოცონს, ცეცხლი დაგვწავდა — მოვშორდებოდით, გაცივინებოდით — ისევ ცეცხლისკენ მივიწვევდით...

მამუნი, ნაკვერჩხალზე პურის გამოცხობის ცნობილი ოსტატი, როგორც ყოველთვის, პურის ცხობას შეუდგა. ცოტა რომ გავთბი, შევამჩნიე და მამუნს ვუთხარი:

— შეხედე! ზეცა ნიაღვარს იქ ჩამოაქცევს, სადაც საჭირო არ არის. სადაც საჭიროა, წვეთზეც კი ძუნწობს... ნითელ ჰამადაზე თავსხმავა, თოვლიც მოდის, ზულაფი კი მუდმივად წყურვილისგან იტანჯება.

მამუნმა ფქვილი აიღო, ჯამში წყალი ჩაასხა და ცომის ზელა დაიწყო — უყვარდა ცხობა, განსაკუთრებით თავისი „ნაკვერჩხლის“ პურის, საჰარაში. ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— დიახ, ცხოვრებაშიც ასე ხდება...

გაჩუმდი. სიტყვა არ მითქვამს მისთვის იმ დროიდან, რაც ზულაფის ქვიშებზე დავეშვით. ამან, ეტყობა, დათრგუნა და თითქოს აპროტესტებდა, მორიდებით ამბობდა:

— ალაპი მოწყალეა, ვერაფერს იტყვი. ალბათ ამაში სიბრძნე იმალება, რაც ჩვენთვის მოუწევდომელია, იმიტომ, რომ ალაპის ნება არ არის!

ამ სიტყვებში ყრუ, გულში ჩამარხული ტკივილი მომეჩვენა... ისევ არაფერი ვუპასუხე. კბილი კბილს დავაჭირე, სველი, სინესტიგან დამძიმებული ქვიშის თხრა დავიწყე. ღრმა ორმოს ვთხრიდი, რომ, ბოლოს, წვიმისა და სიცივისაგან თავი შემიფარებინა. თითქოს საფლავს ვითხრიდი. და უცებ ხელით დოქს წავანყდი. ამასობაში მამუნი მგ ზნებარედ ამბობდა:

— ყველაფერი, ყველაფერი ჩრდილოეთს აქვს, — წვიმაც კი. საპარას რა ერგება ჩრდილოეთიდან? აი, ეს თავსხმა... აი, შენ განსწავლული ხარ, ევროპაშიც ყოფილხარ და ამერიკაშიც, მითხარი, ეს სამართლიანია?

ის იყო პასუხისთვის მოვემზადე, რომ დამემშვიდებინა, დამეცხრო მისი სულის მტანჯველი ტკივილი, მაგრამ სული შემეხუთა: დოქი! უფრო ღრმად დავიწყე თხრა, ამოვთხარე ზედა ნაწილი. შემდეგ ყელის გარშემო დავიწყე ნიჩბის მოსმა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. სუნთქვა მეკვროდა. ჯერ კიდევ ბებია, დედა და მამა, ისე, სხვათა შორის, მაგრამ ხშირად ყვებოდნენ ჩამარხული, ოქროთი სავსე თიხის დოქის შესახებ. საქმეს ყოველთვის ერთი რამ აფუჭებდა, — დოქი ყოველთვის იშლებოდა და ქრებოდა... ეს კარგად მახსოვდა... და აი, ისიც აი — პირდაპირ, ცხვირწინ! საუნჯე! განძი! უძველესი, ისტორიული! მილიონერი გავხდები! ალაპმა დამასაჩუქრა საპარას ერთგულებისთვის! ქვიშა ამოვთხარე, ორივე ხელით ავიტაცე დოქი, — დროისგან დახეთქილი, ჩამუქებული. იმდენი მსმენია დიად საპარაში ჩაფლული ოქროთი სავსე დოქების შესახებ. და აი, — ჩემ წინაშეა, ხელში მიჭირავს... შოი, საოცრება!

მამუნის ყვირილმა რეალობაში დამაბრუნა:

— სასწრაფოდ შავი ვაცი უნდა ვიპოვოთ! ალაპ, ალაპ! განძი! შევბრუნდი და ვუთხარი:

— რა შავი ვაცი?!

— სისხლი უნდა დავეღვროთ, შავი ვაცის სისხლი... აუცილებლად!

ბებიის მონაყოლი გამახსენდა ოქროს დოქების შესახებ. მამუნს დავუძახე და დანაწილებით ვკითხე:

— სად უნდა ვიპოვოთ ვაცი ამ უდაბნოში?... დოქი კოცონთან დავდე. გავარჯერებულ ქვიშაზე პური ცხვებოდა, ჩაიდან დულდებოდა. ჩემმა შეკითხვამ მამუნი საგონებელში ჩააგდო. გაჩუმდა, რალაცას გააზრებას ცდილობდა... მაგრამ რა შეიძლება გააზრო, როცა გვერდით ოქროთი სავსე დოქი გიდგას?! მამუნი მომიახლოვდა, როცა დოქის ყელიდან ქვიშის ჩამონწენდა დავიწყე და თქვა:

— ჩვენ არ ვიცით, არის კი აქ ოქრო?... ახლოს მოვიდა და ჩურჩულით ალაპარაკდა, მღელვარებისგან ენას უკიდებდა: — იქნებ ვაცი მოგვეძებნა... აქ ზულაფში სადმე მწყემსს წავანყდებით... ქვიშას ვწმენდი, ვიდრე თითები ჩამუქებულ კორპს შეეხებოდა. დოქი მძიმე იყო!

შევეცადე კორპი ისე ამომეძრო, მამუნისთვის არ შემეხედა. კორპი არ მემორჩილებოდა, — ჯანდაბა, მაგარია, თუმცა დოქი დაბზარულია... ალბათ, იმიტომ, რომ დოქი ამდენი წელი იდო საპარას წიაღში...

დანა ამოვიღე, გადავწყვიტე დოქის მთლიანობა დამერღვია! იმედი იზრდებოდა... გავგიჟდი. წარმოსახვაში ოქროს ზოდები მესხატებოდა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ზღაპრული, ჯადოსნური ზოდები, ალაპისა და საპარას სულთა საჩუქარი — და ეს ყველაფერი მე, მე ერთს! — უფლის წყალობა! ალაპ, დამიფარე და შემინყალე!

როგორც იქნა, გავხსენი საცობი. ოქრო დავინახე, ნამდვილი ოქრო, კამკაშებდა, კოცონის შუქზე ბზინავდა, თვალს ჭრიდა!

ოქროს ზოდები და არა ნატეხები... თვალს ახარებდა! მამუნისკენ შევბრუნდი, მის თვალელებში სიხარბე ჩაბუდებულიყო. სხვა მტკიცებულება საჭირო აღარ გახლდათ — ეს ნამდვილად ოქრო იყო!

ჩაიდანში წყალი ჩაშრა, დამწვარი ჩაის სუნი დადგა, მაგრამ ჩვენ ჩაის თავი არ გვექონდა... მამუნმა ოქროს გადმოსაყრელად ქვიშაზე საბანი გაშალა. წვიმა შეწყდა, აქლემებმა ცოხნას თავი დაანებეს. ეს გაელვება მესხიერებაში ჩამებეჭდა. ისეთი სიჩუმე იდგა, ყურები მტკიოდა. მამუნი არათანაბრად, გამალებით სუნთქავდა... ოქროს ძალაუფლებას საზღვრები არ გააჩნია.

საბანზე ოქრო წკრილით იყრებოდა და ბოლოს მბრწყინავი გროვა წარმოიქმნა. დოქი... დოქი უცებ ხელში ჩამეშალა და ოქროს ჯადოსნურ გორაკთან ნატეხები დაცვივდა.

მამუნმა მრავალმნიშვნელოვნად შემოიხედა. მე მზერა ავარიდე, მხოლოდ ოქროს ვუყურებდი.

მამუნმა ოქრო საბანში გამოკვანდა და საპალნე ტომარაში ფრთხილად ჩადო. შვებით ამოვისუნთქეთ. ჩაი ჩაშრა და დაინვა. პურიც დაინვა.

მზის ამოსვლამდე ავდექით. მამუნი გაორმაგებული ძალით შეუდგა ცომის ზელას — წინაღობით არაფერი გვიჭამია.

მე შემის შესაგროვებლად წავედი, ცოტა ხანში, როცა დავბრუნდი, შევამჩნიე, რომ მამუნი მოლუშული იყო. რალაც მოხდა — ეს მამუნის კარგად ნაცნობ მზერაში წავიკითხე. რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ გადაწყვიტა. გააფთრებული განაგრძობდა ცომის ზელას... ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი. უცებ მის ფეხებთან, ქვიშაზე, კვანძად შეკრული საბანი დავინახე. შეშლილივით დავეტაკე, შემეშინდა, გული არ გამჩერებოდა. გავხსენი... საბანში ოქროს ნაცვლად ფერფლის გროვა იდო!..

2.

— როცა დოქი გახსენით, ოქრო ფერფლს არ ჰგავდა? — იკითხა შეიხ გუმამ.

— არა! — ნამოვიძახე მე. — ნამდვილი ოქრო იყო! მე ხომ ვნახე! კამკაშებდა, ბზინავდა...

შეიხმა არ დამამთავრებინა:

— რას იზამ... ესე იგი, ნამდვილად ოქრო იყო, — წარმოთქვა სრულიად მშვიდად.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ ოაზისის ჭრიჭინების ჭრიჭინი არღვევდა.

— გამოდის, შავი ვაცი იყო საჭირო? — ვკითხე პირდაპირ, ქარაგმის გარეშე.

მოხუცმა ჩაახველა და რატომღაც ხმას ისე დაუნია, ძლივს გავიგონე:

— ასე ამბობენ... მაგრამ ოქროს დიდებულ საპარაში ჩვეულეზრივ ისეთ ადგილებში პოულობენ, სადაც ვერც შავ, ვერც თეთრ ვაცს ვერ ნახავ. ეს ყველაფერი ზღაპრებია...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ჩაიდანის თუხთუხებდა. ბოლოს შეიხმა თქვა:

— თუ ოქრო ნამდვილი იყო და ფერფლად გადაიქცა, ესე იგი, ერთ-ერთი თქვენგანი ცოდვილია...

ასეთი განცხადებით განცვიფრებული, მუხლებში თავჩარგული ვიჯექი. მე, ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსული... უცებ მამუნი ალაპარაკდა, გააფთრებას არ მალავდა:

— და ვინ? ვინ არ არის ჩვენს შორის ცოდვილი შეიხ გუმამ? თქვი!

დიდხანს ვიყავით ჩუმად. სიჩუმე მტანჯველი იყო. ამიტომ გონებაში კარგად ჩამებეჭდა, რა უპასუხა შეიხმა:

— შენ მართალი ხარ! — და დაჟინებით შემოგვხედა თვალებში, ჯერ მე, შემდეგ — მამუნს.

არაბულიდან თარგმნა ირმა მახარაძე

1. მდინარის დამშრალი კალაპოტი არაბეთის ნახევარკუნძულსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, რომელიც მხოლოდ ძლიერი წვიმების დროს ივსება წყლით.
2. ეშპაკი.
3. დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ხალხის ენა.
4. უდაბნო ლიბიაში.
5. ქარის შექმნილი ქვიშის ბორცვი.

ნინო დეკანოიძე

„პაპირი ქართულად“

(ნარმატივული პროექტი)

გამომცემლობა „ინტელექტი“ 26 მაისს უცხოელ სტუმრებს ელოდნენ. სამზადისი, როგორც ამნაირ დროს შეეფერება ხოლმე, გახლდათ ცოტათი ეიფორიული... ეგებებოდნენ ევროპელ ქალბატონს, განთქმული სერბი მწერლის მილორად პავიჩის ქვრივს, თვითონაც პოპულარულ პროზაიკოსს, **იასმინა მიხაილოვიჩს**, ვისი სამოგზაურო ჟანრის წიგნი „ხაზართა ზღვის ნაპირებზე“ სახელდახელოდ ითარგმნა ქართულად ქეთევან ყანჩაშვილის მიერ, რასაკვირველია, „ინტელექტისავე“ დაკვეთით.

რაც შეეხება პროექტს, „პავიჩი ქართულად“, ლამის ელვისებურად რომ განახორციელა ამავე გამომცემლობამ და მკითხველს თანმიმდევრულად მიანოდა სანიმუშოდ გამოცემული ექვსი წიგნი (მთარგმნელები: გურამ გოგიაშვილი, ელზა მეტრეველი და სალომე ბენიძე) ნამდვილად გახლავთ თავმოსანონებელი... და აი ასეთ ორმხრივად სასიამოვნო შთაბეჭდილებებით და ხალისითაც აივსო ფოიე, სადაც სტუმარ-მასპინძელნი წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე.

იასმინა მიხაილოვიჩთან ერთად, გამომცემლობა „ინტელექტი“ სტუმრობდა მისი ლიტერატურული აგენტის **სტეფანო ბიზანი**, რომელსაც თავის მხრივ, განუზრახავს, უახლოეს მომავალში, ათარგმნინოს იტალიურად, თანამედროვე ქართველ მწერალთა წიგნები და გზა გაუხსნას ე.წ. ევროპულ ბაზარზე.

„ინტელექტთან“ მის მეგობრობას კი საფუძველი რომში ჩაყარია, რამდენიმე წლის წინათ. იქ, ყველა გზის გადაშვებით დედაქალაქში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, **გვანცა ჯობავას** ქართული გამომცემლობის საქმიან წარმომადგენელს შესთავაზა რა ურთიერთთანამშრომლობა, ერთობლივი პროექტი „პავიჩი ქართულად“ განხორციელებულ საქმედ დაგვირგვინდა.

ახლა კი გამომცემლობა „ინტელექტი“ იასმინა მიხაილოვიჩი ევროპელისათვის გამოეცხადებოდა ღიმილით, უშუალოებითა და ცნობისმოყვარეობით გამოელაპარაკა საგამომცემლო გუნდის თითოეულ წევრს — გამომცემლობა „ინტელექტის“ მესვეურს **კახმე კუდავას**, მთავარ რედაქტორს **ზვიად კვარაცხელიას**, მთარგმნელებს — **გურამ გოგიაშვილს**, **ქეთევან ყანჩაშვილსა** და **სალომე ბენიძეს**. პროექტზე ყოველ მომუშავეს, სახელდებით, გამოუცხადა მადლობა.

მოიხიბლა რა საგანგებოდ გამოფენილი „ქართული პავიჩით“, თქვენ წარმოიდგინეთ, იასმინა მიხაილოვიჩმა თარჯიმნის დაუხმარებლად უშეცდომოდ ამოიცნო თითოეული წიგნის

დასახელება გარეკანის ორიგინალური და მისადაგებული გაფორმებით. აღფრთოვანებულმა გადაუხადა მადლობა დიზაინერ **თონა ფანიშვილს**. სტუმარმა განსაკუთრებულად გაიოცა ორიგინალურად და დიდებულად დაბეჭდილი „ხაზართა სიტყვისკონის“ გამო. დაუფარავად განაცხადა, რომ არცერთ ქვეყანაში, სადაც პავიჩის ეს რომანი უთარგმნიათ, ასეთი ჩინებულად გამოცემული წიგნი მისთვის არ დაუხვედრებიათ.

რასაკვირველია, იყო საუბარი საგამომცემლო საქმიანობაზე, მილორად პავიჩის ხასიათის თავისებურებაზე, მუშაობის სტილზე, თქვენ წარმოიდგინეთ იქეთურ-აქეთურზეც და ჩვენი მხრიდან, 60-70-იანი წლების ესტრადის იუგოსლაველი ვარსკვლავების რადმილა კარაკლაიჩისა და ჯორჯ მარიანოვიჩის ახლანდელი ბედი-თაც დაინტერესდნენ.

მეტად გულახდილმა და ენაწყლიანმა სტუმარმა ქალბატონმა ახალგაზრდების თამამ შეკითხვებსაც უპასუხა. ქმართან ერთად გატარებულ მისთვის მეტად ძვირფას წლებზეც ისაუბრა, შემოქმედთა ოჯახის ინტერეირი ზომიერი გულახდილობით წარმოაჩინა, ხალისიანდაც და სევდიანდაც... ისე რომ გულაჩუყებულმა ჩვენმა ღვანცამოსილმა პუბლიცისტმა და პავიჩის ჩინებულად მთარგმნელმა, გურამ გოგიაშვილმა, თარჯიმანს,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **ლალი კერესელიძეს**, — ვინც თავიდან ბოლომდე აკადემიური პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მისთვის მინდობილ საპატიო მისიას — ახლობლურად გადაულაპარაკა, ეგება გააგებინო, მეც რომ ქვრივი ვარო... თხოვნა, რასაკვირველია, ბატონ გურამს უმაღლეს უმუსრულდა და შეიმჩნა, ქალბატონ იასმინასაგან იუმორი შორს არ იყო...

გახანგრძლივებული შეხვედრის ბოლოს გვანცა ყობავამ ორიგინალური ქართული სუვენირები უძღვნა სტუმრებს. ცხადია, ამ ერთი შეხვედრით არ მოთავებულა სტუმარ-მასპინძლობა.

მეორე საღამოს თუმანიშვილის სახელობის მსახიობთა თეატრში საგანგებო საფორტეპიანო კონცერტით წარსდგა საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი ქეთევან ჩქარტიშვილი. ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და სამემსრულებლო მონადინებით მან თანაბრად მოხიბლა არა მარტო ევროპელი სტუმრები, არაბი გამომცემლებიც, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალში რომ იღებდნენ მონაწილეობას და როგორც ჩანს, „ინტელექტთანაც“ გაუბამთ მეგობრობა. გამოირჩეოდნენ ქართული ელიტის თითო-ოროლა წარმომადგენელიც, საგანგებოდ რომ მიეპატიჟებინა ამ სასიამოვნო საღამოზე.

სერბი მწერლის და მისი ლიტერატურული აგენტის პატივსაცემად სხვადასხვა ღონისძიება დაეგმილი გახლდათ მომდევნო დღეებში. მართალია, მათ იქ ველარ გავნდით, მაგრამ გამოვიკითხეთ ამბავი და როგორც იტყვიან ხოლმე ასეთი ვითარებისას, ყოველივემ მაღალ დონეზე ჩაიარა.



ქართველი მისიონერი ინდოეთში

ამ უცხო მხარეში ბუნებაც უჩვეულო იყო, ხალხიცა და მისი ადათ-წესებაც. სახტად დარჩენილი შეჰყურებდა ქართველი კაცი, თუ როგორი ზარ-ზეიმით წაასვენეს მიცვალებული ტრიალ მინდორში, მაგრამ საფლავი როდი გაუთხრიათ მისთვის, შიშველ მიწაზე დააგდეს მცეტა და ფრინველთა საჯიჯგნად, დააგდეს და ვითომც არაფერიო, უკან გამობრუნდნენ.

კათოლიკე მისიონერებმა მშვიდობით გაიარეს ირანი და უკვე ინდოეთში იმყოფებოდნენ. იქაურნი თავყვანს სცემდნენ ცეცხლს, გველებსა და ხეებს, ქვეყანას კი მაჰმადიანები განაგებდნენ.

წინ კიდევ გრძელი გზა ელოდათ: ახალი ქვეყნები და ხალხები, ბუნების ათასგვარი სასწაულები. მისიონერებს ინდოეთიდან ჩინეთამდე უნდა მიეღწიათ და ქრისტიანული სარწმუნოება ექადაგათ. მათ შორის იყო ქართველიც კაციც — დემეტრე ტფილელი.

დემეტრე ტფილელის ვინაობა სავესებით უცნობია ქართული წყაროებისათვის. ჩვენს „ქართლის ცხოვრებას“ ხომ მეფეთა ცხოვრება უფრო ეთქმის, როგორც ბრძანებდა დიდი ილია, და ერთ უბრალო ქართველს, კათოლიკე მისიონერსა და მოგზაურს, იქ ვინ გააჭაჭანებდა! სამაგიეროდ, მისი სახელი დაბინავებულია სახელგანთქმული მოგზაურების ოდორიკო პორდენოსის და ჟურდენის და სევერუსის თხზულებებში, რომელთა პოპულარობა უსაზღვრო იყო შუა საუკუნეთა ევროპაში. ვრცელდებოდა აურაცხელი ნუსხები, ლათინურ დედანთან ერთად — თარგმანები იტალიურსა და ფრანგულ ენაზე. ოდორიკოსა და ჟურდენის თხზულებებს ისევე ხარბად კითხულობდნენ, როგორც დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიას“ და ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონს“.

სხვათა შორის, ჟურდენი საქართველოშიც არის ნამყოფი. იგი შენიშნავს, „გეორგია“ ყველაფრით ჩვენს ქვეყანას ჰგავს, ყველანი ქრისტიანები არიან, ძალზე მამაცნი და შეუპოვარნიო.

1320 წელს ჟურდენთან ერთად ჰორმუზში ჩავიდნენ ფრანცისკანთა ორდენის მისიონერები: ტომაზო ტოლენტინო, ჯაკომო პადუელი, პიეტრო სიენელი და დემეტრე ტფილელი — „წარმოშობით ქართველი, ენების მცოდნე“, როგორც აღნიშნავს თავად ჟურდენი.

ვინ იყვნენ ფრანცისკანი მისიონერები, რით გამოირჩეოდნენ სხვათაგან, რას ეძებდნენ შორეულ ინდოეთსა თუ ჩინეთში და საიდან მოხვდა მათ რიგებში ქართველი კაცი? ამ კითხვებს ორიოდე სიტყვით მაინც უნდა გავცეთ პასუხი.

ფრანცისკანთა ორდენი დაიბადა 1223 წელს. მისი ფუძემდებელი გახლდათ ფრანჩესკო ასიზელი.

ფრანჩესკო, საყოველთაო აღიარებით, ყოფილა უჩვეულოდ მომხიბლავი პიროვნება, მგზნებარე მეოცნებე, მაღალი და კეთილშობილი სულით დაჯილდოებული კაცი. იტალიური პოეზიის მშვენიერად არის მიჩნეული ჩვენს დრომდე მოღწეული მისი ერთადერთი ლექსი, სადაც ავტორი თავის დაძმებდა მოხსენიებს მზესა და მთვარეს, ქარსა და ვარსკვლავებს, სიცოცხლესა და სიკვდილს.

აი, რას წერდა ქართული სიტყვისა და სულის მესაიდუმლე გრიგოლ რობაქიძე: „მთელი ლათინური ევროპა ამაყობს ფრანსის ასიზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა ოცი სტრიქონი. ამ სტრიქონებიდან იტალიელებს გამოჰყავთ მთელი იტალიური პოეზია. განსაკუთრებით უყვარს ეს სტრიქონები დ'ანუნციოს. რასაკვირველია, მარტო ამ ოცი სტრიქონისათვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცარი. იგი ბავშვია და თან ბრძენი. იგი „ჩიტის გულშია“ გადა-

სული და ცოცხლობს ჩიტის გულით. იგი ბუნების ძალთა მხილველია და მათი დამურეველი (ხოლო — არა ძალადობით). საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ ქართველმა იმავე წამს მინდია გაიხსენოს. და მართლაც: მინდია იგივე ფრანსის ასიზელია. მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების“.

აი, ასეთი ჯადოსნური პარალელები ემარჯვებოდა დიდებულ ქართველ მწერალს. ლეთიკურთხეული კალმით მოხაზა კონტურები ოდინდელი სულთა კავშირისა და საოცნებო ერთობისა, დღესაც რომ გვწყურია და გვენატრება.

ფრანჩესკო ასიზელი ქადაგებდა მინიერ ცდუნებათა გამობას, მშვიდობას კაცთა გულებში და მთელ ქვეყანაზე, ჭეშმარიტ ძმობას და მეგობრობას. მას გულწრფელად სწამდა, რომ ადამიანის ტყავში გამოხვეული მგლები, თუკი ყურს ათხოვებდნენ ღვთის სიტყვას, უმაღვე უმანკო კრავებდა გადაიქცეოდნენ და ეშმას მანქანებით მოხვეჭილ სიმდიდრეზე უარს იტყოდნენ. თავად ფრანჩესკო, შვილი შეძლებული ვაჭრისა, საშინელ სიღატაკეში ცხოვრობდა. სიღატაკე მისთვის თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ფრანჩესკოს ეძახდნენ „მეორე ქრისტეს“ და ესოდენ თამამი შედარება მართალთა თვალში არავითარ მკრეხელობად არ გამოიყურებოდა. ეს ასახულია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ფურცლებზე. გენიალური იტალიელი პოეტის სიტყვით, ფრანჩესკომ ცოლად შეირთო „ქალბატონი სიღატაკე“, ვისაც კარგა ხნის წინათ წაართვეს პირველი ქმარი (იგულისხმება იესო ქრისტე), და ფრანჩესკოს გამოჩენამდე სიყვარულს ველარ ელირსაო. იქვე აღწერილია, თუ როგორ უქადაგა ფრანჩესკომ ქრისტეს რჯული „ზვიად სულტანს“ (ეს გახლავთ ისტორიული სინამდვილე. 1219 წელს, როდესაც ჯვაროსნები უტყევენდნენ დამიეტას, ნავსადგურს ეგვიპტის სანაპიროზე, ფრანჩესკო ასიზელი ეწვია ეგვიპტის სულტანს ალ-ქამილს. იგი ჯვაროსანთა ელჩი ეგონათ და სათანადო პატივით მიიღეს. მაგრამ როცა გაირკვა, რომ ევროპელი სტუმარი მაჰმადიანთა „მეცოდმებს“ ამხილებდა, კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს. ისევე „ზვიად სულტანს“ მოუღება გული, მოთმინებით უსმინა ფრანჩესკოს ქადაგებას და უფნებლად გაისტუმრა ჯვაროსანთა ბანაკში).

რომის ეკლესიისათვის შავ ჭირზე უფრო სახიფათო იყო იდეები ფრანჩესკო ასიზელისა. იგი ხომ გამოდა ყოველგვარ სიმდიდრეს და, რასაკვირველია, ეკლესიის სიმდიდრესაც. მიუხედავად ამისა, რომის პაპმა ქადაგების ნება დართო ფრანჩესკოს, ოღონდ ფხიზლად ადევნებდა თვალყურს. მალე დაარსდა ფრანცისკანთა ორდენიც, რომელიც ფრანჩესკოს სიკვდილის შემდეგ ეკლესიის კონტროლქვეშ მოექცა. მაგრამ კიდევ დიდხანს ცოცხლობდა ფრანცისკანებში ფრანჩესკოს ანდერძი — ჰყვარებოდათ მისი „მეუღლე“. ფრანჩესკოს მიმდევართ, სიღატაკესთან ერთად, თავისუფლებაც უყვარდათ და ხშირად ინვეგდნენ რომის პაპის უკმაყოფილებას.

სწორედ ზემოხსენებული ტომაზო ტოლენტინო, ხანდაზმული თანამგზავრი ჩვენებური დემეტრე ტფილელისა, მიეკუთვნებოდა ე.წ. სპირიტუალთა მიმდინარეობას, რომელიც იცავდა აბსოლუტური სიღატაკის აღთქმას და მიმართული იყო ფრანცისკანთა ორდენის ზედა ფენების წინააღმდეგ. სპირიტუალები ძირს უთხრიდნენ რომის პაპის ავტორიტეტს. მემბოხეთ თავს დაატყდათ სასტიკი რეპრესიები. მაშინ სპირიტუალთა უმრავლესობამ მოწინაინების გზა ამჯობინა. მხოლოდ ოთხი მათგანი არ შემდრკალა, რომელთა შორისაც იყო ტომაზო ტოლენტინო. ურჩ ბერებს მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება აპენინის მთების მიყრუებულ მონასტრებში. თორმეტი წლის შემდეგ იქიდან გამოითხოვეს და კილიკიაში უკრეს თავი. კილიკიის სომეხთა მეფემ გულთბილად მიიღო ისინი და თავადაც მუყურთდა ფრანცისკანთა ორდენს. რომის ეკლესია კი განაგრძობდა სპირიტუალთა დევნას. ტოლენტინოსა და მის თანამოაზრეებს წილად ხვდათ გაუთავებელი დაკითხვები. ინკვიზიციამ მათ ახალი ბრალდება წამოუყენა — ლომბარდიაში მომხდარი სახალხო აჯანყების ბელადთან კავშირი. ბოლოს და ბოლოს, ტოლენტი-

ნო აღმოსავლეთში გაემგზავრა, მაგრამ იქაც იმყოფებოდა რომის პაპისა და ორდენის აგენტთა მეთვალყურეობის ქვეშ.

ფრანცისკანთა ორდენმა, დაარსების დღიდანვე, მიიღო მონაპოვლია ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაზე აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისიონერთა კადრებს გულმოდგინედ ამზადებდნენ სირია-პალესტინის კათოლიკურ მონასტრებში. ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებს, აცნობდნენ აღმოსავლეთის ნაირნაირ რელიგიურ კულტებს. თქვენ წარმოიდგინეთ, წვრთნიდნენ ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებაში. ისინი მიდიოდნენ ელჩებად მონღოლთა ყაენებთან, ეგვიპტის სულტნებთან, ბაღდადის ხალიფებთან, მაჰმადიანური სირიის ამირებთან.

ფრანცისკანთა ორდენის წევრები იყვნენ პლანო კარპინი (რომის პაპის ელჩი მონღოლებთან) და გიომო რუბრუკი (საფრანგეთის მეფის ელჩი იმავე მონღოლებთან), რომელთა ჩანაწერები ძვირფას საისტორიო წყაროებს წარმოადგენს (სხვათა შორის, პლანო კარპინის „ისტორია მონღოლთა“ ქართულადაც არის თარგმნილი).

ზემოხსენებული ოდორიკო პორდენონეს ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ მან აღმოსავლეთში ოცი ათასი სარკინოზი მონათლა. მკვლევართა აზრით, ეს მოცლილი ფანტაზიის ნაყოფია. ოდორიკოს თხზულებაში ამის მსგავსი არაფერი გვხვდება. მისი თხრობიდან აშკარად ჩანს, რომ მისიონერი მოგზაურობითა და უცხო ქვეყნების აღწერით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე ქრისტიანული რჯულის პროპაგანდით.

კათოლიკე მისიონერები საქართველოში გამოჩნდნენ XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში.

რუსუდან მეფე დახმარებას ითხოვდა რომის პაპისგან, რათა მონღოლთა უღელი გადაეგდო ქვეყანას. მაგრამ რომიდან, მხედართა ნაცვლად, ბერებს გზავნიდნენ, ხოლო მონღოლთა სახით მოკავშირეს უფრო ხედავდნენ მაჰმადიანურ სამყაროსთან საბრძოლველად, ვიდრე მოსისხლე მტერს.

მისიონერებმა მალე მონასტერიც დააფუძნეს თბილისში, სწავლობდნენ ქართულ ენას, ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, ხელს უწყობდნენ საქართველოს კონტაქტებს დასავლეთ ევროპასთან.

დემეტრემ, ეტყობა, თბილისშივე მიიღო კათოლიკობა, შემდეგ კი თარჯიმნად გაჰყვა შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებულ ფრანცისკანებს.

მისიონერებმა ჰორმუზიდან ჩინეთისკენ აიღეს გეზი, მაგრამ მძვინვარე ქაროშხალმა მათი ხომალდი სხვა მხარეს მიაგდო და იძულებული გახდნენ ნაპირზე გადასულიყვნენ ინდოეთის ქალაქ თჰანამში. ოდორიკოს სიტყვით, ეს ქალაქი საუცხოო ადგილას იყო გაშენებული და იქ უხვად იმოვებოდა პურიც და ღვინოც.

ქალაქის მოსახლეობის მცირე ნაწილი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა. მისიონერებმა ერთი ქრისტიანის სახლში ჰპოვეს დროებითი თავშესაფარი და გზის გასაგრძელებლად ემზადებოდნენ, მაგრამ ბრმა შემთხვევამ მკვეთრად შეაბრუნა მათი ბედი. ერთ მშვენიერ დღეს სახლის პატრონმა ჩხუბი აუტეხა თავის ცოლს და მაგრადაც გადალახა. მეორე დღითვე ქალი საჩივრით მიადგა ქალაქის ყადის (ანუ მსაჯულს), რომელმაც მომჩივანს მოსთხოვა, ინციდენტის მონაწილე წარმოიდგინეო. ქალმა უყოყმანოდ დაასახელა თავისი მდებარეობა. დემეტრე ტფილელი და მისი იტალიელი თანამგზავრები სასწრაფოდ იხმეს სასამართლოში.

ოდორიკო პორდენონესა და შურდენ დე სევერაკის მიხედვით, მაჰმადიან მსაჯულსა და მისიონერებს შორის მალე რელიგიურმა დისპუტმა იფეთქა. მისიონერები თავგამოდებით იცავდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ყადი აყვირდა: „მუჰამედზე რაღას იტყვი?“ მისი ოპონენტები თავს იკავებდნენ, მაგრამ ყადი არა ცხრებოდა და კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს. მისიონერებსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, ტომანო ტოლენტიწომ დიპლომატობას თავი ანება და მსაჯულს მოკვლად მოუჭრა, მუჰამედი შვილია ეშმაკისა და მისი ადგილი, ყველა მაჰმადიანთან ერთად, ჯოჯოხეთში არისო.

დისპუტი ამით გათავდა. მისიონერები გათოკეს და ქალაქის მოედანზე, მცხუნვარე მზის ქვეშ, დაყარეს. ისინი ლოცულობდნენ და მხნეობას არ კარგავდნენ. შემდეგ ყადის ბრძანებითა და ქალაქის მელიქის (ანუ გამგებლის) დასტურით კოცონი დაინთო და „ურჯულოები“ საჯაროდ დანვეს. ეს მოხდა 1321 წლის 9 აპრილს (ქალაქი თჰანა, მისიონერთა ჩასვლამდე რამდენიმე წლით ადრე, დაიპყრო დელის მაჰმადიანურმა სასულტნომ. სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული მომხდარი ტრაგედია, ვინაიდან მაჰმადიანი გამგებლები გაცილებით მკაცრად ეპყრობოდნენ ქრისტიანებს, ვიდრე ინდოისტი გამგებლები).

ოდორიკო და შურდენი ვრცლად აღწერენ მისიონერთა მიერ მოხდენილ სასწაულს — ცეცხლიდან უვნებლად გამოსვლას. რომელ ვერსიას უნდა ვენდოთ: მოედანზე გაჩაღებულ კოცონში ამოხადეს სული მისიონერებს თუ იმავე ღამით დააჭრეს თავები ქალაქის გარეუბანში? ბოლო მაინც ერთი იქნებოდა. ოდორიკოსა და შურდენის მიერ აღწერილ სასწაულს აღარ შეეძლო სასიკვდილოდ განწირულთა ხსნა. ცეცხლში დანვას გადაარჩენილნი ბასრ ხმალს ველარ გაექცეოდნენ.

აი, რა მომხდარა მერე:

ქალაქ თჰანას მელიქს ძილში გამოეცხადნენ წამებული მისიონერები, ხელში ელვარე ხმლები ეჭირათ და აკუნვას უპირებდნენ. მელიქმა დაიღრიალა და გამოეღვიძა. მაგრამ ცხადში უარესი განსაცდელი ელოდა. დელის სულტანმა დაიბარა მელიქი და ჰკითხა, ღვთისმსახურნი ასე მკაცრად რატომ დასაჯეო? მელიქმა მიუგო: „მე დავხოცე ისინი იმიტომ, რომ ჩვენი რჯულის დამხობას ლამობდნენ და ალაჰის მოციქულს ლანძღავდნენ“. მაშინ სულტანმა მრისხანედ მიმართა მელიქს: „უსასტიკესო ძალო, როდესაც იხილე, რომ უფალმა უვნებლად გამოიყვანა ისინი ცეცხლიდან, მისი განაჩენის გაუქმება როგორღა გაბედე?“ მელიქი, სულტნის ბრძანებით, ნაკუნ-ნაკუნ აჩეხეს. აუხდა სიზმარი! ყადიმ ეს ამბავი რომ შეიტყო, თავზარი დაეცა და გაქცევით უშველა თავს. სულ გადაიკარგა დელის სასულტნოდან.

ოდორიკო და შურდენი თავის ნაწერებში ასე გაუხსნოდნენ ქალაქ თჰანას მელიქსა და ყადის. ასე მოიკლეს შურისძიების წყურვილი.

როდესაც შურდენი ჩავიდა თჰანაში, იქ ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ვნებათაღლევა, გამოწვეული დემეტრე ტფილელისა და მისი იტალიელი თანამგზავრების სიკვდილით დასჯით. ასე რომ, შურდენიც ბენჯზე გადაურჩა სიკვდილს. იგი მოგვიტხრობს: „დავრჩი ამ ქალაქში მარტოდმარტო და ორნახევარი წელიწადი დავეხეტებოდი მეზობელ მხარეებში, მაგრამ მაინც ვერ ველირსე წამებულის გვირგვინს“.

მისიონერი ჯერ მეკობრეებს დაუტყვევებიათ და დიდი ტანჯვა-წვალება გამოუვლია. მერე მაჰმადიანებს ჩაუგდიათ დილეგში. „მათხავდნენ, მწყევლიდნენ, მამცირებდნენ და მთელი ამ ხნის მაძილზე ვცხოვრობდი, როგორც უკანასკნელი მანანწალა და მეცვა მონძები“, — წერს შურდენი.

იმავე თჰანაში მალე ოდორიკოც ჩასულა. დალუპულ თანამომძეთა ძვლები მიწიდან ამოუთხრია, ლამაზ ქსოვილში გაუხვევია და თან წაულია.

მრავალი თავგადასავლისა და ფათერაკების შემდეგ 1329 წელს შურდენი და ოდორიკო მშვიდობით დაბრუნდნენ სამშობლოში.

აი, ასე მოხდა, რომ XIV საუკუნის ქართველმა მისიონერმა შორეულ ინდოეთში ჰპოვა თავისი აღსასრული. სიცოცხლე რომ დასცლოდა, ისიც მოივლიდა ინდოეთსა და ჩინეთს, ცვილონსა და სუმატრას; იქადაგებდა და ქრისტიანულ სარწმუნოებას გაავრცელებდა იქაურ მკვიდრთა შორის. მერე დაბრუნდებოდა საქართველოში, გაიხსენებდა ზღაპრულ ქვეყნებში ნანახსა და გაგონილს, ქალაღზე გადაიტანდა აურაცხელ შთაბეჭდილებებს და დემეტრე ტფილელის თხზულება მხარს დაუმშვენებდა ოდორიკო პორდენონესა და შურდენ დე სევერაკის წიგნებს, რომლებიც დღემდე ინვევენ მკვლევართა თუ მკითხველთა შეუწელებელ ინტერესს.